

თენგიზ ყურაშვილი  
ლევან ციციშვილი

# სსოპელთა ინოვაციური დაავადებები

სსოპარი



თენგიზ ყურაშვილი  
ლევან ციციშვილი

**ცხოველთა ინფექციური დაავადებები  
(ცნობარი)**

**ANIMAL INFECTIOUS DISEASES  
(HANDBOOK)**

თბილისი 2022 / Tbilisi 2022



ავტორები მადლობას უხდებიან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობას მხარდაჭერისთვის

The authors thank the leadership of the Scientific Research Center of Agriculture and the National Food Agency for their support



წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტი # SP-2-21-250]

The book was published with the support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia [Grant # SP-2-21-250]

**ცხოველთა ინფექციური დაავადებები (ცნობარი)**

ცხოველთა ინფექციურ დაავადებათა ცნობარი მოიცავს 150 -მდე ნოზოლოგიურ ერთეულს.

დაავადების აღმძვრელის პათოგენეზობის ბუნებიდან გამომდინარე, ცნობარში ინფორმაცია ყველა დაავადების შესახებ წარმოდგენილია ერთი სქემის მიხედვით, ერთ სიბრტყეზე, რომელიც მოიცავს ლათინურ, ქართულ, ინგლისურ და რუსულ დასახელებას, აღმძვრელთა სახეობრივ დახასიათებას, ამთვისებელი ორგანიზმის სახეობრივ აღწერას, აღმძვრელის გადაცემის გზებს და ვექტორებს, ხაზს უსვამს მიმდინარეონის ფორმებს და თავისებურებებს ინკუბაციურ და პოსტინკუბაციურ პერიოდში, კლინიკური გამოვლინებების თავისებურებებს, აღწერილია დაავადების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ძირითადი მეთოდები. გათვალისწინებულია დაავადების ეპიზოოტოლოგიური და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები.

ცნობარის სტრუქტურა და თემატიკა წარმოდგენილია „ერთიანი ჯანდაცვის“ პრინციპებზე დაფუძნებული მცნებების გათვალისწინებით და ცალსახად ხაზს უსვამს ცხოველთა ინფექციური დაავადებების როლს და მნიშვნელობას XXI საუკუნეში არსებული ეპიდემიებისა თუ პანდემიების ფონზე.

**Animal Infectious Diseases (Handbook)**

The handbook about animal infections includes a description of about 150 diseases.

The book uses a uniform scheme for describing each condition that provides Latin, Georgian, English, and Russian transcription of the illness, a taxonomy of the infectious agent, its transmission pathways, and vectors. Besides, for each infection, the book provides information about characteristics of the disease development during incubation and post-incubation periods, clinical picture, diagnostic methods, therapeutic means, and prevention measures.

The Handbook's structure and content are based on the One Health approach and emphasize animal infections' role and public health significance in light of epidemics and pandemics in the XXI century.

UDC (შპკ) 619:616.9

U-948

ISBN 978-9941-499-37-1

## რეზიუმე

საქართველო ოდითგანვე ითვლებოდა და დღესაც რჩება აგრარულ ქვეყნად. სხვა დარგების განვითარებასთან ერთად, ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია მეცხოველეობის განვითარება, სანაშენე საქმიანობა ასევე პირუტყვის ვეტერინარიული მომსახურება.

ქართველ ერს ცხოველის დაავადებებზე, სიკვდილზე, მის გამომწვევ მიზეზებზე და არიდების გზებზე თავისი შეხედულება უხსოვარი დროიდან ჰქონდა. ძველად საქართველო ცნობილი იყო არამართო მცენარეთა მ.შ. სამკურნალო და შინაურ ცხოველთა მრავალფეროვნებით, არამედ როგორც მედიკო-ბიოლოგიური იდეების სამშობლოც.

ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება შეუძლებელია სათანადო განათლების და მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე.

საქართველოში სავეტერინარო დარგის განვითარების საქმეში გარკვეული როლი შეასრულეს სავეტერინარო კარაბადინებმა, ისინი ეძღვნებოდა პირუტყვის და ფრინველის მოვლა-შენახვის, მოშენების და დაავადებათა მკურნალობის იმ დროისათვის აქტუალურ საკითხებს.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ 1818 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული 148-გვერდიანი წიგნი – „სამკურნალო ცხენთა და სხვათა პირუტყვთა“, რომელიც ქართულ ენაზე დაბეჭდილ პირველ სავეტერინარო წიგნს წარმოადგენს.

ამჟამად, ელექტრონული ინფორმაციის სიმრავლის პირობებში, თავის აქტუალობას არ კარგავს სხვადასხვა სახის ცნობარები, რომლებიც სამაგიდო წიგნებად იქცნენ მრავალრიცხოვანი მომხმარებლისათვის.

შეიძლება სწორედ ასეთი ადგილი დაიკავოს თ. ყურაშვილის და ლ. ციციქიშვილის მიერ წარმოდგენილი ცნობარმა - „ცხოველთა ინფექციური დაავადებები“. რომელშიც შეტანილია 150-მდე ნოზოლოგიური ერთეული, აღწერილია დაავადების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ძირითადი მეთოდები. გათვალისწინებულია დაავადების ეპიზოოტოლოგიური და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები. ცნობარი ცალსახად ხაზს უსვამს „ერთიანი ჯანდაცვის“ მიდგომებს XXI საუკუნეში არსებული ეპიდემიებისა თუ პანდემიების ფონზე.

ცნობარს აქვს სამეცნიერო-საგანმანათლებლო პრაქტიკული დანიშნულება და პირველ რიგში განკუთვნილია ვეტერინარიული მედიცინის პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის, მეცნიერ-მუშაკებისთვის, მეცხოველეობის დარგის სპეციალისტებისთვის, ფერმერებისთვის, კვების მრეწველობის თანამშრომლებისთვის, სტუდენტებისა ასევე ფართო წრის სხვა დაინტერესებული სპეციალისტებისა და პირისთვის.

*სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი*

*პროფესორი, ლევან უჯმაჯურიძე*

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ავთვისებრიანი შავშავება</b></p> <p>ლათ. Oedema malignum septicaemia gangrenosa</p> <p>ინგ. Malignant oedema gas gangrene big head / Gas Gangrene / Malignant Edema</p> <p>რუს. Злокачественный отек / Газовая гангрена</p> <p>ცხოველების და ადამიანის მწვავედ მიმდინარე არაკონტაგიოზური ქრობითი ტოქსიური დაავადებაა. ხასიათდება ანთებითი შეშუპებებით, გაზის წარმოშობით, დაზიანებული ქსოვილების ნეკროზით და ორგანიზმის ინტოქსიკაციით.</p> <p>მოსახლეობაში ცნობილია როგორც „გაზოვანი განგრენა“. დაავადება ფართოდაა გავრცელებული, ვლინდება სპორადიულად იქ, სადაც ცხოველებს ინახავენ დიდხანს და მჭიდროდ ვეტსანიტარული პირობების დაცვის გარეშე.</p> <p>დაავადება ჩნდება წლის ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ პერიოდში.</p>	<p>დაავადების ამთვისებელი მრავალი სახეობის ცხოველი; შედარებით ხშირად ავადდება ცხვარი, ცხენი, ვირი, ჯორი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ფრინველი, ძაღლი, კატა (იშვიათად ავადდება ადამიანიც).</p>	<p>დაავადების აღმკვრელია კოსტრიდიები:</p> <p><i>Cl. chauvoei</i>;</p> <p><i>Cl. septicum</i>;</p> <p><i>Cl. haemolyticum</i>;</p> <p><i>Cl. novyi</i>;</p> <p><i>Cl. sordellii</i>;</p> <p><i>Cl. perfringens (B, C, D)</i>;</p> <p><i>Cl. mannheimia haemolytica (A1)</i>;</p> <p><i>Cl. perfringens (B, C, D)</i>;</p> <p>ყველა კოსტრიდიას გააჩნია ჰემოლეზური თვისებები. დაავადების აღმკვრელის რეზერვუარია ნიადაგი კონტამინირებული სპორებით მოხვედრილი დაავადებული ცხოველების გამონაყოფებიდან.</p>	<p>ცხოველთა დასენიანება ხდება სპორების მოხვედრით დაზიანებული კანის და ლორწოვანი გარსების სიღრმეში. ხშირად ეს ხდება მიწის, ნაკელის, მტვერის, ფეკალის და წყლის მოხვედრით.</p> <p>დასენიანება შეიძლება მოხდეს ქირურგიული ოპერაციების (კასტრაციები) პარსვის და გართულებული მშობიარობის, მასური ვაქცინაციის (დასერილი ინსტრუმენტებით) და დაზიანებული სამშობიარო გზების, ლორწოვანი გარსებიდან და კუჭ-ნაწლავის ტრაქტით (როდესაც სპორები ხვდება სისხლში და მიიტანება ღრმა ქსოვილებამდე კუნთებში).</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი რამოდენიმე საათიდან 2-3 დღეა. დაავადების მიმდინარეობა არის მწვავე (განსაკუთრებით ცხვარში და ცხენში).</p> <p>დაავადება მიმდინარეობს 1-4 დღე, ზოგჯერ 7 დღე და მთავრდება მაღალი ლეტალობით.</p> <p>არჩევნ დაავადების განვითარების ინფექციურ და ტოქსიურ სტადიას.</p> <p>ინფექციური სტადიის დროს ხდება მიკრობების ინტენსიური გამრავლება, შეჭრის კერაში და შემდგომი გავრცელება მთელს ორგანიზმში და შეშუპების და გაზების წარმოშობა. ტოქსიური სტადია ვითარდება ტოქსინების ზემოქმედებით, ტოქსინები ინვევენ ორგანიზმის სიკვდილს. ლეტალობა ძალიან მაღალია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და ღივ. ღიაგნოზი	სანიშნაო ღონისძიებები		პროლუქტაზისა და ნელაულის გამოყენება
			მაკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების კლინიკური გამოვლენა და მიმდინარეობა დამოკიდებულია ცხოველის სახეობაზე, აღმძვრელების ასოციაზე და მათ ტოქსიურობაზე, აგრეთვე დაზიანების ლოკაციაზე.</p> <p>არჩევნ მშობიარობის შემდგომ ავთვისებიან შეშუპებას, ქროლოზის შემდგომ ავთვისებიან შეშუპებას, ბატკნის მაჭიკის ავთვისებიან შეშუპებას, თავის ავთვისებიან შეშუპებას და სხვა.</p> <p>საერთო ნიშან-თვისებები: ძლიერი დათრგუნვა, უარი საკვებზე, პულისის გახშირება, გაძნელებული სუნთქვა, ლორწოვანი გარსების სილურჯე, ტემპერატურის ხშირად აწევა სიკვდილის წინ კი დაწევა. მკურნალობის გარეშე ცხოველი სწრაფად კვდება. ხშირად გვხვდება დაავადების ემფიზემატოზური ფორმა, რომლის დროსაც ძალიან სწრაფად ხდება დაზიანებული ქსოვილები გაზოვანი ინფიტრაცია და მოცულობაში მომატება, ირღვევა გულის მუშაობა, გარეგანი სასქესო ორგანოები და მიმდებარე ქსოვილები შეშუპებულია, საშოდან გადმოედინება ცუდი სუნის მქონე ლპობადი სითხე. ცურის მიდამოს ლიმფური კვანძები გადიდება. ზოგჯერ აღინიშნება ბრონქოპნევმონია, ხველა და გაძნელებული სუნთქვა.</p>	<p>ლემში გაბერილია და სწრაფად იხრწნება. ქსოვილები დაზიანების ირგვლივ არის შეშუპებული და გაჟღენთილი ყვითელი და წითელი გაზის შემცველი, სიღამპლის სუნის მქონე სითხით.</p> <p>ქსოვილების დაზიანების სახე და გაზის რაოდენობა კუნთებში დამოკიდებულია აღმძვრელის სახეობაზე.</p> <p>ცხოველის <i>C. novyi</i>-ით სიკვდილის დროს ნახულობენ ჟელესმაგვარ უფერო ან ღია შეშუპებას. თუ ანთებითი პროცესი გამოწვეულია <i>C. septicum</i>-ით კუნთები წითელი ფერისაა. თუ გამოწვევი <i>C. sorellii</i>-ია, კუნთები ჟელესმაგვარია ლემის სისხლძარღვები გადავსებულია შედედებული სისხლით. გულმკერდისა და მუცლის ღრუში სისხლიანი ექსუდატია. ცვლილებები შინაგან ორგანოებში არატიპიურია.</p>	<p>სადიაგნოსტიკოდ იყენებენ ქსოვილების ექსუდატსა და დაზიანებული კუნთების და შინაგანი ორგანოების ნაჭრებს. ცხვირიდან იღებენ მაჭიკის და ნაწლავების ნაწილს (მასალას პარალელურად იკვლევენ ბრად-ზოტზე და ენტერიტოქსემიაზე).</p> <p>ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის პარალელურად აყენებენ ბიოცდას ზღვის გოჭებზე.</p> <p>დაავადების დიფერენცირებას ახდენენ ჯილეხთან და ემკართან.</p>	<p>მკურნალობის ეფექტური საშუალება დღეისათვის არ არის გამოჩენილი. იყენებენ ანტიბიოტიკებს (პენიცილინი, ბიომიცილინი, ტეტრაციკლინი და სხვა).</p> <p>ქირურგიული ჩარევით აცილიან მკვდარ ქსოვილებს და ინფიტრატებს ქროლოზებს ამუშავებენ ნეალბადის ზეჟანგით და ფურაცილინით.</p>	<p>ავთვისებიანი შეშუპების დროს იმუნიტეტი ანტიტოქსიურია. აქედან გამომდინარე იყენებენ პოლიანატოქსინებს.</p> <p>დაავადების ასაცილებლად ატარებენ ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებებს (სისტემატურად ატარებენ დეზინფექციებს).</p> <p>სათანადოდ ამუშავებენ კანის ნებისმიერ დაზიანებას.</p>	<p>ლემებს და ნაკელს წვავენ. დაავადებული ცხოველების დაკვლა და გატყავება აკრძალულია.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	ალმკვრალი და მისი წყარო	ალმკვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ასპერგილოზი</b></p> <p>ლათ. Aspergillosis</p> <p>ინგ. Aspergillosis</p> <p>რუს. Аспергиллез</p> <p>ობის სოკოებით გამოწვეული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება სასუნთქი სისტემის ორგანოებისა და სეროზული საფარის ფიბრინოზულ კვანძოვანი დაზიანებებით.</p> <p>გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და აყენებს დიდ ეკონომიკურ ზარალს მეცხოველეობას, განსაკუთრებით მეფრინველეობას.</p>	<p>ასპერგილოზით ავადდებიან: ინდაურები, ქათამები, ციცრები, ბოცვრები, ზღვის გოჭები, წყალში მცურავი ფრინველები, ცხენი, ღორი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და ძაღლი.</p> <p>ხშირად ავადდებიან დაბალი რეზისტენტობის მქონე მოზარდები.</p>	<p>დაავადების ძირითადი აღმძვრელია სოკო – <i>Asperigilius fumigatum</i>, იშვიათად ამ გვარის სხვა წარმომადგენლები <i>A. flavus</i>, <i>A. niger</i> და <i>A. nidulans</i>.</p> <p>პათოგენური სოკოები ცხოველის ორგანიზმში გამოყოფენ ფერმენტებს და ენდოტოქსინს, რომელთაც აქვთ ჰემოლიტიკური და ტოქსიკური თვისებები. ასპერგილების სპორები გამძლეა ქიმიური და ფიზიკური ფაქტორების მიმართ. დადგენილია, რომ ასპერგილები განსაკუთრებით დიდხანს ძლებენ ცხოველთა საკვებში.</p>	<p>ფრინველის დასენიანება ხდება სასუნთქი გზებიდან და საჭმლის მომწელებელი ტრაქტიდან. აღმძვრელის გადაცემის ფაქტორებია საკვები, ქვეშაფენი, ნიადაგი, საზუდარი და ინკუბატორის ჰაერი.</p> <p>რქოსან პირუტყვში და სხვა სახეობის ცხოველებში დასენიანების მიზეზი შეიძლება გახდეს ხანგრძლივი ბაგური შენახვა, მოციონის უქონლობა, კვება სოკოებით კონტამინირებული საკვებით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 3-10 დღე. სოკოს პათოგენობიდან და ცხოველის რეზისტენტობიდან გამომდინარე, დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად. სოკო სწრაფად ვრცელდება მთელ ორგანიზმში, მისი ნახვა შეიძლება სხვადასხვა ორგანოებში და ქსოვილებში. მათ მიერ გამოყოფილი ენდოტოქსინი იწვევს ორგანიზმის ინტოქსიკაციას, პირველ რიგში კი აზიანებს ღვიძლს, შედეგად ცხოველი თანდათან კლებულობს წონაში და კვდება.</p> <p>ლეტალობა ფრინველებში 80-100%-ია.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმავლო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების მწვავე ფორმა ფრინველებში ვითარდება სწრაფი სისუსტით, მძინარობით, უძრაობით, მადის დაქვეითებით, სასუნთქი გზების დაზიანების პროგრესირებით. სუნთქვა გაძნელებულია, ფრინველი კისერს წევს წინ და ზევით, ღია ნისკარტით ყლაპავს ჰაერს, აცემინებს, ახველებს. პირიდან სდის სეროზული ქაფიანი სითხე. დაავადების ბოლოს ვითარდება კუჭ-ნაწლავის აშლილობა დიარეა, კანკალი, დამბლები; ვითარდება ნერვული დარღვევები, დაავადება გრძელდება 4 დღე.</p> <p>ქვემწვავე და ქრონიკული ფორმის დროს პროცესები და სიმპტომები მიმდინარეობს ნელა.</p> <p>რქოსანში წყდება ცოხნა, ქვეითდება წველა, ვითარდება ქოშინი და ხველა, მატულობს ტემპერატურა, სასუნთქი სისტემის მძიმე დაზიანებებით ცხოველი კვდება.</p> <p>ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს კენტრილიქიანებშიც, ვითარდება მძიმე დარღვევები სასუნთ გზებში.</p> <p>სუნთქვის სისტემა ზიანდება ძალღებშიც და კატებშიც.</p>	<p>ფრინველის გაკვეთისას ფილტვები შეშუპებულია.</p> <p>პლევრაზე, მიოკარდზე, ელენტაზე, წვრილი ნაწლავების სეროზულ გარსებზე სისხლჩაქცევებია;</p> <p>ფილტვებში, ღვიძლში, თირკმელში ნახულობენ ნაცრისფერ-თეთრ კვანძებს, რომელთა ცენტრში ნეკროტიკული მასაა.</p> <p>გრანულების დაშლით ვითარდება კავერნები. ბრონქებში ანთებითი პროცესია და ამოვსებულია ფიბრინოზული მასით.</p> <p>კუჭ-ნაწლავის ტრაქტში კატარალური ანთებაა.</p> <p>რქოსანის ფილტვებშიც კვანძოვანი დაზიანებებია. კვანძები მკვრივია.</p>	<p>ფრინველის სიცოცხლეში ასპერგილოზზე დიაგნოზის დასმა ძალიან ძნელია, რადგან არ არსებობს სპეციფიკური სიმპტომების კომპლექსი.</p> <p>კვლევისათვის ლაბორატორიაში აგზავნიან ფრინველის ახალ ლეშს ან შინაგანი ორგანოების ნაჭრებს. იკვლევენ აგრეთვე საკვებს, ქვეშაფენსა და კვერცხს.</p> <p>უნდა მოხდეს ასპერგილოზის დიფერენცირება პულულოზთან, მიკროპლაზმოზთან, ტუბერკულოზთან, ინფექციურ ბრონქიტთან, პარატუბერკულოზთან, A-ჰიპოვიტამინოზთან.</p>	<p>სპეციფიკური მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის. ინფექციის გავრცელების შესაკავებლად იყენებენ ერთქლორიან იოდს, იოდი-ნოლს, ლუგოლის ხსნარს, ნისტატინს და სხვა. აეროზოლის სახით ან საკვებთან ერთად</p>	<p>ასპერგილოზის დროს იმუნიტეტი შესწავლილი არ არის. აქედან გამომდინარე, არც სპეციფიკური პროფილაქტიკის საშუალებებია შემუშავებული. მეურნეობაში აუმჯობესებენ მოვლა-შენახვის და კვების პირობებს. სისტემატურად ატარებენ ვეტერინარიულ-სანიტარულ ღონისძიებებს.</p>	<p>ხორცის, კვერცხის და ბუმბულის გამოყენება ხდება სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად</p>



დაავადება	ამთვისებელი ცნოველი	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>აუესკი</b></p> <p>ლათ. Morbus Aujeszky</p> <p>ინგ. Pseudorabies / Aujeszky's Disease</p> <p>რუს. Болезнь Ауески / Псевдобешенство / Инфекционный бульбарный паралич / Инфекционный менингоэнцефалит</p> <p>მწვავედ მიმდინარე დაავადებაა, ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის აშლილობით, ძლიერი ქავილით და ნაფხანით.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში აუესკით ავადდება: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ირემი, ცხვარი, ღორი, ცხენი, კატა, ძაღლი, მგელი, ზღარბი, დათვი, მღრღნელები, ფრინველი და სხვა.</p> <p>განსაკუთრებით ამთვისებლები არიან ღორები (გოჭები და მაკე ღორები), მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვი, კატა და ძაღლი (ლეკვები და კნუტები) ავადდებათ მძიმედ, რომელიც ხშირად მთავრდება სიკვდილით.</p> <p>მეღორეობის ფერმაში ეპიზოოტიის შემთხვევაში ვირთხები გარბიან ფერმიდან.</p>	<p>ალმძვრელია ვირუსი: <i>Herpesviridae</i>-ის ოჯახიდან, გვარი <i>herpesvirus</i>-ი (ჯგუფი-1).</p> <p>ვირუსი მდგრადია გარემო ფაქტორების მიმართ. ის ძლებს 60 დღე. მასზე დადებითად მოქმედებს დაბალი ტემპერატურა და მაღალი ტენიანობა.</p> <p>დაავადების ალმძვრელის წყაროა დაავადებული და ვირუსმატარებელი ცხოველები.</p>	<p>ვირუსის გადაცემის გზა შეიძლება იყოს კონტაგიოზური, ალიმენტალური და აეროგენური. მღრღნელებში და ღორებში შეიძლება, ხელშემწყობი გახდეს კანიბალიზმი. ვირუსის გავრცელებაში დიდ როლს თამაშობენ ვირუსმატარებელი ცხოველები.</p> <p>ვირუსმატარებლობა ღორებში 150 დღიდან 6-თვემდეა.</p> <p>ვირთხებში – 130 დღე.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-20 დღე (რქოსანში 6-15 დღე, ბოცვრებში 1-6 დღე, ძაღლებში 2-4 დღე. დაავადება მიმდინარეობს მწვავე და ქვემწვავე ფორმით.</p> <p>გოჭების დაავადებამ შეიძლება მიაღწიოს 70-100%-ს; ლეტალობა 2 კვირის გოჭებში 80-100%-ია; უფროსი ასაკის ღორებში – 40-80%.</p> <p>ზოგჯერ მღრღნელების, ძაღლების, კატების დაავადებას და სიკვდილს წინ უსწრებს დაავადების განვითარება სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>რქოსან პირუტყვში აუსკის დაავადება მიმდინარეობს მიმედ და მთავრდება სიკვდილით. დაავადების დასაწყისში ტემპერატურა 40 - 42°C-ია, ცხოველი მოდუნებულია, დაკარგული აქვს მადი, განვითარებული აქვთ წინაკუჭების ატონია, ქვეითდება წველადობა. შემდგომ ხშირდება სუნთქვა, ცხოველი მოუსვენარია, ეწყება ძლიერი ქავილი თავის მიდამოში. ძირითადად დაავადებული ცხოველი კვდება 48 საათში, კლინიკური ნიშნების პირველი გამოვლენიდან.</p> <p>ზრდასრულ ღორებში აღინიშნება ტემპერატურის მომატება, მოდუნება, მადის დაქვეითება. ცემინება, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება შეიმჩნევა მხოლოდ ძუძუთა და ასხლეთილ გოჭებში, ცხენებში დაავადება მიმდინარეობს შედარებით მსუბუქად. მიმედ ფორმით დაავადების მიმდინარეობისას ადგილი აქვს ქავილს, კანკალს. ცხოველი შეიძლება მოკვდეს 1-2 დღეში, ხორცისმჭამელ ცხოველებში ვითარდება ძლიერი ნერწყვდენა, ძლიერი ქავილი და ნაფხანები. ცხოველები კვდებიან 20-30 საათში.</p>	<p>რქოსან პირუტყვში, ძალღებში და სხვა სახეობის ცხოველებში მუდმივი დამახასიათებელი პათოლოგიური ცვლილებები აღინიშნება კანზე ნაფხანების სახით. სხვა ცვლილებები სუსტადაა გამოხატული.</p> <p>ღორებში ნახულობენ ბრონქოპნევმონიებს, სისხლჩაქცევებს ზედა სასუნთქ გზებში, პლევრაზე, ეპიკარდზე, კონიუქტივებზე, ქუთუთოები შესიებულია.</p> <p>მუდმივი ნიშანია თავის ტვინის სისხლძარღვების გადავსება და სისხლჩაქცევები ცხოველებში.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზის დასმის დროს ითვალისწინებენ ეპიზოოტიურ მონაცემებს, დამახასიათებელ კლინიკურ ნიშნებს და პათანატომიურ ცვლილებებს: უეცარ წარმოშობას და მასიურად და სწრაფად გავრცელებას ძლიერ ქავილს, ნაფხანს, კანკალს და სხვა ნიშნებს ძირითადად მოზარდებში.</p> <p>ლაბორატორიაში ატარებენ ბიოცდას ბოცვრებზე და კნუტებზე. ვირუსის არსებობისას მასალის შეყვანის ადგილზე ვითარდება ძლიერი ქავილი. ცხოველები კვდებიან 48 საათში.</p> <p>დიფ. დიაგნოზს ავლებენ: ცოფთან, ლისტერიოზთან, ჭირთან, ენცეფალიმიულიტთან და სხვა დაავადებებთან, რომლებიც აზიანებენ ნერვულ სისტემას.</p>	<p>მაღალეფექტური მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის. იყენებენ სპეციფიკურ გამაგლობულის და პროტეინოთერაპიას ანტიბიოტიკებთან ერთად. შეყავთ ციტირებული სისხლი (ალებული ცხენიდან, ღორიდან) და არასპეციფიკური სისხლის შრავი პენიცილინთან, სტრეპტომიცინთან და ბიომიცინთან ერთად. დადებითად მოქმედებს A და D ვიტამინები.</p>	<p>დაავადების მოხდის შემდეგ ფორმირდება იმუნიტეტი 1 - 3 წლის ხანგრძლივობით. მნიშვნელოვანია კოლოსტრალური იმუნიტეტიც.</p> <p>აქტიური იმუნიზაციის მიზნით იყენებენ ვაქცინებს. იმუნიტეტი გრძელდება ერთი წელი. მკურნალობის დასაცავად აუმჯობესებენ ვეტერინარიულ-სანიტარულ და ზოოჰიგიენურ პირობებს.</p> <p>ცხოველებს კვებავენ ნორმირებულად დაავადების სანიანალმდეგო ღონისძიებებში ჩართული უნდა იყოს ბრძოლა მღრღნელებთან და მანანალა ძაღლებთან და კატებთან.</p>	<p>გამოჯანმრთელებული ცხოველები გამოკვების შემდეგ ბარდება დასაკლავად.</p> <p>იძულებით დაკლული ცხოველის შინაგან ორგანოებს სობენ. ტან-ხორცი გამოიყენება მოხარშული ძეხვეულის დასამზადებლად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>აქტინომიკოზი</b></p> <p>ლათ. Actinomycosis</p> <p>ინგ. Actinomycosis</p> <p>რუს. Актиномикоз</p> <p>ცხოველთა ქრონიკულად მიმდინარე დაავადებაა. ხასიათდება გრანულემატოზური დაზიანებების წარმოქმნით სხვადასხვა ქსოვილებში და ორგანოებში.</p> <p>დაავადება (განსაკუთრებით რქოსანი პირუტყვის) გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის იგი გავრცელებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირშიც.</p> <p>დაავადებას სეზონურობა არ ახასიათებს, ვლინდება მთელი წლის მანძილზე. ხშირ გამოვლენას ადგილი აქვს ზამთარში და გაზაფხულზე.</p>	<p>აქტინომიკოზით ძირითადად ავადდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. იშვიათად ცხენები, ცხვრები, ღორები, ხორცისმჭამელები და სხვა ცხოველები.</p> <p>აქტინომიკოზით ავადდება აგრეთვე ადამიანიც, მაგრამ დამტკიცებული არ არის, რომ დაავადება გადადის დაავადებული ცხოველიდან.</p>	<p>დაავადების ალმძვრელია სხივური სოკო <i>Actinomyces lovis</i>. ფართოდ გავრცელებულია გარემოში. ხშირად აქტინომიციტების თანხლებით ჩირქმბადი მიკროორგანიზმები.</p> <p>პათოგენური აქტინომიციტების ბუნებრივ რეზერვუარს წარმოადგენს გარემო არე.</p> <p>დაავადების ალმძვრელის წყაროა დაავადებული ცხოველები, რომლებიც დაზიანებული ფისტულიდან გამონადენი ჩირქით აბინძურებენ საკვებს, წყალს და საძოვარს.</p>	<p>დაავადების ალმძვრელის ორგანიზმში შეჭრის ძირითადი გზა ალიმენტალურია. თვლიან რომ ამის ხელშემწყობი პირობაა საჭმლის მომწელებელი სისტემის დაზიანებული ლორწოვანი გარსები. დაავადების ალმძვრელი შეიძლება შეიჭრას აგრეთვე დაზიანებული კანიდან, ცურიდან, სარაცეული ჭრილობიდან, ზედა სასუნთქი გზებიდან. მოზარდი შეიძლება დაავადდეს კბილების ამოჭრის დროს. დადგენილია აგრეთვე ცხოველების ენდოგენური დასენიანება.</p>	<p>დაავადების ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა დადგენილი არ არის. თვლიან რომ შეიძლება ის გაგრძელდეს რამოდენიმე დღიდან რამოდენიმე თვე.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს ქრონიკულად.</p> <p>აქტინომიკოზური გრანულებით ზიანდება თავის ქსოვილები, შინაგანი ორგანოები და ცური (გრანული წარმოადგენს ღრუბლისმაგვარ ქსოვილს, რომელიც სასესეა ჩირქით).</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და ღივ. ღიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროლუქტაზისა და ნელაულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>საერთო კლინიკური ნიშანი ყველა სახეობის ცხოველები-სათვის არის ხანგრძლივად განვითარებადი მკვრივი სიმსივნის (გრანულების) აქტინომიკომების წარმოქმნა.</p> <p>რქოსან პირუტყვში პროცესი ძირითადად ვითარდება ქვედა და ზედა ყბაზე და ლიმფურ ჯირკვლებში და ძვლოვან ქსოვილში. დაავადების პირველი ნიშანია მტკივნეული სიმსივნური წარმონაქმნი. ტკივილი ცოხნის და ყლაპვის დროს. სიმსივნე თანდათან რბილდება, იხსნება და წარმოიშობა ფისტულა, საიდანაც გადმოედინება არაჟნის მსგავსი უსუნო ყვითელი ჩირქი. პირის ღრუში და საყლაპავზე მიმდინარე პროცესი აფერხებს სუნთქვას და ყლაპვას, ირღვევა ცოხნის რიტმი, შედეგად ცხოველი ვერ ლეზულობს საკვებს და იკლებს წონაში. ძვლის აქტინომიკოზი აფერხებს ცოხნას, ქვედა და ზედა ყბის ძვლების დაზიანებისას ვითარდება უძრავი შესიება, მასზე ხელის დაჭერით ცხოველი გრძნობს ძლიერ ტკივილს.</p>	<p>გაკვეთისას სხვადასხვა ორგანოებში და ქსოვილებში ნახულობენ გრანულომატოზურ კერებს. საქონელში გრანულებით ზიანდება თავის ქსოვილები, შინაგანი ორგანოები, იშვიათად ცური. ძვლების დაზიანებას ახასიათებს დაბერვა და დეფორმაცია.</p> <p>გრანულების ფისტულიდან გადმოედინება ჩირქი, რომელიც უნდა განვასხვაოთ ჩვეულებრივი აბცესის ჩირქებისაგან. აქტინომიკოზური ჩირქი ნათელი, ყვითელი ფერისაა, სქელია და არ ეკრობა ქსოვილებს, არ აქვს სუნი. ლიმფური კვანძები გადიდებული არ არის. ღორებში ძირითადად ზიანდება ცური, ნუშისებრი ჯირკვლები, ცხვარში ენა, ტუჩი, ქვედა ყბა და ფილტვები. ცხენში სათესლე ჯირკვლები (კასტრაციის შემდეგ).</p>	<p>დაავადების ტიპური კლინიკური ნიშნით მიმდინარეობისას დიაგნოზის დასმა ძნელი არ არის. სხვა შემთხვევაში ატარებენ ლაბორატორიულ გამოკვლევას – ჩირქის და გრანულების დაზიანების ქსოვილების მიკროსკოპიას. სოკოს სუფთა კულტურის გამოყოფა ძნელია დიდი რაოდენობით თანმხლები მიკროორგანიზმების არსებობის გამო. ხშირად მიმართავენ ჰისტოლოგიურ კვლევებს და ბიოცდას 1-2 დღის ბაჭიებზე.</p>	<p>მკურნალობის გარეშე ცხოველების გამოჯანმრთელება იშვიათია. აქტინომიკოზის სამკურნალოდ იყენებენ ოპერაციულ მეთოდებს და ანტიბიოტიკოთერაპიას.</p> <p>კარგ შედეგს იძლევა პენიცილინის, სტრეპტომიცილის და ოქსიტეტრაციკლინის შეყვანა აქტინომიკომების შიგნით ან მის ირგვლივ.</p> <p>მკურნალობის ეფექტურობის მიზნით ქირურგიულად აცილებენ გრანულომებს, რომელშიც მანამდე შეყავთ ანტიბიოტიკები.</p>	<p>აქტინომიკოზის სანიანალმდეგო სპეციფიკური პრეპარატები შემუშავებული არ არის. ცხოველები არ უნდა გაუშვათ არაკეთილსაიმედო საძოვარზე. სადაც დიდი რაოდენობითაა გამხმარი და უხეში ბალახი.</p> <p>უნდა მოხდეს დაავადებული ცხოველების იზოლაცია, რაც ხელს შეუშლის გარემოს დაბინძურებას ჩირქით. შეძლების მიხედვით უნდა შევცვალოთ საძოვარი, მეურნეობაში უნდა დავიცვათ ვეტერინარიული და ზოოჰიგიენური ნორმები და გავაუმჯობესოთ კვება და მოვლა-შენახვის პირობები.</p>	<p>თავის ძვლების და კუნთების ფართოდ დაზიანების შემთხვევაში მას სპობენ.</p> <p>მცირედი დაზიანებისას აცილებენ დაზიანებულ ადგილებს და ხარშავენ.</p> <p>შინაგანი ორგანოების ძვლების, კუნთების დაზიანებისას ახდენენ ტანხორცის უტილიზაციას.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	ალმკვრელი და მისი წყარო	ალმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ბატების ვირუსული ენთერიტი</b></p> <p>ლათ. Enteritidis viriosa anserum</p> <p>ინგ. Goose Parvovirus infection / Derzsy's disease</p> <p>რუს. Вирусный энтерит гусей / вирусный миозит / Чума гусей / Болезнь держи</p> <p>ფრინველის ზემწვავე და მწვავე დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს დეპრესია, ენთერიტი, სისხლდენა ნაწლავის ლორწოვან გარსებში ფიბროზული ანთებით.</p>	<p>ბატის პარვოვირუსული ინფექცია გვხვდება ყველა ჯიშის შინაურ ბატებსა და იხვებში. დაავადება ასევე დაფიქსირდა გარეულ ბატებში.</p>	<p>ბატების ენთერიტის გამომწვევი აგენტი ეკუთვნის <i>Parvoviridae</i> ოჯახს. ეს არის დნმ-ის ვირუსი, რომელიც მრავლდება უჯრედების ბირთვში. ვირუსს არ გააჩნია ჰემაგლუტინინაციის თვისება. სხვა ტაქსონომიური ჯგუფების ვირუსები იზოლირებულია ავადმყოფი ფრინველებისგან.</p> <p>ვირუსი კარგად მრავლდება ბატის 9-11 დღის ემბრიონების ალანტოის ღრუში ან <i>CAO</i>-ზე, ბატის ფიბრობლასტების კულტურაში, აგრეთვე თავისი ფიბრობლასტების კულტურაში. დაავადების აღმძვრელის წყაროა დაავადებული და მკვდარი ბატის ჭუკები, აგრეთვე დაავადებაგადატანილი ჭუკებიდან გაზრდილი ბატები.</p>	<p>ინფექციის გადაცემის ძირითადი გზა ვერტიკალურია, ვირუსი კვერცხუჯრედის შიგთავსშია და შეიძლება გამოიწვიოს ემბრიონის სიკვდილი. ამავდროულად, ზოგიერთი ჭუკები იჩეკებიან და მოგვიანებით ინფექციის წყაროს წარმოადგენენ.</p> <p>დაავადების პათოგენეზი კარგად არ არის შესწავლილი. ვირუსი პერორალურად ხვდება საკვებთან, წყალთან ერთად, ემაგრება ნაწლავის ლორწოვანი გარსის ხაოებს, ინვეცს მათ აქერცვლას და ლიზისს, შემდეგ აღწევს სისხლში და ვრცელდება ყველა ორგანოში. მეორადი დაზიანებები შეიძლება ლოკალიზდეს ლიმფურ ორგანოებში. ნაწლავის დაზიანებისას ხდება ლორწოვანი გარსის ეპითელიუმის დესკვამაცია. ვირუსის მაქსიმალური იზოლაცია ავადმყოფებისგან შეინიშნება დაინფიცირებიდან მე-3-დან მე-7 დღეზე, შემდეგ თანდათან მცირდება.</p>	<p>ბატები ძირითადად ავადდებიან 3 დღის ასაკიდან უფროს ასაკამდე. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-დან 6 დღეზე მეტ ხანს. მოზრდილ ბატებში დაავადება ლატენტური ფორმით მიმდინარეობს. სიკვდილიანობა ბატებში თავიდან არის 90-100%, შემდგომ კლებულობს 20-70%-მდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების ზემოთაღმდეგ მიმდინარეობისას ფრინველი რამდენიმე საათში კვდება კლინიკური ნიშნების გამოვლენის გარეშე.</p> <p>დაავადების დასაწყისში მწვავე მიმდინარეობის დროს, ბატების გაზრდილი სიკვდილიანობა ფიქსირდება სიცოცხლის პირველ კვირებში. აღინიშნება სისუსტე, დეპრესია, კვებაზე უარის თქმა, ქოშინი და მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა. ავადმყოფი ფრინველები იკრიბებიან სითბოს წყაროსთან, ღრიალებენ და არ რეაგირებენ დაძახების ხმაზე. ხშირად კისერზე და ზურგზე ბუმბული აქვთ აბურღული, ჩნდება კონიუნქტივიტი და ცხვირიდან გამონადენი.</p> <p>ავადმყოფი ჭუკები ჩამორჩებიან თანატოლებს ზრდა-განვითარებაში. ზოგიერთ ჭუკს მუცელი ეშვება დაბლა. ფეკალი წყლიანია, ფიბრინის ფენებით, ზოგჯერ სისხლის მინარევით.</p> <p>დაავადების ქვემწვავე მიმდინარეობა უფრო ხშირად აღინიშნება ახალგაზრდა ფრინველში 15-21 დღის ასაკში, დაავადების ხანგრძლივობაა 7-14 დღეა.</p>	<p>4-6 დღის ასაკში უფრო გამოხატულია ანთებითი ცვლილებები ნაწლავებში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ვლინდება კატარალურ-ფიბრინოზული ენტერიტის სახით.</p> <p>6 დღიდან 2 კვირამდე ასაკის ბატებში პათოანატომიური ცვლილებები გვხვდება კუნთთაშორის ქსოვილებში. კანქვეშა ქსოვილი, მეზენტერიული ლიმფური კვანძები, ნაწლავების სისხლძარღვები გაფართოებული და სისხლით სავსეა.</p>	<p>წინასწარი დიაგნოზი დასტურდება ლაბორატორიული გამოკვლევებით. კვლევისთვის იღებენ ნაწლავის და პარენქიმული ორგანოების ნაწილებს.</p> <p>ბატების ვირუსული ენტერიტი უნდა განვასხვავოთ სალმონელოზისგან, ასპერგილოზისგან, მონამელისგან, პასტერელოზისგან, ეშერიხიოზისგან.</p>	<p>დღეისათვის მკურნალობის მეთოდები არაა შემუშავებული. ზოგჯერ იყენებენ რეკონვალესცენტი ბატების სისხლის შრატს.</p>	<p>ავადობის შემდეგ ბატებს უვითარდებათ არასტერილური იმუნიტი. სპეციფიური პროფილაქტიკა ტარდება ცოცხალი ვაქცინებით. ბატების აცრა ხდება ერთი დღის ასაკში.</p> <p>დაავადების გაჩენისას აწესებენ რიგ შეზღუდვებს. ზრდიან ვეტერინარიულ-სანიტარიულ და ზოოჰიგიენურ ღონისძიებებს.</p>	<p>ხორცის, კვერცხის, ბუმბულის და ლინდლის გამოყენება ხდება სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკრობმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ბატკნების ანაერობული დიზენტერია</b></p> <p>ლათ. Dysentery neonatorum anaerobica</p> <p>ინგ. Lamb dysentery</p> <p>რუს. Анаэробная дизентерия / Белый понос / Анаэробная энтеротоксемия ягнят</p> <p>ახალშობილი ბატკნების მწვავედ მიმდინარე ტოქსიური ინფექციაა, ხასიათდება ჰემორაგიული დიარეით, ტოქსემიით და სიკვდილით.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, სადაც განვითარებულია მეცხვარეობა.</p>	<p>დაავადების მიმართ განსაკუთრებით ამთვისებელია ახალშობილი ბატკანი რამოდენიმე საათიდან 10 დღის ასაკამდე. ხშირად 2-5 დღის ასაკში. უფროსი ასაკის მოზარდი ავადდება იშვიათად.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია <i>Clostridium perfringens</i>-ის B ტიპი.</p> <p>მიკროორგანიზმის სპოროვანი ფორმა ნიადაგში ძლებს 4 წელზე მეტ ხანს. მშრალ ზედაპირებზე 2-წლამდე, ადულებს უძლებს 5-15 წუთი.</p> <p>ვეგეტატიური ფორმა ნიადაგში ძლებს 10-35 დღე, ნაკელში – 3-5 დღე. 80°C-ზე კვდება 5 წუთში.</p> <p>დაავადების აღმძვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი მიკრობმატარებელი ცხოველები, რომლებიც მიკრობს გამოყოფენ ფეკალით და სვრიან გარემოს (ნიადაგს, მოვლის საგნებს, ქვეშსაფენს).</p>	<p>დაავადება არაკონტაგიოზურია. ბატკნების დაავადება სცდება ალიმენტალური გზით ძუძუს ნოვის დროს დაინფიცირებული ობიექტების ზედაპირის ალოკვით და შეხებით. დაავადების წარმოშობას ხელს უწყობს დაბალი ვეტერინარიულ-სანიტარიული და ზოოჰიგიენური პირობები. დედა ცხვრების ცუდი კვება.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 5-6 საათია, იშვიათად 2-3 დღე. უმეტესად ავადდება 3 დღემდე ასაკის ბატკნები. დაავადების მიმდინარეობა ზემწვავე, მწვავე, ქვემწვავე და იშვიათად ქრონიკულია.</p> <p>არაკეთილსაიმედო მეურნეობაში შეიძლება დაავადდეს ერთეული ცხოველიდან 15-30%-მდე.</p> <p>ლეტალობამ კი შეადგინოს – 100%.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროლუქტაზისა და ნეღლაულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ზემწვავე ფორმის დროს ბატკნები უეცრად კვდებიან ნერვული აპლილობით (კორდინაციის დარღვევა, კრუნჩხვები). ზოგჯერ სიკვდილის წინ ფეკალური მასა ხდება თხიერი, სისხლის მინარევით.</p> <p>მწვავე მიმდინარეობისას აღინიშნება დათრგუნული მდგომარეობა, დიარეა გაზის ბუშტებით, ფეკალი ხდება სქელი ღორწოს და სისხლის მინარევით. დაავადებული ბატკანი დგას შეწეული მუცლით და ნაკლებად რეაგირებს გარემოზე. დაავადება გრძელდება რამოდენიმე საათიდან რამოდენიმე დღე და ბატკანი კვდება სწრაფად განვითარებადი სისუსტით.</p> <p>ქვემწვავე მიმდინარეობის დროს დაავადება ლებულობს შედარებით ხანგრძლივ ხასიათს, ბატკნები წვანან, გამოფიტული დიარეით, ფეკალი თხიერი მწვანე ან ყვითელია სისხლის მინარევით. ცხოველი კვდება გამოფიტულ მდგომარეობაში. ქრონიკული მიმდინარეობის დროს ბატკანი შეიძლება გამოჯანმრთელდეს, მაგრამ იმდენად სუსტია, შეიძლება მოკვდეს სხვა მიზეზით.</p>	<p>გვამი გაშეშებულია, გულმკერდის და მუცლის ღრუში აგრეთვე გულის პერანგში ნახულობენ ყვითელ ან მონითალო ექსუდატს. ზოგჯერ ექსუდატი ლებულობს ყელეს კონსისტენციას: გული გაფართოებულია, კუნთი დუნე ნაცრისფერი-წითელი ფერის, ნერტილოვანი, სისხლჩაქცევებით, ლვიძლი ხშირად გადიდებულია, სისხლსავსეა, დუნე კონსისტენციის, ელენთა უცვლელია, ფილტვები შეშუპებული, თირკმლები ჰიპერემიული.</p> <p>ნაწლავები მთელს სიგრძეზე ან ნაწილ-ნაწილ მუქი წითელი ფერისაა, მაჭიკი ანთებითა, მეზენტერიალური ლიმფური კვანძები გადიდებულია სისხლჩაქცევებით.</p> <p>დაავადების ზემწვავე მიმდინარეობისას ცვლილებები არ შეიმჩნევა.</p>	<p>დაავადებაზე წინასწარ დიაგნოზს ადგენენ ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგიური ცვლილებების ანალიზის საფუძველზე.</p> <p>საბოლოო დიაგნოზის დასაბამად ხდება ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე, ლაბორატორიაში იგზავნება ახალი ლეში ან შინაგანი ორგანოების ნაჭრები, ორმხრივ ლიგატურა დადებული წვრილი ნაწლავის ნაწილი. მასამოყოფილი ტოქსინებს და კულტურას ცდიან თეთრ თაგვებზე.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ სალმონელოზთან, ეშერიხიოზთან და კოკციდიოზთან.</p>	<p>მკურნალობა ეფექტურია მხოლოდ დაავადების დასაწყისში.</p> <p>დაავადების გაჩენისთანავე ახდენენ დაავადებული ბატკნების (დედებთან ერთად) იზოლირებას და მკურნალობენ ანტიბიოტიკური შრატებით. შრატები შეიძლება გამოყენებული იქნას ანტიბიოტიკებთან ერთად (ტეტრაციკლინის რიგის პრეპარატიბი).</p>	<p>დაავადებაგადატანილ ცხოველებში ფორმირდება ანტიტოქსიური იმუნიტეტი.</p> <p>ვაქცინირებული დედეებიდან ბატკნები ლებულობენ კოლოსტრალურ იმუნიტეტს, რომელიც გრძელდება 1,5 თვე.</p> <p>ბატკნების დიზენტერიის პროფილაქტიკის მიზნით ცრიან დედებს მაკეობის ბოლოს (დოლის წინ).</p> <p>პასიური იმუნიზაციის მიზნით იყენებენ იმუნურ შრატებს, ცრიან ცხვრის მთლიან სულადობას 3 თვის ასაკიდან. 6 თვის ასაკის მიღწევასა ბატკნებს უტარებენ რევაქცინაციას ორჯერადად.</p> <p>დაავადების კერაში ყველა ახალშობილ ბატკანს ამუშავებენ იმუნური შრატით.</p>	<p>ახალშობილი ბატკნების დაკვლა არ ხდება.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ბოტულიზმი</b></p> <p>ლათ. Botulismus</p> <p>ინგ. Botulism / Loin disease / Forage Poisoning</p> <p>რუს. Ботулизм</p> <p>მრავალი სახეობის ცხოველისა და ადამიანის მწვავედ და მძიმედ მიმდინარე საკვებისმიერი ტოქსიკო-ინფექციური დაავადებაა.</p> <p>დაავადება ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით, კუნთების დამბლით და დაავადებული ცხოველების სიკვდილით.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ბოტულიზმით ავადდება მრავალი სახეობის ცხოველი და ფრინველი.</p> <p>მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვში ბოტულიზმს იწვევს C და D ტიპის ტოქსინი. ცხვარში, ქათამში და იხვში – ტიპი C;</p> <p>ცხენში ტიპი B, იშვიათად A და C;</p> <p>ლორში – ტიპი A და B.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია ანაერობი <i>Clostridium botulinum</i>.</p> <p>მიკროორგანიზმი ფართოდ არის გავრცელებული. ის იყოფა ნიადაგიდან, ზღვის და მდინარის შლამიდან, მცენარეებიდან, ზღვის უხერხემლოებიდან და სხვა.</p> <p>ბოტულიზმს ნახულობენ ადამიანის ცხოველების და ფრინველების ფეკალში.</p> <p>ანტიგენური სტრუქტურით არჩევენ აღმძვრელის 7 ტიპს (A, B, C, D, E, F, G) ყოველი მათგანი აავადებს ცალკე ცხოველს, გამოყოფს რა ყველაზე ძლიერ ტოქსინს ბაქტერიებს შორის.</p> <p>ბოტულიზმი ნიადაგში ძლებენ 10 წელი. ტოქსინი მარცვალზე ძლებს თვეობით.</p>	<p>ცხოველები ბოტულიზმის ტოქსინებს ლებულობენ გაფუჭებული და მინით დასვრილი და დაობებული საკვების (სილოსის, ქატოს, მარცვლეულის, ხორცის და თევზიდან დამზადებული საკვები და სხვა). ინტოქსიკაცია ხდება აღნიშნული საკვების ნედლად მიღების დროს. საკვებში ტოქსინი არათანაბრად არის განაწილებული, აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე საკვების მიღებისას, ცხოველები განსხვავებულად ავადდებიან, ზოგი მძიმედ, ზოგიც მსუბუქად.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 18 საათიდან 16-20 დღემდე. ეს დამოკიდებულია ტოქსინის დოზაზე და ორგანიზმის გამძლეობაზე, დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს ელვისებურად, მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად. სიკვდილი დგება სუნთქვის შეჩერებით. ლეტალობა 70-100%-ია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფუქტებისა და ნედლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების აფეთქების ხანგრძლივობა 8-12 დღეა, დაავადებულების მაქსიმალური გამოვლინება შეიმჩნევა პირველი 3 დღის განმავლობაში. დაავადება მიმდინარეობს ცხელების გარეშე, მწვავე მიმდინარეობა გრძელდება 1-4 დღე, ქვემწვავე – 7 დღე, ქრონიკული – 3-4 კვირა.</p> <p>დაავადებული ცხოველები დადიან ბარბაცით, აქვთ ჭარბი ნერწყვი, ენის გამოვარდნა, საყლაპავის დამბლა, კუჭის და ნაწლავების ატონია.</p> <p>ცხენებში და რქოსან პირუტყვში გულის სისუსტე და არითმიები. ნაწოლები ქრონიკული მიმდინარეობის დროს დიდხანს წოლისას.</p> <p>ცხვარში და თხაში წამყვანია მოძრაობის შეზღუდვა, კისრის მოდრეკა გვერდზე, საღეჭი და საყლაპავი კუნთების დამბლა ღორში ბოტულიზმი იშვიათია, დამახასიათებელია: ხმის დაკარგვა და სიბრმავე; ძაღლებში დამახასიათებელია კიდურების და თვალის კუნთების დამბლა, აპატია, გართულება პნევმონიით, სიკვდილი დგება ასფიქსის შედეგად. ფრინველებში (ქათამი, ბათი, იხვი) კისერი მოგრეხილია ასო S-ის მსგავსად ზურგისკენ.</p>	<p>შეიმჩნევა კანქვეშა ქსოვილების სიყვითლე. სისხლის ჩაქცევები გულზე და სეროზულ ქსოვილებზე. სისხლი შესქელებული და მუქია, კატარალურ-ჰემორაგიული. ანთება წვრილი ნაწლავის ლორწოვანზე. სწორ ნაწლავში მკვრივი ლორწოთი დაფარული ფეკალური მასა.</p>	<p>ბოტულიზმზე დიაგნოზს სვამენ კლინიკური და ეპიზოოტიური მონაცემების და საკლავ მასალაში ბოტულინების ტოქსინების აღმოჩენით ან სუფთა კულტურის გამოყოფით.</p> <p>ლაბორატორიაში აგზავნიან საექვო საკვების ნიმუშებს, კუჭის შიგთავსს, ლვიძლის ნაჭრებს და სისხლს აღებულს ცხოველის სიკვდილიდან არაუგვიანეს 2 საათისა. ტოქსინების ტიპის დადგენა ხდება ნეიტრალიზაციის რეაქციით, თეთრ თავგებზე ან ზღვის გოჭებზე.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ ჯილეხთან, აუესკის დაავადებასთან, ლისტერიოზთან, მარეკის დაავადებასთან, მშობიარობის შემდგომ პარეზთან, მოწამვლებთან.</p>	<p>პირველ რიგში უნდა მოვაცილოთ მიზეზი პირის ღრუს და კუჭის სოდიანი წყლით გამორეცხვით. ცხოველს აძლევენ საფალარითო საშუალებებს და უკეთებენ თბილ კლიზმებს. ვენაში შეყავთ ბოტულინის სანიანაღმეგო მონო და პოლივალენტური ანატოქსინები.</p>	<p>დაავადების თავიდან აცილების მიზნით, მკაცრ კონტროლს აწესებენ ცხოველთა საკვების დამზადებაზე, რათა არ მოხვდნენ მასში ნიადაგი ან მკვდარი წვრილი ცხოველები.</p> <p>დაუშვებელია გაფუჭებული საკვებით ცხოველთა კვება.</p>	<p>დაავადებული ცხოველების დაკვლა დაუშვებელია.</p> <p>ახდენენ ხორცისა და ტყავის უტილიზაციას.</p>

დაავადება	ამთვისიჯალი ცხოველი	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკრობგატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ბრადზოტი</b></p> <p>ლათ. Hepatizis infecciosa necrotica / Bradsot</p> <p>ინგ. Braxy</p> <p>რუს. Бразот овец и коз</p> <p>განსაკუთრებით მწვავე არაკონტაგიოზური ტოქსიკური ინფექციაა. ხასიათდება მაჭიკის და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანი გარსების ჰემორაგიული ანთებით, კუჭში გაზების დაგროვებით და დაავადებული ცხოველების სიკვდილით.</p> <p>დაავადება სპორადიული გამოვლინებით ფართოდაა გავრცელებული, მათ შორის საქართველოშიც.</p> <p>დაავადება შეიძლება გამოვლინდეს წლის ნებისმიერ დროს, ძირითადად გაზაფხულზე, შემოდგომაზე და გვალვიან ზაფხულში.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში დაავადების ამთვისებელია ცხვარი და თხა. მასზე გავლენას ვერ ახდენს ჯიში, ასაკი და სქესი. როგორც წესი ავადდებიან ცხვრები 2 წლის ასაკში, ყველაზე გამოკვეთილი და ნაკლებად მოძრავი. ბაგურ პირობებში ხშირად ავადდებიან მოზარდები, საძოვარზე კი ზრდასრული ცხვრები.</p>	<p>დაავადების ალმძვრელია ანაერობული ბაქტერია <i>C. septicum</i>.</p> <p>ანაერობია არ წარმოქმნის სპორას. არჩევენ ალმძვრელის 3 ტიპს: A, B და D-ს. გამოყოფს ძლიერ ტოქსინებს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ალფა-ტოქსინი (ჰემოლიზინი) ნეკროტიზირებადი თვისებებით;</li> <li>2. ბეტა-ტოქსინი (დეზოკსირიბონუკლეაზა);</li> <li>3. გამა-ტოქსინი (ჰიალურონიდაზა);</li> <li>4. დელტა-ტოქსინი და სხვა.</li> </ol> <p>ალმძვრელის სპორები გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ. ის წლობით ძლებს ნიადაგში. დაავადების ალმძვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ცხოველები, რომლებიც მიკრობს ავრცელებენ ფეკალით.</p>	<p>დაავადების ალმძვრელის გადაცემის ფაქტორებია: ბრადზოტით მკვდარი ცხოველების ლეშები.</p> <p>დაინფიცირებული საძოვრის ნიადაგი, გაუმდინარი წყალსაცავები. საკვები (თივა, ნაჯა) არაკეთილსაიმედო ტერიტორიებიდან. დაავადებას სეზონურობა არ ახასიათებს, ხშირად ვლინდება ცივ დღეებში. ცხოველთა დასენიანება ხდება ალიმენტალური გზით. სპორებით დასვრილი საკვების და წყლის მიღებით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და გრძელდება რამოდენიმე საათს. ბრადზოტი ძირითადად მიმდინარეობს ზემწვავედ და მწვავედ, იშვიათად ქვემწვავედ.</p> <p>კლინიკური ნიშნები დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობაზე. ავადობა 30-35%-ია, ლეტალობა 90-100%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდებო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნედლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ზემწვავე მიმდინარეობისას ცხოველები კვდებიან მოულოდნელად. სიკვდილის წინ შეიძლება რამოდენიმე წუთის განმავლობაში აღენიშნოთ ალგ ზნება და კრუნჩხვები (გამონვეული ინტოქსიკაციით).</p> <p>მწვავე მიმდინარეობისას დაავადება გრძელდება რამოდენიმე საათიდან ერთ დღე-ღამის განმავლობაში. აღენიშნებათ მოუსვენრობა, დათრგუნვა, ტემპერატურის აწევა, სუნთქვის გახშირება, ცოხნის შეჩერება, პირიდან სისხლდენა, დიარეა, ტიმპანია. ზოგჯერ ადგილი აქვს ნერვულ მოვლენებს: კბილების კრაჭუნს, უცხო ნივთების ალებას პირით, უწყრიგო და მანუშურ მოძრაობას და კრუნჩხვებს. ცხოველები ვარდებიან და წვანან გაშვერილი ფეხებით და გადაგდებული თავით.</p> <p>ქვემწვავე მიმდინარეობა იშვიათად დამახასიათებელია ზრდასრული ცხოველებისათვის. აღენიშნებათ მადის დაკარგვა, ნწყურვილი, დიარეა, მატყლის ცვენა. ლორწოვანი გარსები ლურჯია, გარდამავალი სიყვითლეში.</p> <p>დაავადება გრძელდება 5-8 დღე.</p>	<p>მკვდარი ცხოველების ლეში ძლიერ იბერება, ისე რომ შეიძლება გასკდეს. სწრაფად იწყება ქსოვილების გახრწნა უსიამოვნო სუნით. ლორწოვანი გარსები ლურჯია, ბუნებრივი ხვრელებიდან გამოედინება სისხლიანი სითხე.</p> <p>ლეშის გაკვეთისას აღინიშნება ფილტვების შეშუპება სისხლჩაქცევები ეპიკარდზე და ენდოკარდზე. სისხლი ცუდად დედდება.</p> <p>კანქვეშა ქსოვილებში (თავზე, კისერზე, მკერდზე) ნახულობენ სისხლის ჩაქცევებს და ჟელესებრ ინფინტრატს ჰაერის ბუშტუკებით.</p>	<p>დიაგნოზის დასმის დროს ითვალისწინებენ ეპიზოტიურ მონაცემებს. კლინიკურ ნიშნებს, პათოლოგოანატომიურ ცვლილებებს და ლაბორატორიული კვლევის შედეგებს.</p> <p>გამოსაკვლევად ლაბორატორიაში აგზავნიან ახალ ლეშს ან სიკვდილიდან 3-4 საათში აღებულ შინაგან ორგანოების ნაჭრებს, მაჭიკის და თორმეტგოჯა ნაწლავის ნაწილს, ლულოვან ძვალს, შეშუპებითი ადგილის ინფილტრატს, გულმკერდის და მუცლის ღრუს ექსუდატს.</p> <p>პათოლოგიური მასალით ატარებენ მიკროსკოპიას, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს და ბიოცდას ზღვის გოჭებზე, თეთრ თავგებზე.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ ინფექციურ ენტეროტოქსემიასთან, ნეკროტიკულ ჰეპატიტთან, ჯილეხთან, პასტერელოზთან და მონმვლებთან.</p>	<p>დაავადების ელვისებური მიმდინარეობის დროს მკურნალობა არაეფექტურია. დაავადების გახანგრძლივების შემთხვევაში იყენებენ: ანტიბიოტიკებს (ბიომიცინი, სინტომიცინი, ტერამიცინი), სიმპტომატურ მკურნალობას, საგულე და დამამშვიდებელი საშუალებებს, და ანტიტოქსიურ პრეპარატებს.</p> <p>ბოლო დროს წარმატებით გამოიყენება კომპლექსური იმუნური შრატი.</p>	<p>დაავადების პროფილაქტიკის მიზნით ზუსტად იცავენ ვეტერინარულ-სანიტარულ და ზოოჰიგიენურ ნორმებს. აწესრიგებენ საძოვრებს, სანყურებლებს, ცხოველები გადაყავთ ნორმირებულ კვებაზე.</p> <p>ცხოველთა აქტიური იმუნისაციის მიზნით იყენებენ ვაქცინებს. არაკეთილსაიმედო მეურნეობაში ბრადზოტის სანიანალმდებოდ ცრიან შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე. საძოვარზე გაყვანამდე 30-45 დღით ადრე.</p>	<p>დაავადებული ცხოველების იძულებით დაკვლა სახორცედ აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე ტყავის, მატყლის და რძის გამოყენება.</p> <p>ნაკელს და დარჩენილ საკვებს წვავენ. ლეშებს სპობენ, შეზღუდვებს ხსნიან დაავადებული ბოლო ცხოველის გამოვლენიდან 2 კვირის შემდეგ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ბრუცელოზი</b></p> <p>ლათ. Brucellosis</p> <p>ინგ. Brucellosis</p> <p>რუს. Бруцеллез</p> <p>ბრუცელოზი (მალტის ცხელება, ბანგის დაავადება, ეპიზოოტიური აბორტი) – ცხოველებისა და ადამიანების ქრონიკული ზოონოზური დაავადება, რომელიც ვლინდება მდებარეობაში ძირითადად აბორტებით, შეჩერებული პლაცენტით, ხოლო მამრებში – ორქიტით და ეპიდდიმიტით</p>	<p>ბრუცელოზით ავადდება ყველა სახის შინაურ და ბევრი გარეულ ცხოველი. მისი ყველაზე დიდი გავრცელება შეინიშნება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხისა და ღორს შორის. ფრინველები მდგრადია ბრუცელოზის ინფექციის მიმართ. ლაბორატორიულ ცხოველებს შორის ბრუცელოზის პათოგენების მიმართ ყველაზე მგრძობიარეა ზღვის გოჭები და თეთრი თაგვები. ავადდება ადამიანიც</p> <p>ბრუცელას ბიოვარ <i>B. abortus</i>-ს ნახულობენ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში, იაკებში, კამეჩებში, აქლემებში, ცხენებში; ირემში - <i>B. suis</i>; ღორებში, ცხვრებსა და თხებში - <i>B. melitensis</i>; ძაღლებში - <i>B. canis</i>. ბრუცელას სახეობების პათოგენურობასთან ერთად შესაძლებელია მათი მიგრაცია ცხოველთა სხვა სახეობებზე.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია ბაქტერია <i>Brucella</i>-ს მრავალი სახეობა.</p> <p>მიკრობები სტაბილურია გარემო არის მიმართ, სიცოცხლეს ინარჩუნებს ნიადაგში დაახლოებით 110 დღე, ნაკელში - 20-დან 70 დღემდე.</p> <p>გაცივებულ რძეში ინახება 6-8 დღე, ნაღებში - 4-7 დღემდე, ყველეში - 40-50 დღე, დამარილებულ ხორცში - 3 თვემდე, გაყინულ ხორცსა და მატყლში - 5 თვემდე, მზის პირდაპირი სხივები მათ კლავს 3-4 დღეში.</p> <p>განსაკუთრებით საშიშია დაავადებული მდედრები, რომლებიც გამოყოფენ ბრუცელას უაღრესად დიდი რაოდენობით სანაყოფე სითხით, ნაყოფის გარსებით, აბორტირებულ ნაყოფთან და გამონადენით სასქესო ტრაქტიდან. ბრუცელა ასევე გამოიყოფა რძით, სპერმით, შარდით და ფეკალით.</p> <p>დაავადების აღმძვრელის წყაროა ბრუცელოზით დაავადებული ცხოველი.</p>	<p>მეურნეობაში ცხოველების დაავადება ძირითადად ხდება დაავადებულ ცხოველებთან და ბრუცელებით დასვრილ საგნებთან კონტაქტით. დასენიანების სხვა გზებიდან წამყვანია ალიმენტარული (საკვები, წყალი) და სქესობრივი გზა.</p> <p>დაავადების ხელშემწყობი ფაქტორია დაბალი ვეტერინარულ-სანიტარიული და ზოოჰიგიენური პირობები.</p> <p>დაავადებული ცხოველი მუდმივად მატარებელია დაავადების აღმძვრელის. აქედან გამომდინარე, მისი გამოვლენისთანავე ის გაყვანილი უნდა იქნას ფერმიდან.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-4 კვირა. თუ ცხოველი მაკე არ არის ბრუცელოზი ძირითადად მიმდინარეობს ლატენტურად, სხვა შემთხვევაში დაავადებული ცხოველის გამოვლენა ხდება სეროლოგიური რეაქციებით. ბრუცელოზის განითარების სამ ფაზას გამოყოფენ: პირველადი (რეგიონული) ინფექცია, განზოგადოების ფაზა და მეორადი ლოკალიზაციის ფაზა.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>ბრუცელოზის ძირითადი კლინიკური ნიშანი არის აბორტი მაკეობის მეორე ნახევარში. ძროხებში 5-8 თვეზე, ღორებში მაკეობის ნებისმიერ პერიოდში. აბორტებს თან სდევს მომყოლის შეჩერება. მამრებში ვითარდება ორხიტი და ეპიდდიმიტი, რომელიც მთავრდება სათესლეების ატროფიით.</p> <p>აბორტამდე 1-2 დღით ადრე ხშირად აღინიშნება საშოდან გამონადენი, გარეთა სასქესო ორგანოების შეშუპება, ენდომეტრიტი.</p> <p>ერთეულ ნახირში აბორტმა შეიძლება მიაღწიოს 50-60%-მდე, ცხვარში და თხაში – 70%-მდე.</p> <p>ძალღებსა და კატებში ბრუცელოზი მიმდინარეობს უსიმპტომოდ და მისი გამოვლენა ძირითადად ხდება სეროლოგიური რეაქციებით და ტესტებით.</p>	<p>ბრუცელოზით მკვდარი ცხოველის ლემის გაკვეთის შედეგი არადაამახასიათებელია. აბორტირებულ ცხოველებში ნაყოფის გარსები შეშუპებულია, დაფარულია ფიბრინისა და ჩირქის ფანტელებით.</p> <p>ვლინდება კანქვეშა ქსოვილისა და ჭიპლარის შეშუპება, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსების, ფილტვების და ღვიძლში ნეკროზული უბნების კატარალური ანთება.</p> <p>ჩირქოვან-კატარალური მასტიტის შესაძლო ნიშნები, მამრებში - ჩირქოვან-ნეკროზული ორქიტი.</p>	<p>ბრუცელოზის დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, ლაბორატორიული და ალერგიული (ღორებში) კვლევების საფუძველზე.</p> <p>ცხოველების კლინიკური გამოკვლევის დროს ყურადღება ექცევა აბორტების არსებობას, მომყოლის შეჩერებას, ენდომეტრიტს. მამრებში – ბურსიტს, ორქიტს.</p> <p>ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისთვის ლაბორატორიაში იგზავნება ახალი ან დაკონსერვებული პათოლოგიური მასალა (ნაყოფი პლაცენტით, ბურსების შიგთავსი, პარენტული ორგანოების ნაწილები, სისხლი, რძე და ა.შ.). ამავდროულად, სეროლოგიური გამოკვლევისთვის ლაბორატორიაში იგზავნება რძე, სისხლის შრატის.</p> <p>ბრუცელოზს განასხვავებენ სხვა ინფექციური დაავადებებისგან, რომლებსაც თან ახლავს აბორტები: კამპილობაქტერიოზი, ტრიქომონოზი, სალმონელოზი, ქლამიდიოზი, ლეპტოსპიროზი, ინფექციური ეპიდდიმიტი, იერსინიოზი, არაგადამდები დაავადებებისაგან აბორტის სიმპტომებით.</p>	<p>ბრუცელოზით დაავადებული ცხოველების მკურნალობა არ ტარდება, ისინი ექვემდებარებიან დაკვლას.</p>	<p>მეურნეობის ბრუცელოზისგან დასაცავად ატარებენ გეგმიურ დიაგნოსტიკურ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, გათვალისწინებულ ინსტრუქციის შესაბამისად.</p> <p>გეგმიურად ცხოველის სისხლს იკვლევენ წელიწადში ერთხელ. დაავადების დადგენის შემდეგ, აწესებენ შეზღუდვებს.</p> <p>სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით, მრავალ ქვეყანაში წარმატებით გამოიყენება ვაქცინა – შტამი-19 და ვაქცინა RB51.</p>	<p>ბრუცელოზით დაავადებული ცხოველების ტანხორცის და ნეღლეულის გამოყენება ხდება სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად</p>



დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	ალმკვრელი და მისი წყარო	ალმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>გაშეშება (ტეტანუსი)</b></p> <p>ლათ. Tetanus</p> <p>ინგ. Tetanus / Lockjaw</p> <p>რუს. Столбняк</p> <p>მწვავედ მიმდინარე ძუძუმწოვარი ცხოველების, ფრინველისა და ადამიანის ჭრილობისმიერ არაკონტაგიოზური ტოქსიური ინფექციური დაავადებაა. ხასიათდება ამალღებული რეფლექტორული აღზნებადობით, კუნთების ტონური კანკალით.</p> <p>გაშეშება ვლინდება სპორადიულად შემთხვევითი ჭრილობის, კასტრაციისაგან საკუთრებით ცხენებში გართულებული მშობიარობის, რქების მოცილების, ძალის ნაკბენის, ღია მოტეხილობების დროს. დაზიანებულ ადგილას ნიადაგის და ფეკალის მოხვედრის შედეგად.</p>	<p>გაშეშების ამთვისებელია ყველა ძუძუმწოვარი ცხოველი. ხშირად ავადდება ცხენი, შედარებით ნაკლებად ცხვარი, თხა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორი. იშვიათად ძაღლები, კატები და სხვა ხორცისმჭამელები. შედარებით ხშირად და მძიმედ ავადდებიან მოზარდები, განსაკუთრებით ახალშობილები (ინფიცირდებიან ქიპლარიდან).</p> <p>ფრინველები პირობითად მდგრადები არიან დაავადების მიმართ. ცივსისხლიანი ცხოველები ტეტანუსით არ ავადდებიან.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია <i>Clostridium tetani</i>.</p> <p>გრამდადებითია, მკაცრი ანაერობი, წარმოქმნის სპორებს, გამოყოფს ნეიროტოქსინს (ტეტანოსპაზმინს) ჰემოტოქსინს (ტეტანოლიზინს) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტეტანოსპაზმინს.</p> <p>მიკრობი განსაკუთრებით გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ. ნიადაგში მშრალ ფეკალში, ნივთების ზედაპირზე ისინი ძლებენ 10 წელს.</p> <p>დაავადების აღმძვრელის წყაროა ჯანმრთელი მცოხნავი ცხოველები, რომელთა ნაწლავებში მრავლდებიან და ფეკალის მეშვეობით ხვდებიან ნიადაგში.</p>	<p>დაავადების აღმძვრელის გადაცემის ძირითადი ფაქტორი ნიადაგია დასვრილი სპორების შემცველი ფეკალით, რაც განსაზღვრავს დაავადების სტაციონურობას.</p> <p>გაშეშების აღმძვრელი სპორები მოხვდებიან რა დაზიანებულ ქსოვილებში (ანაერობულ პირობებში) ინტენსიურად მრავლდებიან და ძირითადად პროდუცირებენ ტეტანოსპაზმინს, რომელიც სისხლით ვრცელდება მთელს ორგანიზმში და აზიანებს ნერვულ უჯრედებს, რაც იწვევს კუნთების უწყვეტ შეკუმშვას, შედეგად ცხოველს უჭირს საკვების მიღება. ირღვევა გულის და ფილტვების მუშაობა. ცხოველი კვდება ასფიქსიით და სისხლის მიმოქცევის დარღვევით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 3 დღიდან 3 კვირამდე. დაავადება მიმდინარეობს მწვავედ. დაავადება გრძელდება 6-12 დღე იმ 5 ტოქსინიდან, რომელსაც პროდუცირებს <i>C. tetani</i> ძირითადი ტოქსინია ტეტანოსპაზმინი, რომელიც განსაზღვრავს გაშეშებისთვის დამახასიათებელ კლინიკურ ნიშნებს. ცხოველი ძირითადად კვდება 3-10 დღეში. ლეტალობა 95-100%-ია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროლუქტაბისა და ნელაულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების ერთ-ერთი პირველი კლინიკური ნიშანია მესამე ქუთუთოს ჩამოვარდნა, ავადმყოფები დგანან უძრავად, მჭიდროდ შეკრული ყბებით და წინ წაგრძელებული კისრით, მათ გაფართოებული აქვთ ნესტოები, უკანა კიდურები კი ფართოდ განეული. სუნთქვა გაძნელებულია, აქვთ გაძლიერებული ოფლიანობა. დაავადებულები ალგზნებულნი არიან, მცირედი ხმაურიც მათში იწვევს ძლიერ ძიგძიგს. ორგანიზმის ტემპერატურა ნორმის ფარგლებშია. ცხოველებს არ შეუძლიათ ჭამა და წყლის დალევა, რაც იწვევს სწრაფ სიგამხდრეს და ძლიერ დაუძლურებას.</p> <p>დაავადება გრძელდება 3-12 დღე. დაავადების გამოსავალი ძირითადად მთავრდება ლეტალურად. დროულად ჩატარებული მკურნალობით შესაძლებელია ცხოველის განკურნება.</p>	<p>პათოლოგოანატომიური ცვლილებები ნაკლებად დამახასიათებელია. ნახულობენ კანის დაზიანებულ ადგილებს (ჭრილობებს) საიდანაც მოხდა დაავადების აღმძვრელის შეჭრა.</p> <p>ლემის გაშეშება კარგად არის გამოხატული, სისხლი მუქია, ძნელად დედდება, კუნთებს მოხარშული ფერი აქვთ. სისხლჩაქცევებია ქსოვილებში, განსაკუთრებით ეპიკარდზე. ხშირად სუნთქვის გაძნელების შედეგად ვითარდება ფილტვების შეშუპება.</p>	<p>დიაგნოზის დასმის დროს ითვალისწინებენ დამახასიათებელ კლინიკურ ნიშნებს: კუნთების რიგიდული შეკუმშვა და გალიზიანება, მესამე ქუთუთოს ჩამოვარდნა. დიაგნოზის დაზუსტების მიზნით ბაქტერიოლოგიურად იკვლევენ ექსუდატს ჭრილობიდან, ჩირქს. ქსოვილების ნაჭრებს და ნიადაგს (ნიადაგის ზედაპირს ჭრიან და მის ქვეშიდან იღებენ სინჯებს).</p> <p>ლაბორატორიული კვლევის დაჩქარების მიზნით დგამენ ბიოცდას ზღვის გოჭებზე.</p> <p>გაშეშება უნდა განვასხვავოთ ცოფისგან, კუნთების რევმატიზმისგან და მოწამვლებისგან.</p>	<p>ახდენენ დაავადებული ცხოველის იზოლირებას. სათანადოდ ამუშავენ ჭრილობას. მკურნალობენ იმუნური ანტიტოქსიური გაშეშების სანიანალმდეგო შრატით შეყავთ კანქვეშ, კუნთებში ან ვენაში. ეფექტურია ანტიმიკრობული პრეპარატების გამოყენება (პენიცილინი, სტრეპტომიცილინი, ტეტრაციკლინი და სიმპტომატურ საშუალებები, ამინაზინი და სხვა). იყენებენ საკვებ კლიზმებს, ატარებენ შარდის ბუშტის მასაჟს, სწორ ნაწლავს ანთავისუფლებენ ფეკალური მასიდან.</p>	<p>თავიდან უნდა ავიცილოთ ტრამატიზმი დავიცვათ ასეპტიკის ნესები ოპერაციების და მშობიარობის დროს დახმარებისას. გართულებული მშობიარობის, ტრამეების და დამწვრობის დროს, შეყავთ ანტიტოქსიური შრატი.</p>	<p>დაავადებულ და დაავადებაზე საექვო ცხოველების იძულებით დაკვლა აკრძალულია. ახდენენ ხორცის უტილიზაციას.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნოველი	ალმკვრელი და მისი წყარო	ალმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>გოჭების როტავირუსული ენტერიტი</b></p> <p>ლათ. Rotavirusis enteritis suum</p> <p>ინგ. Rotavirus enteritis of pig / Porcine Rotaviruses</p> <p>რუს. Ротавирусный энтерит поросят</p> <p>მაღალკონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა, ხასიათდება მწვავე ენტერიტის სიმპტომებით, დიარეით და ორგანიზმის გაუნყლულებით.</p> <p>გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთში.</p>	<p>დაავადება ფართოდაა გავრცელებული 3-დან 8 კვირის ასაკამდე გოჭებში. განსაკუთრებით მასიურია იგი ასხლეტიდან პირველი კვირის განმავლობაში.</p> <p>10-21 დღის ასაკში დაავადება მიმდინარეობს შედარებით მსუბუქად, რაც განპირობებულია კოლოს-ტრალური იმუნიტეტით.</p>	<p>ალმკვრელია ვირუსის სახეობა <i>Rotavirus, Reoviridae</i>-ს ოჯახიდან.</p> <p>არჩევენ 4 სეროლოგიურ ჯგუფს (A, B, C, D) ძუძუთა გოჭების ძირითადი ალმკვრელია A-სეროლოგიური ჯგუფი, რომელშიც ანსხვავებენ 11 სეროტოპს.</p> <p>დადგენილია მსგავსება მაიმუნების, მსხვილი რქოსანი პირუტყვის და ადამიანის როტავირუსებთან;</p> <p>თითქმის მსგავსი თვისებით ხასიათდება ვირუსის G-სეროჯგუფი, B და E სეროჯგუფები ნაკლებად პათოგენურია.</p> <p>ვირუსი გამძლეა PH-ის დიდი დიაპაზონის (3-დან 10-მდე);</p> <p>ნაკლებად გამძლეა მაღალი ტემპერატურის. ოთახის ტემპერატურაზე (18-20°C) აქტივობას ინარჩუნებს 7-9 თვე.</p>	<p>ვირუსის ორგანიზმში შეჭრის ძირითადი გზა ალიმენტარულია (ფეკალურ-ორალური), დაავადებული გოჭის 1 გრ. ფეკალი შეიცავს <math>10^7-10^9</math> ვირუსულ ნაწილაკს.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 18-36 საათი (ზოგჯერ 5 დღე); მიმდინარეობს მწვავედ და ქვემწვავედ.</p> <p>ბოლო დროს აღნიშნავენ დაავადების ლატენტურ (უსიმტომო) მიმდინარეობასაც. ლეტალობა როტავირუსული ენტერიტის და ვირუსული გასტროენტერიტის დროს მაღალია 82%-მდე.</p> <p>დაავადების მეორადი ინფექციებით გართულების შემთხვევაში ლეტალობა შეიძლება გაიზარდოს 100%-მდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროფუქციისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადებისთვის დამახასიათებელია პირღებინება საკვების მიღების შემდეგ, რომელიც დაავადების ერთ-ერთი პირველი ნიშანია, ასევე სწრაფად ვლინდება დეპრესია, ანორექსია. გოჭები ნაკლებად მოძრაობენ. ვითარდება დიარეა და დეჰიდრატაცია. ფეკალური მასა თხიერია მოყვითალო-თეთრი ან თეთრი ფერისაა „თეთრი ფალარათი“.</p> <p>დიარეა გრძელდება რამოდენიმე საათიდან რამოდენიმე დღე. ტემპერატურა ნორმის ფარგლებშია. დეჰიდრატაციის გამო გოჭები კარგავენ მასის 30%-ს და კვდებიან.</p>	<p>ლემში გაუწყლოებულია. აღინიშნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფართო დაზიანება. კუჭი და ნაწლავები გადავსებულია შედედებული რძით. ბრმა და მღივ ნაწლავში ყვითელი სითხეა, წვრილი ნაწლავების კედელი გათხელებული და ჰიპერემიული. მეზენტერიალური ლიმფური კვანძები დაპატარავებული და ყავისფერია. ჰისტოლოგიურად ნახულობენ ნაწლავების ეპითელის, ხაოების და ლორწოვანი გარსების ატროფიას.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტიური მონაცემების კლინიკური ნიშნების, პათოლოგიური ცვლილებების და ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე.</p> <p>ლაბორატორიაში აგზავნიან ორმხრივ ლიგატურდადებულ ნაწლავის ნაწილს შიგთავსით და ნაწლავების კედლის ანაფხეკს.</p> <p>კვლევისთვის იყენებენ სეროლოგიურ რეაქციებს, იმუფერმენტულ ანალიზს და პოლიმერაზულ ჯაჭვურ რეაქციას.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს სვამენ ვირუსულ გასტროენტერიტთან, სალმონელოზთან, დიზენტერიასთან, დიპლოკოკურ სეპტიცემიასთან.</p>	<p>დაავადების სპეციფიკური მკურნალობის მეთოდები შემუშავებული არ არის.</p> <p>მეორად ბაქტერიული დაავადებების სანიანალმდეგოდ იყენებენ ანტიბაქტერიულ პრეპარატებს.</p>	<p>დაავადების გადატანის შემდეგ იმუნიტეტი გრძელდება 7-9 თვე. აქტიური იმუნიზაციისთვის იყენებენ ინაქტივირებულ ვაქცინებს.</p> <p>შემუშავებულია კომპლექსური ვაქცინა როტავირუსული ინფექციის და ვირუსული გასტროენტერიტის სანიანალმდეგოდ. ინაქტივირებული ვაქცინებით ცრიან მაკე ნეზვებს კუნთებში, ძუძუთა გოჭებს კი მუცლის ღრუში.</p>	<p>ახალშობილი გოჭები საკვებად არ გამოიყენება.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>დერმატოფილოზი</b></p> <p>ლათ. Dermatophilosis</p> <p>ინგ. Lumpy woof / Strawberry foot rot</p> <p>რუს. Дерматофилез / Стрептотрихоз / Микогический дерматит</p> <p>მწვავედ ან ქრონიკულად მიმდინარე ტრანსმისიური მიკოზური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება პაპულების წარმოქმნით, ტანის და კიდურების კანის ექსუდატიურ-ნეკროზული ანთებით და შეხორცების დაქვეითებით.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.</p>	<p>ავადდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, ცხენი, ზებრა, მაიმუნი, ლორი და სხვა 30-მდე სახეობის ცხოველები.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია <i>Dermatophilus congolosis</i>.</p> <p>ბუნებრივ პირობებში მას ნახულობენ ტკიპების ნაკბენ ადგილებში წარმოშობილ პირველად დაზიანებებში.</p> <p>დაავადების აღმძვრელისთვის დამახასიათებელია მიცელიარული ზრდა. პაპულებიდან (პაკეტებიდან) გამოსული უჯრედები მნიფდებიან და იზრდებიან დიამეტრში და გარდაიქმნებიან მკვრივგარსიან სპორებად (ზოოსპორებად), რომლებიც წარმოადგენენ აღმძვრელის ინფექციურ სტადიას. ზოოსპორები დიდ გამძლეობას იჩენენ გამოშრობის მიმართ. 90-100°C-ზე გაცხენებას უძლებენ 15 წუთს, გაყინვას 5 დღემდე, ფუფხებში ცოცხლები რჩებიან 2-2,5 წელი, ნიადაგში - 4 თვე.</p>	<p>დაავადების აღმძვრელის გადამტანებია ტკიპები და ბუზები. დასენიანების ორი გზაა შესაძლებელი: პათოგენური აღმძვრელი ძირითადად ცხოველის ტანზე და იქიდან იჭრება დაზიანებული კანიდან (ჭრილობა, ნაკანრი, ნაჩხვლეტი).</p> <p>მეორე გზა ტკიპების ღრმა ნაკბენია, რომლის დროსაც აღმძვრელი ღრმად იჭრება ქსოვილებში და ინვეეს ანთებას. სისხლის არმწოვი ბუზები აღმძვრელის მექანიკური გადამტანებია.</p> <p>დაავადების აღმძვრელი ცხოველიდან ცხოველზე გადაეცემა კონტაქტით.</p>	<p>დაავადება მიმდინარეობს მწვავედ და ქრონიკული ფორმით. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ დაავადება მიმდინარეობს სამი სტადიით.</p> <p>პირველი სტადია – ბენვის აბურდგენა, ექსუდატიური ანთება, ფუფხების წარმოშობა და დაზიანებების განსხვავებული ლოკალიზაცია;</p> <p>მეორე სტადია – კანის გასქელება, შლადი ფუფხების წარმოშობა, რომლებიც მაგრდებიან ბენვებზე. კანის ნაპრალებზე.</p> <p>მესამე სტადია – მსხვილი ფუფხები და უთმო ადგილების წარმოშობა ქერქები არ შეიცავენ ბენვებს, არის ყავისფერი. შეიძლება დაზიანებული კერების გაერთიანება (გენერალიზებული ფორმა) ერთ ცხოველზე შეიძლება იყოს სამივე სტადია ერთდროულად.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროლუქტაზისა და ნედლეულის გამოყენება
			მაკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ახასიათებს ანთებითი კერების ქერქებით დაფარვა, რომლებიც წარმოიშობა ტანის სხვადასხვა ადგილას მრგვალი ანთებითი კერიდან გამონადენი ექსუდატის გამოშრობით. დაზიანებების კერების სიდიდე განსხვავებულია, გენერალიზირებული ფორმის დროს (რომელიც ვითარდება ზურგის გაყოლებით და გვერდებზე), ცხოველი შეიძლება მოკვდეს. კენტრლიქიანებში, კანი კარგავს ელასტიურობას ჭარბად ჩნდება ქერცლები და ფუფხები (ექსუდატიური დერმატიტი) განსაკუთრებით უნაგირის ქვეშ და კიდურებზე.</p> <p>ცხვარში და თხაში დაზიანებები ძირითადად აღინიშნება კანის უბალნო უბნებში. ჩნდება სველი პაპულომები. კიდურების დაზიანებისას ვითარდება ჩლიქების სიდამპლე შესიებით და სინითლით და ლიმფური კვანძების გადიდებით.</p> <p>ლორებში კიდურებზე ჩნდება ექსუდაციური დაზიანებები. მშრალი ექსუდატიდან ჩნდება ყავისფერი (ზოგჯერ შავი) ქერქები. კატებში და ძაღლებში დერმატოფილოზი ხშირად მიმდინარეობს პლევიტიის ფორმით.</p>	<p>დერმატოფილოზის დროს განვითარებული პათოლოგიური ცვლილებები არასპეციფიკურია (არადამახასიათებელი), აქედან გამომდინარე, მას დიაგნოსტიკური ღირებულება ნაკლებად გააჩნია.</p>	<p>დიაგნოზის დასმა ძირითადად ხდება ცხოველების კლინიკური დათვალეირებით და პათოლოგიური მასალის მიკროსკოპირებით, რისთვისაც იყენებენ ქერქებს, ქერცლებს და ჩირქს, აღებულს პათოლოგიური კერიდან. იგივე მასალებს იყენებენ ხელოვნურ ნიადაგებზე დასათესად.</p> <p>დერმატოფილოზი უნდა განვასხვაოთ ტრიქოფიტიისგან, დემოდეკოზისგან, დაზიანებებისაგან, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს პარაზიტებმა (ტილები, რწყილები და სხვა), ვირუსულ ეკზანთემისაგან და ყვავილისაგან.</p>	<p>სამკურნალოდ იყენებენ ანტი-მიკოზურ ქიმიურ პრეპარატებს: ტეტრაციკლინს, გრიზეოფულვინს, ლუგოლის ხსნარს.</p> <p>ნარეგს:</p> <p>სალიცილის მუავა – 40 გრ;</p> <p>რეზორცინი – 30 გრ;</p> <p>ლანოლინი – 400 გრ;</p> <p>ვაზელინი – 800 გრ.</p>	<p>იმუნიტეტი კარგად შესწავლილი არ არის, ვაქცინები პრაქტიკულად გამოყენებისათვის შემუშავებული არ არის. დაავადების გაჩენის შემთხვევაში მეურნეობა ცხადდება არაკეთილსაიმედოდ და წესდება რიგი შეზღუდვები. კარგ შედეგს იძლევა გასაბანებელი ვანების მოწყობა, რაც სპობს ტკიპებს (ალმძვრელის გამავრცელებლებს).</p>	<p>ტანხორცის, შინაგანი ორგანოების, ტყავის, მატყლისა და სხვა ნედლეულის გამოყენება ხდება სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ემკარი (ემფიზემატოზური კარბუნკული)</b></p> <p>ლათ. Gangrena emphysematosa</p> <p>ინგ. Blackleg Blaskquarter / Quarterill / Symtomatic untrax / Carbon symptomatic.</p> <p>რუს. Эмфизематозный карбункул / Эмкар / Шумящий симптоматический карбункул</p> <p>მცოხნავი პირუტყვის მწვავედ მიმდინარე არაკონტაგიოზური ტოქსიკოინფექცია.</p> <p>ხასიათდება სწრაფად მზარდი კრეპიტაციის გამომცემი შესიებებით ტანის სხვადასხვა ადგილას (ძირითადად კუნთებით მდიდარ უკანა კიდურებზე), კოჭლობით და სიკვდილიანობით დაავადება ცნობილია უხსოვარი დროიდან.</p> <p>გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მიუხედავად მაღალი ეფექტურობის მქონე ვაქცინების ფართოდ გამოყენებისა, დაავადება დღესაც დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს მეცხოველეობას.</p>	<p>დაავადების ამთვისებელია შინაური და გარეული მცოხნავი ცხოველები (მათ შორის ძროხა, კამეჩი, ცხვარი), განსაკუთრებით ამთვისებელია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 3-დან 4-წლამდე. 4 წელზე უხნესი ცხოველები ემკარით იშვიათად ავადდებიან.</p>	<p>დაავადების აღმკვრელია სპორის წარმომქმნელი ანაერობული მიკროორგანიზმი <i>Clostradia Chauvoicie</i>.</p> <p>ცნობილია მისი რამოდენიმე ტოქსიური კომპონენტი, ალფა, ბეტა და დელტა ტოქსინი.</p> <p>მიკრობი ძალიან გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ. განსაკუთრებით გამძლეა მეოთხე ჯგუფის სადეზინფექციო საშუალებები მიმართ.</p> <p>იგი დიდხანს ძლებს ლეში და ნაკელში – 6 თვე, წყალსატევების ფსკერზე 10 წელზე მეტ ხანს შესაბამის პირობებში მიკროორგანიზმი შეიძლება გამრავლდეს ნიადაგში.</p> <p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული ცხოველი.</p>	<p>დაავადების გადაცემის ფაქტორებია სპორებით დაინფიცირებული ნიადაგი, საკვები, საძოვარი, წყალი დამდგარი წყალსატევებიდან.</p> <p>ცხოველის დასენიანება ხდება აღმკვრელის კუჭ-ნაწლავში მოხვედრის შემდეგ (საკვებით ან წყლით), ქსოვილების დაშლის პროდუქტები და ტოქსინები ინვევენ ორგანიზმის ზოგად ინტოქსიკაციას, არღვევს გულის მუშაობას და ახდენს სასუნთქი სისტემის მოშლას, ამ მდგომარეობაში ცხოველი სწრაფად კვდება.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1-3 დღე, ზოგჯერ 5 დღეც. დაავადება ჩნდება უეცრად და მიმდინარეობს მწვავედ. დაავადება ყოველთვის მთავრდება სიკვდილით.</p> <p>ემკარით ავადდებიან ერთეული ცხოველები.</p> <p>ლეტალობა – 100%-ია.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდებო ღონისძიებები		პროლუქტაბისა და ნედლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ტემპერატურა იწევს 41-42°C-მდე. უკვე ადრეულ პერიოდში, ცხოველს ემჩნევა კოჭლობა.</p> <p>ორგანიზმის სხვადასხვა ადგილას (კისერზე, მკერდზე, ყბისქვეშ, ზოგჯერ პირის ღრუშიც, საყლაპავზე) ჩნდება სწრაფად მზარდი შემოსაზღვრული, ცხელი და მტკივნეული შესიება (კარბუნკულები). მალე ისინი ცივდებიან, ხდებიან ნაკლებად მტკივნეული. ქრება შესიებაც. პათოლოგიის ადგილას ხელის დაჭერისას ისმის კრეპიტაცია, პერკუსიის დროს კი ტიმპანიური ხმა. კანი დაჭიმულია და აქვს მუქი ფერი, განაჭერზე კარბუნკულიდან გადმოედინება მუქი ქაფიანი სითხე მძალე ზეთის სუნით.</p> <p>დაავადების ზოგადი სურათიდან აღსანიშნავია: დათრგუნვა, უარი საკვებზე, ცოხნის შეწყვეტა, ცხოველს უჭირს ადგომა და ფეხზე დგომა. გულის მუშაობა სუსტდება სუნთქვა გაძნელებულია, პულსი გახშირებული. სიკვდილის წინ ტემპერატურა ეცემა.</p> <p>ზემწვავე (სეპტიკურ) ფორმით ავადდებიან მოზარდი ცხოველები. კვდებიან 6-12 საათში, კლინიკური ნიშნების გარეშე.</p>	<p>უნდა მოვერიდოთ ლემის გაკვეთას, გაკვეთილი ლემი უნდა დაინვას. ლემი ძირითადად გაბერილია, ნელა იზრუნება, ნესტოებიდან და პირის ღრუდან გამოედინება ქაფიანი სითხე. ტანზე (ძირითადად კუნთებით მდიდარ უბნებში) შეიმჩნევა შესიებები. კანი მუქია და დაჭიმული გაკვეთისას აღინიშნება ინტენსიური სისხლჩაქცევები გაზის ბუშტუკებით, გადმოედინილი სითხე მუქი ნითელი ან ყავისფერია.</p> <p>რეგიონალური ლიმფური კვანძები გადიდებულია სისხლჩაქცევებით, განაჭერზე მუქი ნითელია. აღინიშნება აგრეთვე პარენქიმული ორგანოების დაზიანებებიც. გულმკერდის და მუცლის ღრუში სისხლიანი სითხეა.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზის დასმა ხდება ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგოანატომიური გაკვეთის შედეგების და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე (ბიოცდა, ზღვის გოჭებზე), მკვდარი ცხოველის გაკვეთა რეკომენდირებული არ არის. გაკვეთის შემთხვევაში გამოსაკვლევად იღებენ პარენქიმულ ორგანოების ნაჭრებს.</p> <p>ემკარის დიფერენცირებას ახდენენ ჯილეხისგან და ავთვისებიანი შეშუპებისგან.</p>	<p>ვინაიდან დაავადება მიმდინარეობს ელვისე-ბურად და მწვავედ მკურნალობის ჩატარება შეუძლებელია.</p> <p>დაავადების დასაწყისში ეფექტურია ანტიბიოტიკები და კოსტრიდოზების სანიანალმდებო პოლივალენტური ჰიპერიმუნური შრატი.</p> <p>ანთებითი შესიების ირგვლივ და სიღრმეში შეიძლება შევიყვანოთ 1-2%-იანი ნყალბადის ზეჟანგი, 3,5%-იანი კარბოლის მჟავა, 3-5%-იანი ლიზოლის ან ფენოლის ხსნარი.</p> <p>ატარებენ აგრეთვე სიმპტომატიკურ მკურნალობას.</p>	<p>დაავადების გადატანის შემდეგ ფორმირდება მყარი იმუნიტეტი. დაავადების სანიანალმდებო მონოდებულია ვაქცინები. იმუნიტეტი 1 წელია.</p> <p>ცხოველთა დასაცავად არაკეთილსაიმედო რეგიონში ცრიან ყველა ამთვისებელ ცხოველს, იცავენ ვეტერინარულ-სანიანალმდებო ნორმებს.</p> <p>დაავადების გარეგანი დროს დაავადებული ცხოველებს მკურნალობენ. დანარჩენ ცხოველებს მიუხედავად ადრე აცრის ვადისა ხელახლა ცრიან.</p> <p>მკვდარ ცხოველებს წვავენ ან აგდებენ ბეიკერის ორმოში.</p>	<p>დაავადებაზე საექვო ცხოველების დაკვლა აკრძალულია. გამოჯანმრთელებული ცხოველების დაკვლა შესაძლებელია 30 დღის შემდეგ. ვაქცინირებული ცხოველების რძე გამოიყენება შეუზღუდავად. ნაკელი მიღებული დაავადებული ცხოველებიდან მუშავდება სადეზინფექციო საშუალებით და წვავენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ეპიზოოტიური ჰემორაგიული დაავადება / იბარაკის დაავადება</b></p> <p>ლათ. Morbus hemorrhagicus epizooticus / Morbus ibaraki</p> <p>ინგ. Epizootic hemorrhagic disease / Ibaraki disease</p> <p>რუს. Болезнь Ибараки коров / Эпизоотическая геморрагическая болезнь</p> <p>ეპიზოოტიური ჰემორაგიული დაავადება - მწვავედ მიმდინარე ვირუსული დაავადებაა, ხასიათდება ცხელებით, პირის ღრუს და ენის ლორწოვანი გარსების ანთებით, ყლაპვის პროცესის დარღვევით.</p> <p>დაავადება საქართველოში რეგისტრირებული არ არის.</p>	<p>დაავადება ფიქსირდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვში, ირმებში</p>	<p>აღმკვრელი რნმ-ს შემცველი ვირუსია, რომელიც გაერთიანებულია არბოვირუსების ჯგუფში</p>	<p>ვირუსი არ გადაეცემა კონტაქტით, მისი გადამტანები არიან მწერები <i>Culicoides</i>-ს სახეობის ქინკლები. დაავადება ჩნდება ზაფხულში და შემოდგომაზე.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 4-42 დღეა. პათოგენეზი ბოლომდე შესწავლილი არ არის. ვირუსი გარეგანი საფარველიდან ჰემატოლოგიური გზით ხვდება შინაგან ორგანოებში, მრავლდება და კვლავ ხვდება სისხლის მიმოქცევის სისტემაში. ვირუსის გამრავლების პერიოდი მიმდინარეობს ცხელებით, ანთების და დისტროფიული ცვლილებების განვითარებით სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში.</p> <p>ლეტალობა 5-10%-ია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>კლინიკური სიმპტომებიდან მნიშვნელოვანია ცხელება, ქუთუთოების შეშუპება, დათრგუნული მდგომარეობა, ძლიერი ნერწყვდენა, პირის და ცხვირის ღრუში წყლულების გაჩენა, ყლაპვის აქტის დარღვევა (გაძნელება), შედეგად ენის, საყლაპავის, ხახის და ხორხის კუნთების დამბლა. იშვიათად აღინიშნება სიგამხდრე და ბრონქოპნევმონია.</p>	<p>ენის გამოვარდნა პირის ღრუდან, შეშუპება და სისხლჩაქცევები ტუჩებზე, პირის ღრუში, ხახაში, ხორხზე, საყლაპავზე და ჩონჩხის კუნთებზე. დამახასიათებელია ფილტვების მოცულობაში მომატება და ელასტიურობის დაკარგვა, ხშირად ამჩნევენ ფილტვის დიდი ნაწილის სიმკვრივეს და მუქ-წითელ ფერში შეღებვას. სიმკვრივის გაჭრისას ზედაპირზე ამოდის სქელი, ჩირქის მსგავსი სითხე. ელენთა, ღვიძლი, თირკმლები ოდნავ მომატებულია მოცულობაში, ნეკროზული კერებით.</p> <p>ჰისტოლოგიური ცვლილებები ვლინდება ჰიპერემიით, სისხლჩაქცევებით, სეროზული შეშუპებით, ეპითელის გადაგვარებით, კეროვანი ნეკროზებით, ეროზიებით და წყლულებით.</p> <p>დეგენერაციულ-ნეკროტიკული დაზიანებებით ხახის, ხორხის, ენის, საყლაპავის და ჩონჩხის ზოგიერთ კუნთებში. ხშირად აღნიშნავენ ალვეოლარულ ემფიზემას, ასპირაციულ ბრონქოპნევმონიას, ჰეპატიტს, ელენთის და ლიმფური ჯირკვლების ჰიპერპლაზიას.</p>	<p>დიაგნოზს სვამენ: ეპიზოტიური მონაცემების (დაავადებას ახასიათებს სეზონურობა, განსაზღვრულ ადგილებში მიმდინარეობს ეპიზოტიის სახით), კლინიკური ნიშნების (ტემპერატურის უეცარი აწევა, სტომატიტი და ლარინგოფარინგიალური დამბლა) და პათოლოგოანატომიური ცვლილებების (სისხლჩაქცევები ლორწოვან გარსებზე, ენის და ტუჩების შეშუპება, ფილტვის მოცულობაში მომატება და ელასტიურობის დაქვეითება, სხვადასხვა კუნთების დეგენერაციულ-ნეკროტიკული დაზიანება და სხვა) საფუძველზე. დაავადების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა შემუშავებული არ არის.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ ეფემერულ და კატარალურ ცხელებასთან, თურქულთან.</p>	<p>სპეციფიური სამკურნალო საშუალებები შემუშავებული არ არის.</p>	<p>პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ცოცხალ ვაქცინებს. ვაქცინა პირველად დამზადებული იქნა იაპონიაში. ვაქცინის კანქვეშ შეყვანა იწვევს ვირუსმანიტრალეული ანტისხეულების გამომუშავებას, რომელიც ორგანიზმში ნარჩუნდება 3 წელი.</p>	<p>სპეციალური რეგლამენტი შემუშავებული არ არის. ზოგადად უნდა ვისარგებლოთ სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად (2013 წლის 13 დეკემბერი)</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ერგოტიზმი (კლავისპსტოქსიკოზები)</b></p> <p>ლათ. Ergotismus (Clavicepstoxicoses)</p> <p>ინგ. Ergotismus (Clavicepstoxicoses)</p> <p>რუს. Эрготизм (Клавицепстоксикозы)</p> <p>კლავისპსტოქსიკოზები (Clavicepstoxicoses) არის ცხოველების საკვებისმიერი მიკოტოქსიკოზები, რომლებიც წარმოიქმნება საკვების მიღების დროს, რომელიც დაბინძურებულია <i>Claviceps</i> გვარის სოკოებით.</p> <p><i>Claviceps</i> წარმოდგენილია სამი სახეობით: <i>Claviceps purpurea</i>, ჭვავის ტიპიური ერგო, ასევე აინფიცირებს ველურ მარცვლეულს; <i>C. microcephala</i> გავრცელებულია ველურ ბალახებზე, ხოლო <i>C. paspali</i> არის <i>Paspalum</i> სახეობის პარაზიტი. ცხოველებისთვის სოკო ტოქსიკურია მხოლოდ სკლეროტიის სტადიაში.</p> <p>სკლეროტიით გამოწვეული მიკოტოქსიკოზები <i>C. purpurea</i> და <i>C. microcephala</i> გაერთიანებულია ზოგადი სახელწოდებით „ერგოტიზმი“.</p> <p><i>C. paspali</i> სოკოთი გამოწვეულ ცხოველთა მონამვლას გამოყოფენ ცალკე ნოზოლოგიურ ერთეულს კლავისფსტოქსიკოზს, ან კლავისფსპას-პოლიტოქსიკოზს.</p>	<p>კლავისფსტოქსიკოზის მიმართ მგრძობიარეა ყველა სახეობის ცხოველი და ადამიანი.</p>	<p>ყველაზე ხშირად, სოკოები <i>C. purpurea</i> და <i>C. microcephala</i> ვეგეტაციის პერიოდში აზიანებენ ჭვავს, ნაკლებად ქერს, შერას და ხორბალს.</p> <p><i>C. purpurea</i>-ს და მისი ჯიშების ტოქსიკურობა განპირობებულია სოკოების სკლეროტიაში კლავინის ტიპის ალკალოიდების და ლიზერგინის მჟავას წარმოებულების შემცველობით, რომლებსაც აქვთ ბიოლოგიური აქტივობის მაღალი ხარისხი და განსხვავდებიან ტოქსიკური და ფარმაკოლოგიური თვისებებით. <i>C. purpurea</i>-ს სკლეროტიიდან გამოიყოფა ახალი ალკალოიდი, ერგოტონინი და ორი ამინი, ჰისტამინი და ტიროზინი, რომლებიც გარკვეულ დოზებში გამოიყენებოდა გინეკოლოგიურ პრაქტიკაში.</p>	<p>ცხოველები შეიძლება დაავადდნენ საძოვრებზე, სადაც ჭარბობს ერგოტით დაავადებული მარცვლეული ბალახები, და სადგომის შენახვის დროს, როდესაც იკვებება თივით, მარცვლეულით და კომბინირებული საკვებით, რომელიც შეიცავს ერგოტის რქებს (სკლეროტიას).</p>	<p>ერგოტის ტოქსიკური ნივთიერებები ზემოქმედებს გლუვ კუნთებზე (განსაკუთრებით საშვილოსნოზე), აქვეითებს გუგას, ავინროებს სისხლძარღვებს, იწვევს ქსოვილების არასრულ კვებას, რაც სრულდება სხეულის ცალკეული ნაწილების ციანოზით და განგრენით. სიმპათიკური ნერვების პარალიზებით.</p> <p>განასხვავებენ ერგოტიზმის კრუნჩხვით (მწვავე) და განგრენულ (ქრონიკულ) მიმდინარეობას.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღველის გამომწევა
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>კრუნჩხვითი ერგოტიზმი ხორცისმჭამელებში, ცხენებსა და ცხვრებში ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით. შესაძლოა დასრულდეს ცხოველის სიკვდილით. დაავადებულს აღენიშნება პულსის გახშირება, ძლიერი კანკალი, წონასწორობის დაკარგვა. ღორებში ვლინდება უხვი ნერწყვდენა, ღებინება, დიარეა, კუნთების ტრემორი, მგრძნობელობის დაკარგვა, ეპილეფსიური კრუნჩხვები, რასაც მოჰყვება დეპრესია.</p> <p>განგრენოზული ერგოტიზმი ფრინველებში ხასიათდება ბიბილოს, ენისა და წვერის ნეკროზით, ღორებსა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ჩანს დაზიანებული კიდურები, ყურები და კუდი, შეინიშნება აბორტები.</p>	<p>დაავადებას ზოგადად, ახასიათებს ჰემორაგიული დიათეზი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კატარი, თავის ტვინის ქსოვილის დეგენერაციული ცვლილებები.</p> <p>გაკვეთა ავლენს სისხლჩაქცევებს სეროზულ გარსებზე, შეგუბებით ჰიპერემიას პარენქიმულ ორგანოებსა და ტვინში. კუჭისა და ნაწლავების, განსაკუთრებით წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსი შეშუპებული და კატარულია.</p> <p>ქრონიკული მონამვლისას ვლინდება კიდურების, ბიბილოს და კუდის კანის ნეკროზი და განგრენა; სისხლჩაქცევები კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვან გარსებზე, ზოგჯერ ღვიძლში, ელენთასა და ტვინში. ფრინველებში ბარდის ზომის მრავლობითი წყლული შეინიშნება კუნთოვანი კუჭის კუტიკულაზე.</p>	<p>დიაგნოზი დგინდება კლინიკური მონაცემებისა და საკვების მიკოტოქსიკოლოგიური ანალიზის საფუძველზე.</p> <p>ერგოტიზმი უნდა განვასხვავოთ შხამიანი მცენარეებით, პესტიციდებით მონამვლისგან ლაბორატორიული გამოკვლევებით. საღმონელებით გამოწვეული აბორტები გამოირიცხება ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით. ასევე აუცილებელია ბრუცელოზის წარმოშობის აბორტების დიფერენცირებაც. გასათვალისწინებელია ტრემოგენური ეტიოლოგიის მიკოტოქსიკოზებიც.</p>	<p>სპეციფიური ანტიდოტები არ არსებობს. თერაპია მიზნად ისახავს კუჭისა და ნაწლავებიდან შხამის მოცილებას. ატარებენ კუჭის ამორეცხვას, შიგნით ინიშნება მარილიანი საფალარათო საშუალებები. საგულე საშუალებებიდან გამოიყენება კოფეინი და ქაფური. განგრენული პროცესების განვითარებასთან ერთად ტარდება ქირურგიული ოპერაციები.</p>	<p>ერგოტის მონამვლის თავიდან ასაცილებლად მარცვლოვანი მცენარეები ყვავილობის პერიოდში, სკლეროტიის წარმოქმნამდე უნდა მოითიბოს; ერგოტის შემცველი თივა უნდა მოისპოს. ამისთვის გამოყოფილ ადგილზე მიწაში ღრმად ჩამარხვით), დაზიანებულ საძოვრებზე უნდა აიკრძალოს ცხოველების ძოვება. მარცვლეულის ერგოტით დასვრის თავიდან აცილება მიიღწევა მარცვლის განმენდით, მინდვრებიდან სარეველების დროული (ყვავილობამდე) ჰერბიციტებით მოშორებით თესლბრუნვით და ღრმა ხვნათესვით.</p>	<p>სპეციალური რეგლამენტი შემუშავებული არ არის.</p> <p>ზოგადად უნდა ვისარგებლოთ საქართველოს მთავრობის №444-ე დადგენილებით (2013 წლის 13 დეკემბერი).</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ექტიმა</b> (ცხვრის და თხის კონტაგიოზური პუსტულოზური სტომატიტი)</p> <p>ლათ. Dermatitis pustulosa contagiosa oviu-met Caprarum</p> <p>ინგ. Contagious pustular dermatitis of sheep and goats / Contagious Ecthyma / Orf</p> <p>რუს. Контагиозный пустулезный стоматит (эктима) овец и коз / Контагиозная эктима</p> <p>მაღალ კონტაგიოზური მწვავედ მიმდინარე დაავადებაა. ხასიათდება პირის ღრუს ლორწოვანი გარსების, ტუჩის კანის, თავის, სარძევე დვრილების და კიდურების დაზიანებით.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში (ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში) და ამიერკავკასიაში.</p>	<p>ავადდება ცხვარი და თხა (უფრო ხშირად და მძიმედ ბატკნები და ციკნები 4 დღიდან 10 თვემდე ასაკის).</p> <p>ავადდება ადამიანიც. ინფექცია ვითარდება ვირუსის შეჭრის ადგილიდან.</p>	<p>აღმკვრელია <i>Parapoxvirus</i>-ის გვარის ვირუსი <i>Poxviridae</i>-ს ოჯახიდან.</p> <p>მეცხოველეობის ფერმაში ვირუსი ძლებს 3 წელს, თივაში 300 დღე, ნაკელში 200 დღე.</p> <p>ვეზიკულების ქერქებში მატყლზე გამრობის შემდეგ ვირუსი ვირულენტობას ინარჩუნებს 4-15 წელს.</p> <p>გარემო არეში ვირუსის დიდი ხნით შენარჩუნება მოითხოვს მკაცრი ვეტერინარიულ-სანიტარული ღონისძიების ჩატარებას.</p> <p>აღმკვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ვირუსმატარებელი ცხოველი.</p> <p>გარემო არეში ვირუსი ხვდება გამონაყოფებით პირის ღრუდან. ვირუსით ინფიცირდება მატყლი, მოვლის საგნები, ბალახი საძოვარზე.</p>	<p>ცხვრების და თხების დასენიანება ხდება არაკეთილსაიმედო საძოვარზე მიღებული ბალახით, წყლით დაინფიცირებული წყაროდან. უშუალო კონტაქტით დაავადებულ ცხოველებთან. დაავადების გავრცელებაში დიდ როლს თამაშობს დაავადებაგადატანილი ვირუსმატარებელი ცხოველები. დაავადების გაჩენაზე და ეპიზოოტიურ პროცესზე გავლენას ახდენს წლის დრო და კლიმატური პირობები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 12 დღე. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია ვირუსის რაოდენობაზე, მის ვირულენტობაზე, ცხოველის ასაკზე და იმუნურ სტატუსზე. დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით არჩევენ დაავადების რამოდენიმე ფორმას: სტომატიტს, ტუჩების, გენიტალის და ჩლიქების.</p> <p>ბატკნების ავადობა აღწევს 95-100%-ს; ლეტალობა – 75%-ს</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფუქციისა და ნაღმების გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ბატკნებს, რომლებიც ავადდებიან სიცოცხლის პირველ დღეებში უზიანდებათ პირის ღრუს ლორწოვანი გარსები, ვითარდება სტომატიტი. ბატკნებში დაავადება მიმდინარეობს მძიმედ. ზრდასრულ ცხვარს, პირის ღრუში უვითარდება ეროზიები და ნეკროზული კერები, ზოგჯერ კი ღრმა, ძნელადხორცებადი ქროილობები.</p> <p>დაავადების კეთილთვისებიანი მიმდინარეობისას ცხოველის პირის ღრუს, დაზიანებები ხორცდება ნაწიბურების გარეშე. ცხოველი გამოჯანმრთელდება 10-15 დღის განმავლობაში. პროცესის გართულების შემთხვევაში ზიანდება ტუჩები, ცხვირის სარკე და ცხვირის ძგიდეები. კანზე ჩნდება კვანძოვანი დაზიანებები და ფუფხები. ტუჩის არეში მიკროფლორის გამრავლება იწვევს დაზიანებას, ბატკნები ვერ ღებულობენ საკვებს, ჩამორჩებიან ზრდაში.</p> <p>დაავადების ჩლიქის ფორმა ძირითადად აღინიშნება ცხვრებში ჩლიქებს შორის ნაპრალში და გვირგვინზე წარმოშობილი ვეზიკულარულ-ბუშტუკოვანი პროცესით, რომელიც რთულდება მეორადი ინფექციებით. შედეგად ჩირქოვან ნეკროზი იწვევს გადაადგილების შეზღუდვას.</p>	<p>ღეში გამოფიტულია, პათოლოგიები აღინიშნება ტუჩებზე, სასქესო ორგანოებზე, სარძევე დვრილებზე და კიდურებზე. ნახულობენ ეროზიებს, ნეკროზულ კერებს და წყლულებს. გაკვეთისას დაზიანებებს ნახულობენ ხახხაში, საყლაპავის ლორწოვან გარსებზე, ფაშეში, ბადურაში, ნაწლავებში და მაჭიკში. აღნიშნული ცვლილებები და ნეკროზული პროცესები განპირობებულია მეორადი ინფექციებით და ნეკრობაქტერიოზით.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ კლინიკო-ეპიზოოტიური მონაცემების და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე.</p> <p>ლაბორატორიაში ცხოველის სიცოცხლეში აგზავნიან სისხლსა და სისხლის შრატს. ღეშიდან იღებენ შინაგანი ორგანოების ნაჭრებს და დაზიანებული კერების (პირის ღრუს, ჩლიქის ნაპრალის) ნაწილებს.</p> <p>დაავადების დიფერენცირება უნდა მოხდეს შემდეგი დაავადებისაგან – ყვავილი, თურქული, კატარალური ცხელება, ნეკრობაქტერიოზი, მიკოზური დერმატიტი.</p>	<p>სპეციფიკური სამკურნალო საშუალება შემუშავებული არ არის.</p> <p>სიმპტომატური მკურნალობა (ანტიბიოტიკები, ანტისეპტიკური ხსნარები, მალამოები) მიმართულია დაავადების გართულებების ასაცილებლად.</p>	<p>დაავადებამოხდილ ცხოველებში იმუნიტეტის ხანგრძლივობა 1 წელია. აქტიური იმუნიზაციის მიზნით იყენებენ ცოცხალ ვირუს ვაქცინას. ექტიმას ახასიათებს მკვეთრად გამოხატული უჯრედოვანი იმუნიტეტი. აქედან გამომდინარე ეფექტურია ვაქცინის შეყვანა ბატკნებში პირის ღრუს ლორწოვან გარსებში და ტუჩების კანში.</p> <p>პოსტვაქცინალური იმუნიტეტი 17 თვეა. მკურნალობა დაავადების დადგენის შემდეგ ცხადდება არაკეთილსაიმედოდ. ცხოველებს ყოფენ 3 ჯგუფად. პირველი ჯგუფი ჯანმრთელი ცხოველების (ატარებენ ვაქცინაციას), მეორე - დაავადებაზე საეჭვო და მესამე - დაავადებული. დაავადებულ ცხოველებს ინახავენ იზოლირებულად და მკურნალობენ.</p>	<p>მატყლს უტარდება დეზინფექცია, ხორცი დაზიანების გარეშე გამოიყენება თერმული დამუშავების შემდეგ, ხორცი დაზიანებებით უნდა განადგურდეს.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნოველი	ალმქვერელი და მისი წყარო	ალმქვერელის გადაცემის გზა და მიკროგამათარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ეშერიჩიოზი</b></p> <p>ლათ. Escherichiosis</p> <p>ინგ. Escherichiosis</p> <p>რუს. Эшерихиоз / Колибактериоз / Колиэнтерит / Колисепсис</p> <p>მრავალი სახეობის ცხოველისა და ფრინველის მოზარდის მწვავედ მიმდინარე ზოონოზური ინფექციური დაავადებაა.</p> <p>ხასიათდება სეპტიცემიით, ტოქსემიით, ენტერიტითა და ორგანიზმის გაუნყულულებით. ზოგჯერ ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით, მზარდი დეპრესიით, სისუსტით, პნევმონიით და ართრიტებით.</p> <p>დაავადება ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში და მეცხოველეობას აყენებს დიდ ეკონომიკურ ზარალს.</p>	<p>ემერიჩიოზით ავადდებიან ხბოები დაბადებიდან პირველი 3-7 დღის განმავლობაში, გოჭები პირველი დღეების და კვირების განმავლობაში და ასხლეტის შემდეგ ბატკნები – სიცოცხლის პირველ დღეებიდან 5-7 თვე. ფრინველი პირველი 3-5 თვე.</p>	<p>დაავადების აღმქვერელია ბაქტერია <i>Escherichia coli</i>, რომელიც განეკუთვნება <i>Enterobacteriaceae</i>-ს ოჯახს. დღეისთვის O-, K-, და H-.</p> <p>ანტიგენით ცნობილია 900-ზე მეტი სეროლოგიური ვარიანტი, მათგან ნაწილი პათოლოგიურია ცხოველებისა და ადამიანისათვის. ენტეროპათოგენური შტამები, რომელთაც გააჩნიათ ადგიური ანტიგენები: K88, K99, A20, Att25.</p> <p>ემერიჩიები პროდუცირებენ ეკზო- და ენდოტოქსინებს.</p> <p>დაავადების აღმქვერელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ცხოველები, დედეები, ემერიჩიის პათოგენური ვარიანტების მატარებლები არიან.</p>	<p>დაავადების აღმქვერელის გადაცემის ფაქტორია ინფიცირებული მოვლამუნახვის საგნები, ხსენი, რძის ჭურჭელი, ჰაერი, მომვლელი პერსონალის ხელები და ტანსაცმელი, აგრეთვე თავგები, ვირთხები და მწერები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი რამოდენიმე საათიდან 1-2 დღეა.</p> <p>დასენიანების ძირითადი გზა ალიმენტალურია, იშვიათად აეროგენური. შესაძლებელია, საშვილოსნოს გზითაც. ინფექციის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორებია ორგანიზმის დაბალი რეზისტენტობა, დაბალი ვეტერინარულ-სანიტარული და კვების პირობები, ხსენით კვების ნორმების დარღვევა და სხვა.</p> <p>დაავადება მომდინარეობს ზემწვავედ, მწვავედ, ქვემწვავედ.</p> <p>ავადობა 30-100%-მდეა.</p> <p>ლეტალობა – 90%-მდე.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების დასაწყისში ტემპერატურის აწევა, შემდგომ დაწევა, სისუსტე, ფაფის-მაგვარი ფეკალი გარდამავალი თხიერ ფაღარათში (მოყვი-თალო-თეთრი და ქაფიანი), დაავადების ხანგრძლივობა 2-3 დღეა, მთავრდება სიკვდილით. გადარჩენილები, ჩამორჩებიან ზრდაში. ასხლეთილ გოჭებში დაავადება მიმდინარეობს შეშუპებით, რომლის დროსაც ზიანდება ცენტრალური ნერვული სისტემა, ხანმოკლე დიარეით, შეშუპებებით თავის და მკერდის არეში. სიკვდილი დგება კლინიკური ნიშნების გამოვლენიდან რამოდენიმე საათში.</p>	<p>გაკვეთისას ნახულობენ კატარალურ და ჰემორაგიულ ანთებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვან გარსებზე. კუჭში შედედებული ხაჭოსმაგვარი მასა და ლორწოა, სისხლჩაქცევები ჯორჯლის ლიმფურ კვანძებში, გულის კუნთებში, თირკმლების და ღვიძლის პარენქიმაში. ნაღვლის ბუშტი გადავსებულია სქელი ნაღველით. ელენტა უმეტესად ნორმის ფარგლებშია, კაპსულის ქვეშ სისხლჩაქცევები, პულპა დუნეა, მუქი ალუბლისფერი. ზოგჯერ ნახულობენ კეროვან პნევმონიას და კიდურების სახსრების ანთებას.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტიური მონაცემების კლინიკური ნიშნების პათოლოგო-ანატომიური ცვლილებების და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე.</p> <p>ემერიხიოზის დიფერენცირება ხდება არაინფექციური ეტიოლოგიის კუჭ-ნაწლავის დაავადებებთან, სალმონელოზთან, ანაერობულ ენტეროტოქსემიასთან, კანდიდამიკოზთან, კამპილობაქტერიოზთან, ვირუსული ეტიოლოგიის დაავადებებთან.</p>	<p>სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით იყენებენ ჰიპერიმუნურ შრატს, გამა-გლობულინს კოლიფაგს, ანტიბიოტიკებს და ქიმიურ ანტიბაქტერიულ პრეპარატებს.</p> <p>ეფექტური სულფანელამიდური და ნიტროფურანის ჯგუფის პრეპარატები, დიეტური და სიმპტომატური საშუალებები.</p> <p>ცხოველებს აძლევენ ცილოვან, ნახშირწყლოვან, ვიტამინურ და მინერალურ ნარევებს.</p>	<p>პროფილაქტიკის მიზნით აუმჯობესებენ მოვლას-შენახვის და კვების პირობებს, როგორც დედა პირუტყვის, ასევე მოზარდი თაობის. წარმატებით გამოიყენება პრობიოტიკების მრავალი პრეპარატი და არასპეციფიკური გლობულინი. მაკე ცხოველების ასაცრელად იყენებენ ვაქცინებს.</p> <p>ხბობის და გოჭების გამოზრდას აწარმოებენ პრინციპით – „ყველაფერი სავსეა, ყველაფერი ცარიელია“.</p>	<p>ტანხორცში და შინაგან ორგანოებში დისტროფიული მოვლენების დროს მათ უშვებენ უტილიზაციაში. თუ ცვლილებები არ აღინიშნება ტანხორცს უშვებენ თერმული დამუშავების შემდეგ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	ალმკვრალი და მისი წყარო	ალმკვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ვეზიკულური სტომატიტი</b></p> <p>ლათ. Stomatitis vesicularis</p> <p>ინგ. Vesicular stomatitis / Sore mouth of cattle</p> <p>რუს. Везикулярный стоматит</p> <p>ცხენების, ჯორების, პირუტყვის და ღორების უაღრესად გადამდები, მწვავე დაავადება, რომელსაც ახასიათებს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ბუშტუკოვანი დაზიანებები და მაღალი ტემპერატურა.</p> <p>დაავადება პირველად დაფიქსირდა ცხენებსა და ჯორებს შორის აშშ-ში (1862), შემდეგ აფრიკაში (1884) და ევროპაში.</p> <p>OIE-ს მიერ კლასიფიცირებულია ვეზიკულური სტომატიტი, როგორც განსაკუთრებით საშიში (სია A) ცხოველების დაავადება. ვეზიკულური სტომატიტით ადამიანიც შეიძლება დაავადდეს.</p> <p>დაავადების ეპიზოოტიური პროცესი ნაკლებად არის შესწავლილი. პირველ რიგში არ არის ახსნილი რატომ ახასიათებს 10-15 ციკლიურობა.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ვეზიკულური სტომატიტი ძირითადად აზიანებს ცხენებს, ჯორებს, მსხვილ და წვრილრქოსან პირუტყვს, ძაღლებს და ღორებს. ბოლო წლებში დაავადების ეპიზოოტიური აფეთქებები უფრო ხშირად ფიქსირდება რქოსან პირუტყვში. გარეული ცხოველებიდან დაავადების მიმართ მგრძობიარეა ირმები, შველი, ენოტი, ანტილოპა, ბაყაყები.</p>	<p>დაავადების გამომწვევი რნმ-ის შემცველი ტყვიის ფორმის ვირუსი <i>Vesiculovirus</i>-ის გვარის <i>Rhabdoviridae</i>-ის ოჯახიდან. ვირუსი მრავლდება ხერხემლიანთა და მწერების მრავალ სახეობაში.</p> <p>ვირუსის რეზერვუარი საბოლოოდ არ არის დადგენილი, თუმცა არსებობს საფუძველი იმისა, რომ ის საკმაოდ ფართოდ მოიცავს შინაური და გარეული ძუძუმწოვრების და მწერების მრავალ სახეობას.</p> <p>დაავადების გამომწვევის წყაროა დაავადებული და და გამოჯანმრთელებული ვირუსმატარებელი ცხოველები. დაავადებული ცხოველის სხეულიდან ვირუსი გამოიყოფა ვეზიკულების შიგთავსთან და ნერწყვთან ერთად.</p>	<p>ცხოველები ჩვეულებრივ ინფიცირდებიან პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტით. დაავადების გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ინფიცირებულ საკვების წარმოშობის საკვებს, წყალს, საძოვრებს, სანველ მანქანას და ა.შ. შესაძლებელია გამომწვევის მექანიკური გადაცემა მომსახურე პერსონალიდან, ასევე სისხლისმწოველი მწერების დაკბენისას.</p> <p>ვირუსის ორგანიზმში შეღწევის ძირითადი გზებია აეროგენური და ალიმენტალური (სასუნთქი გზებისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ლორწოვანი გარსების).</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 24 საათიდან 2-5 დღემდე (ზოგჯერ 12 დღემდე).</p> <p>დაზიანებულ კანში ან ლორწოვან გარსებში შეღწევის შემდეგ, ვირუსი ფიქსირდება ეპითელური უჯრედებით, სწრაფად მრავლდება, რაც იწვევს ცალკეული უჯრედების სიკვდილს, უჯრედშორისი ხიდების რღვევას და სითხით სავსე ვეზიკულების წარმოქმნას. ბუშტუკების გახეთქვის ადგილზე წარმოიქმნება ეროზიები.</p> <p>პირველადი ვეზიკულის გამოჩენიდან მე-3-4 დღეს ვითარდება მოკლევადიანი ვირემია, ვითარდება ცხელება, მეორადი ბუშტუკები ჩნდება ცხოველების დაახლოებით 50%-ში. ცხოველები სწრაფად გამოჯანმრთელებიან, თუ მეორადი ბაქტერიული ინფექციები არ განვითარდება ვეზიკულების ადგილზე. წყლულოვანი დაზიანებების განვითარება იწვევს დაავადების ხანგრძლივ მიმდინარეობას. ხბოებში ლეტალობა აღწევს 80%-მდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმდეგო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების დაწყებისას სხეულის ტემპერატურა მატულობს. შემდგომ პირის ღრუს ლორწოვან გარსზე ჩნდება მონიტალო ლაქები - პაპულები 2-დან 20 მმ-მდე, რომელთა ადგილას ჩვეულებრივ 1 დღის შემდეგ წარმოიქმნება ნითელი ბუშტუკები (ვეზიკულები, აფტები), ზომით დაწყებული ყაყაჩოს მარცვლიდან. მტრედის კვერცხამდე. ეს უკანასკნელი სწრაფად სკდება და ამკარავდება კამკაშა ნითელი ეროზიული ზედაპირი. ეროზიებმა შეიძლება დაფაროს ენის, ღრძილების, ხახის (ღორში) დიდი ზედაპირი. როგორც წესი, 3-7 დღეში ხდება ეპითელიალიზაცია და ცხოველის გამოჯანმრთელება.</p> <p>სხეულის ტემპერატურა მატულობს 40-42 °C-მდე, ჩნდება ანორექსია, წყურვილი და ძლიერი წერწყვდენა. ძროხებში ხშირად ზიანდება ცური, ზოგჯერ ვითარდება მასტიტი. ბუშტუკები შეიძლება წარმოიქმნას ცხვირის ღრუს ლორწოვან გარსზე, კონიუნქტივაზე, ცხვირის სარკის და ჩლიქების გვირგვინის კანზე. კეთილთვისებიანი მიმდინარეობისას, დაავადების ხანგრძლივობაა დაახლოებით 1-3 კვირა.</p> <p>ვეზიკულური სტომატიტი იშვიათად მთავრდება სიკვდილით. უფრო მეტიც, ცხოველთა უმეტესობაში სიმპტომები მსუბუქია და, როგორც წესი, დაავადებულები გამოჯანმრთელდებიან.</p>	<p>გაკვეთის დროს ვლინდება ლორწოვანი გარსების ან კანის ადგილობრივი დაზიანებები, რომლებიც პათონატომურად და ჰისტოლოგიურად არ განსხვავდებიან თავისი კეთილთვისებიანი მიმდინარეობით.</p> <p>თუ ვეზიკულური სტომატიტი გართულებულია მეორადი ბაქტერიული ინფექციით, მაშინ დაზიანებებში გროვდება უხვი ექსუდატი და ნეკროზული ქსოვილები.</p>	<p>ვეზიკულური სტომატიტი კლინიკურად და პათოლოგიურად ძნელია განასხვავოთ ცხოველების დანარჩენი სამი ვეზიკულური ვირუსული დაავადებისგან: თურქული, ვეზიკულური ეგზანთემა და ლორის ვეზიკულური დაავადება. მასასადამე დიაგნოზი დაისმება ეპიზოოზური მონაცემების ანალიზის საფუძველზე (ავადების კენტი და წყვილჩლიქიანები), კლინიკური ნიშნები (აფთური დაზიანებები) და ლაბორატორიული შედეგები, რაც საშუალებას იძლევა განვასხვავოთ ვეზიკულური სტომატიტი ზემოხსენებული ვეზიკულური დაავადებებისგან.</p> <p>ლაბორატორიული კვლევისთვის ავადმყოფი ცხოველებისგან იღებენ გაუსხნელ ვეზიკულებს და მათგან სითხეს, აგრეთვე ახლად წარმოქმნილი ეროზიების ზედაპირიდან ანაფხეკებს.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზი გარდა ზემოთმითითებული დაავადებებისა, ასევე უნდა გამოირიცხოს ვირუსული დიარეა, ინფექციური რინოტრაქეიტი, ავთვისებიანი კატარალური ცხელება, კანის ტუბერკულოზი, ნეკრობაქტერიოზი, სოკოვანი და არაინფექციური სტომატიტი.</p>	<p>ტარდება ადგილობრივი და სიმპტომური მკურნალობა, რისთვისაც გამოიყენება შემკვრელი, ანტიმიკრობული და ანთების საინააღმდეგო საშუალებები.</p>	<p>დაავადებაგადატანილი ცხოველები, იძენენ სპეციფიკურ იმუნიტეტს ვირუსის მხოლოდ ერთი სეროტიპის მიმართ 2-დან 12 თვემდე პერიოდის განმავლობაში. სპეციფიკური პრევენციის საშუალებები არ არის შემუშავებული. შეერთებულ შტატებში ზოგჯერ გამოიყენება ინაქტივირებული ვაქცინები, მაგრამ მათი ეპიდემიოლოგიური ეფექტურობა დაბალია.</p>	<p>ხორცისა და ხორცის პროდუქტების და ნედლეულის შეფასებისას ხელმძღვანელობენ სამთავრობო №444-ე დადგენილებით (2013 წლის 13 დეკემბერი)</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ვისნა-მაედი</b></p> <p>ლათ. Visna-Maedi / Ovine Progressive pneumonia</p> <p>ინგ. Visna-Maedi / Ovine Progressive pneumonia</p> <p>რუს. Висна-Маеди / Прогрессивная пневмония овец</p> <p>ქრონიკული, ძალიან მდორედ პროგრესირებადი დაავადებაა.</p> <p>ვლინდება ორ ფორმაში: ნერვულ-პარალიტიკური, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით (ვისნის დროს).</p> <p>რესპირატორული (ფილტვების დაზიანებით) მაედი-ს დროს, რომელსაც თან ახლავს მასის დაკარგვა და ყველა დაავადებულის სიკვდილი. დაავადება გავრცელებულია ევროპის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირში (80 წლები). დაავადება ფართოდ გავრცელდა რომანული ჯიშის ცხვარში და დიდი ზიანი მიაყენა.</p>	<p>ავადდება ყველა ჯიშის ზრდასრული ცხვარი და თხა (2-3 წელზე უხანესი).</p>	<p>დაავადების ალმძვრელი არის <i>Retroviridae</i>-ს ოჯახის და <i>Lentivirus</i>-ის გვარის წარმომადგენელი.</p> <p>მაედი-ს შტამებს ახასიათებთ ტროპიზმა. ცხვრის ფილტვის ქსოვილებში, ვისნა-ს შტამებს კი ნერვულ ქსოვილებში.</p> <p>ვირუსი თერმოლაბილურია, მგრძნობიარეა სპირტის, ფენოლის და ფორმალინის მიმართ. დაავადების ალმძვრელის წყაროა დაავადებული და ვირუსმატარებელი ცხოველები.</p>	<p>ვირუსის გადაცემის ძირითადი გზა კონტაქტურია. ჰაერ-წვეთოვანი (სასუნთქი გზებით). შესაძლოა, ვირუსის შეჭრა ალიმენტალური გზით (საკვებით, რძით, ხსენით) და პლანცენტით.</p> <p>ვირუსი გამოიყოფა რძით, ფეკალით, ამონასუნთქი ჰაერით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 6 თვიდან რამოდენიმე წელიწადს (საშუალოდ 1,5-2 წელი). ვისნას დროს ის შედარებით მოკლეა, ვიდრე მაედის დროს. დაავადების მიმდინარეობა გრძელდება 6-12 თვეს ქრონიკულად, ხანგრძლივად და მდორედ.</p> <p>დაავადება ვლინდება ორ სიმპტომოკომპლექსად - ვისნა და მაედი ავადობა განსხვავებულია.</p> <p>ლეტალობა – 100%.</p> <p>სტაციონალურად არაკეთილსაიმედო მეურნეობაში – 15-30%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმდებო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
7	8	9	10	11	12
<p>ვისნა – წარმოდგენილია როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექცია. კლინიკური ნიშნები პროგრესირებს ძალიან ნელა. დაავადება იწყება მოდუნებით (დათრგუნული მდგომარეობით), შიშით, სიარულის შეცვლით, ძოვისას ფარასთან ჩამორჩენით, ნერვული ქცევით, თავის ქიცინით და ტუჩების მოძრაობით. მოგვიანებით შესამჩნევი ხდება სიგამხდრე, კბილების კრაჭუნი, კანკალი, ტკივილის შეგრძნების დაკარგვა. თანდათან ვლინდება კორდინაციის დარღვევა, პარეზი და დამბლა ძირითადად უკანა კიდურების. შესაძლებელია სრული დამბლა და სიბრმავე. აღნიშნული კლინიკით ცხოველი კვდება რამოდენიმე კვირაში და თვეში.</p> <p>სიმპტომები მაედი-ს დროსაც ვითარდება ნელა (მდორედ). შეიმჩნევა სისუსტე, წნევის დაკლება და ძირითადი სიმპტომი ქოშინი, სუნთქვის გახშირება (80-120 წუთში), თავის მოქცევა ერთ მხარეს, კისრის მოგრეხვა, ხველება, გამონადენი ცხვირიდან, უკანა კიდურების პარეზი, რომელიც გადადის დამბლაში. ვითარდება აბორტი ან სუსტი ბატკნის დაბადება. დაავადება გრძელდება 4-5 კვირა და მთავრდება სიკვდილით.</p>	<p>ვისნა-ს დროს ხილული პათოლოგიური ცვლილებები როგორც წესი არ აღინიშნება.</p> <p>მაედიტ მკვდარი ცხოველის ლეში ნახულობენ ფილტვის 1,5-2-ჯერ გაზრდას. ფილტვი მკვრივია, კაუჩუკის კონსისტენციის, ღია ყავისფერი (ნაჭრები იძირება წყალში), ბრონქიალური ლიმფური კვანძები შესამჩნევად გადიდებულია.</p>	<p>დიაგნოზის დასმა ხდება ეპიზოოტიური მონაგების კლინიკური ნიშნების, პათოლოგიური ცვლილებების და ლაბორატორიული (სეროლოგიური) კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოითიშოს: სკრეპი, ცოფი, აუესკი, ლისტერიოზი, ცენუროზი, ენცეფალომიელიტი, მონამვლები და სხვა.</p>	<p>მკურნალობას არ ატარებენ, ის არაეფექტურია.</p>	<p>ვირუსის შეჭრისგან მეურნეობის დასაცავად ატარებენ ვეტერინარიულ-სანიტარულ ღონისძიებებს.</p> <p>მეურნეობაში დაავადების, სალიკვიდაციოდ ეფექტურია ცხოველთა მთლიანი სულადობის ლიკვიდაცია. შენობის სანაცია და ჯანმრთელი ცხოველების შემოყვანა.</p>	<p>ჯანდაც ცხოველებს სპობენ. ნორმალური ტანხორციდან ამზადებენ მოხარშულ პროდუქტებს (ძეხვი, ხორცის პური და სხვა).</p> <p>თავსა და შინაგან ორგანოებს სპობენ.</p> <p>ტყავსა და მატყლს უკეთებენ დეზინფექციას.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>თურქული</b></p> <p>ლათ. <i>Aphthae epizooticae</i></p> <p>ინგ. Foot-and-mouth disease / Hand, foot and mouth disease / FMD</p> <p>რუს. Ящур</p> <p>მრავალი სახეობის წყვილჩლიქიანი შინაური და გარეული ცხოველების მაღალკონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა.</p> <p>ხასიათდება ცხელებით, ნერწყვდენით და პირის ღრუს ლორწოვანი გარსების აფტოზური დაზიანებით; უბალნო ადგილებზე, თავზე, ცურზე, ჩლიქებშორის ნაპრალზე (რომელსაც თანსდევს კორდინაციის დარღვევა), ძლიერ დაზიანებებში (ეროზიებში) მოზარდ ცხოველებში ინვესს მიოკარდს და ჩონჩხის კუნთების დაზიანებას.</p> <p>ზოგჯერ თურქულით ავადდება ადამიანიც.</p>	<p>ავადდება ყველა სახეობის შინაური და გარეული წყვილჩლიქიანი ცხოველი.</p> <p>ავადდება ადამიანიც.</p> <p>განსაკუთრებით ამთვისებელია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, ღორი, კამეჩი. მოზარდი (2-3 თვის ასაკში) ავადდება შედარებით მძიმედ.</p>	<p>აღმკვრელი მიეკუთვნება <i>Picornaviridae</i>-ს ოჯახს, <i>Aphovirus</i>-ის გვარს.</p> <p>ვირუსს გააჩნია რთული ანტიგენური შემადგენლობა. არჩევენ 7 სეროლოგიურ ტიპს, რომელთაც გააჩნიათ 32 ვარიანტი: O-13, C-5, CAT-1-7, CAT-2-3, CAT-3-4, Азия-1-2; მსოფლიოში მეტადაა გავრცელებული შემდეგი ტიპები: O-38%, A-33%, C-26%. მთიან საძოვარზე ვირუსი ძლებს მომავალ სეზონამდე; წყალში (ცივ პერიოდში) – 103 დღე; ზაფხულში – 21 დღე; მატყლზე – 50 დღე; ტანსაცმელზე – 100 დღე; შენობაში – 70 დღე; შენობაში – 70 დღე; საკვებში – 30 დღე; ნიადაგში – 40-150 დღე; რძეში – 15-56 დღე; ხორცპროდუქტებში – 50 დღე; გაყინულ ხორცში წლობით.</p>	<p>ორგანიზმში ვირუსი შეიძლება შეიჭრას პირის ლორწოვანი გარსებიდან, დაზიანებული კანიდან; ავადმყოფი და ჯანმრთელი ცხოველების ერთად შენახვისას ვირუსი ვრცელდება აეროგენურად; ვირუსმატარებლობა ხანგრძლივია (120 დღე და მეტი).</p> <p>აღმკვრელის რეზერვუალი გარეული ცხოველები (ირემი, გარეული ღორი და სხვა წყვილჩლიქიანი), აღმკვრელის გადატანა შეუძლიათ მეურნეობაში არსებულ ცხოველებს – ცხენს, ვირს, კატას, ძაღლს, თაგვებს, ვირთხებს, აგრეთვე ფრინველებს, მწერებს, ბუზებს, ტკიპებს.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-7 დღე (ზოგჯერ 36 სთ.).</p> <p>დაავადების მიმდინარეობა მწვავეა. დაავადებას შეიძლება გააჩნდეს კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი ხასიათი.</p> <p>ავადობა 100%-ია;</p> <p>ლეტალობა კეთილთვისებიანი მიმდინარეობისას – 1-5%;</p> <p>ავთვისებიანის დროს – 20-80%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>კლინიკური ნიშნების გამოვლინება დამოკიდებულია ვირუსის ბუნებაზე, ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე და ვლინდება ზრდასრულ რქოსან პირუტყვში.</p> <p>კეთილთვისებიანი მიმდინარეობისას ქვეითდება მადა, სუსტდება ცოხნა, ძლიერდება ნერწყვდენა, მატულობს ტემპერატურა (40,5-41,5 °C), გახშირებულია პულსი და სუნთქვა, მკვეთრად ეცემა წველაღობა. ვირუსის შეჭრის ადგილას ვითარდება აფტები პირის ლორწოვანზე, გვირგვინის კანზე, ჩლიქებზე. აფტები სწრაფად მრავლდება და იზრდება, ვითარდება ეროზიები, მატულობს ნერწყვდენა, კოჭლობა. მაკე საქონელში შეიძლება განვითარდეს აბორტები, მკვდრადმშობიარობა. ცხოველი შეიძლება გამოჯანმრთელდეს 2-3 კვირაში, გართულების შემთხვევაში ვითარდება მასტიტი, პოდოდერმატიტი.</p> <p>ავთვისებიანი მიმდინარეობისას ვითარდება ქოშინი, ხიხინი, სუნთქვის გახშირება, ირღვევა საჭმლის მომნელებელი სისტემა. 7-14 დღეში, გულის დაზიანებისას ცხოველი სწრაფად კვდება.</p>	<p>დამახასიათებელ ცვლილებებს (აფტები, ეროზიები) ნახულობენ პირის ღრუს ლორწოვანზე, საყლაპავზე, წინაკუჭებში, კიდურების კანზე და ჩლიქებს შორის. მოზარდებში ჰემორაგიული ანთება ნაწლავების ლორწოვან გარსებზე.</p> <p>ავთვისებიანი მიმდინარეობისას ცვლილებები აღინიშნება გულის კუნთებში („ვეფხისებრი გული“), ცვლილებებია აგრეთვე ჩონჩხის კუნთებში. ღვიძლი მოცულობაში მომატებულია და გადაგვარებული.</p>	<p>დიაგნოზის დასმის დროს ითვალისწინებენ ეპიზოოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს და პათოლოგიურ ცვლილებებს: ლაბორატორიაში ადგენენ აღმძვრელის ტიპს. გამოსაკვლევად ლაბორატორიაში აგზავნიან მსხვილ რქოსანი პირუტყვიდან ენის ნაჭრებს დაუზიანებელი აფტებით; ღორიდან დრუნჩს და ცურს, ცხვრიდან და თხიდან ქვედა ყბის უკბილო ნაწილს კანის ნაწილს ჩლიქებს შორის ნაპრალიდან. მალალი ტემპერატურის დროს ლიმფურ კვანძებს და გული კუნთის ნაწილს და სისხლის.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ ვეზიკულარული სინდრომით მიმდინარე დაავადებებთან.</p>	<p>სპეციფიკური მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის.</p> <p>დაავადების ავთვისებიანი მიმდინარეობისას ცხოველს შეიძლება შევუწყვანოთ დაავადება მოხდელი ცხოველის სისხლის შრატით. დაზიანებულ ადგილებს ამუშავებენ ანტისეპტიკური საშუალებებით (სითხეების შესხურება, მალამოების წასმა, ფხვნილების შეფრქვევა), შიგნით შეყავთ გლუკოზა, ანტიბიოტიკები და საგულე საშუალებები.</p>	<p>ქვეყნის, რეგიონის, რაიონის, სოფლის და მეურნეობის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ ცხოველთა ვაქცინაციით. ეპიზოოტიური სიტუაციიდან გამომდინარე და მოსალოდნელი აღმძვრელის შესაბამის ვაქცინის შერჩევით.</p> <p>უნდა განისაზღვროს ვაქცინირებულ ცხოველებში იმუნიტეტის დაძაბულობა.</p> <p>დაუშვებელია არაიმუნური ცხოველების შენახვა.</p> <p>დაავადების გაჩენის შემთხვევაში აწესებენ კარანტინს და ატარებენ ინსტრუქციით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.</p>	<p>ცხოველური პროდუქტების და ნაღლეულის მეურნეობიდან ნედლი სახით გატანა დაუშვებელია.</p> <p>სარგებლობენ საქართველოს მთავრობის №444-ე დადგენილებით.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>თხის ართრიტი-ენცეფალიტი</b></p> <p>ლათ. Capra arthritis-encephalitis</p> <p>ინგ. Caprine arthritis encephalitis (CAE)</p> <p>რუს. Артрит-энцефалит коз / Лейкоэнцефаломиелит-артрит коз</p> <p>თხის მდორედ პროგრესირებადი დაავადება, რომელიც ხასიათდება დემიელინიზებული ენცეფალიტის, პროგრესირებადი ართრიტის, ინტერსტიციული პნევმონიის და ცხოველების სიკვდილის განვითარებით.</p> <p>გამოვლენილია ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ევროპაში. პოსტსაბჭოურ ქვეყნების ტერიტორიაზე, დაავადება ოფიციალურად არ არის რეგისტრირებული. ვარაუდობენ, რომ გავრცელების სისწრაფე და ინფექციის ხარისხი მაღალია.</p>	<p>ავადებიან მხოლოდ თხები (1-5 თვის ასაკში) და ცხვრები.</p> <p>ინფექცია არ გადაეცემა ადამიანებს და ცხოველების სხვა სახეობებს.</p>	<p>თხის ართრიტი-ენცეფალიტი-ის გამომწვევი აგენტია დნმ-რნმ-ის შემცველი ნელი ვირუსი (<i>Lentivirus</i>) <i>Retroviridae</i> ოჯახი, ვირუსის სტრუქტურული ცილები ძალიან ჰგავს ცხვრის ვისნა-მადი ვირუსის ცილებს. თუმცა, დადგინდა, რომ ვისნა-მადი-ს ვირუსები განსხვავებიან გენომის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობების ჰომოლოგიის მიხედვით და წარმოადგენენ რეტროვირუსების ოჯახის ორ განსხვავებულ წარმომადგენელს.</p>	<p>ვირუსი მოზარდს ძირითადად გადაეცემა ხსენის საშუალებით დაბადების შემდეგ პირველივე კვების დროს. სისხლი, დაბინძურებული ინსტრუმენტები, და ღია ჭრილობები ითვლება გავრცელების მეორე ყველაზე გავრცელებულ გზად. დაავადების გავრცელება ჯოგებში შეიძლება ასევე მოხდეს პირდაპირი კონტაქტით, საკვებით და წყლით და დაბინძურებული რძით. ინფექცია შეიძლება გადაეცეს აგრეთვე სასქესო გზებით და სპერმით.</p>	<p>თხის ართრიტი-ენცეფალიტი ხასიათდება ხანგრძლივი ინკუბაციური პერიოდით, ქრონიკული მიმდინარეობით.</p> <p>თხის ართრიტი-ენცეფალიტი ვლინდება ორი გზით:</p> <p>ართრიტის მსგავსად - ბურსიტისა და სინოვიტის პირველადი ნიშნები, რომლებიც დაავადების პროგრესირებასთან ერთად გადაიქცევა პოლიართრიტად.</p> <p>როგორც ენცეფალიტს ახასიათებს - მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, შიში, უკანა კიდურების დამბლა.</p> <p>დაავადების აშკარა გამოვლინება შეიძლება იყოს სრული დამბლა.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმდებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ზოგადად, დაავადებას ახასიათებს ნევროლოგიური ცვლილებები ლეიკოენცეფალიტით, ინტერსტიციული პნევმონიით და ართრიტით.</p> <p>კლინიკური სიმპტომები ძალიან ნელა ვითარდება. დაავადება ვლინდება ატაქსიით, ჰიპერესთეზიით, ხანდახან ცხელებით, კიდურების პროგრესირებადი პარეზით, განვითარებადი დამბლით. პროცესი ხშირად იწყება უკანა კიდურებით და ვრცელდება წინა მხარეს. გარდა ამისა, აღინიშნება კოჭლობა ართრიტის განვითარების გამო და ქოშინი. დაავადებულ ცხოველებს აქვთ აბურძღნული თმა, ისინი ჩამორჩებიან ზრდაში. მადა არ ირღვევა. პარალიზებულ კიდურზე ზოგჯერ ვითარდება კუნთების ატროფია. უერთდება პნევმონიის ფენომენები. ცხოველები ვეღარ დგანან და კვდებიან მოხრილ მდგომარეობაში.</p>	<p>პათოლოგიური ცვლილებები ლოკალიზებულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, სახსრებსა და ფილტვებში.</p> <p>ჰისტოლოგიურად, დემიელინოზებული ენცეფალიტი დომინირებს მცირე ტვინში ლიმფოციტების და მაკროფაგების კეროვანი დაგროვებით. მძიმე შემთხვევებში, ნერვული უჯრედების არეები იცვლება ნანიზურებით.</p> <p>სახსრების დაზიანებებს ახასიათებს ართრიტი სინოვიალური ჰიპერპლაზიით. დაავადება პროგრესირებს, ჩნდება ისეთი ცვლილებები, როგორცაა ფიბროზი, ნეკროზი და სინოვიალური გარსების მინერალიზაცია, პერიარტიკულური კოლაგენური სტრუქტურები.</p>	<p>დიაგნოზი დგინდება კლინიკური და ეპიზოოტოლოგიური მონაცემებისა და პათოლოგიური და ჰისტოლოგიური, ვირუსოლოგიური და სეროლოგიური კვლევების შედეგების საფუძველზე.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოსტიკის დროს აუცილებელია გამოირიცხოს ინფექციური დაავადებები: ვისნა-მაედი, სკრეპი, ლისტერიოზი, პოლიოენცეფალომალაცია, ტოქსოპლაზმოზი, ბორნის დაავადება; კუნთოვანი და ჩონჩხის სისტემების სხვა დაავადებები (ვიტამინ E დეფიციტი, სეპტიური ართრიტი და ტრავმა, სპილენძის დეფიციტი).</p>	<p>სპეცოფიკური სამკურნალო საშუალებები შემუშავებული არ არის.</p>	<p>ინფექციის შემდეგ ინფიცირებულ ცხოველებში წარმოიქმნება ანტისხეულები, რომლებიც, არ უზრუნველყოფენ ცხოველების დაცვას. სპეციფიკური პროფილაქტიკის საშუალებები შემუშავებული არ არის.</p> <p>პრევენციის მიზნით უნდა განახორციელდეს პროფილაქტიკური, ვეტერინარული და სანიტარული ღონისძიებების კომპლექსი, ისეთი როგორც ცხვრისა და თხის სხვა მდორე ქრონიკული ინფექციების დროს ტარდება.</p>	<p>დაავადების გავრცელების გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის №444-ე დადგენილების მოთხოვნები.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	ალმკვრალი და მისი წყარო	ალმკვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>თხის და ცხვრის ინფექციური აბალაქტია</b></p> <p>ლათ. Pleuropneumonia infectiosa caprarum</p> <p>ინგ. Infectious pleuropneumoniae of goats / Contagious Caprine Pleuropneumonia (CCPP)</p> <p>რუს. Инфекционная плевропневмония коз / Контагиозная плевропневмония коз</p> <p>თხის უკიდურესად გადამდები მიკოპლაზმური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, ექსუდაციური-ნეკროზული (კრუპოზული) პნევმონიის სწრაფი განვითარებით და სეროზულ-ფიბრინოზული პლევრიტით. ცურის, სახსრების და თვალის დაზიანებით რძის სეკრეციის შეჩერებით.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში, ავადდება ყველა ჯიშის და ასაკის თხა. ექსპერიმენტულად შესაძლებელია დაავადების გამომწვევა ცხვრებში, თუმცა ისინი სპონტანურად არ ავადდებიან. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, კამეჩები, კურდღლები, ზღვის გოჭები და თეთრი თაგვები მდგრადები არიან ინფექციის მიმართ.</p>	<p>დაავადების გამომწვევია <i>Mycoplasma mycoides var. capri</i> მორფოლოგიური და კულტურული თვისებებით მსგავსია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პლევროპნევმონიის გამომწვევი აგენტის, მაგრამ განსხვავდება მისგან ანტიგენური სტრუქტურით. მორფოლოგიურად მას აქვს კოკის, წნელების, ძაფების ფორმა. იღებება არათანაბრად.</p> <p>ინფექციის გამომწვევის წყაროა ავადმყოფი და გამოჯანმრთელებული ცხოველები, ასევე კლინიკურად ჯანმრთელი ცხვარი. გამომწვევის რეზერვუარი შეიძლება იყოს გარეული თხა, შველი და სხვა.</p>	<p>დაავადების გამომწვევი გამოიყოფა რძით, ფეკალით, შარდით. სანაყოფე სითხეებით თვალის და საშოს გამონადენით, ფილტვებიდან ცხვირის ამოსუნთქვით და ხველებით. ბუნებრივ პირობებში ცხოველები, როგორც წესი, ინფიცირდებიან აეროგენული და ალიმენტალური გზით.</p> <p>დიდი მნიშვნელობა ენიჭება გადაცემის ფაქტორებს, ნიადაგს, ქვეშაფენს, საკვებს, მომვლელი პერსონალის ფეხსაცმელს და ტანსაცმელს. აღმძვრელმა ორგანიზმში შეიძლება შეაღწიოს დაზიანებული ცურიდან და სარძევე დვრილების სადინარებიდან. საშვილოსნოში დედიდან ნაყოფში.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 3-დან 10 დღემდე გრძელდება. ბუნებრივ პირობებში, როდესაც ავადმყოფი და ჯანმრთელი თხა მოდის კონტაქტში, ეს უკანასკნელი ავადდება 2-28 დღის შემდეგ. დაავადება მიმდინარეობს მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული ფორმით. კონტაქტური ინფექციის შემდეგ თხის 100%-მდე ავადდება, ცხოველთა უმეტესობაში (75%-მდე) დაავადება მწვავეა, დანარჩენში – ქვემწვავე და ქრონიკული.</p> <p>ფარაში ავად ხდება ცხვრების 16-17%. მათგან კვდება 15-45%. მკვე ცხოველებში აბორტები 15-30%-ია.</p> <p>დაავადების მიმდინარეობაზე გავლენას ახდენს კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები, გადარეკვის კომპანია, მალალმთიანი საძოვრები და მრავალი სტრესფაქტორები.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმდებო ღონისძიებები		პროფუქციისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>მწვავე მიმდინარეობის დროს დაავადება იწყება სხეულის ტემპერატურის უეცარი მატებით 41-42°C-მდე. ცხოველები დათრგუნულები არიან, დუნედ მოძრაობენ, ნახირს ჩამორჩებიან, პასიურები არიან, მადას კარგავენ. ანუხებთ წყურვილი; ხველა თავდაპირველად მშრალი და ხმამაღალია. მოგვიანებით ვითარდება ექსუდაციური სველი პლევრიტი. ამავდროულად ჩნდება ცხვირიდან სეროზული, შემდეგ კი ლორწოვანი ჩირქოვანი გამონადენი.</p> <p>ქრონიკული მიმდინარეობის დროს სიმპტომები ნაკლებად გამოხატულია. სრული გამოჯანმრთელება იშვიათად ხდება, რადგან ფილტვებში ნარჩენი პროცესები გრძელდება დიდი ხნის განმავლობაში და ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.</p>	<p>დაავადების კლასიკური მიმდინარეობისას გულმკერდის ღრუში გროვდება დიდი რაოდენობით სეროზულ-ფიბრინოზული გამონაჟონი. ფილტვების დაზიანებული წილები გადიდებულია, ჰიპერემიული, შეშუპებული, გაჯერებული ექსუდატით, ცხვირის ღრუს, ხორხის და ტრაქეის ლორწოვანი გარსი მკვეთრად ჰიპერემიულია. გამოიყოფა მონიტალ-მოყვითალო ქაფიანი სითხე. ელენთა ოდნავ შეშუპებულია. თირკმელები გადიდებული; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსი კატარალურია, ჰემორაგიებით. შარდის ბუშტი სავსეა, მისი სისხლძარღვები გაფართოებული.</p> <p>ცურის დაზიანებისას სარძევე ცისტერნები გაფართოებულია, შეშუპებული და გამკვრივებული, შეიცავს შედედებულ ხაჭოსმაგვარ რძის მასას.</p> <p>ქრონიკული მიმდინარეობისას თხის გვამები გამოფიტულია. გულმკერდის ღრუში არის სეროზულ-ფიბრინოზული ექსუდატის უხვი დაგროვება. თვალზე ვითარდება სეროზულ-ლორწოვანი კონიუქტივიტი. ადგილი აქვს მხედველობის დაკარგვას, ანთებითი პროცესებია სახსრებში და საშოს ლორწოვანზე.</p>	<p>დიაგნოზი დგინდება ეპიზო-ოტიური, კლინიკური, პათო-ანატომიური მონაცემების ანალიზისა და ბაქტერიოლოგიური კვლევების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ბაქტერიოლოგიური გამოკვლევებისთვის ლაბორატორიაში იგზავნება ახალი ლეშები, გული, ფილტვები და სხვა პარენქიმული ორგანოები, გულმკერდის ღრუდან ექსუდატი. ახალ ეპიზოოტიურ კერებში რეკომენდირებულია ბიოლოგიური ტესტის ჩატარება.</p> <p>დაავადება დიფერენცირებული უნდა იყოს პასტერელოზისგან და სხვა ცხელებით, სახსრების და ცურის დაზიანებით მიმდინარე დაავადებებისაგან (ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით).</p>	<p>სპეციფიკური სამკურნალო საშუალებები შემუშავებული არ არის. ზოგჯერ ადგილზე ამზადებენ რეკოვალენ-ცენტი ცხოველების სისხლის შრატს ანტიბაქტერიული პრეპარატებიდან იყენებენ: ნოვარსელონს, დიბი-ომიციინს, დიტეტ-რაციკლინს.</p>	<p>გამოჯანმრთელების შემდეგ ცხოველებს უვითარდებათ ხანგრძლივი იმუნიტეტი.</p> <p>ალუმინის ჰიდროქსიდის (ქსოვილის) ფორმოლის ვაქცინის გამოყენებამ აჩვენა მისი მაღალი ეპიზოოტოლოგიური ეფექტურობა. და შესაძლებელი გახდა გამოჯანმრთელება ამ დაავადებისგან. აცრილ ცხოველებში იმუნიტეტი 1 წლამდე გრძელდება.</p> <p>პრევენციული ღონისძიებების სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკარანტინო ღონისძიებებს, რაც გამორიცხავს ავადმყოფი ცხოველების შემოყვანას და ინფექციური აგენტის შემოტანის შესაძლებლობას.</p>	<p>ტანხორცს და დაუზიანებელ შინაგან ორგანოებს იყენებენ მოხარშვის შემდეგ.</p> <p>დაზიანებულ ორგანოებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხრილი	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>იერსინიოზი (პსეუდოტუბერკულოზი)</b></p> <p>ლათ. Yersiniosis Pseudotuberculosis</p> <p>ინგ. Yersiniosis / Yersinia pseudotuberculosis</p> <p>რუს. Иерсиниозы / Кишечный иерсиноз / Родентиоз / Псевдотуберкулёз.</p> <p>ტერმინ „იერსინიოზი“-ს ქვეშ გაერთიანებულია ორი ზოონოზური ინფექციური დაავადება: ნანლაური იერსინიოზი და როდენტიოზი (პსევდოტუბერკულოზი).</p> <p>ნანლაური იერსინიოზი – მწვავე ინფექციური დაავადებაა, ხასიათდება მეტნაწილად კუჭნაწლავის ტარქტის დაზიანებით ძირითადად მოზარდებში. კლინიკური ნიშნების პოლიმორფიზმია დამახასიათებელი ზრდასრულ ცხოველებში (მასტიტი, აბორტი, სიგამხდრე), გამოვლენის რეციდივებით და ხანგრძლივი მიმდინარეობით.</p> <p>როდენტიოზი – ცხოველთა ზოონოზური დაავადებაა, ხასიათდება ციკლიური მიმდინარეობით, ინტოქსიკაციით, კუჭ-ნაწლავის აშლილობით და შინაგან ორგანოებში ხაჭოსებრი ნეკროზული კვანძების წარმოშობით.</p>	<p>დაავადების ამთვისებელია 60 სახეობა ძუძუმწოვარი ცხოველი და 27 სახეობა ფრინველი: მღრღნელები – ბოცვერი, კურდღელი, თაგვები, ვირთხები, ზღვის გოჭები, გარეული სინეტროპული ფრინველები, ზოოპარკის ბინადარი ცხოველები, ცხვარი, ირემი, ღორი, მაიმუნი და სხვა.</p> <p>იერსინიოზით ავადდება ადამიანიც. გადაცემის ფაქტორებია ხორცი, რძე, ხილი, ბოსტნეული (მინდვრებიდან განაყოფიერებული მელიორეობის ფერმების ნაკელით), სასმელი წყალი</p>	<p>დაავადების აღმძვრელებია ბაქტერიები:</p> <p><i>Yersinia enterocolitica;</i></p> <p><i>Yersinia Pseudotuberculosis</i></p> <p>ნანლაური იერსინიები ბიოქიმიური თვისებებით იყოფა 5 ბიოვარიანტად. მათგან მე-3 და მე-4 მაღალპათოგენურია ცხოველების და ადამიანისათვის გამოყოფენ რა ეგზო და ენდოტოქსინებს. დაავადების აღმძვრელები ანტიგენური შენებით მსგავსია ბრუცელების ამიტომ ხშირად იძლევა დადებით სეროლოგიურ რეაქციებს. ნიადაგში ძლებენ 128 დღეზე მეტს, პურზე 16-24 დღე. დიდხანს ძლებენ ბოსტნეულზე და ხილზე.</p> <p>დაავადების აღმძვრელის წყაროა დაავადებული ცხოველი, რეზერვუარები, მღრღნელები.</p>	<p>დაავადების აღმძვრელის გადაცემის გზებია: ალი-მენტარული (ფეკალით და შარდით დასვრილი საკვები და წყალი), აეროგენური (მტვერი) გადაცემის ფაქტორებია: ფეკალი, შარდი, სხვა გამონაყოფები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი ნანლაური იერსინიოზის 1-6 დღეა ფსევდოტუბერკულოზური იერსინიოზის 9-14 დღე. მიმდინარეობს ლატენტურად და ქონიკულად. დაავადების მიმდინარეობაზე გავლენას ახდენს აღმძვრელის ვირულენტობა, ცხოველის ასაკი, შეხორცება.</p> <p>ხელშემწყობი ფაქტორებია კვების რეჟიმის დარღვევა, შენახვის პირობები, ანტიბიოტიკების უკონტროლო გამოყენება, სხვა ინფექციური დაავადებები მეურნეობაში.</p> <p>ლეტალობა 20-50%.</p> <p>ცხვარში – 20%.</p> <p>ფრინველში – 30-50%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნეკროტიზის გამოყენება
			მაკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ნაწლავური იერსინიოზი ზრდასრულ რქოსან პირუტყვში ხშირად მიმდინარეობს ლატენტურად. დაავადება იწვევს გამრავლების ორგანოების ფუნქციის მოშლას (აბორტი, მომყოლის შეჩერება, მასტიტი), ხბოებში ვითარდება კუჭ-ნაწლავის დაზიანებები, სიკვდილიანობა.</p> <p>ლორებში დაავადება მოიცავს სულადობის უმრავლესობას. მათი მეტი წილი კვდება, აღინიშნებათ ტემპერატურის მომატება, პულსის და სუნთქვის გახშირება, დიარეა, დერმატიტი, სახსრების დაზიანება.</p> <p>თხებში სიკვდილი სწრაფად დგება სიმპტომების გარეშე.</p> <p>ფრინველში, ძალღში და კატაში დაავადება მიმდინარეობს უსიმტომოდ.</p> <p>პსევდოტუბერკულოზური იერსინიოზი ცხვარში და თხაში მიმდინარეობს ქრონიკულად და უსიმტომოდ. ფილტვების დაზიანებისას ბრონქოპნევმონიის ნიშნებით. რქოსანში ფილტვების ანთება, მასტიტი, აბორტი და სხვა გინეკოლოგიური დაზიანებები; ლორებში სიყვითლე და დიარეა; ძაღლებში და კატებში გასტროენტერიტები, სიყვითლე; ფრინველში – დიარეა.</p>	<p>პათოლოგოანატომიური ცვლილებები ნაწლავური იერსინიოზის დროს სპეციფიკური არ არის. გაკვეთისას ნახულობენ კატარალურ ანთებას, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვადასხვა განყოფილებაში. ნაწლავების და მაჭიკის კედლები განითლებული და გასქელებულია. მეზენტერიალური ლიმფური კვანძები გადიდებული. ასხლეტილ გოჭებში აღინიშნება ნაწლავების მწვავე ანთება სეპტიკური და ტოქსიური რეაქციებით. ლვიძლში ვითარდება უჯრედების დეგენერაცია. ჯორჯლის და თავის ლიმფური კვანძები გადიდებული და ჰიპერემიულია.</p> <p>ფსევდოტუბერკულოზური იერსინიოზის დროს ლეში გამოფიტულია. ზედაპირული ლიმფური კვანძები გადიდებულია და აღინიშნება კვანძები. ხაჭოსებრი კვანძები აღინიშნება აგრეთვე ფილტვებში, ლვიძლში და სხვა ორგანოებში.</p>	<p>იერსინიოზებზე დიაგნოზის დასმისას მხედველობაში ღებულობენ ეპიზოოტიურ მონაცემებს კლინიკურ ნიშნებს, პათოლოგოანატომიურ ცვლილებებს. დიაგნოზის დაზუსტება ხდება ლაბორატორიული გამოკვლევებით.</p> <p>იერსინიოზების დიფერენცირება ხდება კუჭ-ნაწლავის აშლილობით მიმდინარე დაავადებებთან. ფსევდოტუბერკულოზს განასხვავებენ ისეთი დაავადებებისგან როგორცაა: ქირი, ტუბერკულოზი, სტრეპტოკოკოზი, ტულარემია, ქოთაო და სხვა.</p>	<p>ნაწლავური იერსინიოზით დაავადებული ცხოველების სამკურნალოდ იყენებენ ანტიბიოტიკებს. წვრილ შინაურ ცხოველებს უნიშნავენ ანტიბიოტიკურ პრეპარატებს, აგრეთვე ეფექტურია საშუალებები, რომლებიც მონოდებულია იმუნოგენეზის სტიმულირებისათვის. მაღალ დოზებში ასკორბინის მჟავა და პოლივიტამინები.</p> <p>ფსევდოტუბერკულოზური იერსინიოზის მკურნალობა ეფექტურია მხოლოდ ლიმფური კვანძების დაზიანების დროს.</p>	<p>იერსინიოზის მოხდის შემდეგ ორგანიზმში ვითარდება ანტისხეულები. მიუხედავად ამისა, იერსინიოზის სანიანალმდეგო ვაქცინა შემუშავებული არ არის. დაავადებას ებრძვიან ვეტერინარულ-სანიტარული და ზოოჰიგიენური ნორმების დაცვით და დაავადებული ცხოველების დროული გამოვლენით. ამ მიზნით ხდება ცხოველების სისტემატური შემონმება. განსაკუთრებით ზედაპირული ლიმფური კვანძების. დაავადებას იზოლირებულიად მკურნალობენ ან კლავენ სახორცედ. მოზარდებში დიარეის დროს ატარებენ ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს.</p>	<p>სახორცედ დაკვლისას თუ შეიმჩნევა ცვლილებები კუნთებში ხდება ხორცის უტილიზაცია.</p> <p>ხორცი ცვლილებების გარეშე გადის შეუზღუდავად. დაზიანებული შინაგანი ორგანოები ისპობა.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ინდაურის ჰემორაგიული ენტერიტი</b></p> <p>ლათ. Enteritis viralis gallorum indecorum</p> <p>ინგ. Hemorrhagic enteritis of turkeys / Marble Spleen Disease in Poultry</p> <p>რუს. Энтерит индеек</p> <p>ჰემორაგიული ენტერიტი არის ინდაურის ვირუსული დაავადება, რომელიც ხასიათდება ელენთის დაავადებით, ძლიერი ენტერიტით და ინდაურის მოზარდის მაღალი სიკვდილიანობით.</p> <p>დაავადების გავრცელებას ადგილი აქვს ამერიკაში, კანადაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, ინდოეთში, ისრაელში, უნგრეთში და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და იმ ქვეყნებში, სადაც მისდევენ ინდაურების მოშენებას.</p>	<p>ავადებიან ინდაურები, ხოხბები და ქათმები.</p>	<p>დაავადების აღმკვრელი ვირუსი შედის <i>Adenoviridae</i>-ს ოჯახში. არჩევენ ნაკლებად ვირულენტურ და მაღალ ვირულენტურ ვირუსებს. ვირუსი მრავლდება და აზიანებს ეპითელიარულ უჯრედებს. ვირუსი გამძლეა, ის უძლებს 50°C-ზე გაცხელებას 3 საათის განმავლობაში.</p> <p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული ფრინველი.</p>	<p>ვირუსი დიდი რაოდენობით გამოიყოფა ფეკალთან ერთად. დაავადების აღმკვრელის გავრცელება ხდება ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. ინფექციის განვითარებას და მძიმედ მიმდინარეობას ხელს უწყობს საფრინველეში ანტისანიტარიული მდგომარეობა, შენახვის ტექნოლოგიის დარღვევა და მეორადი ინფექციები: ეშერიხიოზი, პასტერელოზი, მიკოპლაზმოზი და სხვა.</p>	<p>დაავადება მიმდინარეობს ზემნვავე, მწვავე და ქვემწვავე ფორმით. ზემნვავე ფორმის დროს დაავადება ჩნდება უეცრად და მთავრდება ფრინველის სიკვდილით დაავადებიდან 1-2 და 5-7 დღის შემდეგ.</p> <p>ლეთალობა აღწევს 60%-მდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროლუქტაბისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ავადმყოფ ფრინველებს უვი- თარდებთ დიარეა და ეს- ვრებათ ბუმბული კლოაკის ირგვლივ. მწვავე და ქვემწვავე ფორმის დროს დაავადებულ ფრინველებს აქვთ გაძნელე- ბული სუნთქვა, დეპრესია, ორგანიზმის ტემპერატუ- რის დაქვეითება, დიარეა და გაუნწყლობა. ფეკალური მასა თხელი, ქაფიანი და მომწვანო- ყავისფერია ლორწოს მინარე- ვით. ფრინველს მადა დაქვეით- ებული აქვს.</p>	<p>მკვდარი ფრინველის ლეშის გაკვეთისას ნახულობენ: მწვავე კატარულ-ჰემორაგიულ ენტ- ერიტს ლორწოვანი გარსების ნეკროზით, ელენთის გადიდე- ბას (მარმარილოს ფერით განაჭერზე) და ლვიძლის და თირკმლების დისტროფიას.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ კომპლექსურად – ეპიზოოტიური მონაცე- მების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგოანატომიური ცვლილებების და ლაბო- რატორიული გამოკვლე- ვის შედეგების ანალიზის საფუძველზე. სეროლოგი- ური გამოკვლევისათვის იყენებენ დიფუზური პრე- ციპიტაციის რეაქციას.</p> <p>უნდა გამოირიცხოს ინდ- ურის კორონავირუსული ენტერიტი.</p>	<p>სეკუნდალური ინ- ფექციის სანიანალ- მდეგოდ იყენებენ ანტიბაქტერიულ საშუალებებს. აუმ- ჯობესებენ მოვლა- შენახვის პირობებს და უნიშნავენ დიეტურ კვებას, 3%-იანი გლუ- კოზის დამატებით. შეიძლება გამოყ- ენებული იქნას დაავადებაგადატ- ანილი ფრინველის სისხლის შრავი.</p>	<p>სპეციფიკური იმუ- ნიზაციის მიზნით იყენებენ ცოცხალ ვირუსვაქცინას. პრეპარატი ფრ- ინველს ეძლევა წყალთან ერთად. იმუნიტეტი მყარია და იცავს ფრინვე- ლს დაავადებისა- გან.</p> <p>ფრინველის და- საცავად ატარებენ ზოგად ვეტერინა- რიულ ღონისძიე- ბებს. პირველ რიგში აწესებენ საკარანტინო შეზ- ღუდვებს.</p>	<p>ხორცი გამოიყ- ენება თერმული დამუშავების შემ- დეგ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნოველი	ალმკვრელი და მისი წყარო	ალმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ინფექციური ბრონქიტი</b></p> <p>ლათ. Bronchitis infectiosa avium</p> <p>ინგ. Infections Bronchitis</p> <p>რუს. Инфекционный бронхит кур / Нефрозонефрит</p> <p>მაღალკონტაგიოზური მწვავედ მიმდინარე, რესპირაციული ვირუსული დაავადებაა. ხასიათდება მოზარდის სასუნთქი სისტემის ორგანოების დაზიანებით. ზრდასრულ მეკვერცხულ ქათმებში რეპროდუქციული ორგანოების პათოლოგიებით, კვერცხმდებლობის ხანგრძლივი დაქვეითებით და ნეფროზ-ნეფრიტული სინდრომით.</p> <p>დაავადება დიდ ზარალს აყენებს მეფრინველეობას.</p> <p>გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში.</p>	<p>დაავადების მიმართ განსაკუთრებით ამთვისებელია წინილები 30 დღის ასაკამდე. უფროსი ასაკის ქათმები ავადდებიან სხვადასხვა სინდრომით. ქათმებთან კონტაქტით ავადდება იაპონური მწყერი. ექსპერიმენტალურად ავადდებიან მტრედები, ბოცვრები და ლამურები.</p>	<p>ალმკვრელია ვირუსი <i>Coronaviridae</i>-ს ოჯახიდან. ვირუსს გააჩნია 10 სეროტიპი, საფრინველში ვირუსი ძლებს 6-11 დღეს (ზაფხულში 4-7 დღე, ზამთარში – 13-21 დღე).</p> <p>ვირუსის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ფრინველები, რომლებიც ალმკვრელს გამოყოფენ სასუნთქი გზებიდან გამონადენით, ფეკალით, კვერცხით.</p>	<p>ფრინველის დასენიანება ხდება ალიმენტარული და აეროგენური გზით, დაავადების ალმკვრელი ფრინველს გადაეცემა ინფიცირებული საკვებით, წყლით და ქვეშაფენით. დამტკიცებულია კვერცხით გადაცემაც. ბუნებრივ პირობებში დასენიანების ძირითადი გზა აეროგენურია. დაავადება ვრცელდება სწრაფად 1-4 დღეში.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ინკუბაციური პერიოდი 36 საათიდან 10 დღე გრძელდება.</p> <p>ინფექციური ბრონქიტის დროს აღნიშნავენ სამ კლინიკურ სინდრომს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. რესპირატორულს,</li> <li>2. რეპროდუქტიულს და</li> <li>3. ნეფროზო-ნეფრიტულს.</li> </ol> <p>ლეტალობა 1-3 კვირის წინილებში 5-38%-ია, ზრდასულებში 57-70%.</p> <p>კვერცხმდებლობა მცირდება 20-40%-ით.</p> <p>ბრონქიტი შეიძლება მიმდინარეობდეს პასტერელოზთან, ეშერიოზთან, ლარინგოტრაქეიტთან და ყვავილთან.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმდებო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>რესპირატორული სინდრომი წინილებში ვლინდება ხველებით. ტრაქეალური ხიხინით, ცხვირიდან გამონადენით, გაძნელებული სუნთქვით, კონიუქტივიტით, რინიტი, სინუსიტი.</p> <p>ფრინველი დათრგუნულია, შეყუჟულია სითბოს წყაროსთან, კლებულობს წონაში.</p> <p>რეპროდუქტიული სინდრომი რეგისტრირებულია 6 თვეზე უხნეს ქათმებში. დაავადება მიმდინარეობს უსიმპტომოდ ან სუნთქვის ორგანოების მცირედი დაზიანებით. ამ დროს ერთადერთი გამოვლინება კვერცხმდებლობის შემცირებაა (30-80%), კვერცხი არასწორი ფორმისაა (დეფორმირებული ნაჭუჭი) პატარა ზომის და რბილი ნაჭუჭით. ასეთი კვერცხი უვარგისია ინკუბაციისთვის.</p> <p>ნეფროზო-ნეფრიტიული სინდრომისთვის დამახასიათებელია დეპრესია და დიარეა.</p>	<p>პათოლოგოანატომიური ცვლილებები რესპირატორული სინდრომის დროს გამოხატულია სეროზული, კატარალური და ფიბრინოზული ექსუდატით ტრაქეაში და ბრონქებში.</p> <p>ფილტვებში დაზიანებული კერები რეპროდუქტიული სინდრომის დროს აღინიშნება საკვერცხის ფოლიკულებში და კვერცხის სადინარებში. ნახულობენ განუვითარებელ საკვერცხეებს და დეფორმირებულ და არასრულფასოვან კვერცხებს. კვერცხის შიგთავსის სურათი ნაშლილია. ნეფროზო-ნეფრიტიული სინდრომისას თირკმელები შეშუპებულია. ნაშლილია საზღვარი.</p>	<p>დიაგნოზის დასმის დროს ითვალისწინებენ ეპიზოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს პათოლოგიურ ცვლილებებს და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს. ლაბორატორიაში აგზავნიან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. დაავადებულ ფრინველ-დან ტრაქეის და პირის ღრუს ჩამონარეცხს.</li> <li>2. მკვდარი ფრინველის მთლიან ლეშს ან ფილტვის, თირკმელების ნაჭრებს. ტრაქეის, პირის ღრუს, ბრონქების ჩამონაფხეკს. თირკმელებსა და საკვერცხეს.</li> <li>3. სისხლის შრატს აღებული ნწყვილად 2-3 კვირის ინტერვალით.</li> </ol>	<p>იყენებენ სადეზინფექციო პრეპარატების (ქლორსკიპიტარს, ალუმინის იოდიდს, ლუგოლის ხსნარს, გლუტეკს, ვირკონ C) აეროზოლს.</p>	<p>დაავადების გადატანის შემდეგ ფრინველი იძენს იმუნიტეტს 6 თვის ხანგრძლივობით. აქტიური იმუნიზაციისათვის იყენებენ ცოცხალ ვაქცინებს ინსტრუქციის შესაბამისად.</p>	<p>ხელმძღვანელებენ საქართველოს მთავრობის №444-ე დადგენილებით.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ინფექციური კერატოკონიუნქტივიტი</b></p> <p>ლათ. Keratoconjunctivitis</p> <p>ინგ. Infectious kerato-conjunctivitis (IBK) / Pinkeye</p> <p>რუს. Инфекционный кератоконъюнктивит / Глазная эпизоотия / Инфекционный кератит / Пастбищная слепота крупного рогатого скота</p> <p>მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მწვავე და სწრაფად გავრცელებადი დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ცხელება, კატარალური კონიუნქტივიტი და ჩირქოვან-წყლულოვანი კერატიტი</p> <p>დაავადება ფართოდაა გავრცელებული, რეგისტრირებულია აზიასა და აფრიკაში, ავსტრალიაში, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში.</p>	<p>მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, აქლემი, ღორი და ფრინველი მგრძობიარეა ინფექციური კერატოკონიუნქტივიტის პათოგენების მიმართ. ავადდებიან ყველა ასაკობრივი ჯგუფის ცხოველები, მაგრამ ყველაზე მძიმედ ავადდებიან ხბოები და ახალგაზრდა ცხოველები 5 თვიდან 2 წლამდე.</p>	<p>ინფექციური კერატოკონიუნქტივიტის ძირითადი გამომწვევია.</p> <p><i>Riccolesia bovis (Rickettsia conjunctivae</i>. მიკროორგანიზმი ნაკლებად გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ.</p> <p>მატყლზე ძლებს 90 საათი, ფიზიოლოგიურ ხსნარში (20-22°C) ვირულენტობას ინარჩუნებს 24 საათი.</p> <p>დაავადების აღმძვრელი ძირითადად გამოიყოფა კონიუნქტივის ექსუდატით და ცხვირიდან გამოყოფილი ლორწოს მეშვეობით.</p>	<p>დაავადების აღმძვრელის წყაროა ავადმყოფი ცხოველები და კლინიკურად გამოჯანმრთელებული ცხოველები, რომლებიც მიკრობს გამოყოფენ კონიუნქტივის სეკრეციით და ცხვირის ლორწოსთან ერთად.</p> <p>დაავადების გამომწვევის გადაცემა ხდება პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტით, ასევე მექანიკურად ბუზების მონაწილეობით. ჯანმრთელი ცხოველები ავადდებიან ავადმყოფებთან კონტაქტით საძოვრებზე, კვების ადგილებსა და შენობებში.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 2 დღიდან 3 კვირამდეა. დაავადების აღმძვრელის აეროგენული გავრცელებით, დაავადება სწრაფად მოიცავს ცხოველთა დიდ ჯგუფს (1-4 კვირაში შეიძლება დაზარალებდეს ნახირის 80%-მდე).</p> <p>დაავადება ხდება წლის ნებისმიერ დროს, მაგრამ უფრო ხშირად გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე. ცხოველების მალალი კონცენტრაციით შენახვის სამრეწველო ტექნოლოგიის პირობებში, სიხშირის შესამჩნევი ზრდა შეინიშნება ნოემბერში, იანვარში და აპრილ-ივნისში. დაავადებას ახასიათებს სტაციონურობა და პერიოდულობა (3-4 წელი).</p> <p>ხელშემწყობი ფაქტორებია დაბალი ვეტერინარულ-სანიტარული, ზოოჰიგიენური და კვების პირობები.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ცხოველებს უზიანდებათ ერთი ან ორივე თვალი. დაავადების განვითარების ხუთ სტადიას გამოყოფენ: 1) კატარალური კონიუნქტივიტი ფოტოფობიით და ბლეფაროსპაზმით; 2) პარენქიმული კერატიტი, რქოვანას შეშუპებით; 3) სანყისი ჩირქოვანი კერატიტი, რქოვანას წყლული, რქოვანას დაბინდვა; 4) ჩირქოვანი კერატოკონიუნქტივიტი, რქოვანას პერფორაცია; 5) ჩირქოვანი პანოფთალმია, სიბრმავე.</p> <p>ძირითადი სიმპტომია კონიუნქტივიტი, რომელიც თავდაპირველად ხასიათდება კატარალური ლაკრიმაციის გაზრდით, ფოტოფობიით და ქუთუთოების სპაზმით. ცხოველები მოუსვენარი არიან და ჩრდილში რჩებიან. დაავადებულ ცხოველებს აღენიშნებათ საკვების მიღებისა და რძის პროდუქტების მკვეთრი შემცირება. მალევე ვითარდება ანთებითი სინითლე კონიუნქტივაზე. შეშუპებული კონიუნქტივის ზედაპირზე ჩანს 10 მმ დიამეტრის მცირე მონაცრისფრო-თეთრი კვანძები.</p>	<p>მკვდარი ან იძულებით დაკლული ცხოველების ლეშები საშუალო სიმსუქნეზე დაბალია. კონიუნქტივა განითლებულია და შეშუპებული. სისხლძარღვები გადავსებული, რქოვანა შემღვრეული და უხეში. სხვა ორგანოებში სპეციფიკური ცვლილებები არ აღინიშნება.</p>	<p>ინფექციური კერატოკონიუნქტივიტის დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად ეპიზოოტიური, კლინიკური, ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური და სეროლოგიური კვლევების საფუძველზე.</p> <p>ბაქტერიოლოგიური კვლევებისთვის ქუთუთოებს შორის დაგროვილი ნიმუშები სპეციალური საშუალებების გამოყენებით იგზავნება ლაბორატორიაში.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის ჩატარებისას უნდა გამოირიცხოს შემდეგი ინფექციური დაავადებები, რომლებსაც თან ახლავს თვალის დაზიანება: ავთვისებიანი კატარალური ცხელება, ლისტერიოზი, ლეპტოსპიროზი, ჰემორაგიული სექტიცემია (პასტერელოზი), ინფექციური რინოტრაქეიტი და ვირუსული დიარეა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია პარაზიტული დაავადებები (თელაზიოზი და სხვა).</p>	<p>თერაპია ითვალისწინებს აღდგენითი საშუალებების მალამოების გამოყენებას ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებით (ტილოზინი, ბიცილინი-3, ტეტრაციკლინი, ერთრომიცინი, ქლორმიცეტინი, სტრეპტომიცინი, ურზოციკლინი ბერლიცეტინის სპრეის კომბინაციაში).</p> <p>მკურნალობა იწყება დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე. ისინი აჩერებენ მეორად ინფექციებს და ჩირქოვანი პანოფთალმიის განვითარებას. მკურნალობისას ცხოველები მოთავსებულია ჩაბნელებულ ოთახში. აბსცესის ან წყლულის წარმოქმნის შემდეგ აუცილებელია ეპითელიზაცია, A ვიტამინით და გლუკოკორტიკოიდებით.</p>	<p>შემოღებული უნდა იქნას შეზღუდვები. ავადმყოფ, დაავადებაზე საექვო ცხოველებს იზოლირებულად მკურნალობენ 10-12 დღის განმავლობაში.</p> <p>ჯანმრთელი ცხოველები პროფილაქტიკური მიზნით, კვირაში ერთხელ 1,5 თვის განმავლობაში, კონიუნქტივში შეყვანით მუშავდებიან ანტიბიოტიკებით: ბიომიცინი, სულფატროლი და სინტიომიცინი.</p> <p>ამავდროულად ხდება შენობის მექანიკური დასუფთავება და მიმდინარე (კვირაში ერთხელ) დეზინფექციის ჩატარება. საძოვრებზე უნდა მოხდეს ბუზებთან და სხვა მწერებთან ბრძოლის ღონისძიებების გაძლიერება.</p>	<p>დაავადებული ცხოველების დაკვლა ხორციელდება საქართველოს მთავრობის №444-ე დადგენილების მოთხოვნების მიხედვით.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ინფექციური ლარინგოტრაქეიტი</b></p> <p>ლათ. Laryngotracheitis infectiosa</p> <p>ინგ. Laryngotracheitis</p> <p>რუს. Инфекционный Ларинготрахеит</p> <p>მწვავედ მიმდინარე კონტაგიოზური რესპირატორიული დაავადებაა. ხასიათდება ტრაქეის ხახის და თვალის ლორწოვანი გარსების დაზიანებით. გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ავადდება ყველა ჯიშის და ასაკის ქათამი. ავადდება აგრეთვე ინდაური და ხოხობი. ძირითადად ამთვისებელია სარემონტო მოზარდი 60-100 დღის ასაკში. სტაციონარულად არაკეთილსაიმედო მეურნეობაში ავადდებიან წინილები 25-30 დღის ასაკშიც.</p>	<p>აღმძვრელი განეკუთვნება <i>Herpesviridae</i>-ის ოჯახის წარმომადგენელი. გვარი <i>Herpesvirus</i>.</p> <p>ვირუსი ძირითადად ლოკალიზებულია სასუნთ გზებში, ნაკლებად ღვიძლში და ელენთაში.</p> <p>ვირუსი შენობაში ფრინველის გარეშე ძლებს 6-9 დღე, წყალში – 1 დღე, ლეში – 30 დღე, ბუმბულში და საკვებში – 154 დღე. საინკუბაციო კარადაში – 4 დღე. ინფექციის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ფრინველი. ვირუსმატარებლობა – 2 წელია.</p>	<p>ფრინველის დასენიანება ძირითადად ხდება აეროგენურად დაავადებულ ფრინველთან კონტაქტით. შესაძლებელია ალიმენტალური გზაც (საკვები, წყალი).</p> <p>ერთი მეურნეობიდან მეორეში შეიძლება გადატანილი იქნას დაავადებული ფრინველით, კვერცხით, დაკვლის პროდუქტებით, საკვებით, წყლით, მოვლის საგნებით, ტრანსპორტით, მომვლელი პერსონალით.</p> <p>დაავადება ვრცელდება ეპიზოოტის სახით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 3-10 დღე.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს ზემწვავედ, მწვავედ და ქრონიკულად. ზემწვავე ფორმა ჩნდება უეცრად და ხასიათდება მაღალი ლეტალობით (დაავადებული ფრინველის 50-60%).</p> <p>მაღალია სიკვდილიანობა დაავადების მწვავე ფორმის დროსაც (10-15%). ქრონიკული ფორმის დროს სიკვდილიანობა 2-5%-ია.</p> <p>დაავადებისთვის დამახასიათებელია 2 ფორმა: ლარინგოტრაქეიტული და კონიუქტიური, პირველი მიმდინარეობს ზემწვავედ და მწვავედ. მეორე – ქრონიკულად.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების ლარინგოტრაქეოტური ფორმის დროს დაავადებული ფრინველი ნაკლებად მოძრავია, დუნეა. ზის აბურძგნული და თვალბდახუჭული. მადა დაქვეითებულია, ან საერთოდ არ აქვს. ხახის და ტრაქეის ლორწოვანი შეშუპებული და განითვლებულია. ტრაქეაში გროვდება ექსუდატი, რაც აძნელებს სუნთქვას, შემდეგ ჩნდება ხველა და ინვევს ფრინველის მოგუდვას. ფრინველი სუნთქავს ღია პირით. სუნთქვისას ფრინველი კისერს წევს მაღლა და წინ. გამოსცემს ხიხინის ხმას. ეს ხმა მკაფიოდ ისმის ღამე. ტრაქეაზე მსუბუქი დანოლა ინვევს მტკივნეული რეაქციას. კონიუქტიური ფორმის დროს ზიანდება თვალები და ცხვირის ღრუ. ადგილი აქვს თვალის ლორწოვანის ჰიპერემიასა და სინათლის მიმართ შიშს. ფრინველი მიყუჟულია ბნელ ადგილას. თვალისგან გამოინადენი ექსუდატი ხდება ხაჭოს-მაგვარი, მასზე გაზრდილი მიკროფლორა ინვევს კერატიტს და მხედველობის დაკარგვას.</p>	<p>მკვდარი ფრინველის დათვალიერებისას ცვლილებებს ძირითადად ნახულობენ ხახაში და ტრაქეაზე. ხახაში თვალსაჩინოა კაზეოზური საცობები. ასევე შესამჩნევია ლორწოვანი (სისხლის მინარევით) ნადების კერები. ხშირია მოგუდვის ნიშნები, ლორწოვანი გარსების სილურჯე და ვენოზური შეგუბება ფილტვებში.</p> <p>ზოგიერთ ფრინველში წვრილი ნაწლავების ლორწოვანზე, კლოაკაზე და ფაბრიციუსის ჩანთაზე კატარალურ-ჰემორაგიული ანთების ნიშნებია.</p> <p>კონიუქტიური ფორმისთვის დამახასიათებელია კერატიტის, კონიუქტივიტის, რინიტის და სინუსიტის ნიშნები.</p>	<p>დაავადების დიაგნოსტიკა ხდება ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგო-ანატომიური ცვლილებების და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე.</p> <p>ლაბორატორიაში აგზავნიან მკვდარი ფრინველის ლეშს, ექსუდატს აღებულს ტრაქეიდან. გაკვეთისას ტრაქეას, ფილტვებს და ცხვირის ძგიდეებს.</p> <p>ლარინგოტრაქეის დიფერენცირება უნდა მოხდეს ინფექციური ბრონქიტისაგან, პასტერელოზისაგან, მიკოპლაზმოზი საგან.</p>	<p>სპეციფიკური ეფექტური მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის. მეორადი ინფექციების საწინააღმდეგოდ იყენებენ ანტიბიოტიკებს.</p>	<p>დაავადებაგადატანილი ფრინველი იძენს იმუნიტეტს მთელი სიცოცხლის მანძილზე.</p> <p>დაავადების გაჩენისას ანესებენ კარანტინს და ასრულებენ ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებებს, აქტიური იმუნიზაციის მიზნით იყენებენ ვაქცინებს.</p>	<p>კვერცხი დეზინფექციის შემდეგ გამოიყენება მხოლოდ საკვებად.</p> <p>ინკუბაცია არ ხდება. მხოლოდ ჯანმრთელ ფრინველს აგზავნიან დასაკლავად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკრობმატარებლობა	ინჰუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ინფექციური მასტიტი</b></p> <p>ლათ. Infectiosis mastitis</p> <p>ინგ. Infectious mastitis</p> <p>რუს. Инфекционный мастит</p> <p>სხვადასხვა სახეობის მდედრი ცხოველების მწვავე, გადამდები დაავადებაა, ძირითადად ვლინდება რქოსანი პირუტყვის ცურის სხვადასხვა ფორმის ანთებით, აგრეთვე სხეულის ზოგადი მდგომარეობის დარღვევით და ინტოქსიკაციით.</p>	<p>ავადდება ყველა სახის ძუძუმწოვარა ცხოველი. ხშირად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თხა, იშვიათად ცხვარი.</p> <p>ცხოველები ძირითადად ავადდებიან ლაქტაციის პერიოდში. მშრალობის პერიოდში დაავადება მიმდინარეობს ფარულად (სუბკლინიკური ფორმით) ძროხების 70%-ში.</p> <p>ავადდება ადამიანიც.</p>	<p>ძროხებში მასტიტს უმეტეს შემთხვევაში ინვევენ სტრეპტოკოკები და სტაფილოკოკები. <i>Streptococcus agalactiae</i> - არის ძროხებში მასტიტის სპეციფიკური გამომწვევი აგენტი (სხვა სეროჯგუფების სტრეპტოკოკები - <i>S. uberis</i>, <i>S. dysgalactiae</i> და სხვა არ აქვთ ეპიზოოტოლოგიური მნიშვნელობა, თუმცა შეიძლება გამოვყოთ ძროხის მასტიტის დროს). ძროხებში ნაკლებად გავრცელებულია <i>E. coli</i>-ით გამოწვეული მასტიტი.</p> <p>ცხვრებსა და თხებში მთავარი გამომწვევი აგენტია <i>S. aureus</i>.</p> <p>დასახელებული მიკროორგანიზმები პათოგენურია თეთრი თავგების მიმართ.</p> <p>გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ ცხოველის სადგომში და საძოვარზე ძლებს 60-100 დღე.</p>	<p>დაავადების აღმწვერლების გამოყოფა ხდება სარძევე დვრილებიდან წველის და წოვის დროს. ცურის დასენიანება ხდება რამოდენიმე გზით: 1. ლაქტოგენური (სარძევე დვრილებიდან); 2. ლიმფოგენური (დვრილების ქრილობიდან) 3. ჰემატოგენური (სხვა ორგანოებიდან).</p> <p>არის სხვა გზებიც: კონტაქტი ქვეშაფენთან, მწველავის დასვრილი ხელებიდან, მოვლის საგნებიდან. დაავადებას აქვს სტაციონალური ხასიათი.</p> <p>დაავადებისადმი ცხოველებს განაწყობს რეზისტენტობის დაქვეითება, ცუდი სანიტარული და ზოოჰიგიენური პირობები, ქრილობები ცურზე და სხვა.</p>	<p>მასტიტის მიმდინარეობა შეიძლება იყოს ზემწვავე, მწვავე, ქვემწვავე, ქრონიკული და სუბკლინიკური.</p> <p>მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნახირში მასტიტით შეიძლება დაავადდეს 3-50% ძროხა, მერძელმა პროდუქტიულობამ დაიკლოს 10-40%. დვრილების ატროფიის შედეგად ხშირია ფურების ადრეული გამოწუნება.</p> <p>ლეთალობა წვრილრქოსანში 50-60%-ია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და დიფ. ღიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნედლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>კლინიკური გამოვლინების მიხედვით განასხვავებენ სეროზულ, კატარალურ, ფიბრინოზულ, ჩირქოვან და ჰემორაგიულ მასტიტს.</p> <p>სეროზული მასტიტის დროს აღინიშნება დაზიანებული წილის ანთებითი შეშუპება, სეკრეციის დაქვეითება, მაგრამ რძის გამოყოფა ჩვეულებრივ არ იცვლება. კატარალური მასტიტის დროს რძე იცვლის ფერს მოლურჯონაცრისფერიდან კრემისფერამდე, შეიცავს მცირედ კოლტებს და კაზეინის ფანტელებს; ცხოველის ზოგადი მდგომარეობა ნორმალურია, შესაძლებელია მადის დაქვეითება, სხეულის ტემპერატურის მომატება. ამავე დროულად, ცური გადიდებულია მოცულობაში, შეშუპებული და შენითლებულია. ფიბრინოზული მასტიტის დროს მიმდინარეობა ჩვეულებრივ მწვავეა, ზოგადი მდგომარეობა დათრგუნულია, სხეულის ტემპერატურა 40°C-მდე. ჩირქოვანი მასტიტის დროს გამოიყოფა ბლანტი ყვითელმწვანე ან მოყვითალო-ვარდისფერი ჩირქი. ცხოველი მძიმე დეპრესიაშია, აღინიშნება ცურის განგრენოზული დაზიანებები და ზოგადი სეპტიური მოვლენები.</p>	<p>მასტიტით მკვდარ ცხოველში სუსტად არის გამოხატული ლემის გაშეშება, ლორწოვანი გარსები ანემიურია, ლიმფური კვანძები გადიდებული, ჰიპერემიული, სისხლჩაქცევებით. აღინიშნება ზოგადი სეპტიციემიის ნიშნები – ფილტვის შეშუპება სისხლჩაქცევებით პარენქიმულ ორგანოებში, პლევრაზე, მეზენტერიალურ ლიმფურ კვანძებზე, ეპიკარდიუმზე. პერიტონიუმის კანქვეშა ქსოვილი შეშუპებულია, გაჯერებულია ექსუდატით.</p> <p>მასტიტის საერთო პათოანატომიური ნიშანია ალვეოლების გადატვირთვა სეკრეციის პროდუქტებით, მათი გამოყოფის დარღვევის შედეგად.</p>	<p>ინფექციური მასტიტის დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური და პათოანატომიური კვლევების შედეგების, აგრეთვე სუბკლინიკური მასტიტის დიაგნოსტიკის სპეციალური ტესტების საფუძველზე (ტესტები: დიმასტინი, მასტიდინი, სეტლინი, ბრომთიმოლი), რომლებიც ეფუძნება სომატური უჯრედების გაზრდილი რაოდენობის განსაზღვრას.</p> <p>გარდა ამისა, ტარდება მკურნალობის დაწყებამდე მიღებული ცურის და რძის სეკრეციის ნიმუშების ბაქტერიოლოგიური კვლევები. სავალდებულო მიკროსკოპია და იზოლირებული კულტურების იდენტიფიკაცია, სეროლოგიური ტიპირება და მათი ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობის დადგენა. ეს საშუალებას იძლევა ჩატარდეს ეფექტური მკურნალობა.</p> <p>არ არის რთული მასტიტის დიფერენცირება სხვა დაავადებებისგან. საჭიროა მხოლოდ იმის გათვალისწინება, რომ ბევრ ინფექციურ დაავადებაში მასტიტი შეიძლება იყოს ერთერთი კლინიკური ნიშანი.</p>	<p>მასტიტების სამკურნალოდ გამოიყენება კომპლექსური პრეპარატები, რომლებშიც შედის ფართო სპექტრის მრავალი ანტიბაქტერიული საშუალებები, რომლებიც მოქმედებენ როგორც გრამდადებით, ასევე გრამუარყოფით მიკროორგანიზმებზე.</p> <p>პრეპარატები ძირითადად შეყავთ დერილებში, რომლის შედეგადაც აკეთებენ ენერგიულ მასაჟს და ხშირი ჩამოწველით ცურს ანთავისუფლებენ შიგთავსისაგან.</p> <p>მასტიტის სამკურნალო პრეპარატები უნდა შეირჩეს მოლოდინის პერიოდის მიხედვით.</p>	<p>ნახირში უნდა იყოს მუდმივი მონიტორინგი მასტიტზე. მეურნეობაში აუცილებელია დაცული იყოს ვეტერინარულ-სანიტარული და ზოოჰიგიენური პირობები. პერიოდულად ჩატარდეს ძროხების გამოკვლევა სუბკლინიკურ მასტიტზე.</p>	<p>გამოყენება ხდება სამთავრობო №444-ე დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ინფექციური ჰიდროპერიკარდიტი / გულის წყალმანაკი / კოუდრიოზი</b></p> <p>ლათ. Hydropericarditis</p> <p>ინგ. Heartwater</p> <p>რუს. Инфекционный гидроперикардит / Сердечная водянка / Коудриоз</p> <p>პირუტყვის და ყველაფრისმჭამელთა გადამდები, უპირატესად მწვავე სეპტიური დაავადება, რომელსაც ახასიათებს ჰემორაგიული დიათეზი, ცხელება, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებები, სეროზულ-ფიბრინოზული პერიკარდიტი, პლევრიტი, ზოგჯერ პერიტონიტი ექსუდატის დაგროვებით სხეულის ღრუსა და გულის პერანგში.</p> <p>ინფექციური ჰიდროპერიკარდიტი გავრცელებულია აფრიკის ბევრ ქვეყანაში, სადაც ის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს აყენებს პირუტყვს; ასევე რეგისტრირებულია იორდანიაში, ლიბანში, სირიაში, მადაგასკარში, იუგოსლავიასა და აშშ-ში.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ჰიდროპერიკარდიტით ავადდება ცხვარი, თხა და პირუტყვი, აქლემი და ღორი; გარეული ცხოველებიდან – სამხრეთ აფრიკული გაზელები და მრავალი სახეობის ანტილოპა. ლაბორატორიული ცხოველებიდან, ბოცვრები, ზღვის გოჭები და თეთრი ვირთხები. ადამიანი დაავადების მიმართ იმუნურია.</p>	<p>დაავადების ალმძვრელია <i>Ehrlichia ruminantium</i>, რომელიც ლოკალიზდება თავის ტვინის ქერქის სისხლძარღვების ენდოთელის, პლაზმამი, აორტაში, საუღლე ვენაში, თირკმელებში, ცხოველის სისხლში ჩნდება დაავადების 2-4 დღეზე და ვირულენტობას ინარჩუნებს 45 დღეს. ლეშეში 6 დღეს, გაყინულ თავის ტვინში – 12 დღე, ოთახის ტემპერატურაზე დეფიბრინებულ სისხლში – 20 დღე, ოთახის ტემპერატურაზე 12 დღე. ალმძვრელი წარმოდგენილია მრავალი შტამით, რომელიც ავლენს მაღალ გენეტიკურ და ანტიგენურ თვისებებს.</p> <p>დაავადების ალმძვრელი წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ცხოველები.</p>	<p>დაავადების გამომწვევი აგენტი ცხოველებს ბუნებრივად გადაეცემა <i>Amblyomma</i> გვარის <i>ixodid</i> ტკიპებით (<i>A. hebraeum</i>, <i>A. vanegatum</i>, <i>A. gemma</i> და <i>A. pomposum</i>), რომლის ორგანიზმში ის სიცოცხლისუნარიანი რჩება. 3 თვემდე. ინფექცია ვითარდება მაშინ, როდესაც ცხოველებს ტკიპები კბენენ ნიმფის და მოზრდილის სტადიაზე.</p> <p>დაავადება ჩვეულებრივ გვხვდება თბილ ქვეყნებში.</p> <p>დაავადება ხშირად ჩნდება დაბლობ, ნოტიო და ტყიან ადგილებში.</p> <p>არახელსაყრელ რაიონში ეპიზოოტია ვითარდება ძალიან ნელა, ხშირად 6-8-დღიანი ინტერვალით, ცხოველების მცირე ჯგუფებში და არ ჩერდება მანამ, სანამ მთელი ამთვისებული პირუტყვი მთლიანად არ დაავადდება.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი ცხვრებში 5-18, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში - 10-დან 35 წლამდე, მაგრამ ჩვეულებრივ დაახლოებით 14 დღე; ღორებში - 1-2 კვირა.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს ზემწვავე, მწვავე, ქვემწვავე, ნაკლებადქრონიკულად, აბორტულად და მსუბუქი ფორმით.</p> <p>მსხვილფეხა პირუტყვში ლეტალობა 60%-ს აღწევს, ხოლო ყველაზე მაღალია დაახლოებით 18 თვის ასაკის ცხოველებში, ცხვრებსა და თხებში – 40-90%. ცხოველთა სხვა სახეობებში ჰიდროპერიკარდიტით გამოწვეული სიკვდილიანობა 6-დან 100%-მდე მერყეობს.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და ლიზ. დიაგნოზი	სანიანაღმდებო ღონისძიებები		პროფუქციისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ელვისებური მიმდინარეობის დროს სხეულის ტემპერატურა უეცრად მატულობს 42°C-მდე, შემდეგ მკვეთრად ეცემა და ეწყება კრუნჩხვები. პირველი კლინიკური ნიშნების გამოვლენიდან 36 საათის შემდეგ ხშირად ცხოველი მოულოდნელად კვდება.</p> <p>დაავადების მწვავე მიმდინარეობა იწყება ტემპერატურის მატებით 40-41,6°C-მდე. ამ დონეზე, ის რამდენიმე დღის განმავლობაში ჩერდება, შემდეგ სწრაფად ეცემა.</p> <p>ტემპერატურის მატების პერიოდში აღინიშნება ზოგადი სისუსტე, მადის დაკარგვა, გულისცემის და სუნთქვის გახშირება. ცხოველი ხშირად წევს, ჭიმავს ფეხებს და თავს უკან აგდებს.</p> <p>დაავადების აბორტული ფორმა, როგორც წესი, შეინიშნება ადგილობრივ პირუტყვში, ანტილოპებსა და ირანულ ცხვრებში, რომლებსაც აქვთ მაღალი ბუნებრივი გამძლეობა ამ ინფექციის მიმართ.</p>	<p>პათოლოგიური ცვლილებები ყველა მცოხნავში ერთნაირია, მაგრამ მათი გამოვლინების ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება ინფექციის ფორმისა და მიმდინარეობის მიხედვით. ზოგადად, ისინი წარმოადგენენ მწვავე ჰემორაგიულ დიათეზს სხვადასხვა ღრუში უხვი გამონაყარის წარმოქმნით და პარენქიმულ ორგანოებში დეგენერაციულ ცვლილებებთან. ჰიპერმწვავე მიმდინარეობისას მხოლოდ ელენთის შეშუპება და სისხლჩაქცევები ეპი- და ენდოკარდიუმზე გვხვდება.</p> <p>ქვემწვავე და ქრონიკული მიმდინარეობისას ლეში ჰემორაგიული დიათეზის სურათი რამდენადმე, ჭარბობს ზოგადი დაღლილობის, პნევმონიის და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაზიანების ნიშნებს.</p> <p>გულის პერანგში გვხვდება მონაცრისფრო-თეთრი ექსუდატი; მიოკარდიუმში ფერმკრთალია, გული გადიდებული. ავლენს პერიტონიტს, ლვიძლის შეშუპებას. ლვიძლის ფერი მონითალო-ყავისფერია. ართრიტის დროს სახსრები შეიცავს დიდი რაოდენობით შემღვრეულ ექსუდატს.</p>	<p>დიაგნოზი დგინდება დამახასიათებელი ეპიზოოტიური და კლინიკური მონაცემების, პათოლოგიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე.</p> <p>კვლევისთვის ლაბორატორიაში იგზავნება დაფიქსირებული სისხლის ნაცხი, ტვინი, დიდი სისხლძარღვები (აორტა, საუღლე ვენა) და თირკმელები, რომლებიც აღებულია ახლად მკვდარი ცხოველისგან. მასალა ლაბორატორიაში იგზავნება ყინულიანი თერმოსით.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლენენ ჰელმინთოზთან, პიროპლაზმოზთან, ბლუტანგთან, ჭირთან, ჯილეხთან, ტეტანუსთან, ტრამეულ პერიკარდიტთან, მონამვლებთან.</p>	<p>სამკურნალოდ იყენებენ ანტიბიოტიკებს: დოქსიციკლინს, ოქსიტეტრაციკლინს.</p> <p>კორტიკოსტეროიდები გამოიყენება როგორც დამხმარე თერაპიული პრეპარატები.</p> <p>დიაზეპამი შეიძლება საჭირო გახდეს კრუნჩხვების მოსახსნელად.</p>	<p>ცხოველებს უვითარდებათ არასტერილური იმუნიტეტი ჰიდროპერიკარდიტის გამომწვევი აგენტის მიმართ, მაგრამ მისი ბუნება ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი.</p> <p>ინფიცირებული სისხლის შეყვანის შედეგად შეძენილი ხელოვნური იმუნიტეტი არ არის დამოკიდებული ქიმიოთერაპიულ მკურნალობაზე და გრძელდება მრავალი თვის განმავლობაში (1,5 წლამდე).</p> <p>ჰიდროპერიკარდიტის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსურად მიმდინარეობს ცხოველების ვექტორული აგენტებისგან დასაცავად.</p>	<p>ითვალისწინებენ სამთავრობო №444-ე დადგენილების მოთხოვნებს.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	ალმკვრელი და მისი წყარო	ალმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>იხვის ჭირი / ვირუსული ენტერიტი</b></p> <p>ლათ. Duck plaque</p> <p>ინგ. Duck virus enteritis / Duck plaque</p> <p>რუს. Вирусный энтерит уток / Голландская чума уток</p> <p>კონტაგიოზური დაავადებაა, ხასიათდება კუჭნაწლავის ტრაქტის დაზიანებით, მრავლობითი სისხლჩაქცევებით პარენტო-ქიმატოზულ ორგანოებში, გამოფიტვით, ფიბრინოზულ-ექსუდატიური ანთებითი პროცესების განვითარებით.</p>	<p>ავადებიან შინაური და გარეული იხვები, ბატები და გედები</p>	<p>ვირუსი ეკუთვნის <i>Herpesviridae</i>-ს ოჯახს. ვირუსს აქვს ჰემაგლუტინაციის თვისებები, მრავლდება იხვის და ბატის ემბრიონებში.</p> <p>ვირუსს შეიცავს დაავადებული იხვების გამონაყოფები; არ არის რეზისტენტული გარემო არის და სადებინფექციო საშუალებების მიმართ.</p>	<p>იხვის ვირუსული ენტერიტის გამომწვევი ვირუსი გადაეცემა პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტით ინფიცირებულ ორგანიზმთან და დაბინძურებულ გარემოსთან. წყალი ვირუსის გადაცემის ბუნებრივი გზაა.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ 3-დან 10 დღემდეა. ფერმაში იხვის ჭირის თავდაპირველი გამოჩენით, აღინიშნება ინფექციის სწრაფი გავრცელება მთელ ნახირში. ამას ხელს უწყობს სარწყავი სისტემის ფართო ქსელი.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>საწყისი კლინიკური ნიშნები ფრინველის დეპრესიული მდგომარეობაა. ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომებიდან უნდა აღინიშნოს იხვეების რთული კრუნჩხვითი მოძრაობები, კვებაზე უარის თქმა, ძლიერი წყურვილი, ფრთების ჩამოშლა. ასეთი კლინიკური სურათით, ფრინველი კვდება 4-15 დღის განმავლობაში. იხვის კვერცხის დება მცირდება, კვერცხის ნაჭუჭი სისხლით იღებება, ვინაიდან ერთ-ერთი წამყვანი ნიშანია ენტერიტი, რომელსაც თან ახლავს სისხლიანი დიარეა.</p> <p>სტაციონარულ არაკეთილსაიმედო მეურნეობებში ფრინველებს შესაძლოა არ ჰქონდეთ დაავადების გამომავალი კლინიკური ნიშნები. იხვის ჭირი ვლინდება ატიპიური გამოვლინებით და ნაწლავის ფუნქციის პერიოდული დარღვევებით, ახალგაზრდა ცხოველები ჩამორჩებიან ზრდაში.</p>	<p>დაავადების მწვავე მიმდინარეობისას იხვის ჭუკების ლეშების გამოფიტვას ადგილი არ აქვს. გაკვეთისას ყველაზე დამახასიათებელია კუნთოვანი ქსოვილის გაუწყლოვნება, მასიური სისხლჩაქცევები კუნთებში, გულში, ღვიძლში, თირკმელებში და ელენტაში. თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვან გარსზე, სისხლჩაქცევები, წვრილი და მსხვილი ნაწლავების ლორწოვანი გარსის დიფტერიული ანთება. კუჭის კუნთოვანი ქსოვილი რეგენერირებულია, ხშირად სისქეში გვხვდება ნეკროზის რუხი-თეთრი კერები, რომლებიც წააგავს თეთრი კუნთების დაავადებისთვის დამახასიათებელ ცვლილებებს.</p>	<p>საბოლოო დიაგნოზი ეფუძნება ლაბორატორიულ ტესტებს, რისთვისაც საკვლევად იღებენ ღვიძლის, ელენტა და ნაწლავების ნაწილებს.</p> <p>ვირუსის იზოლირებისთვის გამოიყენება 20-30 დღის ასაკის იხვის ჭუკები, იხვის ემბრიონები და უჯრედული კულტურები.</p> <p>იხვის ჭირი უნდა განვასხვავოთ გრიპისგან, პასტერელოზისგან, მიკოტოქსიკოზისგან, სალმონელოზისგან, პესტიციდებით მოწამვლისგან.</p>	<p>დღეისათვის მკურნალობის მეთოდები შემუშავებული არ არის.</p>	<p>გამოჯანმრთელებული იხვები იძენენ იმუნიტეტს და კვერცხთან ერთად გადასცემენ პასიურ ანტისხეულებს შთამომავლობას.</p> <p>ბევრ ქვეყანაში გამოიყენება ქათმის ფიბრობლასტებზე დამზადებული ვაქცინები.</p>	<p>სპეციალური რეგლამენტი შემუშავებული არ არის. ხელმძღვანელობენ სამთავრობო №444-ე დადგენილებით.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	ალმკვრელი და მისი წყარო	ალმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>იხვის ჭუკების ვირუსული ჰეპატიტი</b></p> <p>ლათ. Hepatitis viralis anaticularum</p> <p>ინგ. Duck viral hepatitis</p> <p>რუს. Вирусный гепатит уток</p> <p>ჰეპატიტი კონტაგიოზური შედარებით ნაკლებად შესწავლილი ვირუსული დაავადებაა.</p> <p>ვლინდება ზოგადი დათრგუნვით, ლვიძლის დაზიანებით, ჭუკების მაღალი სიკვდილიანობით სიცოცხლის პირველ დღეებში ძირითადად 3 დღის ასაკიდან 3 კვირის ასაკამდე.</p>	<p>ავადდება იხვის ჭუკები ძირითადად 3 დღიდან - 4 კვირის ასაკამდე.</p> <p>ვირუსული ჰეპატიტით გარდა შინაური იხვის ჭუკებისა, ავადდება ბატის და გარეული იხვის ჭუკებიც. ზრდასრული იხვები დაავადების სიმპტომებს არ ამჟღავნებენ. ლაბორატორიული ცხოველები და ქათმისებრთა ოჯახის წარმომადგენლები ვირუსული ჰეპატიტით არ ავადდებიან.</p>	<p>დაავადების ალმკვრელი ვირუსი პიკარნოვირუსების (<i>Picornaviridae</i>) ოჯახის წარმომადგენელია.</p> <p>დაავადების ალმკვრელი ვრცელდება მთელ ორგანიზმში.</p> <p>დაავადების ალმკვრელ ვირუსს ნახულობენ კვერცხის ყვითრშიც, ასეთი კვერცხის ინკუბირებისას იხოცება ემბრიონების 7 - 50% განვითარების სხვადასხვა სტადიაში.</p> <p>ვირუსი 2-4<sup>0</sup>C-ზე სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს 100 დღემდე. 37<sup>0</sup>C-ზე – 21 დღეს.</p>	<p>იხვის ჭუკების დასენიანებას ხელს უწყობს შემჭიდროვებული შენახვა, ტენიანობა, დაბალი ტემპერატურა, ორპირი ქარი და სხვა. ვირუსის გადაცემის ფაქტორებია: საკვები, წყალი, ქვეშაფენი, დასვრილი იარაღები და მოვლის საგნები. ვირუსის გამოყოფა გარემოში ხდება ცხვირიდან გამონაყოფებით, თვალიდან გამონადენით და ფეკალით. დაავადებამოხდელი და გამოჯანმრთელებული ჭუკები ვირუსმტარებელნი არიან დიდი ხნის განმავლობაში და გარემოში გამოყოფენ ვირუსებს.</p> <p>ბუნებრივ პირობებში დასენიანების გზა აეროგენური და ალიმენტარულია. დაავადება ვლინდება სიცოცხლის პირველ დღეებში და პიკს აღწევს მეხუთე დღეს, შემდეგ კი კლებულობს. მომდევნო პერიოდში გამოჩენილი ჭუკები მთლიანად ავადდებიან.</p> <p>დაავადებამოხდელი ჭუკები ცუდად ვითარდებიან, ჩამორჩებიან ზრდაში, ქვეითდება ხორცის წარმოება და დარგი არარენტაბელური ხდება. ზარალს ზრდის აგრეთვე შემზღუდავ ღონისძიებებზე განეული ხარჯები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 2-5 დღეა.</p> <p>მოხვდება რა ვირუსი ჭუკების ორგანიზმში, სწრაფად მრავლდება და სისხლის მეშვეობით ხვდება სასიცოცხლო ორგანოების (ღვიძლი, ელენთა, თავის ტვინი) უჯრედებში და აზიანებს მათ, რაც იწვევს ფრინველის სიკვდილს.</p> <p>დაავადება ძირითადად მიმდინარეობს მწვავედ და ქრონიკულად. კლინიკური ნიშნები ვლინდება უეცრად.</p> <p>სიკვდილიანობამ შეიძლება მიაღწიოს 90-95%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>ჭუკები უარს ამბობენ საკვებზე, არიან უძრავად, აღენიშნებათ ნერვული სისტემის აშლილობა, თვალის ნაპრალის შევიწროება და კონიუნქტივიტი. ჭუკები წვანან გაშლილი კიდურებით. მათ ეწყებათ კანკალი, კიდურებით ასრულებენ ცურვით მოძრაობას. აღწერილი კლინიკით ჭუკები კვდებიან რამდენიმე საათში. სიკვდილის წინ ჭუკებს თავი აქვთ უკან გადაგდებული და კიდურები წინ გაშვებული. ქრონიკული მიმდინარეობისას (ძირითადად ზრდასრულები) იხვეები დათრგუნულია, დაზიანებული აქვთ სახსრები, მუცელი შებერილი, ახასიათებთ ვერტიკალური დგომა (პინგვინის პოზა). ასეთ მდგომარეობაში ფრინველი რამდენიმე საათში კვდება.</p>	<p>ცვლილებები ძირითადად აღინიშნება ღვიძლში. ღვიძლი მომატებულია მოცულობაში, მისი ფერი იცვლება ყვავისფრამდე. ნაღვლის ბუშტი გადავსებულია ნაღველით. ღვიძლის ის ნაწილი, რომელიც ეხება ნაღვლის ბუშტს, ღებულობს მუქ-მწვანე შეფერილობას. ღვიძლის მთელ ზედაპირზე ნახულობენ წვრილ ნერტილოვან და მსხვილ კეროვან სისხლჩაქცევებს, რომელიც ჩადის სიღრმეში (პარენქიმის სისქეში). ფილტვებში შეიმჩნევა ჰემორაგიული ასციტი და შეშუპება. ვითარდება პერიკარდიტი, ფიბრინოზულ-დიფერიული ნადებით. ზოგჯერ ადგილი აქვს თირკმლების ანთებას.</p> <p>დაავადების ქრონიკულად მიმდინარეობისას ზემოთ აღწერილ დამახასიათებელ პათოლოგოანატომიურ ცვლილებებს (ღვიძლის და ელენთის გადიდებას) ემატება კეროვანი ნეკროზები და სახსრების ანთება.</p>	<p>დიაგნოზის დასმისას ითვალისწინებენ დაავადების უეცრად წარმოშობას და სწრაფ გავრცელებას. დამახასიათებელ კლინიკურ ნიშნებს და პათოლოგოანატომიურ ცვლილებებს. დიაგნოზის დაზუსტების მიზნით ლაბორატორიაში აგზავნიან პათოლოგიურ მასალას (ღვიძლს, ელენთას, თავის ტვინს) და მთლიანად მკვდარ ან დაავადებულ იხვის ჭუკს.</p> <p>დიაგნოზის დასმის მიზნით ატარებენ ბიოცდას ამთვისებელ იხვის ჭუკებზე. 72 საათის შემდეგ ვირუსის ინტრანაზალურად შეყვანიდან ვლინდება დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები და ცვლილებები.</p> <p>დაავადების დიფერენცირებას ახდენენ ბოტულიზმთან, იხვის ჭირთან და სალმანელოზთან.</p>	<p>იხვის ჰეპატიტის სამკურნალოდ იყენებენ ჰიპერიმუნურ შრატს და ანტიბიოტიკებს (მეორადი ინფექციის სანიანალმდებოლად).</p>	<p>4 კვირის ასაკის შემდეგ იხვის ჭუკები ვირუსული ჰეპატიტით ფაქტიურად არ ავადდებიან.</p> <p>პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ცოცხალ და ინაქტივირებულ ვაქცინებს. ვაქცინით ჭუკებს ცრიან გამოჩეკის დღიდან. კვრეცხმდებელი იხვის 3 ჯერადი აცრის შედეგად, კვრეცხით იმუნიტეტი გადაეცემა ჭუკებს.</p>	<p>ყველა დაავადებული და დაავადებაზე საეჭვო იხვებს, აგრეთვე სუსტებს და გამხდრებს სპობენ. დანარჩენებს ტოვებენ გამოსაზრდელად. ზრდასრულ იხვებს კვრეცხდების დამთავრების შემდეგ კლავენ სახორცედ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნოველი	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკრობმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კამპილობაქტერიოზი (ვიბრიოზი)</b></p> <p>ლათ. <i>Campylobacteriosis / Vibriosis genitalis enzootica bovis / ovis</i></p> <p>ინგ. <i>Vibriosis / Vibriofetus infection of cattle &amp; Sheep / Winter dysentery / Black scours</i></p> <p>რუს. <i>Кампилобактериоз / Вибриоз</i></p> <p>მრავალი სახეობის ცხოველის ზოონოზური ინფექციური დაავადებაა. ვლინდება სასქესო ორგანოების დაზიანებით, ვაგინიტებით. ხშირი ბერნიანობით, დროგამოშვებით უნაყოფობით, მასიური აბორტებით, მეტრიტებით, მომყოლის შეჩერებით, დაბალი სიცოცხლის უნარიანი შთამომავლობის დაბადებით. ნაწლავების და ღვიძლის დაზიანებით. ქათმებში კვერცხდების დაქვეითება, ბროილერებში დაბალი წონამატი; წინილების მაღალი სიკვდილიანობა.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში კამპილობაქტერიოზით ხშირად ავადდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, ღორი, თხა, ქათამი, ძაღლი და სხვა.</p> <p>ბულის სასქესო ორგანოებში დაავადების აღმძვრელები დიდხანს ცოცხლობენ. მათი ადგილსამყოფებია სათესლეების ლორწოვანი გარსები, გამოიყოფიან სპერმით სათესლე ჯირკვლების დანამატის სეკრეტებით.</p> <p>საშიშია აგრეთვე დაავადებული ძროხები და დეკეულები. რომლებიც აღმძვრელებს გამოყოფენ 3-10 თვე საშოდან გამონადენით, შარდით, რძით, აბორტირებული ნაყოფით, სანაყოფე სითხით.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია სახეობა <i>Campylobacteris</i> 5 წარმომადგენელი. ში დაავადებას ძირითადად იწვევს:</p> <p><i>C. fetus subsp. venerealis</i>, <i>C. fetus ssp. fetus (intestinalis)</i>, <i>C. jejuni</i>.</p> <p>ღორებში: <i>C. fetus</i>;</p> <p>ფრინველში: <i>C. jejuni</i>;</p> <p>ძაღლში: <i>C. fetus</i> და <i>C. jejuni</i>.</p> <p>მიკრობის პათოგენობას განაპირობებს მის მიერ პროდუცირებული ენტერო და ციტოტოქსინები.</p> <p>გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ. ის თივაში, ქვესაფენში, ნაკელში, ნიადაგში, წყალში ძლებს 20-33 დღე. ცხოველურ პროდუქტებში 21 დღიდან 12 კვირამდე. გაყინულ სპერმაში - 9 თვე.</p>	<p>აღმძვრელის გადაცემა ძირითადად ხდება სქესობრივი გზით (ბუნებრივი შეწყვილების და ხელოვნური განაყოფიერების დროს) ცხოველთა დასენიანება შესაძლებელია აგრეთვე კონტაქტით და ალიმენტალურად. მოზარდი ავადდება დაავადებული დედიდან. დაავადების აღმძვრელის გადაცემა ხდება აგრეთვე არასტერილური გინეკოლოგიური იარაღებით, მომვლელი პერსონალის ტანსაცმლით, ქვესაფენით და სხვა. აღმძვრელის ძირითად წყაროდ ითვლება აბორტირებული ცხოველი, სანაყოფე წყლები და მისგან დასვრილი საგნები, მიკრობმატარებლობა გრძელდება 1-1,5 წელი. რეზერვუარებად ითვლებიან ხორცისმჭამელი ცხოველები და ფრინველები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 3-5 დღეა. დაავადება მიმდინარეობს მწვავედ ან ქრონიკულად, ვლინდება ტიპიური ან წაშლილი (ლატენტური) ფორმით. აბორტები ვლინდება დაავადებული ცხოველების 5-10%-ში. დროებითი უნაყოფობა ძროხებში 20-55%-ში, დეკეულებში - 60-64%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და ღივ. ღიაგნოზი	სანიშნაულობა ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნედლეულის გამოყენება
			მაკრონალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>კამპილობაქტერიოზი ძროხებში ვლინდება ვაგინიტით, ენდომეტრიტით, აბორტით და მომყოლის შეჩერებით. საშოს ქვედა ნაწილში გროვდება მუქი ჩირქის მინარევით ექსუდატი, რომლის გამოშრობით წარმოიშობა მუქი ფერის ქერქები, 15-20 დღის შემდეგ საშოს კედლებზე (კლიტორთან ახლოს) და სპეცილოსნოს ყელთან ნახულობენ სისხლჩაქცევებს, გამოიყოფა ლორწო სისხლით. მოგვიანებით 40-60 დღის შემდეგ ვითარდება ვაგინიტი, ვესტიბულიტი და ცერვიციტი. აბორტს ძირითადად (80%) ადგილი აქვს მაკეობის 4-7 თვეზე. იბადება სუსტი ხბოები, რომლებიც ავადდებიან დიარეით და კვდებიან 3-7 დღის ასაკში. ცხვარში დაავადების ძირითადი ნიშანი მასიური აბორტებია მაკეობის ბოლო პერიოდში. ბატკნები იბადებიან მკვდრები და სუსტები. ლორებშიც წამყვანია აბორტები, მკვდარი და სუსტი გოჭების დაბადებით. ქათმებში ვითარდება ჰეპატიტი, მდგრადი დიარეით, კვერცხმდებლობის შესამჩნევი დაქვეითებით (10-35%) დაავადება გრძელდება რამოდენიმე კვირა.</p>	<p>საშვილოსნო შეშუპებულია, რქებში ნახულობენ ანთებით კერებს. ანთებითი კერები ნეკროზული უბნებით აღინიშნება აგრეთვე პლანცენტაში.</p> <p>აბორტირებული ნაყოფის კანზე ნახულობენ ლორწოსა და ჩირქის მასას. კამპილობაქტერიული ენტერიტის დროს ანთებითი კერებია მსხვილ და წვრილ ნაწლავებში.</p> <p>ცვლილებებია ღვიძლში. შეშუპებულია, შეიცავს ნაცრისფერთეთრ ქინძისთავის ზომის ნეკროზულ კერებს. ფრინველში წამყვანია ნაწლავების ლორწოვანი გარსების კატარალური ანთება და ნეკროზული დაზიანებები ღვიძლში.</p>	<p>კომპილობაქტერიოზზე დიაგნოზის დასმის დროს ითვალისწინებენ ეპიზოოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს, პათოლოგიურ ცვლილებებს და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგებს. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისათვის ლაბორატორიაში აგზავნიან აბორტირებულ ნაყოფს, გამონაყოფებს საშოდან და სპერმას, მასალა ლაბორატორიაში უნდა მოხვდეს არაუგვიანეს 6 საათისა აღებიდან.</p> <p>დაავადების დიფერენცირებას ახდენენ ბრუცელოზისგან, ლისტერიოზისგან, ტრიქომონოზისგან, ლეპტოსპიროზისგან, ვირუსული აბორტებისგან.</p>	<p>კამპილობაქტერიოზს მაკრონალობენ ანტიბიოტიკებით (პენიცილინი, სტრეპტომიცინი, ოქსიტეტრაციკლინი). მამრ ცხოველებში პრეპუციალურ ღრუს ამეშავებენ პენიცილინის და სტრეპტომიცილის ემულსიით ან 5%-იანი ფურაზოლოდონით. ფრინველებს მაკრონალობენ ბიომიცილით, ტერამიცილით და ბიოვეტინით. პრეპარატები ეძლევათ საკვებთან ან წყალთან ერთად.</p>	<p>მეურნეობის კამპილობაქტერიოზისაგან დასაცავად ნერგავენ ცხოველთა ხელოვნურ განაყოფიერებას და ატარებენ პროფილაქტიკურ ვაქცინაციას. იმუნიტეტი 12 თვეა, დაავადების გაჩენის შემთხვევაში ახდენენ დაავადებული ცხოველების იზოლაციას და მაკრონალობას. ატარებენ ვეტერინარულ-სანიტარიულ ღონისძიებებს.</p> <p>აბორტირებულ ნაყოფს, მიმყოლს, ქვეშაფენს, ნაკელს აგროვებენ და წვავენ. ამუშავებენ სადეზინფექციო საშუალებებით.</p>	<p>ადამიანების დასაცავად მკაცრად იცავენ სანიტარულ წესებს საფაქრო და კვების ობიექტებზე. ტანხორცს და ჯანსაღ შინაგან ორგანოებს იყენებენ მოხარშული პროდუქტების (ძეხვი, ხორცის პური და სხვა) დასამზადებლად.</p> <p>დაზიანებულ ორგანოებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონელი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კანდიდამიკოზი</b></p> <p>ლათ. Candidamycosis</p> <p>ინგ. Candidosis / Candidiasis</p> <p>რუს. Кандидамиоз / Кандидоз / Кандидиаз / Молочница / Монилиаз / Ондиомикоз / Соормикоз / Поверхностный / Бластомикоз</p> <p>ცხოველთა სოკოვანი დაავადებაა, ხასიათდება საჭმლის მომნელებელი სისტემის, ლორწოვანი გარსების და ორგანოების დაზიანებით. თეთრი ხაჭოსებრი ნადებით, ზოგჯერ კი გრანულების წარმოშობით შინაგან ორგანოებში.</p> <p>კანდიდამიკოზი აგრეთვე იწვევს აბორტებს, მასტიტებს, ზოგჯერ პნევმონიებს. მოზარდებში ვისცერალურ მიკოზს.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.</p>	<p>კანდიდამიკოზით ავადდება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ყველა სახეობა. ავადდება ადამიანიც. დაავადება განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს მეფრინველეობას.</p>	<p>დაავადების აღმკვრელია საფუარა სოკო – <i>Candida</i>-ს გვარიდან, ყველაზე ხშირად <i>C. albicans</i> აღნიშნული გვარის სოკოები ფართოდაა გავრცელებული და ითვლება პირობითად პათოგენურ მიკროორგანიზმად, რომელიც პათოგენური ხდება ორგანიზმის რეზისტენტობის დაქვეითებისას და მძიმედ აავადებს ადამიანს და ცხოველებს პროდუცირებს რა ენდოტოქსინებს. სოკო ნიადაგში ძლებს 3-7 თვე. დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული ცხოველები, რომლებიც სოკოს გამოყოფენ ნერწყვით, ფეკალით, შარდით და რძით.</p>	<p>ვირუსის გადაცემის ფაქტორია – საკვები, რძის პროდუქტები, ქვეშაფენი, ინკუბაციის ნარჩენები, ნიადაგი და სხვა.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 3-15 დღე, მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია სოკოს ვირულენტობაზე და ორგანიზმის რეზისტენტობაზე. დაავადება მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად. კლინიკური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, დაავადებას ყოფენ ნაწლავურ, ვისცელარულ (ფილტვისა) და კანის ფორმად. ნაწლავური ფორმა წამყვანია ფრინველებში, ნაკლებად ღორებში და ხბოებში. ფილტვის ფორმა ხბოებში და ბატკნებში, კანის ფორმა ღორებში და ძაღლებში.</p> <p>ლეტალობა ფრინველის მოზარდში 2-100%-ია, ცხვარში – 60%-მდე, ღორში – 35%-მდე.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადებული ფრინველი კარგავს მადას, დათრგუნულია, მჭიდროდ ეკვრინან ერთმანეთს, არაიშვიათია ფალარათის განვითარება. დამახასიათებელია ჩიჩახვის დაზიანება, გაძნელებულია სუნთქვა და ყლაპვა. ჩიჩახვის კედელი გასქელებულია და მტკიცუნული. ფრინველი ხშირად წევს კისერს წინ და თვლემს. სეპტიკური პროცესების შედეგად ფრინველი კვდება 3-8 დღეში.</p> <p>მცობავებში (ძროხა, ცხვარი) ზიანდება ფილტვები. ფილტვები გამკვრივებულია კაზეოზური კვანძებით. უარესდება საერთო მდგომარეობა. მატულობს ტემპერატურა, ვლინდება ძლიერი ხველა ბრონქიალური ხვრინვით. ცხვირიდან სეროზულ-ჩიქროვანი გამონადენი ზოგჯერ სისხლის მინარევით. ვითარდება ძლიერი ფალარათი. სუნთქვის გაძნელებით ცხოველები ხშირად იხოცებიან. კანდიდამიკოზური პნევმონია ართულებს ტუბერკულოზს, პასტერელოზს და სხვა დაავადებებს. სოკო აზიანებს ცურს (მასტიტი) და სამოს ლორწოვანს თეთრი ნადებით, რაც იწვევს აბორტებს, ნაყოფის დაზიანებას და უნაყოფობას.</p> <p>ცხვარში ვითარდება ფილტვების დაზიანების სიმპტომები. ღორში ზიანდება ენა, ღრძილები, გლანდები, საყლაპავი და სხვა.</p> <p>ძაღვებში ადგილი აქვს სველი დერმატიტის განვითარებას.</p>	<p>პათოლოგიური ცვლილებები აღინიშნება პირის ღრუს, საყლაპავისა და ნაწლავების ლორწოვან გარსებზე. ავლენენ მოთეთრო-მოყვითალო ან ყვითელ აპკს და წყლულებს. კუჭში და ნაწლავებში ანთებითი პროცესი ხილულ ცვლილებას არ იწვევს.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს სვამენ: ავიტამინოზებთან, ეშერიხიოზთან, სალმონელოზთან, კამპილობაქტერიოზთან, ბალანტიდიოზთან, ბაქტერიულ და ვირუსულ ბრონქოპნევმონიასთან.</p>	<p>ახალშობილ ხბოებში, გოჭებში და წინილებში, როგორც წესი დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და დაგვიანებული მკურნალობა შედეგს არ იძლევა, მათ ხოცავენ.</p> <p>მკურნალობენ მსუბუქი ფორმით დაავადებულებს. იზოლირებულად. კარგ შედეგს იძლევა იოდის შემცველი პრეპარატები.</p> <p>სამკურნალოდ აგრეთვე იყენებენ ანტიბიოტიკებს ფუნგიციტური თვისებებით.</p>	<p>ცხოველთა სადგომებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში ატარებენ ვეტერინარლ-სანიტარულ ღონისძიებებს. აუმჯობესებენ მოვლა-შენახვის და კვების პირობებს. კარგ შედეგებს იძლევა აეროზოლების გამოყენება ცხოველების თანდასწრებით (ერთქლორიანი იოდი და სხვა).</p>	<p>გენერალიზირებული ფორმის დროს ხორცს და სუბპროდუქტებს სპობენ. დაავადებული ფრინველის კვერცხი გამოიყენება კვების მრეწველობაში.</p>

დაავადება	ამთვისებალი ცხონველი	აღმკვერალი და მისი წყარო	აღმკვერალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კატების კალიცივირუსული ინფექცია (კატების რინოტრაქეიტი)</b></p> <p>ლათ. Caliciviro / Rinotracheitis feline</p> <p>ინგ. Feline calicivirus disease / Feline Calici-Virus (FCV) Infection</p> <p>რუს. Калицивирусная инфекция кошек / Калицивироз / Ринотрахеит-колицивироз</p> <p>კატების მწვავედ მიმდინარე მაღალ-კონტაგიოზური დაავადებაა. მიმდინარეობს ცხელებით, ძირითადად რესპირატორიული ორგანოების და პირის ღრუს დაზიანების თანხლებით. დაავადება ფართოდაა გავრცელებული და დიდ პრობლემას უქმნის კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლებს.</p>	<p>დაავადების ამთვისებელია კატისებრთა მრავალი სახეობა. უფრო მეტად ამთვისებელია მოზარდი 1 თვიდან 2-წლამდე.</p>	<p>დაავადების აღმკვერელია <i>Calicivirus</i>-ი <i>Picornaviridae</i>-ს ოჯახიდან. სეროლოგიური გამოკვლევებით გამოყოფილია ოცი ანტიგენური შტამი (20 სეროტიპი).</p> <p>დაავადებული და ვირუსმატარებელი ცხოველები აღმკვერელს გამოყოფენ პირის და ცხვირის ღრუს გამონაყოფებით, ცრემლით, ფეკალით და შარდით რამდენიმე თვის განმავლობაში.</p>	<p>კატების დასენიანება ხდება ალიმენტარული გზით, უშუალო კონტაქტით, აეროგენურად, ტანსაცმელით და მოვლის საგნებით.</p> <p>ვირუსი მრავლდება გლანდების ეპითელიურულ უჯრედებში, სადაც ისინი რამოდენიმე კვირა ჩერდებიან ცხოველის გამოჯანმრთელების შემდეგ.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 3 კვირა. კალიცივირუსი სუსტი ვირულენტობით ხასიათდება და დაავადებაც ხშირად მიმდინარეობს ლატენტურად, მაგრამ სხვა აგენტების (ბაქტერიები, ვირუსები, მიკოპლაზმები) თანხლებით.</p> <p>ჯგუფური შენახვების დროს ინფექციამ შეიძლება დახოცოს 80%-ზე მეტი კატა.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფუქციისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების პირველი ნიშნები – ცხელება, ცხვირიდან და თვალიდან სეროზული გამონადენი, ცემინება, დათრგუნული მდგომარეობა, ანორექსია. წყლულები ენაზე და სასახე ერთდროულად გამონადენი ცხვირიდან და თვალებიდან.</p> <p>დაავადებისთვის დამახასიათებელია ძლიერი ნერწყვის დენა.</p> <p>დაავადება გრძელდება 1-3 კვირა.</p> <p>ცხოველებში ვითარდება პნევმონია, დამახასიათებელი დათრგუნული მდგომარეობით, ქოშინით, სუნთქვის გახშირებით და ანემიით. ცხოველი კვდება რამოდენიმე დღეში, მას წინ უსწრებს ლარინგიტი, ტრაქეიტი და ბრონქიტი, მოდუნება, პირღებინება, მადის დაქვეითება და დიარეა. ჰემატოლოგიური გამოკვლევით დგინდება ჰემოგლობინის დაქვეითება 25-30%-ით და ლიმფოპენია.</p>	<p>მკვდარი კატის გაკვეთისას გარდა ზემოთ აღწერილი ცვლილებებისა პირის ღრუს ლორწოვანზე ხშირად ნახულობენ ინტერსტიციალურ პნევმონიას, ფილტვის ანთებითი ქსოვილები მკვრივია და მკვეთრი წითელი ფერის.</p> <p>ჰისტოლოგიური გამოკვლევისას ნახულობენ ლორწოვანი გარსების უჯრედების და ალვეოლების ნეკროზს, ლეიკოციტების ინფიტრაციით.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტიური მონაცემების კლინიკური ნიშნების, პათოლოგიური ცვლილებების და ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე.</p> <p>გამოსაკვლევად იყენებენ სისხლის შრატის წყვილ სინჯებს (აღებულს 14 დღის ინტერვალით), რომელსაც იკვლევენ ნეიტრალიზაციის რეაქციით. საექვო შედეგის დროს ატარებენ ბიოცდასკნუტებზე. ცხოველები კვდებიან 20 დღის შემდეგ დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებით.</p> <p>დაავადება მსგავსია ჰერპესვირუსული ინფექციის, ქლამიდიოზის, პანლეიკოპენიის და სტომატიტის.</p>	<p>ცხოველის ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლების მიზნით აუმჯობესებენ მოვლა-შენახვისა და კვების პირობებს. ატარებენ სიმპტომატურ მკურნალობას მეორადი ინფექციებისგან ცხოველთა დასაცავად. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ ანთებით პროცესებს ზედა სასუნთქ გზებში, ბრონქებში, ფილტვებში, პირის ღრუში, კუჭში და ნაწლავებში. აუცილებელია თავიდან ავიცილოთ ორგანიზმის გაუნწყლულება ატარებენ გადასხმებს. ორგანიზმში შეყავთ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები (ანტიბიოტიკები – ამპიცილინი, ოქსაცილინი და სხვა), ვიტამინები, (B12), ფერმენტები, სტიმულატორები (გლუკოზა, გამავიტი და სხვა).</p>	<p>დაავადების გადატანის შემდეგ იმუნიტეტი დაბალია და არამყარია. აქტიური იმუნიზაციის მიზნით იყენებენ კომპლექსურ ვაქცინებს, რეკომენდირებულია აგრეთვე პარალელურად გამოყენებული იქნას კატის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაც. ვაქცინაციის შემდეგ იმუნიტეტი გრძელდება 1 წელი.</p>	

დაავადება	ამთვისიჯალი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კატების პანლეიკოპენია</b></p> <p>ლათ. Panleucopenia Infectiosa</p> <p>ინგ. Feline Panleukopenia</p> <p>რუს. Панлейкопения кошек / Инфекционный парвовирусный энтерит кошек / Чума кошек / Кошачья атаксия / Кошачья лихорадка / Котагиозный агранулоцитоз.</p> <p>მაღალკონტაგიოზული მწვავედ მიმდინარე დაავადებაა, ხასიათდება ნაწლავების დაზიანებით, საერთო ინტოქსიკაციით, გაუნყლულებით და სისხლში ლეიკოციტების საერთო რიცხვის შემცირებით.</p> <p>დაავადება ფართოდაა გავრცელებული მრავალ ქვეყანაში.</p>	<p>ძირითადად ავადდებიან ახალგაზრდა კატები. მრავალი ცხოველი წარმოადგენს ფარულ ვირუსმატარებელს. დაავადების გამოვლენა ხდება ერთეულ ცხოველში ან ცხოველთა ჯგუფში.</p> <p>ყველაზე ხშირად დაავადება ვლინდება გაზაფხულზე და შემოდგომაზე კნუტებში, რომელთაც დაქვეითებული აქვთ კოლოსტრალური იმუნიტეტი.</p> <p>გარეული ცხოველებიდან ავადდებიან ლეოპარდები, ვეფხვები, ლომები, პანტერები, გეპარდები.</p> <p>ზრდასრულ ცხოველებში დაავადება მიმდინარეობს შედარებით იშვიათად და ნელა.</p>	<p>დაავადების აღმკვრელი ვირუსია <i>Virus panleukopenia feline</i>, რომელიც მიეკუთვნება <i>Parvoviridae</i>-ს ოჯახიდან. დაავადებული და დაავადებაგადატანილი ცხოველი ვირუსს გამოყოფს ფეკალით, შარდით და ნერწყვით. შენობაში, გალიებზე, ფეკალში დაბალ ტემპერატურაზე ვირუსი ძლებს 1 წელზე მეტ ხანს.</p>	<p>ცხოველები ძირითადად ინფიცირდებიან პირდაპირი კონტაქტით დაავადებულ კატებთან და ვირუსით დასვრილ ობიექტებთან (შენობის კედლები, იატაკი; გალიები, საკვების და წყლის ჭურჭელი და სხვა) შეხებით. ვირუსის გავრცელება ხდება წყლით, საკვებით და სისხლისმწოვი მწერებით. დამახასიათებელია აგრეთვე ვირუსის გადაცემა დედიდან კნუტებზე და მაკე კატიდან ნაყოფზე. ქუჩიდან ცხოველის მეპატრონეს ვირუსის მიტანა შეუძლია ტანსაცმლით და ფეხსაცმლით.</p> <p>დაავადება გადატანილი ცხოველი დიდი ხნით რჩება ვირუსმატარებელი და აუცილებელია მოვარიდოთ მათ ამთვისებელი ცხოველები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-14 დღე.</p> <p>კნუტებში როგორც წესი დაავადება მიმდინარეობს მწვავედ.</p> <p>ლეტალობა დამოკიდებულია ცხოველის ასაკზე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადება აზიანებს ცხოველის ყველა ორგანოს (პირველ რიგში კუჭნაწლავის ტრაქტს, ნერვულ და სასუნთქ სისტემას და ძვლის ტვინს) და საშიშია. თავისი გართულებებით დაავადება ვლინდება ცხოველის უეცარი დათრგუნვით, ტემპერატურის აწევით 40-41°C-მდე. პირღებინებით და თხიერი ფეკალით. პირღებინების მასა პირველად წყლიანი და ყვითელია ან ყავისფერი, მოგვიანებით ხდება ლორწოვანი, სისხლის მინარევებით. კატა ხშირად იქცევა ისე, რომ უნდა წყლის დაღვევა, მაგრამ სვამს ცოტა წყალს. ჩნდება პირღებინება მუქი, მწვანე-ყვითელი მასით. შარდი მუქი ყვითელი ფერიდან ღია ნარინჯისფერამდე. პირის ღრუს ლორწოვანი მშრალია, სასა – ლურჯი, ვლინდება კონიუქტივიტი, რინიტი, ხახის ლორწოვანი შეშუპებულია.</p> <p>მუცელზე პალპაცია იწვევს ტკივილის რეფლექსს და პირღებინებას. შემდგომ ეს ნიშნები ხდება უფრო მკვეთრად გამოხატული დიარეის თანხლებით, მაგრამ დიარეა, პირღებინება და ცხვირიდან გამონადენი ერთდროულად და რეგულარულად არ გვხვდება. ეს დამოკიდებულია მეორადი ინფექციების მიმდინარეობაზე. ტემპერატურის მომატებით კლებულობს სისხლში ლეიკოციტების რაოდენობა. კატები კვდებიან დაავადების ნიშნების გამოვლენიდან 2-5 დღის განმავლობაში.</p>	<p>ღეშის გარეგანი დათვლიერებით შეამჩნევია გაუწყლულება და კახექსია – თვალები ჩაცვენილია, არ არის გამოხატული გაშეშება. კანი, კუნთები, კანქვეშა ქსოვილები მშრალია.</p> <p>ლორწოვანი გარსები და ცხიმოვანი ქსოვილი თეთრია ან ანემიური. ცვლილებებს ნახულობენ თიმუსში და ნაწლავებში. კნუტებში თიმუსი შემცირებულია მოცულობაში. ნაწლავების სეროზული გარსები ჰიპერემიულია წერტილოვანი სისხლჩაქცევებით. წვრილი ნაწლავები ალაგ-ალაგ გაგანიერებულია. ნაწლავების შიგთავსი ცუდი სუნისაა და წყლიანი მოყვითალო-ნაცრისფერი, ზოგჯერ სისხლიანი. ჯორჯლის ლიმფური კვანძები გადიდებული და ჰიპერემიული. ძვლის ნითელი ტვინი გათხელებული.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზის დასასმელად ითვალისწინებენ ეპიზოოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს და პათანატომიურ ცვლილებებს. ლაბორატორიაში ატარებენ ჰემატოლოგიურ და ვირუსოლოგიურ გამოკვლევებს. ძნელია დაავადების აღმძვრელი ვირუსის გამოყოფა.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზი უნდა გავავლოთ ტოქსოპლაზმოზთან, ვირუსულ ენტერიტთან, ალიმენტარულ დიარეასთან.</p>	<p>სამკურნალოდ გამოიყენება ბიოლოგიური პრეპარატები „ვიტაფელი“, „ვიტაფელ C“, ანტიბიოტიკები და სიმტომატური საშუალებები მიმართული ბაქტერიული გართულებების საწინააღმდეგოდ.</p>	<p>კატები დაავადების გადატანის შემდეგ იძენენ ხანგრძლივ იმუნიტეტს, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე რჩებიან ვირუსმატარებლები, რაც საშიშროებას უქმნის არაიმუნურ ცხოველებს.</p> <p>აქტიური იმუნიზაციისათვის იყენებენ კომბინირებულ ვაქცინებს, რომლებიც კატებს ძენს იმუნიტეტს 1 წლის მანძილზე.</p>	

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	ალექვრალი და მისი წყარო	ალექვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კატის რინოტრაქიტი / კატის კალიცივიროზი</b></p> <p>ლათ. Herpesvirus Infectio in Cats / Feline caliciviroს</p> <p>ინგ. Herpesvirus Infection in Cats / Feline Viral Rhinotracheitis (FVR)</p> <p>რუს. Ринотрахеит кошек / Герпес кошек / Колицивироз кошек</p> <p>კონტაგიოზური მწვავე და ქრონიკული გადამდები დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, ზედა სასუნთქი გზების კატარით და თვალის დაზიანებით.</p> <p>დაავადება პირველად აშშ-ში 1957 წელს ფოსტერმა აღწერა, დღეისათვის გავრცელებული ყველა კონტინენტზე.</p>	<p>ავადებიან მხოლოდ კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლები. ყველა ჯიშის და ასაკის (განსაკუთრებით 2-12 თვის კნუტები).</p>	<p>დაავადების გამომწვევია <i>Heiპesviridae</i> ოჯახის დნმ-ის შემცველი ვირუსი <i>Feline alphaherpesvirus 1</i>.</p> <p>ინფექციის გამომწვევის წყაროა დაავადებული ცხოველები და ვირუსის მატარებლები გამოჯანმრთელებული კატები. მათ სასუნთქ გზებში ვირუსს ნახულობენ 50 დღემდე.</p> <p>ვირუსის გამოყოფა ხდება ცხვირის და პირის ღრუდან, თვალიდან, ფეკალიდან და შარდიდან.</p> <p>ცნობილია 20 სეროლოგიური ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან პათოგენური თვისებებით. ვირუსი გარემო არეში ძლებს 20 დღე.</p>	<p>ვირუსი გადაეცემა დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტით.</p> <p>სასუნთქი გზების ტრაქეის ლორწოვან გარსებზე მოხვედრისას ვირუსი აღწევს ეპითელურ უჯრედებში, მრავლდება, რაც იწვევს მათ სიკვდილს და დესკვამაციას.</p> <p>ვირუსი ორგანიზმში ხვდება ალიმენტალური (საკვები, წყალი), აეროგენური, კონიუქტივის და ტრაქეის გზით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-10 დღე. დაავადება მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავე, ქრონიკულად.</p> <p>გამოჯანმრთელება ხდება დაავადების დაწყებიდან 7-10 დღის შემდეგ. სიკვდილიანობა, დაავადების მძიმე მიმდინარეობის მიუხედავად, დაბალია.</p> <p>დაავადება ხშირად მიმდინარეობს ენზოოტის სახით.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>მწვავე მიმდინარეობის დროს კლინიკური ნიშნები დამოკიდებულია ორგანიზმში ვირუსის შეღწევის გზებზე, ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასა და ასაკზე. სხეულის ტემპერატურის მატება 40°C-მდე და მეტზე ფიქსირდება 2-5 დღის განმავლობაში. შემდეგ ვითარდება კონიუნქტივიტი და რინიტი, სისხლით და ფიბრინულ-ჩირქოვანი გამონადენით. ცხვირის, ყელის, ხორხის ლორწოვანი გარსები მკვეთრად არის შეშუპებული, ხშირად ჰიპერემიული ("წითელი ცხვირი").</p> <p>აღნიშნულ კლინიკას შეიძლება ახლდეს საჭმლის მომწელებელი ტრაქეიტის დაზიანება. ამ შემთხვევაში. ძლიერდება ლებინება, ჩნდება დიარეა. რინოტრაქეიტი შეიძლება გართულდეს პნევმონიით. დაავადების გახანგრძლივება, გავლენას ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემაზე. ორსულ კატებში კი ვითარდება აბორტი.</p> <p>გართულებებიდან, ბრონქიტისა და პნევმონიის გარდა, უნდა აღინიშნოს წყლულოვანი კერატიტი და კანის წყლული. დაავადება გრძელდება 10-14 დღე. წყლულოვანი სტომატიტის ან პნევმონიის სიმპტომების მქონე კატები ხშირად კვდებიან.</p>	<p>კატის ლეში, როგორც წესი, აღინიშნება ფიბრინოზული რინოტრაქეიტი, მწვავე პნევმონია, ტონზილიტი, კონიუნქტივიტი, კერატიტი და სტომატიტი, ჩირქოვან-ფიბრინოზული ექსუდატი ცხვირის ღრუებში.</p>	<p>დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტიური, კლინიკური, პათოანატომიური მონაცემებისა და ლაბორატორიული კვლევების შედეგების საფუძველზე.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს გასათვალისწინებელია, რომ კატებში, რინოტრაქეიტის ვირუსის გარდა, რესპირატორული დაზიანებების მიზეზი შეიძლება იყოს პიკორნავირუსები, რეოვირუსები, მიკოპლაზმები, ქლამიდიები. ხშირად კატის რინოტრაქეიტი მიმდინარეობს შერეული ფორმით პანლექიკოპენიასთან.</p>	<p>დაავადებულ კატებს ინახავენ იზოლირებულად გაუმჯობესებულ პირობებში, სადაც ცხოველი უზრუნველყოფილი იქნება რბილი კონსისტენციის სრულფასოვანი საკვებით. ეთიოტროპული თერაპიისთვის გამოიყენება <i>Vitafel</i> ან <i>Vitafel-S</i>, იმუნომოდულატორები (ციკლოფერონი, კომედონი, ფოსპრენილი, მაკსიდინი.</p> <p>ანტიბიოტიკები ჩვეულებრივ გამოიყენება მეორადი ბაქტერიული ინფექციის თავიდან ასაცილებლად. არ არსებობს კონკრეტული ანტივირუსული პრეპარატები, რომლებიც ამ დროისთვის გამოიყენება, თუმცა ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ განციკლოვირი და ციდოფოვირი პერსპექტიულია დაავადების მკურნალობისთვის.</p>	<p>აქტიური იმუნიტეტისთვის გამოიყენება კომბინირებული (ასოცირებული) ვაქცინები - <i>Multifel-3</i> (პანლექიკოპენიის, რინოტრაქეიტის და კატის კალცივირუსული ინფექციის სანიანალმდეგოდ), <i>Multifel-4</i> (პანლექიკოპენიის, რინოტრაქეიტის და კალცივირუსული ინფექციის სანიანალმდეგოდ).</p>	

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კატის ქლამიდიოზი</b></p> <p>ლათ. Chlamydophila felis</p> <p>ინგ. Feline Chlamydiosis</p> <p>რუს. Хламидиоз кошек</p> <p>ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის და უროგენიტალური მიდამოს დაზიანებით, აბორტით, კონიუნქტივიტით, აგრეთვე სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებით.</p>	<p>ავადებიან ყველა ჯიშის და ასაკის კატები. ამთვისებელია ადამიანიც.</p> <p>„კატის ნაფხაჭნის დაავადება“ - ავადებიან აგრეთვე თეთრი თაგვები, ზღვის გოჭები და მაიმუნები.</p>	<p>დაავადების გამომწვევია <i>Ch.psittaci</i>. კატებისგან იზოლირებული ქლამიდის შტამების მორფოლოგიურად არ განსხვავდება სხვა სახეობის ცხოველებისგან იზოლირებული ქლამიდიებისგან.</p>	<p>ქლამიდიის გავრცელების გზები კატებში კარგად არ არის შესწავლილი, სავარაუდოდ დაავადების გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მანანნალა ძაღლები, კატები და პატარა მღრღნელები.</p> <p>დასენიანება ხდება პირდაპირი კონტაქტით დაავადებულ ცხოველებთან, დაზიანებული კანით, ლორწოვანი გარსებით და აეროგენურად. კატები არიან აღმძვრელის ლატენტური მატარებელი, მათ შეიცავს ნერწყვი, შარდი, ფეკალი. აღმძვრელს ნახულობენ გარეგნულად ჯანმრთელი კატების თათებზე.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 3 დან 10 დღემდე.</p> <p>დაავადება ხშირად ვლინდება სპორადიული შემთხვევების ან ენდემური აფეთქებების სახით.</p> <p>კნუტებში დაავადება ხშირად მთავრდება სიკვდილით.</p> <p>დაავადება შეიძლება გამოვლინდეს 5-20% ცხოველებში.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმდებო ღონისძიებები		პროფუქციისა და ნაღლეულის გამოყვანვა
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ქლამიდიის კლინიკური სურათი ყველაზე ხშირად სიცოცხლის პირველ 3-5 დღეში შეინიშნება. ხშირად ქლამიდია იწვევს კატეგორიაში პნევმონიას, ენტერიტს, ართრიტს, ურეთრიტს, ორქიტს, ენცეფალიტს და ა.შ.</p> <p>ყველაზე მეტი აბორტი, უნაყოფობა, მკვდრადშობადობა და ნაყოფიერების სხვა პათოლოგიები გვხვდება პირველი ორსულობისას.</p> <p>დაავადების სიმპტომების შესწავლის სირთულე განპირობებულია იმით, რომ ქლამიდია ყველაზე ხშირად შერეული ინფექციით ვლინდება, ამიტომ საკმაოდ რთულია. დაავადების კლინიკური გამოვლინებიდან გამომდინარე კი წინასწარი დიაგნოზის დასმა.</p>	<p>მკვდარი ან იძულებით დაკლული ცხოველების გაკვეთისას ვლინდება შინაგანი ორგანოების ჰიპერემია (ელენთა, ღვიძლი, ლიმფური კვანძები); ჰემორაგიები სეროზულ გარსებზე და თირკმელების კაფსულის ქვეშ; საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, ფილტვების და სხვა ორგანოებისა და ქსოვილების დაზიანებები. ყველაზე ტიპური პათოანატომიური ნიშნები ვლინდება გენიტალური ფორმით დაავადების დროს.</p>	<p>დიაგნოზის დასმისას ეპიზოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების პათოანატომიური ცვლილებების დასადასტურებლად აუცილებელია ყოვლისმომცველი ლაბორატორიული კვლევების ჩატარება. გამოიყენება აგრეთვე ალერგიული რეაქცია.</p>	<p>ავადმყოფი ცხოველების მკურნალობა ტარდება ანტიბიოტიკებით: ოქსიტეტრაციკლინი, ქლორტეტრაციკლინი, ჰიდროქლორიდი, დოქსიციკლინი, რიფომპიცილი და სხვ. პრეპარატები ინიშნება თერაპიულ დოზებში მათი გამოყენების ინსტრუქციის მიხედვით. ქლამიდიური ინფექციების კომპლექსური თერაპია კატეგორიაში უზრუნველყოფს ეფექტურ განკურნებას შემთხვევების 71,4-82,2%-ში.</p>	<p>როდესაც კატეგორია და ძაღვები ექსპერიმენტულად ინფიცირდებიან ქლამიდიებით, წარმოიქმნება სპეციფიკური ანტისხეულები.</p> <p>ქლამიდიის წინააღმდეგ პოლიშტამიანი ინაქტივირებული ემულსიური ვაქცინის გამოყენების ეფექტურობა დადასტურებულია.</p>	

დაავადება	ამთვისებელი ცნოვანი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კვერცხდების დაქვეითების სინდრომი-76</b></p> <p>ლათ. Ovum gutta syndrome</p> <p>ინგ. Egg drop syndrome-76 (EDS-76)</p> <p>რუს. Синдром снижения яйценоскости-76 / Аденовирусная инфекция кур / Вирусная болезнь кур -несушек.</p> <p>კვერცხმდებელი ქათმების ვირუსული დაავადებაა.</p> <p>ხასიათდება ნაჭუჭის დარბილებით და დეპიგმენტაციით. ცილის სტრუქტურის დარღვევით, კვერცხდების მკვეთრი მაგრამ ხანმოკლე დაქვეითებით.</p> <p>გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში.</p>	<p>ავადდება სქესობრივად მომნიჭებული ქათამი ძირითადად ინტენსიური კვერცხდების დასაწყისში, ე.ი. 27-32 კვირის ასაკში.</p> <p>დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება 27 კვირის ასაკში (42%). 28% ფრინველში 30 კვირის ასაკში, 40 კვირაზე უხნესი ფრინველი არ ავადდება.</p>	<p>აღმკვრელია ვირუსი <i>Adenoviridae</i>-ს ოჯახიდან, რომელიც იყოფა ორგვარად: ადენოვირუსი ძუძუმწოვრების (<i>Mastadenovirus</i>) და ფრინველის (<i>Aviadenovirus</i>) ბუნებრივ პირობებში უსიმპტომოდ აღმკვრელის წყაროა ყველა ჯიშის იხვი და ყველა სახეობის შინაური და გარეული ფრინველი.</p> <p>ვირუსის გამოყოფა შესაძლებელია კვერცხსავალიდან, ზედა სასუნთქი გზებიდან, ფეკალიიდან, ცხვირის ლორწოვანიდან, ღვიძლიდან.</p>	<p>გამოკვლევებით დადგენილია, რომ ძირითადი გზა აღმკვრელის გადაცემის არის ვერტიკალური (ოვარიალური).</p> <p>დადგენილია ჰორიზონტალური გზაც, საინექციო ნემსი (ვაქცინაციის დროს) და კონტამინირებული კვერცხი და მისი ტარა. დაავადების გადატანის შემდეგ ფრინველი დიდი ხნის მანძილზე არის ვირუსმატარებელი. ამ პირობებში ვირუსი გადაეცემა კონტაქტურად მომვლელი პერსონალის ტანსაცმლით, მოვლის საგნებით, ტრანსპორტით და ა.შ. მიუხედავად ამისა, დაავადების გამოვლენას ადგილი არ აქვს ფრინველის სქესობრივად მომნიჭებამდე (კვერცხდების დაწყებამდე).</p>	<p>დაავადება განსაკუთრებით სწრაფად ვრცელდება ფრინველის იატაკზე შენახვის დროს. განსაკუთრებით ფართოდ დაავადება ვლინდება მეხორცულ ფრინველში.</p> <p>კვერცხდების დაწყებამდე დაავადება მიმდინარეობს უსიმპტომოდ. დაავადების გამოვლენა კვერცხდების დასაწყისში ალბათ დაკავშირებულია სტრესებთან.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამომყვანება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების კლინიკური ნიშნები ყოველთვის დამახასიათებელი არ არის. დამახასიათებელია მხოლოდ მისი გამოვლენის დრო ინტენსიური კვერცხდების პერიოდი (27-32 კვირის ასაკი).</p> <p>დაავადების დროს ვლინდება ზოგადი ნიშნები: ანემია, დათრგუნული მდგომარეობა, დიარეა.</p> <p>ფრინველების 10-70%-ს აღენიშნება საყურეების და ბიბილოს სილურჯე. ძირითადი და დამახასიათებელი ნიშანია კვერცხდების შემცირება 10-30%-ით 27-32 კვირის ასაკში.</p>	<p>დამახასიათებელი ცვლილებებია: შეშუპება და ინფილტრაცია საშვილოსნოს და საკვერცხეების ქსოვილებში. უმნიშვნელო კატარალური ენტერიტი.</p> <p>ზოგჯერ ფრინველის გაკვეთისას პათოლოგიური ცვლილებები არ ფიქსირდება.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზის დასასმელად ითვალისწინებენ ეპიზოოტიურ სიტუაციას, კლინიკურ ნიშნებს, პათანატომიურ ცვლილებებს და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს.</p> <p>ლაბორატორიაში აგზავნიან: ღვიძლს, ელენტას, რეპროდუქტიულ ორგანოებს და სისხლს. პათოლოგიური მასალიდან ვირუსის გამოყოფა შესაძლებელია დასენიანებიდან 10 დღის მანძილზე.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ ინფექციურ ბრონქიტთან და მიკოტოქსიკოზებთან.</p>	<p>მკურნალობის მეთოდები შემუშავებული არ არის. ფრინველის რეზისტენტობის ასამაღლებლად აუმჯობესებენ მოვლა-შენახვის პირობებსა და კვებას.</p>	<p>ქათმები დაავადების გადატანის შემდეგ იძენენ მყარ და ხანგრძლივ (6 თვე) იმუნიტეტს.</p> <p>სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ინაქტივირებულ ვაქცინებს. ვაქცინაციას ატარებენ კვერცხდების დაწყებამდე 30 დღით ადრე.</p> <p>მკაცრად იცავენ ვეტერინარულ-სანიტარულ პირობებს.</p>	<p>ქათმის ხორცსა და კვერცხს იყენებენ სამთავრობო №444-ე დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კლავიცეპსტოქსიკოზი</b></p> <p>ლათ. Clavicepspaspalitoxicosis</p> <p>ინგ. Clavicepspaspalitoxicosis</p> <p>რუს. Клавицепстоксикозы / Клавицепспаспалитоксикоз / Бандала / Шаткая походка</p> <p>არის ცხოველების მიკოტოქსიკოზი, რომელიც წარმოიქმნება საკვების მიღების დროს, რომელიც დაზინძურებულია <i>Claviceps</i> გვარის სოკოებით.</p>	<p>ავადდებიან ვირები, ცხენები, ცხვრები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორები. დაფიქსირდა ბატების მონამვლის შემთხვევებიც.</p>	<p>სოკო <i>C. paspali</i> აზიანებს საკვებ მცენარეებს. სოკოს ცალკეული ფაზების გამოჩენისა და განვითარების დრო განისაზღვრება აგრობიოცენოზის კლიმატური (ტემპერატურის, ჰიდრომეტეოროლოგიური) რეჟიმით.</p> <p>ტოქსიკურ ნივთიერებებს შეიცავს სოკოს სკლეროტია და გამოიყოფა ორგანული გამხსნელებით. ტოქსიკური ცხიმოვანი ფრაქცია. <i>C. paspali</i>-ს მიერ წარმოებული მიკოტოქსინების ქიმიური შემადგენლობა ბოლომდე არ არის შესწავლილი. ამჟამად ცნობილია კლავინური და ლიზერგიული ალკალოიდების რამდენიმე წარმოებული, რომლებიც გამოყოფილია სკლეროტიიდან.</p>	<p>ცხოველები შეიძლება დაავადდნენ საძოვრებზე, სადაც ჭარბობს დაინფიცირებული საკვები მარცვლეული ბალახები, და ბაგური შენახვის დროს, როდესაც ცხოველი იკვებება მცენარეებით, რომელიც შეიცავს სკლეროტიას.</p> <p>დაავადება ფიქსირდება ივლისის მეორე ნახევარში და აგვისტოში, რაც ემთხვევა მცენარეებზე სკლეროტიის წარმოქმნის დროს.</p>	<p>ტოქსიკოზი ვითარდება მოულოდნელად და ერთდროულად მოიცავს პირუტყვის ორგანიზმის მნიშვნელოვან სისტემებს. ასაკიანი და ახალგაზრდა ცხოველები უფრო მგრძობიარენი არიან.</p> <p>პირუტყვის მონამვლა ხდება ორგანიზმში ტოქსინის მოხვედრიდან 1-7 დღის შემდეგ.</p> <p>კლავიცეპსტოქსიკოზის პათოგენეზში ჭარბობს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება. ადრეული და ღრმა დაზიანებები გვხვდება თავის ტვინის ქერქში, ცერებრუმში და ზურგის ტვინში. დაავადება კლასიფიცირდება როგორც ტოქსიკო-დისტროფიული ენცეფალოპათია. იგი ვლინდება როგორც დისტირკულატორული დარღვევები და დისტროფიული ცვლილებები ნერვულ და გლიურ უჯრედებში, რაც იწვევს კრუნჩხვებს, პარეზს, დამბლას, ატაქსიას და ტრემორს. შინაგან ორგანოებში აღინიშნება სისხლის მიმოქცევის დარღვევა და ცილოვანი დისტროფია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმდგომ ღონისძიებები		პროფუქციისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ტოქსიკოზის ძირითადი სიმპტომებია: ნეირომუსკულური სინდრომი - ჰიპერმგრძობელობა, თავის და ზურგის ჰიპერესთეზია, რეფლექსური აგზნებადობა, შიში, სიარულის არასტაბილურობა, ქოშინი, არითმია, კრუნჩხვები, დამბლა, ნორმალური კვება გაძნელებულია, ლაქტაცია შემცირებული. ხდება უნებლიე შარდვა.</p> <p>აღინიშნება თავის ქნევა, შემდეგ ჩნდება კუნთების კანკალი, სახსრები უმოძრაოა, ცხოველები მოკლე ნაბიჯებით მოძრაობენ და ზურგზე და თავზე ტრიალებენ. ცხვარს შეიძლება ჰქონდეს ტიმპანია. ბატებს უვითარდებათ საკვერცხის ყელის კუნთების დამბლა, გამოხატულია ფეხების სისუსტე, ფრთები დაშვებულია. როდესაც დაბინძურებული საკვები ამოღებულია რაციონიდან, კლინიკური ნიშნები თანდათან სუსტდება, ცხოველები გამოჯანმრთელდებიან.</p>	<p>გვხვდება კუჭის ლორწოვანის ლოკალური დაზიანებები, დეგენერაციული ცვლილებები გულის კუნთში და ჰიპერპლაზია ლიმფურ კვანძებში, განსაკუთრებით მეზენტერულში. კუჭის კატარალური ანთებით ლორწოვან გარსზე არის ჰიპერემიული უბნები და შეზღუდული რაოდენობით პეტექიური სისხლჩაქცევები. უფრო გამოხატულია ლოკალური ჰიპერემია და კეროვანი სისხლჩაქცევები წვრილი ნაწლავის ლორწოვან გარსზე.</p>	<p>დიაგნოზი ემყარება კლინიკურ სურათს, საძოვრების გამოკვლევის შედეგებს, საკვების ტოქსიკურ-მიკოლოგიური ანალიზის მონაცემებს.</p> <p>კლავიკეპსტოქსიკოზი უნდა განვასხვავოთ ავშანთან, ბამბის შროტთან, ნიტრიტებითა და სტრიქინით მონამვლისგან; ერგოტიზმის, ფუზარიოტოქსიკოზისა და სხვა მიკოტოქსიკოზისგან.</p> <p>ზოგადად, კლავიკეპსტოქსიკოზის სხვა დაავადებებისგან დიფერენცირება რთული არ არის, რადგან ის გვხვდება მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონებში, სადაც საძოვრებზე დომინირებს ისეთი ბალახი, რომელზედაც ადვილად გვხვდება სკლეროტიები.</p>	<p>მონამვლის კლინიკური ნიშნების მქონე ცხოველების იდენტიფიცირებისას, თივა (ბალახი) სკლეროტიის არსებობით დაუყოვნებლივ გამოირიცხება რაციონიდან. მონამულ ცხოველს კუჭს ურეცხვენ წყლით ან ტანინის ხსნარით, ოყნით, აძლევენ გააქტიურებულ ნახშირს, ინტრავენურად კი შეჰყავთ სოდა-გლუკოზის ხსნარი.</p>	<p>ატარებენ პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებს. იღებენ ზომებს ინფექციის პირველადი წყაროს - სოკოს სკლეროტიის განადგურების მიზნით. თავიდან უნდა ავიცილოთ მათი აღმოცენება გაზაფხულზე. ასევე შემოღებული უნდა იქნას საძოვრის პერიოდული როტაცია.</p>	<p>დაავადებული ცხოველების ტანხორცი, შინაგანი ორგანოები გამოყენებული უნდა იქნას სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კლასიცილოზი</b></p> <p>ლათ. Klebsiellosis</p> <p>ინგ. Klebsiella Mastitis</p> <p>რუს. Клебсиеллоз / Острый паренхимотозный мастит</p> <p>სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში კლებსიელოზი ნაკლებად არის შესწავლილი.</p> <p>კლებსიელები ძროხებში და ნეზვებში ინვეცენ მასტიტებს.</p> <p>გავრცელებულია ინგლისში, ამერიკაში, ყოფილ იუგოსლავიის ქვეყნებში და სხვაგან.</p>	<p>ავადდება ძუძუმწოვარი ცხოველები და ფრინველები.</p> <p>ავადდება ადამიანიც.</p> <p>შინაური ცხოველებიდან ხშირად ავადდებიან ძროხები, ნეზვები, ხბოები, გოჭები, ცხენი.</p> <p>კლებსიელები გამოყოფილია ზოოპარკის მაიმუნებიდან, თავგებიდან, მემინდვრიებიდან და ვირთხებიდან.</p>	<p>აღმკვრელია <i>Klebsiella</i>, რომელიც მიეკუთვნება <i>Enterobacteriaceae</i>-ს ოჯახს. ამ ოჯახის სხვა წარმომადგენლებიდან განსხვავდება ბიოქიმიური თვისებებით. ცნობილია მიკრობის 60 სეროლოგიური ვარიანტი. კლებსიელას გააჩნია 3 ანტიგენი: K (კაპსულის); H (სომატური) და R (ხორხლიანი).</p> <p>კლებსიელებს ნახულობენ ცხოველების და ადამიანის ნაწლავებში, შარდში, ჩამდინარე წყლებში, ნიადაგში, ცხვირიდან გამონადენში და ტკიპების ორგანიზმში.</p>	<p>მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი კლებსიელოზით შეიძლება დაინფიცირდეს თავებთან და ადამიანებთან კონტაქტით ან დასვრილი საკვების და წყლის მიღებით. აღწერილია თავის კლებსიელოზის აფეთქებები ვივარიუმებში.</p>	<p>ინკუბაციის პერიოდი დამოკიდებულია დაავადების აღმკვრელის ვირულენტობაზე.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად.</p> <p>ვივარიუმებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაავადების ენოოტიურ აფეთქებებს.</p>

კლინიკური ნიშნები	კათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>კლინიკური ნიშნები მენველ ფურეებში შემდეგია: ტემპერატურის მომატება (41°C), საერთო სისუსტე, მადის დაკარგვა. ცურის დაზიანებული ნაწილის გამკვრივება.</p> <p>გართულებული მიმდინარეობის დროს: გაძნელებულია სუნთქვა, ნესტოებიდან სეროზული გამონადენი, მოკლე, მშრალი ხველა, ქუთოთოების შეშუპება, წონის დაკარგვა, წველის დაქვეითება ან სრულიად შეწყვეტა, დაავადება გრძელდება 1-3 დღე. ხბოებში კლებსიელები ინვევენ მენინგოენცეფალიტს.</p>	<p>ძირითადი ცვლილებები ცურშია. დაზიანებული წილი გადიდებულია და მკვრივი, განაჭერზე ქსოვილები მუქია. ქუთოთოები შეშუპებული. ესპერიმენტალურად დასენიანებულ თეთრ თავგებში აღინიშნება ლიმფური კვანძების გადიდება და ფილტვების გაღვიძლება.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ კლინიკური ნიშნებით და ცურიდან აღებული ექსუდატის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევებით. კულტურით ასენიანებენ თეთრ თავგებს, რომლებიც იზოცებიან 2-7 დღეში.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ სტრეპტოკოკებით, სტაფილოკოკებით, ეშერიხიებით, კორონაბაქტერიებით და სხვა მიკროორგანიზმებით გამოწვეულ მასტიტებთან. ატარებენ ბაქტერიოლოგიას.</p>	<p>დადგენილია, რომ კლებსიელები შედარებით მგრძობიარენი არიან ბიომიცინის, ტერამიცინის, სტრეპტომიცინის, ნეომიცინის, პოლიმიქსინის მიმართ.</p>	<p>ახდენენ დაავადებული ცხოველების იზოლირებას და მკურნალობას. შენობებში ატარებენ დეზინფექციებს და მღრღნელების სანიანალმდეგო ღონისძიებებს. კლებსიელების სპეციფიკური პროფილაქტიკის საშუალებები შემუშავებული არ არის.</p>	<p>დაავადებული ცხოველების ტანხორცი გამოიყენება სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>კურდღლის ვირუსული ჰემორაგიული დაავადება</b></p> <p>ლათ. <i>Lepus hemorrhagicus</i></p> <p>ინგ. Rabbit Hemorrhagic Disease / Viral hemorrhagic disease (VHD)</p> <p>რუს. Вирусная геморрагическая болезнь кроликов / Некротический гепатит кроликов</p> <p>მხოლოდ ბოცვრების მწვავე, უალრესად გადამდები დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ჰემორაგიული დიათეზი ყველა ორგანოში, განსაკუთრებით ფილტვებში და ღვიძლში, და მაღალი სიკვდილიანობა.</p> <p>რეგისტრირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ბოცვრები იზრდება. ამჟამად, იგი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დაავადებად ამ სახეობის ცხოველებში.</p>	<p>ავადდება ყველა ჯიშის და ასაკის ბოცვერი. დაავადებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარები არიან ზრდასრული ცხოველები (3,0-3,5 კგ.).</p>	<p>დაავადების გამომწვევია რნმ-ის შემცველი ვირუსი, რომელიც მიეკუთვნება <i>Caliciviridae</i>-ს ოჯახს. ბოცვრებში ვირუსის ვირულენტობა უკიდურესად მაღალია.</p> <p>ინფექციის გამომწვევის წყაროა დაავადებული და გამოჯანმრთელებული ბოცვრები.</p>	<p>ინფექციური აგენტის გადაცემის ფაქტორები შეიძლება იყოს საკვები, ქვეშაფენი, ნაკელი, ცხოველთა გამონაყოფებით ინფიცირებული წყალი, აგრეთვე ცხოველის კანი (ბენვი). ცნობილია, რომ ვირუსი კანში 3 თვის განმავლობაში ძლებს.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი ჩვეულებრივ გრძელდება 2-3 დღე. კლინიკურად დაავადება თითქმის არ ვლინდება, ანუ მიმდინარეობს უსიმპტომოდ.</p> <p>ღვიძლის მძიმე დაზიანება არის პათოგენეზში მთავარი წერტილი. დაავადების განვითარების ბოლო სტადიაზე სხვა ორგანოებში გაჩენილი პათოლოგიური ცვლილებები (ჰემოდინამიკური დარღვევები, ნეკროდისტროფიული პროცესები) ღვიძლის ფუნქციის მკვეთრი დარღვევის შედეგია. ფილტვებში მიკროცირკულაციის ღრმა დარღვევა, რომელიც ვითარდება პრეაგონალურ მდგომარეობაში, რაც ინვეეს შეშუპებას და არის ცხოველების სიკვდილის მთავარი მიზეზი. დაავადების დასაწყისში ლეტალობა 100%-ია, შემდგომ იგი კლებულობს – 75-80%-მდე.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
ჩვეულებრივ, გარეგნულად ჯანმრთელი ბოცვრები კიდურებით აკეთებენ რამდენიმე კრუნჩხვით მოძრაობას და კვდებიან. მხოლოდ ზოგიერთ ორგანიზმში აღინიშნება მსუბუქი დეპრესია, მადის ნაკლებობა და ცხვირიდან სისხლიანი გამონადენი. ეპიზოტიის დასაწყისში ქარბობს უსიმპტომო, ფულმინანტური მიმდინარეობა ბუნებრივ პირობებში, შემდეგ იზრდება დაავადების ხანგრძლივობა, მცირდება ცხოველთა დაღუპვის პროცენტი.	ფილტვები სისხლით არის სავსე, ინტენსიურად შეშუპებულია. ქრილობის ზედაპირიდან გამოედინება წითელი სითხე, დაჭერისას ბრონქებიდან გამოიყოფა ქაფიანი ექსუდატი. ტრაქეის, ხორხის კედლები ჰემორაგიულია. ყველაზე დამახასიათებელია ღვიძლში ცვლილებები: სისხლით სავსეა, გადიდებულია, ადვილად მტვრევადი. ელენთა გადიდებულია 1,5-3-ჯერ, შეშუპებული, მუქი ალუბლისფერია. თირკმელები მკვეთრად სისხლით სავსეა, წითელ-ყავისფერი და გადიდებული. სხვა ორგანოებში (გული, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, შიდა ლიმფური კვანძები) პათოანატომიური ცვლილებები ასევე ჰემორაგიული დიათეზის ხასიათს ატარებს.	დიაგნოზი დასმა ხდება ეპიზოტიური, კლინიკური, პათოლოგიური და მორფოლოგიური მონაცემებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე.  ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ტარდება ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების სპეციალიზებულ ლაბორატორიებში.  უნდა განვასხვავოთ პასტერელოზის, სალმონელოზის, ეშერიხიოზის, მიქსომატოზის, ეიმერიოზის, მონამელის, მზის დაკვრისა და ინსულტისგან.	არ არის შემუშავებული. ყველა ავადმყოფი და საეჭვო ცხოველი იკვლება უსისხლო მეთოდით.	დაავადებულ ბოცვრებში განვითარებულია მუდმივი პოსტინფექციური იმუნიტეტი. სპეციფიკური პროფილაქტიკისთვის გამოიყენება ინაქტივირებული ვაქცინა და ასოცირებული ვაქცინა მიქსომატოზისა და ბოცვრების ვირუსული ჰემორაგიული დაავადების სანიანალმდეგოდ.  პრევენციის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია უსაფრთხოებისა და საკარანტინო რეჟიმის მკაცრი დაცვა და სათანადო ვეტერინარიული და სანიტარიული წესების დაცვა ბოცვრების ფერმებსა და საკვების დამამზადებელ საამქროში. ბოცვრის მეურნეობებში დგინდება დახურული ობიექტების რეჟიმი.	ბოცვრების დაკვლა, ტანხორცის, შინაგანი ორგანოების და ბენვეულის გამოყენება უნდა მოხდეს №444-ე დადგენილების შესაბამისად.

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ლეპტოსპიროზი / ვეილის დაავადება / ქალის ტიფი</b></p> <p>ლათ. Leptospirosis</p> <p>ინგ. Leptospirosis / Weil's disease</p> <p>რუს. Лептоспироз</p> <p>მრავალი სახეობის ცხოველისა და ადამიანის მწვავე ბუნებრივ-კეროვანი დაავადებაა. ხასიათდება ხანმოკლე ცხელებით, ანემიით, სიყვითლით, ჰემოგლობინურიით, ლორწოვანი გარსების და კანის ნეკროზით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ატონიით, აბორტებით, სუსტი და ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი ნაყოფის დაბადებით.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ლეპტოსპიროზით ავადდება მრავალი შინაური და გარეული ძუძუმწოვარი. უფრო ხშირად ავადდება ღორი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენი, ირემი, ძაღლი.</p>	<p>დაავადების აღმძვრელი მიეკუთვნება <i>Leptospira</i>-ს გვარს. გამოვლენილია პათოგენური ლეპტოსპირების 230-ზე მეტი სეროლოგიური ვარიანტი. ღორის ლეპტოსპიროზის ძირითადი აღმძვრელია სეროტიპები: <i>Pomona, Tarassovi</i>.</p> <p>მსხვილ რქოსანში – <i>Hebdomadis, Tarassovi</i>;</p> <p>წვრილრქოსანში: <i>Pomona, Grippotyphosa, Tarassovi</i>;</p> <p>აღნიშნული ცხოველებიდან აგრეთვე იყოფა – <i>Canicola, Seterohaemorrhagiae</i>;</p> <p>დაავადებული ცხოველები ლეპტოსპორებს გამოყოფენ: შარდით, ფეკალით, რძით, სპერმით, სასქესო ორგანოებიდან გამონადენით, ასევე აბორტებული ნაყოფით.</p> <p>დაავადების აღმძვრელი წყაროა დაავადებული და გამოჯანმრთელებული ცხოველები, რეზერვუარებად ითვლებიან ბუნებრივად ლეპტოსპირამატარებელი მღრღნელები.</p> <p>ლეპტოსპორები ბინადრობენ პატარა გაუმდინარ წყალსატევებში (ძლებენ 200 დღე).</p>	<p>ცხოველები ლეპტოსპირებით ძირითადად ინფიცირდებიან ალი-მენტალური გზით, წყლის, საკვების, ქვესაფენის, ნიადაგის, საძოვრების და სხვა ინფიცირებული გარემოს ობიექტების მეშვეობით.</p> <p>დადასტურებულია აგრეთვე ლეპტოსპორების სქესობრივი და პლაცენტალური გზით გადაცემის შესაძლებლობა.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 3-14 დღეა. დაავადება ხშირად ვლინდება საძოვრულ პერიოდში და ძირითადად ვრცელდება ენზოოტის სახით. ლეპტოსპიროზი მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ, ქრონიკულად და უსიმტომოდ. დაავადება უსიმტომოდ ძირითადად მიმდინარეობს ზრდასრულ ცხოველებში.</p> <p>დაავადება გრძელდება 3-10 დღე.</p> <p>ლეტალობა - 70%-მდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნედლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ლეპტოსპიროზი მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ზემო-ვავე მიმდინარეობის დროს ვლინდება დათრგუნვით, მადის დაკარგვით, ანემიით, შარდის გამოყოფის გახშირებით (შარდი წითელი ან მუქია), ტემპერატურის აწევით (40-41,5°C), ფაღარათს ცვლის ყაბზობა, ლორწოვანი გარსები ღებულობს ყვითელ ფერს, რძე ხდება სქელი და მოყვითალო ფერის. ღრძილების და ენის ლორწოვანზე და კანზე ჩნდება ნეკროზული კერები. ნეკროზული კერები ჩნდება ტუჩზეც.</p> <p>ლორებისთვის დამახასიათებელია მასიური აბორტები და კუდის და ყურების ნეკროზი.</p> <p>მწვავე მიმდინარეობის დროს აღნიშნული კლინიკური ნიშნები შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს. ქრონიკული მიმდინარეობისას ცხოველი ხდება და კლებულობს პროდუქტიულობა.</p>	<p>ლემის გაკვეთისას შესამჩნევია ლორწოვანი გარსების სიყვითლე და ჰემორაგიული დიათეზი, კანის და ლორწოვანი გარსების ნეკროზი. მკვეთრად არის გამოხატული ღვიძლის და თირკმლების გადაგვარება. ლიმფური კვანძები გადიდებულია სისხლჩაქცევებით. შარდის ბუშტი გადავსებულია წითელი შარდით. ღორებისთვის სიყვითლე დამახასიათებელი არ არის.</p>	<p>ლეპტოსპიროზზე დიაგნოზის დასმის მიზნით აანალიზებენ ეპიზოოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს და პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთის შედეგებს. ატარებენ ბაქტერიოლოგიურ და სეროლოგიურ გამოკვლევებს.</p> <p>გამოსაკვლევად ლაბორატორიაში აგზავნიან შარდს, აბორტირებულ ნაყოფს, შინაგანი ორგანოების ნაჭრებს და სისხლის შრატს.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს ბრუცელოზი, პიროპლაზმიდოზები, ავთვისებიანი კატარალური ცხელება, კამპილობაქტერიოზი, ტრიქომონიაზი, სალმონელოზი, შერეული ეტიოლოგიის პნევმონტერიტი და ლისტერიოზი; ღორებში ჭირის, წითელი ქარი, დიზენტერიის გამორიცხვა; ავიტამინოზები და მინერალების ნაკლებობა, მიკოტოქსიკოზი; ცხენებში - ინფექციური ენცეფალომიელიტი, ინფექციური ანემია; მტაცებლებში - ჭირი (ნანლავის ფორმა), ინფექციური ჰეპატიტი, პარვოვირუსული ენტერიტი და სალმონელოზი, აგრეთვე ინტოქსიკაცია.</p>	<p>ახდენენ დაავადებული და მიკრობმატარებელი ცხოველების იზოლაციას. იცოლირებულ ცხოველებს მკურნალობენ ჰიპერიმენური შრატით და ანტიბიოტიკებით.</p>	<p>მკურნალობის მაღალ დონეზე დასაცავად ატარებენ ინსტრუქციით-გათვალისწინებულ ვეტერინარიულ ღონისძიებებს. დაავადების გაჩენისას ხდება დაავადებული ცხოველების იზოლაცია და მკურნალობა (ჰიპერიმენური შრატი და ანტიბიოტიკები) აქტიური იმუნიზაციისთვის იუენებენ ლეპტოსპიროზის სანიანალმდეგო ვაქცინებს.</p>	<p>თუ ტანხორცს აქვს ყვითელი შეფერილობა და ის არ ქრება 2 დღის განმავლობაში, ხორცს პარენტიმულ ორგანოებთან ერთად აგზავნიან უტილში.</p> <p>თუ ტანხორცში არ არის ცვლილებები და სიყვითლე ქრება 2 დღეში, ტან-ხორცს და შინაგან ორგანოებს უშვებენ მოხარშვის შემდეგ.</p> <p>თუ კლინიკური და პათანატომიური ცვლილებები არ აღინიშნება, ხორცს უშვებენ შეზღუდვის გარეშე.</p> <p>ცხოველურ ნედლეულს (ტყავი, მატყლი) უტარებენ დეზინფექციას.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ლისტერიოზი</b></p> <p>ლათ. Listeriosis</p> <p>ინგ. Listeriosis</p> <p>რუს. Листериоз</p> <p>ზოონოზური ბაქტერიული დაავადებაა, ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით, სეპტიცემიური მოვლენებით, აბორტებით და მასტიტებით. ზოგჯერ გვევლინება როგორც უსიმპტომო მიკროგმატარებელი.</p> <p>დაავადება რეგისტრირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მეცხოველეობას აყენებს დიდ ეკონომიკურ ზარალს მაღალი ლეტალობით, პროდუქტიულობის დაქვეითებით და დანახარჯებით მკურნალობაზე.</p>	<p>ლისტერიოზი საშიშია 12-ზე მეტი შინაური და 91-ზე მეტი გარეული ცხოველისთვის და ფრინველისათვის.</p> <p>დაავადების ამთვისებელია ცხვარი, თხა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ცხენი, ბოცვერი, ქათამი, ბატი, იხვი, ინდაური, ლისტერიები გამოყოფილია ტკიპებიდან, კანქვეშა ბორას მატლებიდან, რწყილებიდან, ტილებიდან, თევზებიდან, კიბორჩხალებიდან, ბაყაყებიდან. ლისტერიოზით ავადდება ადამიანიც.</p> <p>ლისტერიოზით ავადდება ყველა ასაკის ცხოველი, განსაკუთრებით მოზარდი და მაკე ცხოველები.</p>	<p>აღმკვრელია ბაქტერია: <i>Listeria monocytogenes</i>, გრამდადებითი ჩხირი სპორებს და კაპსულას არ წარმოქმნის. აერობია კარგად იზრდება ჩვეულებრივ საკვებ ნიადაგებზე. იძლევა S და R ფორმის კოლონიებს. ანტიბიოტიკების ზემოქმედებით ჩნდება L-ფორმის კოლონიებიც.</p> <p>ლისტერიები დიდხანს ინახება გარემოში. წყლის გუბეში 1 წლამდე, საძროხეში, თივაში, კონცენტრირებულ საკვებში, ხორცში, რძეში, ყველში 4 თვემდე.</p> <p>ლისტერიები გარემოში გამოიყოფა ფეკალით, შარდით, რძით, აბორტირებული ნაყოფით და სხვა.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ცხოველთა დასენიანება ხდება ცხვირის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსებიდან, კონიუქტივიდან, დაზიანებული კანიდან.</p> <p>ბუნებაში ლისტერიების რეზერვუარია მღრღნელები. ლისტერიების გადამტანია ტკიპები (მასში ლისტერია ძლებს 42 დღე).</p> <p>ლისტერია მატარებელი შეიძლება იყოს კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველი და ადამიანი (კუჭნაწლავი), ასეთ ორგანიზმში სტრესული პირობების შედეგად შეიძლება განვითარდეს ლისტერიოზი.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 7-10 დღეა. დაავადების მიმდინარეობა შეიძლება იყოს მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული.</p> <p>დაავადების გამოვლენის ფორმებია: ნერვული, სეპტიცემიური, შერეული და უსიმპტომო. დაზიანებები შარდ-სასქესო ორგანოებში (აბორტები, მომყოლის შეჩერება, ენდომეტრიტები) და ცურზე (მასტიტები).</p> <p>ლისტერიოზი შეიძლება გავრცელდეს სპორადიულად ან ეპიზოოტიის სახით.</p> <p>ლეტალობამ შეიძლება მიაღწიოს 98-100%-ს (განსაკუთრებით მოზარდებში).</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროლუქტაჰისა და ნელაულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ლისტერიოზი ძირითადად იწყება დათრგუნვით. მოთენთილობით და მადის დაკარგვით. ცხვირიდან გამოიყოფა სეროზული ლორწო, პირიდან კი დიდი რაოდენობით ნერწყვი. 3-7 დღეში აღინიშნება კორდინაციის დარღვევა, კრუნჩხვები, აღზნება, ცალკეული კუნთების დამბლა, მხედველობის დაკარგვა – კონიუქტივიტი და სტომატიტი. ტემპერატურა მაღლა იწვევს დაავადების დასაწყისში, შემდგომ ნორმის ფარგლებშია. დაავადება გრძელდება 10 დღე. სასქესო ორგანოების დაზიანება ხასიათდება აბორტებით, მომყოლის შეჩერებით და საშვილოსნოს ანთებით. ცხვარში და თხაში ხშირად აღინიშნება დაავადების ნერვული ფორმა. აბორტები, მასტიტები, მხედველობის დაკარგვა ბატკნებში, სეპტიცემია (ფალარათი, ცხელეხა). მაკე ღორებში ვითარდება აბორტები, იბადება ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი და მკვდარი გოჭები. გოჭებს უზიანდებათ ტანი. ირღვევა კორდინაცია, მანუჟური მოძრაობა, ენტერიტი ძაღლებში, ვითარდება ენცეფალიტი, მხედველობის დაქვეითება, ფრინველებს უვითარდებათ სეპტიცემიისთვის დამახასიათებელი ნიშნები.</p>	<p>ლისტერიოზის დროს პათოლოგოანატომიური ცვლილებები დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე და მიმდინარეობის ხანგრძლივობაზე. ნერვული ფორმის დროს ცვლილებები თავის ტვინშია. აგრეთვე აღინიშნება სისხლჩაქცევები სხვადასხვა ორგანოებში.</p> <p>სეპტიცემიური ფორმის დროს ნამყვანია ფილტვების ჰიპერემია და შესიება, კატარალური გასტროენტერიტი, სისხლჩაქცევები გულის კუნთში და პამენქიმულ ორგანოებში აღინიშნება, ნეკროზული კერები ლვიძლზე, თირკმლებზე, ელენთაზე და მიოკარდზე.</p> <p>ელენთა და ლიმფური კვანძები გადიდებულია.</p> <p>მდებარე ცხოველებში ხშირად ნახულობენ ენდომეტრიტისთვის დამახასიათებელ ცვლილებებს.</p>	<p>დიაგნოზის დადგენის მიზნით ანალიზებენ ეპიზოოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებსა და პათოლოგიურ ცვლილებებს. ატარებენ ლაბორატორიულ გამოკვლევებს. ლაბორატორიაში აგზავნიან წვრილი ცხოველების ლეშს ან თავს (თავის ტვინს), ლვიძლის, ელენთის, თირკმლის, ლიმფური კვანძის და ფილტვის დაზიანებული ნაწილის ნაჭრებს.</p> <p>ლაბორატორიაში იგზავნება აგრეთვე აბორტირებული ნაყოფი. სასქესო ორგანოებიდან გამოიყოფები. რძე ალებული ცურის დაზიანებული წილიდან. სიცოცხლეში აგზავნიან სისხლს.</p> <p>ლისტერიოზის დიფერენცირება უნდა მოხდეს ავთვისებიან კატარალურ ცხელებასთან, ბრუცელოზთან, კამპილობაქტერიოზთან, ღორებში აუესკთან, ცხვარში ცენუროზთან ყველა ცხოველში ცოფთან და მონამვლებთან.</p>	<p>ლისტერიები უჯრედშიდა პარაზიტია, აქედან გამომდინარე, ის ძნელად ექვემდებარება მკურნალობას.</p> <p>ეფექტურია ტეტრაციკლინის რიგის პრეპარატები, აგრეთვე ამპიცილინი, სტრეპტომიცილი, სულფადიმეზინი.</p>	<p>დაავადებამოხდილ ცხოველებში ფორმირდება იმუნიტეტი, ლისტერიოზის სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ვაქცინებს.</p> <p>დაავადების რეგისტრირების შემდეგ აწესებენ კარანტინს და შეზღუდვებს ცხოველებთან, მომუშავე პირებმა უნდა დაიცვან პირადი ჰიგიენა.</p> <p>მეურნეობაში უნდა გაუმჯობესდეს მოვლა-შენახვის და კვების პირობები.</p>	<p>დაზიანებული ტანხორცი და შინაგანი ორგანოები მიდის უტილიზაციაში, ტანხორცი და შინაგანი ორგანოები დაზიანების გარეშე გამოიყენება მოხარშვის შემდეგ. დაავადებული ცხოველებიდან მიღებული რძე აუცილებლად უნდა ადულდეს.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>მარეკის დაავადება</b></p> <p>ლათ. Morbus Marek</p> <p>ინგ. Marek's Disease in Poultry</p> <p>რუს. Болезнь Марека / Нейро лимфатоз птиц / Паралич птиц / Инфекционный нейролимфатоз / Энзоотический нейроэнцефаломиелит птиц / Неврит</p> <p>ქათმის და ინდაურის მალალკონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა. ვლინდება ორი ფორმით ნევროპათიური პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით (კლასიკური ფორმა); ირიდოციკლიტით (თვალის გარსის ფერის შეცვლა), აგრეთვე ფორმინდება ნეოპლასტიკური სიმსივნეები შინაგან ორგანოებში (მწვავე ფორმა). დაავადება გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ყველაზე მეტად ამთვისებლები არიან ქათმები. შეიძლება დაავადდეს: ინდაური, ხოხობი, გედი და გარეული ფრინველები. ჩამოთვლილი ფრინველები არიან ვირუსის რეზერვუარები და დაავადების გამავრცელებლები. დადგენილია ვირუსმატარებლობა ყვავებში, კაჭკაჭებში და მერცხლებში. ბუნებრივად შეიძლება დასენიანდეს 1-14 დღის წინილები. დაავადება მასიურ ხასიათს ღებულობს 8 კვირის ასაკიდან. დაავადება მკვეთრად არის გამოხატული 60-120 დღის ქათმებში.</p>	<p>ალმძვრელი განეკუთვნება <i>Herpesviridae</i>-ის ოჯახის <i>Herpesvirus</i>-ის გვარის B ჯგუფს.</p> <p>(ვირუსს გააჩნია 6 ანტიგენური ჯგუფი, მათგან მნიშვნელოვანია A, B, C).</p> <p>თანამედროვე კლასიფიკაციით მარეკის ვირუსს ყოფენ 3 სერომატად.</p> <p>სეროტიპ 1-ს განეკუთვნება ყველა პათოგენური ვირუსი, რომელსაც შეუძლია წინილებში გამოიწვიოს სიმსივნური დაზიანებები.</p> <p>სეროტიპ 2 წარმოდგენილია როგორც ინდაურის ჰერპესის ვირუსი. ვირუსი გამძლეა გარემო ფაქტორების; შენობაში ძლებს – 190 დღე, მტვერში – 459 დღე, ბუმბულში - 445 დღე.</p>	<p>დაავადების ალმძვრელი გადაცემა მტვრის ნაწილაკებით. ფრინველის დაკვლის პროდუქტებით. ვირუსის გავრცელებაში დიდია როლი კვერცხის, რომლის ზედაპირი კონტამინირებულია ვირუსით.</p> <p>მარეკის დაავადება ხშირად მიმდინარეობს სხვა ინფექციებთან. ხელშემწყობია ფრინველის სიმჭიდროვე და სხვადასხვა ასაკის ერთად შენახვა. ვირუსმატარებლობა მალა-ლია – 16-24 თვე. შეიძლება მთელი სიცოცხლეც.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 13-150 დღე.</p> <p>არჩევენ დაავადების 3 კლინიკურ ფორმას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) ნერვულს – ზიანდება ნერვული სისტემა;</li> <li>2) თვალის – მიმდინარეობს თვალის ფერის შეცვლით;</li> <li>3) ვისცერალურს – ხასიათდება სიმსივნეების წარმოშობით პარენქიმულ ორგანოებში.</li> </ol> <p>კლასიკური ფორმა მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ, ქრონიკულად.</p> <p>ავადობა 25%-ია, ლეტალობა – 94%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიშნაულობა ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყვანვა
			გპურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების კლასიკური ფორმისთვის დამახასიათებელი სიმპტომებია კოჭლობა, პარეზი, ატაკსია, დამბლა ერთი ან ორივე ფეხის, ფრთების და კისრის.</p> <p>მწვავე ფორმისთვის დამახასიათებელია მოკლე ინკუბაციური პერიოდი, ანემია, გაძნელებული სუნთქვა და ხველა, კუჭნაწლავის აშლილობა, უარი საკვებზე, დეჰიდრატაცია და სხვა.</p> <p>კლინიკური ნიშნების გამოვლინებაზე გავლენას ახდენს შინაგან ორგანოებზე განვითარებული სხვადასხვა სტადიის სიმსივნეები.</p> <p>ზოგჯერ ადგილი აქვს კანის დაზიანებასაც.</p>	<p>დაავადების მწვავე ფორმით მკვდარი ფრინველის ლეშის გაკვეთისას ნახულობენ სიმსივნეებს სასქესო ჯირკვლებზე, ფილტვებზე, თირკმელებზე, გულზე, ღვიძლზე, ჯირკვლოვან კუჭზე, ელენთაზე, ზოგჯერ ფაბრიციუსის ჩანთაზე, დაზიანებული ნერვები ვიზუალურად იშვიათად ჩანს.</p> <p>კლასიკური ფორმის ქრონიკულად მიმდინარეობისას ნახულობენ ატროფიულ ცვლილებებს დაზიანებული კიდურების კუნთებში და მიოკარდზე. კატარალურ ანთებას კუჭნაწლავის ტრაქტში და მხედველობის ნერვის შეშუპებას.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზის დასმის მიზნით იყენებენ ეპიზოოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს, პათოლოგოანატომიურ და ლაბორატორიული კვლევის შედეგებს.</p> <p>საბოლოო დიაგნოზის დასმის მიზნით ლაბორატორიაში აგზავნიან 5-10 კლინიკურად დაავადებულ წინილას ან მათგან აღებულ სისხლს. გაკვეთის დროს აგზავნიან შინაგანი ორგანოების ნაჭრებს. სისხლის შრატში სეროლოგიური რეაქციებით საზღვრავენ ანტიხეულების ტიტრს.</p> <p>მარკერის დიფერენცირებას ახდენენ ლეიკოზთან, ნიუკასლის დაავადებასთან, გრიპთან, პასტერილოზთან, ჰიპოვიტამინოზებთან და მონამვლებთან.</p>	<p>მარეკის მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის.</p>	<p>დაავადების პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ვაქცინებს.</p> <p>რეკომენდირებულია წინილების აცრა ერთი დღის ასაკში. რევაქცინაცია – 14-დან 21 დღის ასაკში; იმუნიტიტი ფორმირდება 21-28 დღეზე.</p> <p>ინფექციის გაჩენის შემთხვევაში მეურნეობაში აწესებენ შეზღუდვებს და ატარებენ ვეტერინარულ სანიტარიულ ღონისძიებებს.</p> <p>საფრინველეში 5-10% ფრინველის დაავადებისას წყვეტენ წარმოებას; ფრინველის მთლიანი სულადობა გაყავთ დასაკლავად და ადგენენ შენობების სანაცვის გეგმას.</p>	<p>დაუზიანებელი ტანხორცი გამოიყენება მოხარშული ძეხვეულის და კონსერვების დასამზადებლად.</p> <p>ტანხორცი დაზიანებებით ისპობა. ბუმბულის დამუშავება ხდება დეზინფექციის შემდეგ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>მაღაო</b></p> <p>ლათ. Adenitis equorum</p> <p>ინგ. Strangles</p> <p>რუს. Мыт</p> <p>ცხენების მწვავე გადამდები დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, ლორწოვანი გარსების, ცხვირ-ხახის და რეგიონალური ლიმფური კვანძების ჩირქოვანი ანთებით.</p> <p>შუა საუკუნეების ზოგიერთ წლებში დაავადებამ შეიძინა ეპიზოოტიური გავრცელების ხასიათი, მისი წილი 80%-ზე მეტი იყო ცხენების ყველა ინფექციურ დაავადებასთან მიმართებაში. ამჟამად მაღაო იშვიათად ვლინდება.</p>	<p>მაღაოს მიმართ მგრძობიარეა 2 თვიდან 5 წლამდე ასაკის ცხენები (ძირითადად ულაცები), ავადდებიან აგრეთვე ვირები, ჯორები. კვიცები ჩვეულებრივ ავადდებიან რძით კვების პერიოდში.</p> <p>ლაბორატორიული ცხოველებიდან ავადდება: თეთრი თაგვები, კნუტები, ბოცვრები და ზღვის გოჭები (ნაკლებად).</p>	<p>მაღაოს გამომწვევია <i>Streptococcus equi</i>-ის C სეროლოგიური ჯგუფის მიკროორგანიზმი, გრამდადებითი და უმოძრაოა, არ ქმნის სპორას.</p> <p>კაპსულა გააჩნია მხოლოდ ახლადიზოლირებულ შტამს.</p> <p>ნაკელში, ნაძვალში, თევში, ბენჯზე დაავადების აღმძვრელი ძლებს 30 დღე, თხა ტკეპნილ იატაკში 9 თვე, მშრალ ჩირქში 1 წლამდე, მზის სხივები ხოცავს 6-8 დღეში.</p> <p>ლაბორატორიაში თხიერ ნიადაგებზე პროდუცირებს შვმატოქსინს და ლეიკოტოქსინს, საერთო მოქმედების ტოქსინს და აგრესინებს.</p> <p>დაავადების გამომწვევი აგენტის მთავარი წყაროა კლინიკურად დაავადებული ცხენები.</p>	<p><i>S. equi</i> რომელიც გამოიყოფა გახსნილი აბსცესებიდან, ცხვირის ლორწოდან აბინძურებს საკვებს, ქვეშაფენს. ჯანმრთელი ცხოველების ინფიცირება ხდება აეროგენური და ალიმენტალური გზით.</p> <p>გარემოს დაბინძურებულ ობიექტებთან კონტაქტის დროს. ინფექციის კარიბჭე არის ცხვირის ღრუს და ფარინგიტის ლორწოვანი გარსი.</p> <p>დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ვიტამინების და მინერალების ნაკლებობა, ცივი ამინდი, ორპირი ქარი, ცხოველების მჭიდროდ შენახვა.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 4-15 დღემდე, ხოლო ორგანიზმის რეზისტენტობის მკვეთრი შესუსტების შემთხვევაში მცირდება 1-2 დღემდე.</p> <p>დაავადების მიმდინარეობა უპირატესად მწვავეა, იშვიათად ქვემწვავე. პათოლოგიური პროცესების განვითარების თავისებურებების მიხედვით განასხვავებენ მაღაოს ტიპურ და ატიპიურ ფორმებს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა აბორტიულ (მსუბუქ) და რთულ - მეტასტაზურ (მძიმე) ფორმებად. სიკვდილიანობა არის 1-7%.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>მაღალს ტიპური მწვავე ფორმა ხასიათდება სხეულის ტემპერატურის სწრაფი მატებით 40-41°C-მდე, მას თან ახლავს მადის დაქვეითება, დეპრესია, კონიუნქტივის შიპერემია. ცხვირის ლორწოვანი გარსის მწვავე ანთება ვითარდება ჯერ კატარალური, შემდეგ სეროზული. ჩირქოვანი სეკრეცია ხშირდება პულსი და სუნთქვა. ქვედა ყბის ლიმფური კვანძები გადიდებულია, მტკიცუნულია, შეხებისას ცხელი. მე 4-5 დღეს ავადმყოფი ცხოველის სხეულის ტემპერატურა უზრუნველბა ნორმას, თანდათან უმჯობესდება ზოგადი მდგომარეობა და მადი. დაავადების დაწყებიდან 25 დღე ცხენი გამოჯანმრთელდება.</p> <p>მაღალს აბორტიული ფორმა ხასიათდება ცხვირის ლორწოვანის ანთებით, ქვედა ყბის ლიმფური კვანძების უმნიშვნელო მატებით. აღინიშნება ლორწოვანი ჩირქოვანი გამონადენი ცხვირიდან, ყლაპვის გაძნელება.</p> <p>მაღალს მეტასტაზური ფორმა ხასიათდება თითქმის ყველა ზედაპირული ლიმფური კვანძის - ქვედა ყბის, მხრის, მუხლის ნაკეცების დაზიანებით, ამ შემთხვევებში სხეულის ამალღებული ტემპერატურა დიდხანს ნარჩუნდება, ჩნდება ქოშინი და შესაძლებელია ცხოველის უეცარი სიკვდილი.</p>	<p>ცხენების ლეშის გაკვეთისას ყველაზე დამახასიათებელი ცვლილებები გვხვდება ლიმფურ კვანძებში - კრემისებური ჩირქის დაგროვების კერები (ჩირქოვანი ლიმფადენიტი). ეს ცვლილებები თითქმის ყოველთვის ლოკალიზებულია ქვედა ყბის და ფარინგეალური ლიმფურ კვანძებში. ჩირქოვანი კერები შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ლიმფურ კვანძებშიც, აგრეთვე გულმკერდისა და მუცლის ღრუს ორგანოებში (ღვიძლი, თირკმელები, ფილტვები, ელენთა, პანკრეასი), თავის ტვინში და ზურგის ტვინში, ყელში, სახსრებში, კუნთებში და ქვედა ნაწილში. პლევრის. კატარალურ-ჩირქოვანი ანთება აღინიშნება ცხვირის ღრუს ლორწოვან გარსზე. დეგენერაციული ცვლილებები გვხვდება შინაგან ორგანოებში, ხოლო სეპტიკოპიემიით – სისხლჩაქცევები სეროზულ გარსებზე და გულის კუნთში. ფილტვის განაჭერზე, კატარალურ-სეროზულ კერებთან ერთად, ჩანს მკვრივი წითელ-ნაცრისფერი კერები, ბრონქებიდან მოედინება მოთეთრო-მოყვითალო ჩირქოვანი სითხე.</p>	<p>მაღალზე დიაგნოზის დასმა ხდება ეპიზოოტიური მონაცემების საფუძველზე (ახალგაზრდა ცხენების ერთდროული დაავადება), დაავადების კლინიკური გამოვლინების (სხეულის ტემპერატურის მკვეთრი მატება, ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება, ქვედა ყბის ლიმფური კვანძების გადიდება და ტკივილი). პათოლოგიური და მორფოლოგიური ცვლილებების (ჩირქოვანი კერები ლიმფურ კვანძებში და შინაგან ორგანოებში) და ლაბორატორიული კვლევის შედეგების (სტრუბტოკოკის გამოყოფა გაუხსნელი აბსცესებიდან) საფუძველზე.</p> <p>მაღალ უნდა განვასხვავოთ ქოთაოს, გრიპის და ცხენის რინოპნევმონიისგან.</p>	<p>ავადმყოფი და საექვო ცხენები თავისუფლდებიან სამუშაოდან და თავსდებიან იზოლირებულად მშრალ, თბილ სადგომში. რაციონში შეაქვთ მაღალი ხარისხის თივა ან ახალი ბალახი, ქატო ბადაგი, კონცენტრატები; ადგილობრივი მკურნალობა კომბინირებულია ზოგადთან. ცხვირის ღრუს ყოველდღიურად ამუშავებენ ანტიმიკრობული საშუალებების თბილი ხსნარებით. იხსნება მომწიფებული აბსცესები და მათი ღრუები ირეცხება ანტისეპტიკური ხსნარებით. ზოგადი თერაპიის საშუალებებიდან რეკომენდებულია პენიცილინის სჯგუფის ანტიბიოტიკები, სულფანილამიდური პრეპარატები და აუტოჰემოთერაპია.</p>	<p>ავადმყოფ ცხენებში ხანგრძლივი და ძლიერი იმუნიტეტი. მუშავდება 5 წლის ასაკში. მაღალს აქტიური და პასიური სპეციფიკური პროფილაქტიკის საიმედო საშუალებები არ არის შემუშავებული. მეურნეობის (საჯინობის) დასაცავად ცხენების ახალი სულადობა შეყავთ მაღალზე გამოკვლევისა და კარანტინის გავლის შემდეგ.</p>	<p>დაკვლის პროდუქტებს მთლიანად სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებალი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>მელიოიდოზი</b></p> <p>ლათ. Melioidosis</p> <p>ინგ. Melioidosis</p> <p>რუს. Мелиоидоз</p> <p>იშვიათი ზოონოზური სეპტიცემიური დაავადებაა, ხასიათდება ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსების კატარალურ-ჩირქოვანი ანთებით. აბსცესების წარმოშობით ორგანოებში და ქსოვილებში.</p> <p>მიმდინარეობს მაღალი ლეტალობით.</p> <p>დაავადება გავრცელებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ავსტრალიაში და წყნარი ოკეანის კუნძულზე.</p>	<p>მელიოიდოზით ავადდება ცხვარი, თხა, ძაღლი, კატა, გარეული მღრღნელები, ღორი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენი, მაიმუნი, კენგურუ.</p> <p>ავადდება ადამიანიც.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია ბაქტერიაა <i>Pseudomonas Pseudomallei</i> გრამუარყოფითი ჩხირი. სპორებს და კაფსულას არ წარმოქმნის. აერობია პროდუცირებს ტოქსინებს.</p> <p>მელიოიდოზის აღმძვრელი უძლებს გამოშრობას ნიადაგში, ძლებს 1 თვემდე, წყალში 44 დღე, შარდში 17 დღე, მღრღნელების ლეში – 8 დღე. 56°C-ზე კვდება 10 წუთში. აღმძვრელის წყაროა დაავადებული ცხოველები. განსაკუთრებით მღრღნელები, რომლებიც თავის გამონაყოფებით აბინძურებენ ნიადაგს, წყალს, ცხოველთა საკვებს და ადამიანთა საკვებ პროდუქტებს.</p> <p>ეპიზოოტურ კერაში მიკრობს ნახულობენ პატარა წყალსატევებში. მიკრობი გამოიყოფა ფეკალით, შარდით და ცხვირიდან გამონადენით.</p>	<p>ორგანიზმის დასენიანება ხდება საჭმლის მომწელებელი სისტემიდან, სასუნთქი გზებიდან და კანიდან.</p> <p>ძაღვები, კატები და ღორები ავადდებიან მელიოიდოზით დაავადებული და მკვდარი მღრღნელების შეჭმის შედეგად.</p> <p>დაავადების აღმძვრელი შეიძლება გადაიტანოს სისხლისმწოვმა მწერებმა. ეპიზოოტიური აფეთქებები რეგისტრირებულია მღრღნელებში, ლაბორატორიული ცხოველების ვივარიუმებში, იშვიათად ძაღვებში, კატებში, წვრილ ცხოველებში და ღორში. სპორადიული შემთხვევები აღწერილია ცხენებში და რქოსან პირუტყვში.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 3-10 დღეა. დაავადება მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიშნაულობა და ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეაღმართის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადებულ მღრღნელებს, ძაღლებს და კატებს მწვავე და ქვემწვავე ფორმის დროს აღენიშნებათ დიარეა, ჩირქოვანი კონიუქტივიტი, ვაგინიტი, რინიტი წყლულების წარმოშობით და ლიმფური კვანძების დაჩირქებით.</p> <p>დაავადებული ცხოველები კვებიან 2-3 კვირაში, ქრონიკული მიმდინარეობისას კანზე წარმოიშობა არასწორკედლებიანი წყლულები, ვითარდება კახექსია. დაავადება კეთილთვისებიანად მიმდინარეობს ცხენში, რქოსან პირუტყვში და კამეჩში. მიკრობის შეჭრის ადგილზე ვითარდება ფლეგმონა, აღინიშნება ხანმოკლე ცხელება და ჩირქოვანი გამონადენი ცხვირიდან, იშვიათად სეპსისი და აბცესები შინაგან ორგანოებში.</p> <p>ცხვარში და თხაში შეიმჩნევა ხველა და ცხვირიდან გამონადენი, პოლიართრიტები და ბეჭისწინა ლიმფური კვანძების დაჩირქება. ზოგჯერ ადგილი აქვს ნერვული სისტემის აშლილობას.</p> <p>ლორებში ზიანდება საყლაპავის ლიმფური კვანძები. ვითარდება აბცესები შინაგან ორგანოებში.</p>	<p>მკვდარი ცხოველების ლეშები ძირითადად გამოფიტულია. გაკვეთისას შინაგან ორგანოებში ნახულობენ მელოიდოზისთვის დამახასიათებელი კაზეოზურ კერებს. ღვიძლი, ელენთა, თირკმლები, რეგიონალური ლიმფური კვანძები გადიდებულია. განაკვეთზე მოფენილია ყვითელი ფერის სხვადასხვა ფორმის და სიდიდის მრავლობითი კვანძებით და აბცესებით.</p> <p>ანალოგიური ცვლილებები შეიძლება აღმოჩენილი იქნას ფილტვებში, კანქვეშ კუნთებში, ძვლებში, აგრეთვე შარდის და ნაღვლის ბუშტის კედლებზე.</p> <p>ნაწლავების ლორწოვან გარსებზე ნახულობენ მრავლობით წყლულებს.</p>	<p>დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტიური მონაცემების კლინიკური ნიშნების, პათოლოგოანატომიური ცვლილებების და ლაბორატორიული გამოკვლევის (ბაქტერიოლოგიური, ბიოცდა) შედეგების საფუძველზე. ბიოცდას ატარებენ ზღვის გოჭებზე.</p> <p>აღმძვრელის არსებობის შემთხვევაში სუსპენზის შეყვანის ადგილზე ვითარდება ფლეგმონა 2-3 დღეში ქსოვილების ნეკროზი წყლულების წარმოშობით და რეგიონალური ლიმფური კვანძების დაჩირქებით. სადიაგნოზტიკოდ შეიძლება გამოყენებული იქნეს ალერგიული რეაქცია.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ ქოთაოსთან, ეპიზოოტიურ ლიმფანგიტთან, სტაფილოკოკოზთან.</p>	<p>დაავადებულ ცხოველთა მკურნალობა მიზანშეწონილი არ არის.</p> <p>დაავადებულ ცხოველებს კლავენ პირადი ჰიგიენის დაცვით. ლეშებს წვავენ.</p>	<p>არაკეთილსაიმედო მეურნეობაში ატარებენ დეზინფექციებს, დეზინსექციას და დერატიზაციას.</p> <p>არ უნდა დაუშვას მღრღნელების გამრავლება ფერმის ტერიტორიაზე, რადგან ისინი არიან დაავადების ძირითადი გამავრცელებლები.</p>	<p>დაავადებაზე საეჭვო ცხოველების დაკვლა აკრძალულია.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>მიკროსპოროზი</b></p> <p>ლათ. Microsporiasis</p> <p>ინგ. Microsporia</p> <p>რუს. Микроспороз / Микроспория</p> <p>ზედაპირული მაღალკონტაგიოზური სოკოვანი დაავადებაა. ვლინდება კანის და მისი წარმონაქმნების ანთებით.</p>	<p>მიკროსპოროზით ხშირად ავადდება კატა, ძაღლი, ცხენი, ბენეიანი ნადირი, თაგვი, ვირთხა, ზღვის გოჭი, ღორი, ძირითადად ავადდებიან მოზარდები. მსხვილი და წვრილი რქიანი ცხოველები არ ავადდებიან.</p> <p>ავადდება ადამიანი.</p> <p>მიკროსპორიზით ცხენი ავადდება 2-7 წლის ასაკში. ღორი 4 თვემდე. ცხენებში დერმატომიკროზების 98% მოდის მიკროსპოროზზე.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია <i>Microsporum</i>-ის გვარის წარმომადგენლები.</p> <p><i>M. canis</i> ძირითადად აავადებს: ძაღლს, კატას, თაგვს, ვირთხას, ვეფხვს, მაიმუნს, იშვიათად - ბოცვერს და ღორს.</p> <p><i>M. equinum</i> – ცხენს,</p> <p><i>M. gypseum</i> – ყველა ზემოთდასახელებულ ცხოველებს.</p> <p><i>M. nanum</i> – ღორს.</p> <p>მიკროსპორიები დაზიანებულ თმაზე ძლებს 2-4 წელი, ნიადაგში – 2 თვემდე დაავადების აღმძვრელის წყაროა დაავადებული ცხოველები. დაავადების ძირითადი გამავრცელებლები არიან ძაღლები, კატები და მღრღნელები, სპორების შემცველი ქერცლებით ისინი აბინძურებენ გარემოს.</p>	<p>დაავადებულ ცხოველთან ერთად სოკოს მიცელიუმებით ინფიცირებული საგნები ძირითადი წყაროა დაავადების აღმძვრელის.</p> <p>დაავადება ვრცელდება უშუალო კონტაქტით დაავადებულ ცხოველთან და შეხებით დაინფიცირებულ საგნებთან.</p> <p>დაავადება ვლინდება წლის ნებისმიერ დროს. სპორადიულად ან ეპიზოოტიური აფეთქების სახით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 22-47 დღე. დაავადების ხანგრძლივობა 3-9 კვირიდან 7-12 თვეა.</p> <p>დაავადებას სიმძიმის მიხედვით არჩევენ: ზედაპირულს, ღრმას, წაშლილ და ფარულ ფორმას.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების ზედაპირული ფორმისთვის დამახასიათებელია დაზიანებული ბენვის ცვენა და ტიტველი მრგვალი ადგილების გაჩენა აქერცლილი კანით. აღნიშნული ფორმა შედარებით ხშირად რეგისტრირდება კნუტებში, ლეკვებში, კვიცებში და ბენვიან ნადირში.</p> <p>ღრმა ფორმისთვის დამახასიათებელია ანთების მკვეთრად გამოხატვა. კანის ზედაპირზე ჩნდება ქერქები, წარმოშობილი ექსუდატის გაშრობით. აღნიშნული ფორმა გვხვდება ცხვრებში, ბენვიან ნადირში, ღორში.</p> <p>ატიპიური ფორმის დროს ჩნდება ტიტველი ადგილები თხელი თმით და ანთების გარეშე. აღნიშნული ფორმა ხშირია კატებში და ცხენებში.</p> <p>სუბკლინიკური (ფარული) ფორმის დროს ზიანდება ერთეული ბენვი სხვა ნიშნების გარეშე მისი აღმოჩენა ხდება ლაბორატორიული კვლევით. დაავადება ხშირია კატებში, ძაღლებში, ბენვიან ნადირში.</p>	<p>მიკროსპოროზი ზედაპირული დაზიანებებით ხასიათდება, აქედან გამომდინარე ცვლილებები, შინაგან ორგანოებში არ აღინიშნება.</p>	<p>დიაგნოზის დასმის დროს ითვალისწინებენ ეპიზოოტიურ მონაცემებს კლინიკურ ნიშნებს და ლუმინისცენციური და ლაბორატორიული კვლევის შედეგებს.</p> <p>ლაბორატორიული კვლევისთვის იღებენ ანაფხეკებს (ქერცლებს, თმებს) დაზიანებული კერის პერიფერიიდან.</p> <p>ლაბორატორიული კვლევით ხდება დიფერენცირება ტრიქოფიტოზთან, ან ჰიპოვიტამინოზთან, არაინფექციურ დერმატიტებთან და სხვა.</p>	<p>სამკურნალოდ იყენებენ საერთო მოქმედების პრეპარატებს, ვიტამინებს და ანტიბიოტიკ გრიზეოფულვინს.</p> <p>ძირითადად იყენებენ სხვადასხვა მალამოებს და კარბოლის და ბენზოინის ხსნარებს, ACD-ს მესამე ფრაქციას ვაზელინით.</p> <p>სამკურნალოდ ასევე იყენებენ მიკროსპორიის და ტრიქოფიტიის სანიანალმდეგო ვაქცინებს.</p>	<p>პროფილაქტიკის მიზნით მონოდებულია სხვადასხვა სახეობის ცხოველებისთვის დამზადებული მიკროსპორიის და ტრიქოფიტიის სანიანალმდეგო ვაქცინები.</p>	<p>დაავადებული ცხოველებიდან მიღებული ხორცი და ნედლეული გამოიყენება სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>მიქსომატოზი</b></p> <p>ლათ. <i>Mixomatosis Cuniculi</i></p> <p>ინგ. <i>Infectious myxoma of rabbits</i></p> <p>რუს. <i>Миксоматоз кроликов</i></p> <p>მწვავედ მიმდინარე მაღალკონტაგიოზური დაავადებაა, ხასიათდება ლორწოვანი გარსების ანთებით და ჟელეს-მაგვარი შეშუპებით თავის მიდამოში, ანუსთან სასქესო ორგანოების მიდამოში და კანში.</p> <p>დაავადება გავრცელებულია ევროპაში, მათ შორის რუსეთში.</p>	<p>მიქსომატოზით ავადდება ყველა ასაკის შინაური და გარეული ბოცვერი.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია ვირუსი: <i>Leporipoxvirus</i>-ის ოჯახიდან (გვარი <i>Poxviridae</i>). ვირუსი 8-10°C-ზე ძლებს 3 თვე, ლეშებში 7 დღე, გამშრალ ტყავში 10 თვემდე, გაყინულში 2 წელზე მეტ ხანს.</p>	<p>მიქსომატოზი მაღალკონტაგიოზურია. დაავადება ფერმაში ძირითადად გადადის კონტაქტით დაავადებულ ცხოველთან.</p> <p>დაავადება ვრცელდება ალიმენტარული გზითაც (საკვები, წყალი).</p> <p>მიქსომატოზი ვლინდება სეზონურად რაც დამოკიდებულია მწერების (კოლოები, რწყილი, ტილი, ტკიპი) გააქტიურებასთან. გავრცელების პიკი მოდის ზაფხულ-შემოდგომაზე.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-20 დღე, რაც დამოკიდებულია ვირუსის ვირულენტობაზე, დასენიანების გზაზე და ორგანიზმის გამძლეობაზე. დაავადება მიმდინარეობს ორი ფორმით: კლასიკური (ხასიათდება ჟელესმაგვარ შეშუპებებით) და კვანძოვანი (ნოდულიარული) რომლის დროსაც ტანზე ჩნდება სიმსივნეები.</p> <p>კლასიკური ფორმა ძირითადად მიმდინარეობს მწვავედ. ავადობა ამ დროს 90-95%-ია, ლეტალობა ხშირად 100%-ს აღწევს.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიმალფორმული ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეკროლიზის გამოყენება
			მაკრონალოზი	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>კლასიკური და ნოდულარული ფორმის დროს დაავადების პირველი ნიშნებია: სინითლე და წვრილი კვანძები კანზე ძირითადად ქუთათოვებზე და ყურის ნიჟარებზე.</p> <p>დაავადება გრძელდება 5-6 დღე. მაქსომატოზის ძირითადი ნიშანია შეშუპებები თავზე, მკერდზე და სასქესო ორგანოებზე. ბოცვრის სახე ლეზულობს მახინჯ ფორმას და ემსგავსება „ლომის თავს“. მოგვიანებით ჩნდება კონიუქტივიტი. თვალეზიდან გადმოედინება ჩირქოვან-ფიბრინოზული ექსუდატი.</p> <p>უარესდება ზოგადი მდგომარეობა (ვიტარდება რინიტი, ქოშინი და ხიხინი ანევმონიით). შეშუპებულია გარეგანი სასქესო ორგანოებიც, ცხოველი ხდება და კვდება 5-10 დღეში.</p> <p>კვანძოვანი ფორმა ძირითადად მიმდინარეობს მსუბუქად. კვანძები ჩნდება ზურგზე, ყურის ნიჟარებზე, ქუთათოვებზე და თითებს შორის, 10-14 დღეში კვანძების ადგილზე ვიტარდება მეკროზი.</p> <p>ბოლო დროს გაჩნდა დაავადების ახალი ფორმა სასუნთქი ორგანოების დაზიანებით და ბაჭიების სიკვდილით. ხშირად ირღვევა აღნარმოება.</p>	<p>აღინიშნება ყელესმაგვარი ინფიტრაცი კანქვეშ თავზე, კისერზე, სასქესო ორგანოებზე და კიდურებზე გაჟღენთილი ყვითელი სითხით.</p> <p>ინფიტრაციების გარდა დამახასიათებელია ჰიპერემია, ლიმფური კვანძების და ელენთის გადიდება.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზის დასმა ხდება ეპიზოოტიური მონაცემების, დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების და პათოლოგოანატომიური ცვლილებების საფუძველზე.</p> <p>გამოსაკვლევად ლაბორატორიაში აგზავნიან კანის ნაჭრებს, კანქვეშა ინფიტრაციით. მაქსომატოზი უნდა განვასხვავოთ ფიბრომატოზისაგან, სტაფილოკოკოზისაგან და კანქვეშა აბცესებისაგან.</p>	<p>დაავადების მკურნალობა შემუშავებული არ არის.</p>	<p>დაავადების მოხდის შემდეგ ფორმირდება აქტიური იმუნიტეტი. კოლისტრალური იმუნიტეტი ბაჭიებს იცავს 5 კვირის განმავლობაში.</p> <p>არაკეთილსაიმედო მკურნეობაში ცხოველებს ყოფენ ორ ჯგუფად.</p> <p>პირველ ჯგუფში შედის დაავადებული და დაავადებაზე საექვო ცხოველები; მათ ხოცავენ და სპობენ.</p> <p>მეორე ჯგუფში შედის პირობითად ჯანმრთელი ცხოველები. მათ კლავენ სახორცედ.</p> <p>ბოცვრებს საშიშრონაში უტარებენ ვაქცინაციას; კარანტინს ხსნიან 15 დღის შემდეგ, ცხოველთა სადგომების გამონთავისუფლების და სანაციის შემდეგ.</p>	<p>პირობითად ჯანმრთელი ბოცვრების ხორცი მეურნეობიდან გააქვთ მოხარშვის შემდეგ.</p> <p>ტყავს უტარებენ დეზინფექციას.</p> <p>ნაკელს, ქვეშაფენს და შინაგან ორგანოებს წვავენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივილი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადენოვირუსული ინფექცია</b></p> <p>ლათ. <i>Bovinus adenovirus</i></p> <p>ინგ. <i>Bovine adenovirus infections</i></p> <p>რუს. <i>Аденовирусная инфекция</i></p> <p>მწვავედ მიმდინარე დაავადებაა, რომელიც ხასიათდება სასუნთქი სისტემის, საჭმლის მონელების ტრაქტის და ლიმფოიდური ქსოვილების დაზიანებით და კონიუნქტივით.</p> <p>გავრცელებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში, იაპონიასა და აშშ-ში, რეგისტრირებულია რუსეთში.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ძირითადად ავადდებიან, 2 კვირიდან 4 თვემდე ასაკის ხბოები, ასევე გოჭები, ბატკნები, ქათმები, ძაღლების ლეკვები, მელა.</p>	<p>გამომწვევი აგენტი ეკუთვნის დნმ-ის შემცველი ვირუსების <i>Adenoviridae</i> ოჯახს, რომელიც მოიცავს ადამიანის, ცხოველების, ფრინველების ჩათვლით ადენოვირუსებს და შედგება ორი გვარისგან: <i>mastadenovirusi</i> (M) - ძუძუმწოვრების ადენოვირუსები და <i>aviadenovirusebi</i> (A) - ფრინველების ადენოვირუსები.</p> <p>გვარი M შეიცავს დაახლოებით 80 სეროტიპს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა მასპინძლებთან. გამოვლენილია 47 სეროტიპი ადამიანებში, 27 მაიმუნებში, 4 ცხენებში, 10 პირუტყვში, 6 ცხვარში და 6 ლორებში, ძაღლებში – 2 სეროტიპი. დადგენილია ადამიანის და მსხვილფეხა რქოსანი ადენოვირუსების ანტიგენური კავშირი.</p> <p>ინფექციური აგენტის წყაროა ავადმყოფი ცხოველები, რომლებიც გამოყოფენ ვირუსს ცხვირის ამოსუნთქვით და ფეკალით.</p>	<p>ცხოველთა დასენიანება ხდება აეროგენული და ალიმენტალური გზით, კონიუნქტივის მეშვეობით და პირდაპირი კონტაქტით. გადაცემის ფაქტორებია ავადმყოფი ცხოველების გამოწყობებით დაბინძურებული საკვები, წყალი, ჰაერი, ქვეშაფენი, ინვენტარი.</p>	<p>დაავადების ინკუბაციური პერიოდი 4-7 დღეა. მიმდინარეობს მწვავედ და ქვემწვავედ, დაავადების მიმდინარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში ინახავენ ცხოველებს.</p> <p>ადენოვირუსული ინფექცია ხშირად ვლინდება მცირე აფეთქებების სახით, ცხოველთა ცალკეულ ჯგუფებზე და სწრაფად ვრცელდება მთელ ნახირზე.</p> <p>ორგანიზმში ადენოვირუსი უპირველეს ყოვლისა ლოკალიზებულია სასუნთქი გზების ორგანოებში, მრავლდება ლიმფურ ორგანოებში, შემდეგ აღწევს სისხლში, ფილტვებში, საჭმლის მომნელებელ ორგანოებში, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში და აინფიცირებს მათ. ხბოების ვირუსული რესპირატორული დაავადებები ხშირად განპირობებულია იმუნოდეფიციტით. სიკვდილიანობაა 40-60%-ია.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგოზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების დასაწყისში ტემპერატურა იწვევს 41,5°C-მდე.</p> <p>ჩნდება ცხვირიდან ლორწოვანი გამონადენი, რომელიც 3-5 დღეში ჩირქოვანში გადადის. ხბოებში მცირდება მადა, ხშირდება პულსი და სუნთქვა, ჩნდება დეპრესია და მშრალი ხველა.</p> <p>ავადმყოფობის 2-3 დღიდან ხბოებს უვითარდებათ ტიმპანია და დიარეა. დიარეა გრძელდება რამდენიმე დღე. ფეკალური მასები თხევადი, რუხი-ყავისფერი, ლორწოვანი გარსის შერევით, ზოგჯერ სისხლით. შესაძლებელია კოლიკი.</p>	<p>აღინიშნება კატარალურ-ჰემორაგიული ტიპის გასტროენტერიტი, ღვიძლის გადიდება, სასუნთქი ორგანოების ცვლილებები (ატელექტაზი, ინდურაცია, ემფიზემა, პნევმონია), ლიმფური სისტემის გადაგვარება (ლიმფური კვანძები გადიდებულია, შეშუპებული, ანემიური).</p> <p>ელენთის, ღვიძლის, თირკმელების, კუჭისა და ნაწლავების ლორწოვანი გარსების, ლიმფური კვანძების და გულის სისხლძარღვების ენდოთელური უჯრედების ჰისტოლოგიური გამოკვლევით ვლინდება ინტრანუკლეარული ჩანართები.</p>	<p>დიაგნოზს ადგენენ კომპლექსურად, ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული კვლევის შედეგების გათვალისწინებით.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს აუცილებელია გამოირიცხოს პარაგრიპი-3, რესპირატორული სინციტიალური ინფექცია, ინფექციური რინოტრაქეიტი, ვირუსული დიარეა, კორონავირუსული და პარვოვირუსული ინფექციები, მიკოპლაზმოზი, ქლამიდიოზი, პასტერელოზი, სალმონელოზი.</p>	<p>სპეციფიკური მკურნალობისთვის გამოიყენება ჰიპერიმუნური შრატები, მათ შორის პოლივალენტური შრატი, პარაგრიპის, ინფექციური რინოტრაქეიტის, ადენოვირუსული ინფექციის სანიანალგოზო ეფექტურია გამოჯანმრთელებული ცხოველების სისხლის გამოყენება პროფილაქტიკური და თერაპიული მიზნებისთვის.</p> <p>დადებით თერაპიულ ეფექტს იმუნომოდულატორები, ინტერფერონის კომბინირებული პრეპარატები.</p> <p>შერეული ინფექციების პროფილაქტიკისთვის მიზანშეწონილია გამოიყენოთ ანტიბიოტიკები და სულფანილამიდური პრეპარატები.</p>	<p>გამოჯანმრთელებულ ცხოველებში იმუნიტეტი 5 თვემდე გრძელდება. იმუნური ცხოველები რჩებიან ვირუსის მატარებლებად. ხდებიან ადენოვირუსული ინფექციის გამომწვევის წყარო და შეიძლება ხელახლა დაავადდნენ შერეული რესპირატორულ-ნაწლავური ინფექციით.</p> <p>ახალგაზრდა და მაკე საქონლის აქტიური იმუნიზაციისთვის გამოიყენება ასოცირებული ვაქცინები, რომლებიც შეიცავს მსხვილფეხარქოსანი ინფექციური რინოტრაქეიტის, პარაგრიპის-3, რევვირუსისა და ქლამიდიური ინფექციების ანტიგენებს.</p>	<p>დაავადებული ცხოველებიდან მიღებული პროდუქტების გამოყენებას ანარმოებენ სამთავრობო №444-ე დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ანაეროზული ენტეროტოქსემია</b></p> <p>ლათ. Enterotoxaemia bovum</p> <p>ინგ. Cattle enterotoxaemia</p> <p>რუს. Анаэробная энтеротоксемии крупного рогатого скота</p> <p>მწვავე ტოქსიკურ-ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ჰემორაგიული ენტერიტი, ზოგადი ტოქსემია და მაღალი სიკვდილიანობა.</p> <p>დაავადება პერიოდულად გვხვდება ბევრ ქვეყანაში, რაც აზიანებს მეცხოველეობის ფერმებს ახალგაზრდა ცხოველების მაღალი სიკვდილიანობის შედეგად.</p>	<p>ენტეროტოქსემიით ავადდება ყველა სახეობის ცხოველის ახალშობილი, მათგან ყველაზე მეტად მგრძობიარენი არიან ახალშობილი ხბოები.</p>	<p>დაავადების გამომწვევია <i>Cl. perfringens</i> B, C, D, იშვიათად A ტიპები.</p> <p>ინფექციური აგენტის წყაროა ავადმყოფი და ბაცილების მატარებლები, დაავადებამოხდელი ცხოველები, რომლებიც აბინძურებენ ნიადაგს, ქვეშაფენს, მოვლის საგნებს.</p>	<p>დაავადების გაჩენა ხელს უწყობს შენახვის და კვების პირობების დარღვევას. A ტიპის ენტეროტოქსემია ხბოებში შეიძლება მოხდეს გარეგანი ინფექციის გარეშე. ტიპები C და D ჩვეულებრივ ინვევენ დაავადებას ასაკოვან ხბოებში (6-24 თვის ასაკში), მათში დაავადების გაჩენას ხელს უწყობს მაკროორგანიზმსა და მიკროორგანიზმებს შორის ურთიერთობის დარღვევა, რაც დაკავშირებულია კვების უეცარ ცვლილებასთან, ჭარბ კვებასთან და ცხოველების შენახვის ზოოჰიგიენურ პირობებთან შეუსრულებლობასთან. დაავადება უფრო ხშირად ფიქსირდება ადრე გაზაფხულზე ბალახის ზრდის დასაწყისში, რასაც ხელს უწყობს ინფიცირებული ბალახის ჭამა. დაავადების აღმვრელის გადაცემის ფაქტორია: რძე, ნიადაგი, საკვები, წყალი და მოვლა-შენახვის საგნები.</p>	<p>დაავადების კლინიკური გამოვლინება. 1-5 დღიდან 3 კვირამდე ასაკის ხბოებში. დაავადება მიმდინარეობს მწვავედ, ზოგჯერ სიკვდილი დგება პირველი სიმპტომების გამოვლენიდან 3-4 საათის განმავლობაში.</p> <p>ხბოების ენტეროტოქსემია მიმდინარეობს ენზოოტიურად და ხშირად არ არის დამოკიდებული ინფექციის გარეგან შემოტანასთან.</p> <p>დაავადების მიმდინარეობაში გამოყოფენ სამ ფორმას.</p> <p>დაავადება შეიძლება განვითარდეს სპორადულად, მაგრამ ზოგიერთ ნახირში სიხშირე შეიძლება მიაღწიოს 5-10% მოკლე დროში. სიკვდილიანობა თითქმის 100%-ია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმდებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ზოგადი კლინიკური ნიშნებია ცხელება, გულისცემის და სუნთქვის გახშირება, კვებაზე უარის თქმა, ლეტარგია, მწვავე კოლიკი, ნერვული სისტემის დარღვევები.</p> <p>პირველი და ყველაზე გავრცელებული ნიშანია ცხოველის უეცარი სიკვდილი დაავადების განვითარების ნიშნების გარეშე. იმ შემთხვევებში, როდესაც დაავადება კლინიკურად ვლინდება, დამახასიათებელი ნიშნებია მოძრაობის კოორდინაციის უეცარი დარღვევა და პროსტრაციის მდგომარეობა. აღინიშნება კრუნჩხვები, ყურებისა და თვალების კუნთების სპაზმი. დაავადების მეორე ფორმის დროს სხეულის ტემპერატურა ოდნავ იმატებს და ვითარდება მენჯის კიდურების დამბლა. ლეტალური შედეგი დგება 8-12 საათში. მესამე ფორმას ახასიათებს კომა და პროსტრაცია დაავადების დასაწყისშივე.</p>	<p>გვამები შემუშუბულია და სწრაფად იხრნება. აღინიშნება ქაფიანი და სისხლიანი გამონადენი პირის ღრუდან და ცხვირიდან. ხილული ლორწოვანი გარსები ანემიურია. სეროზულ გარსებზე ვლინდება მარცხენა პარაკუჭის ენდოკარდიუმი, ეპიკარდიუმი და თიმუსი, მრავლობითი პუნქტუალური და ლაქოვანი სისხლჩაქცევები. შესაძლოა ცერებრალური შეშუპება.</p> <p>ძირითადი ცვლილებები აღინიშნება მუცლის ღრუში და ისინი დამოკიდებულია დაავადების გამომწვევი პათოგენის ტიპზე.</p> <p>წვრილი ნაწლავების შიგთავსი თხიერია, გაზის და ხშირ შემთხვევაში სისხლის მინარევით, ნაწლავის ლორწოვან გარსში კატარალური ანთებაა, სისხლჩაქცევებით, ლეიდილი სისხლსავსეა, მოცულობაში ცოტა მომატებული, მუქი ალუბლისფერია.</p>	<p>დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური სურათის, პათოანატომიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე. დიაგნოზის დასმისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნაწლავის შიგთავსში ტოქსინის გამოვლენას და მის ტიპიზაციას.</p> <p>აუცილებელია ხბოების ანაერობული ენტეროტოქსემიის დიფერენცირება ეშერიხიოზისგან, სალმონელოზისგან, დიპლოკოკური ინფექციისგან, ვირუსული დიარეისგან, დისპეფსიისგან, ხოლო ზრდასრულ ცხოველებში – ჯილეხისგან, ემფიზემატოზური კარბუნკულისგან, პასტერელოზისგან და მონამვლებისგან.</p>	<p>დაავადების ადრეულ სტადიაზე დადებით ეფექტს იძლევა ანტიტოქსიკური შრატი – ანტიბიოტიკებთან ან სულფანილამიდურ პრეპარატებთან ერთად. ანაერობული ენტეროტოქსემიის მქონე ცხოველების სამკურნალოდ ასევე რეკომენდებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის მარეგულირებელი საშუალებების გამოყენება: კუჭის წვენი, აციდოფილური იოგურტი, სასმელი წყლისა და რძის დამჟავება მარილმჟავით და ა.შ.</p>	<p>ცხოველები, რომლებიც გამოჯანმრთელდნენ ანაერობული ენტეროტოქსემიისგან, იძენენ იმუნიტეტს, რომლის ინტენსივობა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების სიძლიერეზე და სიმძიმეზე.</p> <p>ცხოველებში აქტიური იმუნიტეტის შესაქმნელად გამოიყენება კონცენტრირებული პოლივალენტური ვაქცინა ბრადზოტის, ინფექციური ენტეროტოქსემიის, ცხვრის ავთვისებიანი შემუშუბებისა და ბატკინის დიზენტერიის წინააღმდეგ.</p> <p>როდესაც დაავადება ჩნდება ფერმამი, ფერმამი, პაციენტები იზოლირებულნი არიან და მკურნალობენ. ავადმყოფებთან ერთად შენახული ჯანმრთელი ცხოველები და ყველა ახალშობილი ახალგაზრდა ცხოველი პროფილაქტიკური მიზნით მკურნალობენ ანტიტოქსიკური შრატით.</p>	<p>იძულებით დაკლული ხბოს ტანხორცის და შინაგანი ორგანოების გამოყენება ხდება სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგამათარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ენოტოტიური აბორტი /ქლამიდიოზი</b></p> <p>ლათ. Cr.Jamydophila abortus</p> <p>ინგ. Chlamydiosis of cattle</p> <p>რუს. Хламидиоз крупного рогатого скота / Хламидийный, или энзоотический, аборт коров</p> <p>ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება სანაყოფე გარსების დაზიანებით, აბორტით, მკვდარი ან დაბალი სიცოცხლისუნარიანი ხბოების ნაადრევი დაბადებით.</p> <p>დაავადება ფართოდ არის გავრცელებული ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში.</p>	<p>ავადებიან შინაური და გარეული ცხოველები, ფრინველები, მღრღნელები, აღმძვრელის გადამტანი სისხლისმწოველი მწერები.</p> <p>ქვეყნის ყველა რეგიონში ქლამიდია დიდ ეკონომიკურ ზიანს აყენებს პირუტყვს, გარდა ამისა, გარკვეულ პირობებში, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.</p> <p>პათოგენურია თეთრი თავგების და ზღვის გოჭებისთვის.</p>	<p>ქლამიდიის გამომწვევი აგენტია <i>Chlamydomphila abortus</i>, ის შეიძლება იზოლირებული იყოს პლაცენტიდან, საშვილოსნოს სეკრეციიდან, პარენქიმული ორგანოებიდან და აბორტის ნაყოფის მუცლის შიგთავსიდან.</p> <p>დაავადების გამომწვევის ძირითადი წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი მიკრობმატარებელი, რომელთა ორგანიზმიდან ქლამიდია გამოიყოფა სხვადასხვა გზით, განსაკუთრებით აბორტისა და მშობიარობის დროს, სამშობიარო გზებიდან, ამნიონური სითხის სეკრეციით, აგრეთვე განავლით, შარდით, რძით, სპერმით.</p>	<p>ჯანსაღი ცხოველების ინფიცირება შესაძლებელია მრავალი გზით: ალიმენტური, აეროგენული, კონტაქტი სქესობრივი აქტის დროს ან ხელოვნური განაყოფიერებისას ქლამიდიებით კონტამინირებული სპერმით.</p>	<p>ქლამიდიას შეუძლია ორგანიზმში 2-3 წლამდე იცოცხლოს სიმპტომების გამოვლენის გარეშე.</p> <p>ქლამიდიას აქვს მრავალი ფორმა, რაც დამოკიდებულია დაზარალებულ ორგანოებსა და ქსოვილებზე. სიკვდილიანობა დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე. კერძოდ, რესპირატორული ფორმით, ის 25%-მდეა, გენიტალური ფორმით - 60%-მდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყენება
			გეოგრაფია	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>მსხვილფეხა პირუტყვში ქლამიდიას ახასიათებს კლინიკური გამოვლინებების ფართო სპექტრი, რაც დამოკიდებულია ორგანიზმის ასაკზე, სქესზე, ფიზიოლოგიურ და იმუნურ მდგომარეობაზე, ასევე ქლამიდიის ვირულენტობაზე და დოზაზე.</p> <p>აღინიშნება: ფაღარათი, მადის ნაკლებობა, დეპრესია, სისუსტე, ტემპერატურა 40-40,5°C, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ჰიპერემიული წყლულები.</p> <p>დაგვიანებული მშობიარობა, უნაყოფობა, ენდომეტრიტი, მეტრიტი, მუდმივი აბორტები (4-5 თვეზე).</p> <p>ხველა, ცხელება, კონიუნქტივიტი, ცხვირის ლორწოვანი გარსის შეშუპება, ხანმოკლე ცხელება 41°C-მდე, სეროზული გამონადენი ცხვირიდან.</p> <p>ნერვული სისტემის დაზიანება, კიდურების კანკალი, კოორდინაციის დარღვევა, კუნთების კრუნჩხვები. ყველაზე მძიმე ფორმა, რომლის დროსაც სიკვდილიანობა 100%-ს აღწევს.</p>	<p>აბორტირებულ ნაყოფში: მრავალრიცხოვანი სისხლჩაქცევები ეპიკარდიუმში, პლევრაში, ენდოკარდიუმში, მუცლის ლორწოვან გარსში, თირკმელებში;</p> <p>კანქვეშა ქსოვილში სეროზული შეშუპება; ღვიძლის მარცვლოვანი და ცხიმოვანი დეგენერაცია; შიდა ღრუებში ჰემორაგიული ტრანსუდატი. ასევე გვხვდება ენტერიტი და წყლულოვანი გასტრიტი.</p> <p>ზრდასრულ და ახალგაზრდა პირუტყვში.</p> <p>სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსების შეშუპება და ჰიპერემია ფილტვებში; გაფართოებული ბრონქული ლიმფური კვანძები სისხლჩაქცევებით.</p> <p>თირკმელების, ელენტის და ღვიძლის დისტროფია; სისხლჩაქცევები შინაგან ორგანოებში; ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება; წყლულოვანი ენტერიტი, პროლიფერაციული ფიბრინოზული ართრიტი.</p>	<p>ქლამიდიის დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად, ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული კვლევების შედეგების გათვალისწინებით.</p> <p>ლაბორატორია იგზავნება: აბორტირებული ნაყოფი და სისხლი.</p> <p>პათოლოგიური მასალა ლეშიდან, პლაცენტის ნაწილი, ლიმფური კვანძები, პარენქიმული ორგანოები და სათესლე ჯირკვლები.</p> <p>ძროხების ქლამიდიური აბორტების დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს ბრუცელაზი, ლეპტოსპიროზი, კამპილობაქტერიოზი, ტრიქომონოზი და სხვა.</p> <p>ახალგაზრდა პირუტყვის დროს ინფექციური რინოტრაქეიტი, პუსტულური ვულვოვაგინიტი, პარაგრიპი-3, ვირუსული დიარეა, ადენოვირუსული ინფექცია, აგრეთვე მიკოპლაზმოზი და პასტერელოზი.</p>	<p>ავადმყოფი ცხოველების მკურნალობა უნდა იყოს ყოვლისმომცველი და მოიცავდეს ეტიოტროპულ, სიმპტომურ და ზომებს, რომლებიც მიმართულია ენდოგენური მიკროფლორის შესაძლო გართულებების პრევენციაზე.</p> <p>ძირითადად გამოიყენება ანტიბიოტიკები, რომელთა მიმართაც დაავადების გამომწვევი აგენტს აქვს მაღალი მგრძნობელობა (ტეტრაციკლინი, ბიომიცინი, ოქსიტეტრაციკლინი და სხვ.).</p>	<p>დაავადებული ცხოველების ორგანიზმში ქლამიდიას ინვეს როგორც ჰუმორულ, ასევე უჯრედულ იმუნიტეტს. ანტისხეულები გროვდება სისხლში, ხსენში და რძეში. იმუნიტეტი არასტერილურია.</p> <p>პირუტყვში აქტიური სპეციფიკური პროფილაქტიკისთვის გამოიყენება ინაქტივირებული ვაქცინები.</p> <p>ვაქცინირებულ ცხოველებში იმუნიტეტი გრძელდება 1 წელი.</p>	<p>ტანხორცის და შინაგანი ორგანოების ყამოყენებისას ხელმძღვანელებენ სამთავრობო №444-ე დადგენილებით.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>რიფტის დაბლობის ცხელება / ენცეფალიტი</b></p> <p>ლათ. Febris Rift-Vallee</p> <p>ინგ. Rift Valley fever</p> <p>რუს. Лихорадка Рифт-Валли</p> <p>რქოსანი პირუტყვის, ცხვრის და თხის უპირატესად მწვავედ მიმდინარე, სწრაფად გავრცელებადი ტრანსმისიული ვირუსული დაავადებაა.</p> <p>დაავადება გავრცელებულია აფრიკის და აზიის ქვეყნებში (კენია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სუდანი, უგანდა, როდეზია). 2015 წელს დაავადება გავრცელდა ბოცვანაში, მავრიტანიაში და სენეგალში.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში დაავადების ამთვისებელია: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, კამეჩი, აქლემი, ვირთხა, თაგვი, ციყვი და მაიმუნები. ადამიანები ავადდებიან მწერების დაკმენით, ცხოველთან კონტაქტით, ლაბორატორიაში პათოლოგიურ მასალასთან მუშაობის დროს.</p>	<p>დაავადების ალმძვრელი ვირუსი არის <i>Bunyaviridae</i>-ს ოჯახიდან. ვირუსის გამრავლება შესაძლებელია თეთრ თაგვებში და ვირთაგვებში, ქათმის ებრიონში, ბატკნის და თაგვის უჯრედოვან კულტურებში. გლიცერინით დაკონსერვებულ მასალაში 4°C ტემპერატურაზე ვირუსი ცოცხლობს 8 თვემდე, 22°C-ზე 7 დღე, ლიოფილურ მდგომარეობაში 1 წელი, მშრალ სისხლში - 6 კვირა. ვირუსს საიმედოდ აუნებელყოფს 0,5%-იანი მწვავე ნატრიუმის და 5%-იანი ფენოლის ხსნარები. ეფექტურია აგრეთვე ქლორის შემცველი ხსნარები.</p> <p>ვირუსს ახასიათებს ანტიგენური აქტიურობა, ჰემაგლუტინინაციის უნარი.</p>	<p>დაავადება მიმდინარეობს სეზონურად, ეპიზოოტიას ახასიათებს პერიოდულობა და 7-10 წლის ინტერვალით მეორდება. წვიმიან ამინდში დაავადებულ ცხოველთა რიცხვი იზრდება. უშუალო კონტაქტით დაავადებული ცხოველიდან ჯანმრთელ ცხოველს დაავადება არ გადაეცემა. დაავადების გადამტანებია კოლოს რამდენიმე სახეობა: <i>Mansonia</i>, <i>Eratmopodites</i>, <i>Aedes</i>, <i>Culex</i>. განსაკუთრებით საშიშია სახეობა <i>Culex pipiens</i>-ი აღნიშნული მწერები დაავადებულ ცხოველებთან ერთად წარმოადგენენ დაავადების ალმძვრელების რეზერვუარს გარემოში.</p> <p>დაინფიცირებული მწერებიდან ვირუსი ხვდება ცხოველის სისხლში და ვრცელდება მთელს ორგანიზმში, ძირითადად ღვიძლის უჯრედებში, შედეგად ღვიძლში ჩნდება მრავალი ნეკროზული კერა. ვირუსის დიდი რაოდენობით გამრავლებას თან სდევს ორგანიზმის ციებ-ცხელება. ძლიერი ინტოქსიკაციის შედეგად ირღვევა ღვიძლის ფუნქცია და ცხოველი კვდება.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 24 - 72 სთ. დაავადება მიმდინარეობს ზემწვავედ, მწვავედ და ქვემწვავედ. განსაკუთრებით მძიმედ და მწვავედ დაავადება მიმდინარეობს მოზარდებში და არაკეთილსაიმედო კერაში შემოყვანილ ახალ ცხოველებში. ბატკნების და ციკნების უმრავლესობა (90 - 100%) კვდება დაავადების კლინიკური ნიშნების გამომჟღავნებიდან 1-2 დღეში. ლეტალობა ზრდასრულ ცხვრებში და თხებში 50%-მდეა.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროლუქტაზისა და ნეღლაულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>მწვავე მიმდინარეობის დროს ხილული ლორწოვანი გარსები ფერმკრთალია, ცხვირიდან შეიმჩნევა ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენი, სუნთქვა გაძნელებულია, ვლინდება გულის სისუსტე და დიარეა ფეკალში სისხლის მინარევით.</p> <p>ქვემწვავე ფორმით დაავადება ძირითადად მიმდინარეობს ასაკოვან ცხვრებში, თხებში და ხბოებში. ცხელების გამოვლენიდან ცხოველები სუსტდებიან, კარგავენ მადას. აღენიშნებათ სისხლიანი გამონადენი ცხვირიდან. მაკე ცხვრებში და თხებში ადგილი აქვს აბორტებს.</p> <p>რქოსან პირუტყვში და კამეჩებში დაავადება ხშირად მიმდინარეობს უსიმპტომოდ. ნახირში, სადაც უსიმპტომოდ დაავადებული ცხოველებია, მასიურად ვლინდება აბორტები, შეიმჩნევა ნერწყვდენა, აგალაქტია და სისხლიანი ფალარათი.</p> <p>დაავადებულ ადამიანებს აღენიშნებათ: ტემპერატურის მატება, თავის და სახსრების ტკივილი, სინათლისადმი შიში. ლეტალობა მცირეა, ავადმყოფობა გრძელდება რამდენიმე დღე და ადამიანის გამოჯანმრთელებით მთავრდება.</p>	<p>ცხოველის ლეში სწრაფად იხრნება, ღვიძლი ძლიერ გადიდება ულია და დაზიანებული. აღენიშნება მრავალი ნეკროზული კერა, ქსოვილები ფაშარია, განაჭერზე ღია ყვითელი და ოქროსფერი, ღვიძლი კარგავს დამახასიათებელ სურათს, კაფსულის ქვეშ სისხლჩაქცევებია.</p> <p>საჭმლის მომნელებელ სისტემაში მკვეთრად გამოხატული ჰემორაგიული გასტროენტერიტი. ელენთა გადიდება ულია, სისხლჩაქცევებია ლიმფურ კვანძებში, ელენთაში, გულის კუნთში და სათესლე ჯირკვლებში. თირკმელებში ვითარდება ჰემორაგიული ნეფრიტი. ფილტვებში ცვლილებები სუსტადაა გამოხატული. ბატკნებში ზოგჯერ ადგილი აქვს ფაშვის და ბრმანაწლავის გახეთქვას. დიდი სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა აქვს ჰისტოლოგიურ გამოკვლევებს, ღვიძლის უჯრედებში აღინიშნება აციდოფილური ხასიათის ბირთვული ჩანართები.</p>	<p>დიაგნოზის დასმის დროს აანალიზებენ ეპიზოოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს (განსაკუთრებით საყურადღებოა დაავადების სეზონურობა, ბატკნების და ციკნების მასიური სიკვდილი ჰემორაგიული გასტროენტერიტით, აბორტები ცხვარში და რქოსან პირუტყვში) და პათოლოგოანატომიურ ცვლილებებს. ცხოველთა გაკვეთისას ყურადღებას იპყრობს ნეკროტიული ცვლილებები ღვიძლში და ჰემორაგიული გასტროენტერიტი. ასენიანებენ 1-3 დღის თეთრ თაგვებს. მკვდარი თაგვების თავის ტვინის და ღვიძლის ემულსიას იყენებენ, როგორც ანტიგენს იმუნოფერმენტული დიგნოსტიკისათვის. ღვიძლის ანაბეჭდების გამოსაკვლევად იყენებენ ფლუორესცირებული ანტისხეულების მეთოდს.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ სალმონელოზთან, ცხვრების კატარალურ ცხელებასთან, ნაირობის და ვესელბონის დაავადებებთან.</p>	<p>შემუშავებული არ არის. ცხოველებს უტარებენ სიმპტომბატკურ მკურნალობას.</p>	<p>დაავადება გადატანილი ცხოველები იძენენ მყარ და ხანგრძლივ იმუნიტეტს, ასეთი დედებიდან მიღებული ბატკნები იმუნურია ასხლეტამდე. ცხოველთა იმუნოზაციის მიზნით იყენებენ ინაქტივირებულ და ცოცხალ ვაქცინებს, ცოხალი ვაქცინით აცრილ ცხოველებში იმუნიტეტი გრძელდება 3 წელზე მეტ ხანს. ინაქტივირებული ვაქცინით იმუნიზირებულ ცხოველებში იმუნიტეტი 9 თვეა. მწერების მოსპობის მიზნით ამუშავებენ ცხოველებს, სადგომებს და ტერიტორიას. ატარებენ მელიორაციულ სამუშაოებს.</p> <p>ნებისმიერი ცხოველი მეურნეობაში შეყვანის წინ თავსდება 30 დღიან კარანტინში.</p>	<p>დაავადებაზე დადებითად მორეაგირე ცხოველებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	ალმძკრალი და მისი წყარო	ალმძკრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>სალმონელოზი</b></p> <p>ლათ. Salmonellosis</p> <p>ინგ. Salmonellosis</p> <p>რუს. Сальмонеллез / Паратиф</p> <p>შინაური და გარეული ცხოველების ძირითადად მწვავედ მიმდინარე ბაქტერიული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით და დიარეით. ქრონიკული მიმდინარეობის დროს კი ფილტვების ანთებით და პროგრესირებადი სიგამხდრით, მაკე ცხოველებში კი აბორტებით.</p> <p>სალმონელოზი ხშირად გვევლინება, როგორც მეორადი ინფექცია, როცა ვირუსული და ინვაზიური დაავადებების დროს. სალმონელები ადამიანებში ინვევენ მძიმედ მიმდინარე საკვების-მიერ ტოქსიკონინფექციებს. დაავადების დროს ეკონომიკური ზარალი დიდია ისეთ მეურნეობებში, სადაც დარღვეულია მაკე ცხოველების და მოზარდების მოვლა-შენახვისა და კვების პირობები.</p>	<p>სალმონელოზით ავადდებიან ხბოები 6 თვემდე ასაკის (ხშირად 10-20 დღის ასაკში). გოჭები – ასხლეთიდან 4 თვის ასაკამდე, ბატკნები – სიცოცხლის პირველ დღეებში და კვირებში. ზოგჯერ 2-3 თვის ასაკში. კვიცები პირველი 8-10 დღის ასაკში, ლეკვები – 1-2 თვის ასაკში, წინილეები 20 დღის ასაკამდე.</p> <p>სალმონელოზით ავადდება აგრეთვე ზრდასრული მაკე ცხოველებიც. საკვების-მიერი ინტოქსიკაცია ვითარდება ადამიანებში.</p> <p>სალმონელა მატარებელია ბატი და იხვი.</p>	<p>დაავადების აღმძკრელია: რქოსან პირუტყვები <i>S. dublin</i>;</p> <p>ლორში: <i>S. choleraesuis</i></p> <p>წვრილფეხა რქოსან პირუტყვში: <i>S. abortusovis</i></p> <p>ცხენში: <i>S. avortuseguy</i></p> <p>ქათამში: <i>Gallinarum pullorum</i> ვირთხაში და თაგვში: <i>S. tumphimurium</i></p> <p>სალმონელა გრამუარყოფითი ბაქტერიაა, სპორას და კაპსულას არ წარმოქმნის, გარემო ფაქტორები გავლენას ვერ ახდენს გამრავლებაზე.</p> <p>მტვერში სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს 80-547 დღე, ნაკელში – 187 დღე, თაგვის ფეკალში 1 წლამდე, ნიადაგში 97 თვემდე, წყალსატევებში 15-120 დღე, ხორცში 6-13 თვე, კვერცხში 22 დღე, რძის პროდუქტებში - 4-301 დღე.</p>	<p>მოზარდი ცხოველები სალმონელოზით სნებოვნდებიან ალიმენტარული და აეროგენური გზით. ნაყოფი შეიძლება დასნებოვნდეს საშვილოსნოში და დაიბადოს მკვდარი ან სუსტი ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი ნაყოფი.</p> <p>სალმონელების გადამტანები შეიძლება იყოს მწერები (ბუზი, ტარაკანი) და მღრღნელები (თაგვი, ვირთხა).</p> <p>დაავადების აღმძკრელი ფრინველში ხშირად არის საინკუბაციო კვერცხი.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1-3 დღე (ზოგჯერ 5-7 დღე) მოზარდ ცხოველებში სალმონელოზი ვლინდება მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად.</p> <p>სალმონელოზი ზოგჯერ მიმდინარეობს ატიპიური ფორმით, იშვიათად ადგილი აქვს დაავადების ნერვულ (აუესკის მსგავს) ფორმას.</p> <p>სალმონელოზი იყოფა პირველად და მეორად სალმონელოზად, პირველადი სალმონელოზის დროს ავადდება მოზარდი ცხოველები. მეორადი სალმონელოზის შემთხვევაში ძირითადი დაავადებები რთულდება სალმონელოზით.</p> <p>ავადობა 50-80%-ია.</p> <p>ლეთალობა – 20-80%.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და დიფ. ღიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნეკროზული გამოყენება
			მაკრონალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ხბოებში მწვავე მიმდინარეობის დროს აღნიშნავენ ტემპერატურის მომატებას, სისუსტეს, პულსის მომატებას, დიარეას, ფეკალი მოყვითალო-მომწვანოა, ზოგჯერ სისხლის მინარევით. ვითარდება კონიუქტივიტი და რინიტი. ხბოები კვდებიან კომატოზურ მდგომარეობაში.</p> <p>გოჭები უარს ამბობენ საკვებზე, არიან დათრგუნული, ეფლობიან ქვეშაფენში, ტემპერატურა მაღალია (41-42 °C), ეწყებათ დიარეა. კანზე ჩნდება სინითლე, ყურებზე სილურჯე.</p> <p>ბატკნებში დაავადება ძირითადად მიმდინარეობს მწვავედ, ტემპერატურა მაღალია (41-42°C). 2-3 დღის შემდეგ ჩნდება დიარეა, სისხლის მინარევებით. ბატკნები კვდებიან 2-5 დღეში. 1-3 თვის ბატკნებში დაავადება მიმდინარეობს ქვემწვავედ.</p> <p>სალმონელოზის ქრონიკული ფორმის დროს ცხოველებში დიარეის გარდა ვითარდება ფილტვების ანთება, ჩამორჩებიან ზრდაში, ქვეითდება შეხორცება, ზიანდება სახსრები. კანი მუქი იისფერია, ჩნდება ნეკროზული კერები. გოჭებში ზოგჯერ ვითარდება ნერვული ფორმა მსგავსი აუესკის დაავადებისა.</p>	<p>დაავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობისას ხბოებში ცვლილებები ლოკალიზებულია მუცლის ღრუს ორგანოებში: ელენთა გადიდებულია ნითელი ალუბლის ფერის, სისხლძარღვები გადავსებულია, ზედაპირზე შეიმჩნევა სისხლჩაქცევები, განაჭერზე საზღვრები ნაშლილია და დარბილებული. მაჭიკის ლორწოვანი გარსი ჰიპერემიული და შეშუპებულია, სისხლჩაქცევებით წვრილი ნაწლავები გაბერილია, შეიმჩნევა კატარალური ანთება, ჯორჯლის ლიმფური კვანძები გადიდებული და ჰიპერემიულია. ფილტვებში ანთებითი პროცესია და შეშუპებული. ქრონიკული ფორმისათვის დამახასიათებელია სიგამხდრე, ფილტვების წინა და შუა ნაწილი გამაგრებულია და მნიფე ალუბლის ფერია, შეზრდილია პლევრასთან. ეპიკარდიის და ენდოკარდიის ქვეშ სისხლჩაქცევებია, ლვიძლი გადიდებული და დუნეა, შეიცავს მოყვითალო-რუხ ნეკროზულ კვანძებს. გოჭების მსხვილი ნაწლავის კედლებზე ჩაზნექილი ბუტონებია.</p>	<p>სალმონელოზზე დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ცვლილებების და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე.</p> <p>გამოსაკვლევად ლაბორატორიაში იგზავნება ფეკალი და სისხლი, სიცოცხლეში სიკვდილის დროს მთლიანად ლეში ან შინაგანი ორგანოები. აბორტის დროს ნაყოფი.</p> <p>სალმონელოზის დიფერენცირება უნდა მოხდეს ხბოებში ეშერიხიოზთან; გოჭებში – ვირუსულ გასტროენტერიტთან და მრავალ გასტროენტერიტთან, მათ შორის არაგადამდები ეტიოლოგიის.</p>	<p>ავადმყოფ ცხოველებს უქმნიან სათანადო მოვლა-შენახვის და კვების პირობებს და იზოლირებულად მკურნალობენ ჰიპერიმუნური შრატით, სპეციფიკური ფაგით და ანტიბიოტიკებით (სინტომიცინი, ლევომიცეტინი, ტეტრაციკლინი, რიგის პრეპარატები და სხვა), კარგ შედეგს იძლევა პრობიოტიკების გამოყენება.</p>	<p>სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით ატარებენ ხბოების ვაქცინაციას 1-2 დღის ასაკში. სტაციონალურად არაკეთილსაიმედო მეურნეობაში ცრიან ძროხებს მაკეობის მეორე ნახევარში გოჭებს ცრიან 20-30 დღის ასაკში ან ნეზებს მაკეობის მეორე ნახევარში. ბატკნებს ცრიან სიცოცხლის პირველ დღეებში. დედა ცხვარს კი შეწყვილების წინ.</p>	<p>დაავადებულ სუსტ და ზრდაში ჩამორჩენილ ცხოველებს აგზავნიან სანიტარულ სასაკლაოზე. მატყლს, ტყავს, და ბუმბულს შესაბამისად აუვნებელყოფენ.</p> <p>სალმონელოზების დროს ხშირია ხორცის და რძის პროდუქტების და კვერცხის გამოწუნება და უტილიზაცია.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>სკრეპი</b></p> <p>ლათ. Chesiumovium</p> <p>ინგ. Scrapie / Rubbers</p> <p>რუს. Крепи / Почесуха</p> <p>ცხვრის და თხის მდორედ მიმდინარე დაავადებაა, რომელიც ვლინდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით, ქავილით, ალგზნებით, დამბლებით, გამოფიტვით და სიკვდილით.</p> <p>გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთში.</p> <p>დაავადება ფართოდაა გავრცელებული რომანული ჯიშის ცხვრებში.</p>	<p>ამთვისებელია ცხვარი (ნაკლებად თხა) 2 წლის და მეტი ასაკის. ძირითადად ავადდებიან ცხოველები 3-4 წლის ასაკში.</p>	<p>აღმკვრელია პრიონი (პათოგენური ცილა), რომელიც დიდი რაოდენობითაა დაავადებული ცხოველის თავისა და ზურგის ტვინში. ცერებრალურ სითხეში, თვალელებში, პერიფერიულ ნერვებში, სისხლში და სხვა. ორგანოებში. დამარხული ცხოველის თავის ტვინში ძლებს 3 წლის განმავლობაში. დაავადების აღმკვრელის წყაროა – დაავადებული და ინკუბაციური პერიოდში მყოფი ცხოველები.</p>	<p>ცხვრების დაავადება ბუნებრივ პირობებში ხდება დაზიანებული კანიდან, ლორწოვანი გარსებიდან დაავადებულ ცხოველებთან შეხების დროს.</p> <p>აღმკვრელის შეჭრა ორგანიზმში ხდება აგრეთვე რესპირატორიული და პერორალური გზებით, აღწერილია ვერტიკალური გზაც (დედიდან ნაყოფზე).</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-6 წელი, დაავადების სიმპტომები მატულობს ძალიან ნელა.</p> <p>დაავადების კლინიკური გამოვლენის პერიოდი გრძელდება 4-6 კვირიდან რამოდენიმე თვემდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და ლიზ. დიაგნოზი	სანიანალბაზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების დასაწყისში დათრგუნული მდგომარეობა იცვლება მოუსვენრობით, ცხოველებს აღენიშნებათ: მხედველობის დაქვეითება, ბარბაცით სიარული, ქავილის მატება, ჩნდება ნაფხანი და ნაკბენი ადგილები გაცვენილი მატყლით. ვითარდება კუნთების კანკალი შედარებით ხშირად თავის მიდამოში, ტუჩებზე, კისერზე. იწყება კბილების კრაჭუნი, შემდგომ ვითარდება არაკორდინირებული სიარული, ტრემორი, სიელმე, გაზრდილი რეაქცია ხმებზე და შეხებაზე. თავი და ყურები იკავენს არანორმალურ მდებარეობას. ყოველივე ამას ემატება პარეზი და დამბლა ჯერ უკანა კიდურებზე, შემდეგ წინაზე. პროგრესირდება გამოფიტვა. საბოლოოდ დაავადებული ცხოველი კვდება.</p>	<p>დაავადების ხანგრძლივად მიმდინარეობის პერიოდში სხვა ცვლილებებთან შედარებით მკაფიოდ არის გამოხატული ლემის გამოფიტვა.</p> <p>ჰისტოლოგიური გამოკვლევებით ნათლად ჩანს თავის და ზურგის ტვინის ნეირონების ვაკუოლიზაცია.</p>	<p>დიაგნოზს სვამენ კლინიკური ნიშნების და პათოჰისტოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე, თავის ტვინის ქსოვილებში ვაკუოლების აღმოჩენით.</p>	<p>მკურნალობა არაეფექტურია.</p>	<p>დაავადებული ცხოველის ორგანიზმში იმუნიტეტი არ ფორმირდება. აქედან გამომდინარე, სპეციფიკური პრეპარატები შემუშავებული არ არის.</p> <p>დაავადებისგან ცხვრების დასაცავად ატარებენ მკაცრ ვეტერინარიულ-სანიტარიულ ღონისძიებებს გათვალისწინებულს ცხვრის სკრეპის სანიანალბეგოდ.</p>	<p>დაავადებული ცხოველების პროდუქტებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისაპალი ცხონელი	აღმკრალი და მისი წყარო	აღმკრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>სტაქიბოტრიოტოქსიკოზი</b></p> <p>ლათ. Stachybotryotoxicosis</p> <p>ინგ. Stachybotryotoxicosis</p> <p>რუს. Стахиботриотоксикоз</p> <p>ცხოველების მიძიმე საჭმლის მომწელებელი სისტემის მიკოტოქსიური დაავადებაა, რომელიც ვითარდება ტოქსიკური სოკო <i>S. alternans</i>-ით დაავადებული საკვების კვების დროს.</p> <p>დაავადება პირველად უკრაინაში ცხენებში 1930 - 1931 წლებში დაფიქსირდა. საბჭოთა მკვლევარები ი.ა. ფიალკოვმა და ს.ბ. სერებრიანაია (1949) გამოყვეს ტოქსიკური ნივთიერება სოკოს <i>Stachybotrys alternans</i> კულტურებიდან და უწოდეს მას <i>staqibotriotoqsini A</i>.</p>	<p>ცხენები, მსხვილი და წვრილფეხა პირუტყვი, კამეჩები, ღორები, ძაღლები, ქათმები, ლაბორატორიული ცხოველები და ადამიანები მგრძნობიარეა სტაქიბოტრიოტოქსიკოზის მიმართ.</p>	<p>გამომწვევი აგენტია სოკო <i>Stachybotrys alternans</i>. ბუნებრივ პირობებში ის გვხვდება ცელულოზით მდიდარ ტენიან მცენარეულ საკვებზე და ნიადაგში. სოკოს ზრდისა და განვითარების ოპტიმალური ტემპერატურაა 20-27°C, ტენიანობა 45-50%.</p> <p>ზრდის პროცესში წარმოქმნის და აგროვებს ტოქსინს – სტაქიბოტრიოტოქსინს, რომელიც იწვევს ალიმენტურ მიკოტოქსიკოზს. სტაქიბოტრიოტოქსინი არის სტეროიდული ტოქსინების ჯგუფი, რომელსაც წარმოქმნის <i>S. alternans</i> სტეროლების ბიოლოგიური დაჟანგვის შედეგად.</p> <p>არახელსაყრელი სტაქიბოტრიოტოქსიკოზის მქონე ზონებში მიკრომიცეტები გვხვდება ჩალაზე, მარცვლეულზე, სილოსზე, სახლების სახურავებზე.</p>	<p>აღმძვრელი ორგანიზმში ხვდება ტოქსინით დაბინძურებულ საკვებთან ერთად, ძირითადად მაშინ როდესაც ცხოველებს ზამთარში და ადრე გაზაფხულზე ინახავენ სადგომებში.</p>	<p>ცხენებში განასხვავებენ მწვავე (ატიპიური ფორმა) და ქვემწვავე (ტიპიური ფორმა) სტაქიბოტრიოტოქსიკოზის ფორმას. მონამვლის სიმპტომები შეიძლება გამოვლინდეს სოკოთი დაავადებული საკვების ჭამიდან 1-3 დღის შემდეგ. დაავადების ატიპიური ფორმა ვლინდება 5-24 საათის შემდეგ. სიკვდილიანობა არის 70-90%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p><i>S. alternans</i> სოკოს ტოქსინების ბიოლოგიური ეფექტია ტაქიკარდია, ვაზოკონსტრიქცია, ჰემოლიზი; სისხლში ტუტეების, ფოსფორის და თრომბოციტების შემცველობის შემცირება. სტაქობოტრიოტოქსინის ადგილობრივი მოქმედება ვლინდება ტუჩების, პირის ღრუს, კუჭისა და ნაწლავების ლორწოვანი გარსების ანთებით-ნეკროზული დაზიანებით.</p> <p>ტოქსინების ზემოქმედება ხასიათდება ნერვული სისტემის ღრმა დაზიანებით, სისხლის სურათის მკვეთრი ცვლილებებით და მრავლობითი ნეკროზის განვითარებით.</p>	<p>გაკვეთის დროს უმეტეს შემთხვევაში ვლინდება ჰემორაგიული დიათეზი, ნყლეულები საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ლორწოვან გარსზე, ღვიძლისა და თირკმელების ნეკროზული დაზიანებები.</p>	<p>დიაგნოზი დგება ეპიზოოტიური, კლინიკური, პათოლოგიური და მორფოლოგიური მონაცემებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ტარდება ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების სპეციალიზებულ ლაბორატორიებში.</p> <p>უნდა განვასხვავოთ პასტერელოზისგან, სალმონელოზისგან, ეშერიხიოზისგან, მიქსომატოზისგან, ეიმერიოზისგან, მონამვლისგან, მზის დარტყმისგან და ინსულტისგან.</p>	<p>სტაქობოტრიოტოქსიკოზის დროს გამოიყენება სიმპტომური თერაპია, რომელიც ეფექტურია მხოლოდ დაავადების საწყის ეტაპზე.</p> <p>რეკომენდებულია კომბინირებული მკურნალობა: ინტრავენურად შეჰყავთ 10%-იანი ნატრიუმის ქლორიდის ხსნარი, ადრენალინი კანქვეშ, კალიუმის იოდიდის ხსნარი ინტრავენურად. კარგი თერაპიული ეფექტი მიიღწევა ცხენებზე სტრეპტომიცინის ინტრავენური შეყვანით და ფთალაზოლის პერორალური მიღებისას.</p>	<p>ცხოველების სტაქობოტრიოტოქსიკოზის წინააღმდეგ მთავარი პროფილაქტიკური ღონისძიებაა საკვების მომზადებისა და შენახვისას აგროტექნიკური და ზოოჰიგიენური მოთხოვნების დაცვა.</p> <p>თუ დაავადება დაფიქსირდა, ფერმა მთლიანად ცხადდება არაკეთილსაიმედოდ სტაქობოტრიოტოქსიკოზისთვის.</p>	<p>დაავადებული ცხოველების იძულებით დაკვლას და მიღებული პროდუქტების ვეტერინარიულ-სანიტარიულ შემოწმებას ანარმოებენ სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>სტრეპტოკოკოზი</b></p> <p>ლათ. Streptococcosis</p> <p>ინგ. Streptococcosis</p> <p>რუს. Стрептококкоз / Диплококкоз / Стрептококковая септицемия / Диплоцикловая пневмония</p> <p>მოზარდის ბაქტერიული დაავადებაა. მწვავე ფორმით მიმდინარეობის დროს ვლინდება სეპტიცემიით და ომფალიტით. ქვემწვავე და ქრონიკული ფორმისას ფილტვების, სახსრების, ჭიპლარის და ნაწლავების დაზიანებით.</p> <p>ზრდასრულ ცხოველებში ვლინდება ენდომეტრიტები და მასტიტები.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.</p>	<p>ავადდება მრავალი სახეობის ცხოველის მოზარდი 2-6 თვის ასაკში. აგრეთვე ზრდასრული ცხოველები მშობიარობის შემდეგ.</p> <p>ყველაზე მეტად ავადდებიან მოზარდები 15 დღიდან 2,5 თვის ასაკამდე.</p>	<p>დაავადების აღმკვრელია ბაქტერია <i>Streptococcus</i>-ი. <i>S. Suis</i> (ღორი)</p> <p><i>S. zooepidemicus</i> (ხბო, ბატკანი),</p> <p><i>S. dxsgalactiae agnellorum</i> (ბატკანი),</p> <p><i>S. Pyogenes equi</i> (კვიცი).</p> <p>ცილოვან არეში (სისხლი, ჩირქი, ნახველი), გამომშრალი სტრეპტოკოკები ძლებენ 2 თვემდე, რძეში რამოდენიმე საათი.</p> <p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი მიკროგმატარებელი ცხოველები.</p>	<p>ცხოველთა დასენიანება ხდება ალიმენტალურად და აეროგენურად. შედარებით ხშირად აღმკვრელის გადაცემა ხდება რძის ჭურჭელით, დასვრილი ქვეშაფენით, მოვლის საგნებით, მომვლელი პერსონალის ტანსაცმელით და ხელებით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 1-2 დღეა, ზოგჯერ 1 კვირა.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს ზემწვავედ, მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად. არჩევენ დაავადების ექვს ფორმას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სეპტიკო-ტოქსიური ფორმა;</li> <li>2. სეპტიკური ფორმა;</li> <li>3. ფილტვის ფორმა;</li> <li>4. სახსრების ფორმა;</li> <li>5. ნაწლავის ფორმა;</li> <li>6. შერეული ფორმა;</li> </ol> <p>ავადობა ღორში 0,3%-ია, გოჭებში 30-50%, ბატკნებში - 100%. ლეტალობა ღორში - 30%; გოჭებში - 70-90%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაფთვებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>სეპტიკო-ტოქსიური ფორმისთვის (ზემწვავე მიმდინარეობისას) დამახასიათებელია: უეცარი სისუსტე, კონიუქტივიტი, რინიტი, მაღალი ტემპერატურა (40-42°C), ქოშინი, არითმია, გამონადენი ცხვირიდან, ფილტვების შეშუპება. ცხოველები კვდებიან რამოდენიმე საათში.</p> <p>მწვავე მიმდინარეობისას (სეპტიკური ფორმა): ჰიპერემია (41-42°C) გახშირებული სუსტი პულსი და სუნთქვა, ინტენსიური ცრემლდენა, კატარალური ჩირქოვანი გამონადენი ცხვირიდან, მადის დაქვეითება, არითმია, ახალშობილების ქიპლარის ანთება. მზარდი სისუსტე, დეპრესია, სიკვდილი 1-2 დღეში.</p> <p>ქვემწვავე მიმდინარეობა: სახსრების ანთება, სუსტი ცხელება, ცუდი მადი (სახსრების ფორმა) ფილტვების დაზიანების სიმპტომების (ფილტვის ფორმა) კუჭნაწლავის აშლილობა (ნაწლავის ფორმა). ხშირად დაავადება მიმდინარეობს შერეული ფორმით: ბრონქოპნევმონიით, გასტროენტერიტით, სახსრების ანთებით. ცხოველები სუსტდებიან, ჩაცვნილი აქვთ თვალები, სიკვდილი დღეობა 2-3 დღეში. ქრონიკული ფორმით ავადდება ხბო და კვიცი 2-4 თვის ასაკში გოჭები და ბატკნები 1-2 თვის ასაკში; აღენიშნებათ ცხელება, პერიოდულად დიარეა. პნევმონია, რინიტი, ხშირი და სველი ხველა, ხიხინი, ეფექტური მკურნალობით ადგილი აქვს გამოჯანმრთელებას.</p>	<p>ღეშის გაკვეთისას ნახულობენ სისხლჩაქცევებს პარენქიმულ ორგანოებში. ფიბრინოზულ პლევრიტს და პერიკარდიტს. ელენთა გადიდებული და გამკვრივებულია („კაუჩუკური ელენთა“), ართრიტების დროს ნახულობენ სახსრების დანაოჭებულ ზედაპირს.</p>	<p>დიაგნოზის დასმისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიცოცხლეში სისხლის და სახსრების შიგთავსის ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევის შედეგს.</p> <p>სტრეპტოკოკოზის დიფერენცირება ხდება კოლიბაქტერიოზთან, სალმონელოზთან, პასტერელოზთან და ანაერობულ ენტერიტოქსემიასთან.</p>	<p>სამკურნალოდ იყენებენ იმუნურ შრატს და ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებს, სიმპტომატურ საშუალებებს, ვიტამინებს და დიეტურ თერაპიას.</p>	<p>დაავადების პროფილაქტიკის მიზნით ატარებენ ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებებს, იცავენ ზოოჰიგიენურ და ცხოველთა კვების ნორმებს.</p> <p>ატარებენ მაკედების და მოზარდის ვაქცინაციას.</p> <p>მეურნეობაში დაავადების გაჩენისას ცხოველებს აცალკავებენ და დაავადებულებს მკურნალობენ.</p> <p>დაავადებამოხდელ (მიკრობმატარებელ) ცხოველებს ინახავენ იზოლირებულად 2 თვის განმავლობაში.</p>	<p>დაავადებული ცხოველების იძულებით დაკვლას და მიღებული პროდუქტების ვეტერინარიულ-სანიტარიულ შემოწმებას აწარმოებენ სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებალი ცხოველი	ალმკვრალი და მისი წყარო	ალმკვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ტაქენის დაავადება / ღორის ენცეფალიტი</b></p> <p>ლათ. Encephalomyelitis / Enterovirus Saam</p> <p>ინგ. Infectiovirus porcine / Encephalomyelitis / Tesin disease</p> <p>რუს. Энзоотический энцефаломиелит свиней / Болезнь Тещена</p> <p>ღორის (ხშირად გოჭების) კონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა. გავრცელებულია ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში.</p> <p>ხასიათდება: თავის და ზურგის ტვინის არაჩირქოვანი ანთებით,</p> <p>ენცეფალიტით. ვლინდება ნერვული აშლილობით, დამბლით დაუძღურებით და სიკვდილით.</p>	<p>ამთვისებელია შინაური და გარეული ღორები, უმეტესად ასხლეტილი გოჭები და ბურვაკები 2-8 თვის ასაკში. დადგენილია რომ ვირთხები, თავგები, ძაღლები, ზღვის გოჭები, ბოცვრები არიან ვირუსის მატარებლები და დაავადების გადამტანები.</p> <p>დასენიანების შემდეგ ისინი ვირუსს გამოყოფენ ფეკალთან ერთად, რითაც სვრიან წყალს, საკვებს, ქვეშაფენს და გარემოს სხვადასხვა ობიექტებს.</p>	<p>ალმკვრელია <i>Picornaviridae</i> ოჯახის წარმომადგენელი სახეობა <i>Teschovirus</i>-ი.</p> <p>რუსეთში გამოვლენილია ვირუსის ორი იმუნოლოგიური ქვეტიპი.</p> <p>ვირუსი იმუნოგენურია, ორგანიზმში მის სანინაალმდეგოდ გამომუშავდება ანტისხეულები.</p> <p>გამძლეა გამოშრობის მიმართ მზეზე 3 კვირა. დამარილებულ და შებოლილ პროდუქტებში – 3 კვირაზე მეტხანს მასზე მოქმედებს ქლორისა და ფორმალინის პრეპარატები. იოდი, ცირკონ C და სხვა.</p>	<p>ვირუსი ჯანმრთელ გოჭებს გადაეცემათ ორალური გზით.</p> <p>პირველადი ინფექციების დროს ავადდება ყველა ასაკის ღორი სტაციონარულად არაკეთილსაიმედო მეურნეობაში კი გოჭები 1-3 თვის ასაკში.</p> <p>დაავადების ალმკვრელის წყაროა კლინიკურად და ლატენტურად დაავადებული ცხოველები და დაავადებაგადატანილი ღორები (1 წელი).</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 7-30 დღე. დაავადება მიმდინარეობს ზემწვავე, მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული სახით. მალა-კონტაგიოზურია, ვლინდება ეპიზოოტიის ფორმით.</p> <p>ავადობა 50-100%-ია, ლეტალობა – 30-90%;</p> <p>დაავადების გაჩენის საშიშროებას ყოველთვის ქმნის მეზობელი ქვეყანა, სადაც დაავადება ცირკულირებს.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და ღივ. ღიაგნოზი	სანიანაღმდეგო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყვანება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>პროდრომალურ პერიოდში აღნიშნავენ ტემპერატურის უმნიშვნელო მომატებას, მადის დაკარგვას, ზოგჯერ პირღებინებას, რინიტს, მოძრაობის კორდინაციის მოშლას. ხშირად ეს ცვლილებები რჩება შეუმჩნეველი. შემდგომ ვლინდება ცენტრალური ნერვული სისტემის მოშლის კლინიკური ნიშნები.</p> <p>ზემწვავე ფორმის დროს ცხოველი კვდება 48 საათის განმავლობაში კლინიკური ნიშნების გამოვლენის შემდეგ. სწრაფად ვითარდება ენცეფალიტი, დამბლა.</p> <p>მწვავე ფორმა ხშირად ვლინდება ასხლექტილ გოჭებში ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით: დათრგუნული მდგომარეობა, კოჭლობა უკანა ერთ-ერთი კიდურით, პარეზი, დამბლა, კიდურების ცურვითი მოძრაობა. ზოგიერთ ცხოველს აღენიშნება პირღებინება, ტემპერატურის მომატება (40-41 °C);</p> <p>ცხოველი კვდება 4-10 დღეში, ქრონიკული ფორმის დროს ენცეფალიტი არ ვითარდება, გამოჯანმრთელებულებს ხშირად რჩებათ ზოგიერთი კლინიკური ნიშნები.</p>	<p>ცვლილებებია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. ვლინდება ცხირის ღრუს ლორწოვანი გარსების ჰიპერემია. შეშუპება და ჰიპერემია თავის ტვინის გარსებში და ნერტილოვანი სისხლჩაქცევები.</p>	<p>ეფექტური სადიაგნოსტიკო რეაქციებია, იმუნოფერმენტული რეაქცია და პოლიმერაზული ჯგუფური რეაქცია.</p> <p>დაავადების დიფერენცირება ხდება: აუესკის დაავადებასთან, კლასიკურ და აფრიკულ ჭირთან, ლისტერიოზთან, ცოფთან, შეშუპებით დაავადებასთან, ინფექციურ ენტეროტოქსემიასთან, სტრუპტოკოკოზთან, მოწამვლებთან.</p>	<p>მკურნალობა შემუშავებული არ არის.</p>	<p>დაავადების გადატანის შემდეგ ცხოველებს უვითარდებათ ხანგრძლივი (9 თვე) და დაძაბული იმუნიტეტი. ანტისხეულები გადაეცემა დედიდან გოჭებს. პროფილაქტიკური აცრებისთვის იყენებენ ცოცხალ და ინაქტივირებულ ვაქცინებს.</p> <p>აცრილ ცხოველებში იმუნიტეტი 11 თვეა; დაავადების გაჩენისას დაავადებულ და კონტაქტში მყოფ ცხოველებს ტოტალურად კლავენ, დანარჩენებს კი უტარებენ ვაქცინაციას.</p>	<p>მკვდარი ცხოველის ლეში და იძულებით დაკლული ღორის ხორცი დიდი რაოდენობით შეიცავს ვირუსს.</p> <p>გაყინულ ხორცში ვირუსი ცოცხლობს ნლობით.</p> <p>იძულებით დაკლული ცხოველების ხორცი გამოიყენება მოხარშული ძეხვების და კონსერვების დასამზადებლად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონელი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ტრიქოფიტიოზი (ტრიქოფიტიია)</b></p> <p>ლათ. Trichofitosis / Trochophytia</p> <p>ინგ. Ringworm / Dermatophytosis</p> <p>რუს. Трихофитоз / Трихофития / Стригуший Лишай</p> <p>სოკოვანი დაავადებაა, ხასიათდება კანზე მკვეთრად შემოსაზღვრული აქერცლილი უბნების გაჩენით, ძირში გადატეხილი ბუნებით და კანის მკაფიოდ გამოხატული ანთებით.</p> <p>ანთებითი კერიდან გადმოედინება სეროზულ-ჩირქოვანი ექსუდატი. მისი გამრობით წარმოიქმნება აზბესტის-მაგვარი ქერქები.</p> <p>ტრიქოფიტიია ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში.</p>	<p>ტრიქოფიტიით ავადდება ყველა ასაკის შინაური და გარეული ცხოველები. დაავადება განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს მოზარდებში.</p> <p>ტრიქოფიტიით ავადდება ადამიანიც. სტაციონარულად არაკეთილსაიმედო მეურნეობაში ხბოები ავადდებიან 1 თვის ასაკიდან. ბუნვიანი ცხოველები 1,5-2 თვის ასაკში, ცხვარი ავადდება 1-2 წლამდე, გოჭები სიცოცხლის პირველ თვეებში.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია სოკო რომელიც განეკუთვნება <i>Trichophyton</i>-ის გვარს, <i>T. verrucosum</i>, <i>T. mentayrophytes</i> და <i>T. equinum</i> წყვილჩლიქიანებს ტრიქოფიტიის ძირითადი აღმძვრელია – <i>T. verrucosum</i> (faviforme), ცხენის – <i>T. equinum</i>, ღორის, ბენვიანი ნადირის, კატების, ძაღლების, მღრღნელების – <i>T. Mentagrophytes</i> (gypseum), იშვიათად სხვა სახეობები, ახალი სახეობაა აღმოჩენილი აქლემებში – <i>T. sarkisovii</i>. სოკო ძირითადად პარაზიტობს თმაზე და კანზე. სოკო ვირულენტობას ინარჩუნებს თმის რქოვან მასაში 4-7 წელი, მისი სპორები კი 9-12 წელი. დაავადების აღმძვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ცხოველები.</p>	<p>ქერცლებით და თმით სოკო და მისი სპორები დიდი რაოდენობით ვრცელდება გარემოში. ცხოველი შეიძლება დასენიანდეს მომვლელი პერსონალის ტანსაცმლით და ხელებით, დასვრილი საკვებით, წყლით, ქვეშაფენით, მოვლის საგნებით, ნაკელით, გალიებით და შენობით, სადაც იყვნენ დაავადებული ცხოველები. საშიშია აგრეთვე ფერმის ეზო და საძოვარი. დაავადებების აღმძვრელის გავრცელება შეუძლიათ აგრეთვე მღრღნელებს, ექტოპარაზიტებს.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 5-30 დღე. რქოსან საქონელში და ცხვარში ზიანდება კანი თავზე, კისერზე, იშვიათად ტანის გვერდებზე, ზურგზე, თეძოზე და კუდზე. პათოლოგიური პროცესის სიმძიმის მიხედვით არჩევენ დაავადების შემდეგ ფორმას: ზედაპირულს, ღრმას (ფოლიკულურს) და წაშლილს. მოზარდებში წამყვანია ღრმა ფორმა. ზრდასრულებში კი ატიპიური.</p>

კლინიკური ნიშნები	კათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადებული ცხოველების კანზე ჩნდება მკაცრი შემოსაზღვრული მრგვალი ლაქები. დაფარული ნაცრისფერ-თეთრი ქერცლებით. დაზიანებულ უბანზე თმები აბურძგნულია, რომელიც შემდგომ ძირში ტყდება და წარმოშობენ მოტიტვლებულ ადგილებს. კანის ზედაპირზე ქერცლები ლეზიონს აზბესტის სტრუქტურას კანიდან გამონადენი სეროზული სითხის გაშრობის შედეგად. ქერქების მოცილებით კანზე ჩნდება სველი კერები. ცხოველს ეწყება ქავილი. დაავადების ამ ფორმით მიმდინარეობას ქვია ვეზიკულარული (ბუშტუკოვანი). დაავადების ღრმა ფორმისათვის დამახასიათებელი გამოხატული და ხანგრძლივი ანთებითი პროცესები, ხშირად ჩირქოვანი. ქერქები ხდება სქელი, მასზე ხელის დაჭერისას გადმოედინება ჩირქი და არის მტკიცეული. მსგავსი კერები ცხოველის ტანზე შეიძლება იყოს ერთეული და მრავალი. შედეგად დაავადებული ცხოველები ჩამორჩებიან ზრდაში და კარგავენ შეხორცებას. ნაშლილი ფორმა ვითარდება ზრდასრულ ცხოველებში ძირითადად ზაფხულში. თავზე ჩნდება აქეცლილი კერები.</p>	<p>მკვდარი ცხოველის ლეში გამხდარია. შინაგან ორგანოებში ცვლილებები არ აღინიშნება. ძირითადი ცვლილებები კანზეა. ზოგჯერ კანს ასდის მძაფრი თავგვის სუნი.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტიურ მონაცემთა დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებისა და ლაბორატორიული კვლევის შედეგების საფუძველზე. ლაბორატორიაში იგზავნება კანის ჩამონაფხეკი თმასთან ერთად.</p> <p>სოკოს დიფერენცირების მიზნით წარმოებს გამოყოფილი კულტურების ბიოლოგიური თვისებების შესწავლა. ტრიქოფიტია უნდა განვასხვაოთ მიკროსპორიისაგან, ეკზემისაგან და არაინფექციური დერმატიტებისაგან.</p>	<p>სამკურნალოდ მონოდებულისა მრავალი პრეპარატი ანტიმიკოზული თვისებებით, მათ შორის, ანტიბიოტიკები (გრიზეოფულვინი და სხვა). ტრიქოფიტის ვაქცინას გააჩნია სამკურნალო თვისებები, აქედან გამომდინარე მას სამკურნალო მიზნითაც იყენებენ.</p>	<p>დაავადების გადატანის შემდეგ ცხოველებში ფორმირდება მდგრადი იმუნიტეტი. პირველად მსოფლიოში ტრიქოფიტის სანიანაღმებო ვაქცინა დამზადებული იქნა ყოფილ საბჭოთა კავშირში.</p> <p>დაავადების პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ სხვადასხვა სახეობის ცხოველების ტრიქოფიტის სანიანაღმებო ვაქცინებს.</p> <p>პროფილაქტიკის მიზნით აგრეთვე იყენებენ გრიზეოფულვინს გოგირდის მეთიონინთან ერთად.</p> <p>პრეპარატები ცხოველებს ეძლევა საკვებში შერეული. ცხოველების დასაცავად მეურნეობაში ატარებენ ვეტერინარულ-სანიტარიულ ღონისძიებებს.</p>	<p>ცხოველთა დაკვლის ნედლეული (ტყავი, მატყლი) გამოიყენება დეზინფიცირების შემდეგ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხრილი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკრობმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ტუბერკულოზი</b></p> <p>ლათ. Tuberculosis</p> <p>ინგ. Tuberculosis</p> <p>რუს. Туберкулез</p> <p>მრავალი სახეობის ცხოველისა და ადამიანის მძიმე ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება სხვადასხვა ორგანოებში სპეციფიკური კვანძების – ტუბერკულომების წარმოქმნით, რომლებიც განიცდიან კაზეოზურ ნეკროზსა და კალციფიკაციას.</p>	<p>ყველა სახეობის შინაური და გარეული ცხოველი, ფრინველი და ადამიანი.</p>	<p>ტუბერკულოზის გამომწვევია <i>Mycobacterium tuberculosis</i>-ის გვარის ბაქტერია. არჩვენ მის სამ ტიპს: <i>M.bovis</i> (ხარის), <i>M.tuberculosis</i> (ადამიანის) და <i>M.avium</i> (ფრინველის). მათი ასეთი დაყოფა პირობითია. ღორი შეიძლება დაავადდეს ნებისმიერი ტიპით.</p> <p>ტუბერკულოზის აღმკვრელი ფართოდ არის გავრცელებული და იჩენს გამძლეობას გარემო ფაქტორების მიმართ. ის ნაკელში ძლებს 7 თვე, ნიადაგში – 2 წელზე მეტ ხანს, მდინარის წყალში – 2 თვე, გაყინულ ხორცში – 1 წელი, კარაქში – 45 დღე, ყველში – 100 დღე, რძეში – 10 დღე, ადუღებულ რძეში იღუპება 3-5 წუთში.</p>	<p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული ცხოველები, რომლებიც ბაქტერიებს გამოყოფენ ნახველით, გამონაყოფებით ცხვირიდან, რძით, შარდით, ფეკალით. გადაცემის ფაქტორებია ქვეშააფენი, საკვები, მოვლის საგნები შენობანაგებობები, საძოვრები და დაწყურვების ადგილები.</p> <p>დასენიანება ხდება ალიმენტარულად და აეროგენურად, იშვიათად დაზიანებული კანიდან, სარძევე დერილებიდან, საშვილოსნოდან და შეწყვილებისას დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს დაბალი ვეტერინარიულ-სანიტარიული და ზოოჰიგიენური პირობები, დაავადებული და ჯანმრთელი ცხოველების ერთად შენახვა და სხვა. დაავადებული ცხოველი მუდმივად მიკრობმატარებელია.</p>	<p>ტუბერკულოზის ინკუბაციური პერიოდი 45 დღეა. მიმდინარეობა ქრონიკული და სშირად უსიმპტომო, არადამახასიათებელია (არატიპიური).</p> <p>ეპიზოოტიური პროცესი მიმდინარეობს დუნედ (ნელა). ამიტომ დაავადების კლინიკური ნიშნები შეიძლება გამოჩნდეს დაინფიცირებიდან რამოდენიმე თვის ან წლების შემდეგ. პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციის მიხედვით გამოყოფენ ტუბერკულოზის რამოდენიმე ფორმას (ფილტვის, ნაწლავების, ძუძუს, გენიტალიის და გენერალიზებული) ტუბერკულოზით დაავადებულ ცხოველებში სშირად ზიანდება ფილტვები.</p> <p>ახალგაზრდა ცხოველებში ტუბერკულოზი შეიძლება მიმდინარეობდეს მწვავედ და ქვემწვავედ.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ტუბერკულოზის კლინიკური ნიშნები ერთი და იმავე სახეობის ცხოველშიც კი ძალიან მრავალფეროვანია.</p> <p>მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში გარდა ფილტვებისა ზიანდება ლიმფური კვანძები, ლვიძლი, ცური. ცხოველები ხდებიან, ეწყებათ მზარდი ხველა. ნაწლავების ფორმის დროს მოშლილია საჭმლის მომნელებელი სისტემა. ვითარდება ფალარათი ლორწოს ჩირქის და სისხლის მინარევით. ცურის ფორმის დროს ცური მკვრივია და გადიდებულია ლიმფური ჯირკვლები. გენიტალიის ფორმის დროს შეიძლება განვითარდეს აბორტი, უნაყოფობა შეიძლება დაზიანდეს ცური.</p> <p>ფრინველებში, ძაღლებში და კატებში ტუბერკულოზი მიმდინარეობს ქრონიკულად არადამახასიათებელი კლინიკური ნიშნებით.</p>	<p>ტუბერკულოზით დაავადებულ ცხოველებში პირველ რიგში ზიანდება (100%) გულმკერდის ღრუს ლიმფური კვანძები, 99%-ში – ფილტვები, 10%-ში – ნაწლავები, ნაკლებად სხვა ორგანოები და სხვა ქსოვილები. შესამჩნევია ბრონქიალური და შუასაყრის ლიმფური კვანძების გადიდება და კაზეოზული გადაგვარება, მსგავსი ცხილებებია (ნაწლავის ფორმის დროს) მეზენტერიალურ ლიმფურ კვანძებშიც.</p> <p>ფრინველებში, ტუბერკულოზური დაზიანებები უფრო ხშირად გვხვდება ლვიძლში და ელენთაში, რომლებიც მკვეთრად გადიდებულია, ფხვიერია და შეიცავს უამრავ ტუბერკულომებს.</p>	<p>ტუბერკულოზზე დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტიური მონაცემების კლინიკური ნიშნების პათონატომიური და ჰისტოლოგიური ცვლილებების და ბაქტერიოლოგიური კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე.</p> <p>ცხოველის გამოკვლევა სიცოცხლეში ხდება ტუბერკულინიზაციის ჩატარებით.</p> <p>ბოლო წლებში იხვეწება მრავალი სეროლოგიური და ბიომოლეკულური დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები. ტუბერკულოზი უნდა განვასხვავოთ პლევროპნევმონისგან, პარატუბერკულოზისგან, აქტინომიკოზისგან და ლეიკოზისგან.</p>	<p>ტუბერკულოზით დაავადებულ ცხოველებს არ მკურნალობენ, მათ კლავენ.</p>	<p>დაავადების დადგენის შედეგად მეურნეობა ცხადდება არაკეთილსაიმედოდ. დაავადებული ცხოველები სასწრაფოდ გაყავთ დასაკლავად.</p> <p>ფერმაში ატარებენ ვეტ-სანიტარიულ და ზოოჰიგიენურ ღონისძიებას.</p> <p>ყოველ 60 დღეში ერთხელ დარჩენილ ცხოველებს იკვლევენ ალერგიული მეთოდით ბოლო ორ უარყოფით შედეგის მიღებამდე მუდმივად არაკეთილსაიმედო მეურნეობაში მიზანშეწონილია ვაქცინა BCG-ს გამოყენება.</p>	<p>ტუბერკულოზის გენერალიზებული ფორმის დროს და შინაგანი ორგანოების და ლიმფური კვანძების დაზიანებისას (ჯანდაც ცხოველებში) ტანხორცი ბარდება უტილში. ტანხორცის ნორმალური ნასუქობის დროს თუ დაზიანებულია ერთეული ლიმფური კვანძები და ორგანო ან ქსოვილი ტანხორცს და დაუზიანებელ ორგანოებს ხარშავენ და ამზადებენ კონსერვებს, ხოლო დაზიანებულ ორგანოებს უკეთებენ ტექნიკურ უტილიზაციას.</p>

დაავადება	ამთვისებალი ცხოველი	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკრობმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ტულარემია</b></p> <p>ლათ. Tularemia</p> <p>ინგ. Tularemia</p> <p>რუს. Туляремия</p> <p>მრავალი ძუძუმწოვარი ცხოველის და ფრინველის ბუნებრივ-კერობრივი ტრანსმისიური ინფექციური დაავადებაა.</p> <p>ტულარემიით ავადდება ადამიანიც.</p> <p>დაავადება ვლინდება სეპტიცემიით, ცხელებით, ზედა სასუნთქი გზების და ნანლაგების დაზიანებით, რეგიონალური ლიმფური კვანძების გადიდებით და ხაჭოსებრი გადაგვარებით (ლიმფადენიტი), ანთებითი-ნეკროზული ფოკუსების გაჩენით ღვიძლში, ელენთაში და ფილტვებში, სიგამხდრით, მასტიტებით, აბორტებით, ნერვული სისტემის დაზიანებით და დამბლებით.</p> <p>დაავადება გავრცელებულია ამერიკის, ევროპის, აზიის და აფრიკის ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც.</p>	<p>ტულარემიით ბუნებრივად ავადდებიან კურდღლები, გარეული ბოცვრები, თაგვები, ვირთხები, ზაზუნები და ზოგიერთი ფრინველი.</p> <p>სასოფლო-სამეურნეო ცხოველებიდან ბატკნები და გოჭები 2-4 თვის ასაკამდე, რქოსანი პირუტყვი, ცხენი და ვირი, კამეჩი, აქლემი, ჩრდილოეთის ირემი და შინაური ბოცვრები. დაავადების მიმართ შედარებით გამძლეა ასაკოვანი ცხვარი, უფრო მეტად კი თხა.</p> <p>დაავადების ამთვისებლები არიან ქათმები, გამძლეობას იჩენენ ინდაურები, ბატები, იხვები, ნაკლებად ამთვისებელი არიან აგრეთვე ძაღლები და კატები.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია ბაქტერია <i>Francisella tularensis</i>.</p> <p>ცნობილია აღმძვრელის სამი ქვეტიპი:</p> <p>ამერიკული (<i>F.t. nearctica</i>), შუააზიური (<i>F.t. mediasiatica</i>), ევროპულ-აზიური (<i>F.t. holarctica</i>), ამ უკანასკნელს გააჩნია სამი ბიოვარიანტი.</p> <p>რუსეთში გავრცელებულია ქვეტიპი <i>F. tularensis subsp. holarctica</i>.</p> <p>დაავადების აღმძვრელი გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ, განსაკუთრებით დაბალი ტემპერატურის მიმართ. განსაკუთრებით მგრძობიარეა მაღალი ტემპერატურის და მზის სხივების.</p> <p>დაავადების აღმძვრელის წყაროა დაავადებული ცხოველები. რეზერვუარები, თაგვები და ზემოთ ჩამოთვლილი ამთვისებელი ცხოველები.</p>	<p>აღმძვრელის გადაცემის ფაქტორებია: სისხლისმნოვი მწერები, წყალი, ნიადაგი, საკვები, შინაური და გარეული ცხოველები.</p> <p>დასენიანება ხდება ალიმენტალური, აეროგენური და ტრანსმისიური გზით. ბაქტერიები ორგანიზმში შეიძლება მოხვდნენ კანიდან, ლორწოვანი გარსებიდან და დედიდან.</p> <p>ძაღლები, კატები და ლორიც შეიძლება დაინფიცირდნენ თაგვების, ვირთხების, ბოცვრების და მკვდარი ბატკნების და გოჭების შეჭმის შედეგად. მიკრობმატარებელია უსიმპტომოდ დაავადებული და დაავადებაგადატანილი ცხოველები.</p>	<p>სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში ინკუბაციური პერიოდი 4-12 დღეა.</p> <p>დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად, ვლინდება ატიპიური (ლატენტური, უსიმპტომო) ფორმით.</p> <p>დაავადება გრძელდება 8-15 დღე, ავადობა ბატკნებში 15-50 %-ია, ლეტალობა – 30%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდებო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების მწვავე ფორმის დროს ცხვრები და ბატკნები ნაკლებად რეაგირებენ გარემო გამლიზიანებლებზე, მოძრაობენ ბარბაცით, პულსი აჩქარებულია, სუნთქვა გახშირებული, ტემპერატურა 40,5-41°C. ბატკნებს ეწყებათ დიარეა, უკანა კიდურების სისუსტე, კატარალური კონიუქტივიტი და რინიტი სეროზულ-ლორწოვანი გამონადენით. ყბისქვეშა ლიმფური კვანძები გადიდებული, მკვრივი და მტკივნეულია. ზოგიერთ ცხოველს აღენიშნება დამბლა და კომატოზური მდგომარეობა, ამ მდგომარეობაში ცხოველი მალე კვდება.</p> <p>ზრდასრულ ღორებში დაავადება მიმდინარეობს უსიმპტომოდ.</p> <p>რქოსან პირუტყვში, ცხენში დაავადების უსიმპტომოდ მიმდინარეობის დროს შეიძლება აღინიშნოს აბორტები.</p> <p>ძაღლებისთვის და კატებისთვის დამახასიათებელია ლიმფური კვანძების გადიდება, სისუსტე, უკანა კიდურების დამბლა, დიარეა, პირღებინება.</p> <p>თაგვებში და ვირთხებში მალა-ლია სიკვდილიანობა, კურდღლები, ციყვები და სხვა ცხოველები კარგავენ შიშს და არ გაურბიან ადამიანებს.</p>	<p>მკვდარი ცხოველების ლეშები გამოფიტულია, ილლიის ქვეშ კანი დანაოჭებული და ნეკროზულია.</p> <p>ყბისქვეშა, საყლაპავის ბეჭისნინა, ილლიისქვეშა ლიმფური კვანძები გადიდებულია. აღინიშნება ჩირქოვანი ანთება, ცხვირის ლორწოვანი შეშუპებული და ჰიპერემიულია. ენის ძირზე, გლანდებზე კახეოზურ-ჩირქოვანი საცობებია.</p> <p>ბატკნებში და გოჭებში გარდა ამისა ნახულობენ ფიბრინოზულ პლევრიტს, სეროზულ-ფიბრინოზულ პნევმონიას და ნეკროზულ კერებს ღვიძლზე. ელენთა შესიებულია, ეპიკარდზე სისხლჩაქცევებია.</p> <p>საერთოდ პათანატომიური ცვლილებები ქმნის სეპსისის სურათს.</p>	<p>ტულარემიაზე ეჭვის მიტანის საფუძველს იძლევა მღრღნელების მასიური სიკვდილიანობა და არადამახასიათებელი ქცევა. დიაგნოზის დაზუსტება ხდება ალერგიული, სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევებით.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ პსევდოტუბერკულოზთან, პარატუბერკულოზთან, ტუბერკულოზთან, ანაპლაზმოზთან და კოვციდიოზთან.</p>	<p>სპეციფიკური სამკურნალო საშუალებები შემუშავებული არ არის. დაავადებული ცხოველების სამკურნალოდ იყენებენ ანტიბიოტიკებს (სტრეპტომიცინი, ლევომიცეტილი, ოლეტეტრინი, ტეტრაციკლინი, ქლორტეტრაციკლინი და სხვა).</p>	<p>მეურნეობის დასაცავად ატარებენ ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებებს. პირველ რიგში აძლიერებენ მღრღნელების კონტროლს და ატარებენ გეგმიურ დერატიზაციას. ცხოველებს სისტემატურად ამუშავებენ მწერების სანიანალმდებოდად.</p>	<p>დაავადებული და დაავადებაზე საექსპო ცხოველების დაკვლა სახორცედ და გატყავება აკრძალულია. დაკვლის შემთხვევაში ხორცი და სუბპროდუქტები ნადგურდება. არაკეთილსაიმედო ნახირის ჯანმრთელი ცხოველებიდან მიღებული ხორცი გამოიყენება მოხარშული პროდუქტების დასამზადებლად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	ალმკვრალი და მისი წყარო	ალმკვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ფრინველის გრიპი</b></p> <p>ლათ. Grippus avium</p> <p>ინგ. Avian influenza / Bird flu</p> <p>რუს. Грипп птиц / Высокопатогенный грипп птиц</p> <p>კონტაგიოზური დაავადება, რომელიც ხასიათდება შეშუპებებით, სასუნთქი სისტემის დაზიანებით, დეპრესიით, რომელიც მიმდინარეობს სხვადასხვა ხარისხის სიმძიმით (ასიმპტომური ინფექციიდან სეპტიცემიის მძიმე გენერალიზებულ ფორმებამდე).</p>	<p>გრიპი ფიქსირდება შინაური და გარეული ფრინველების ბევრ სახეობაში.</p> <p>555 სახეობაა ფრინველის, საიდანაც იზოლირებულია. A ქვეტიპის ვირუსი.</p> <p>ვირუსი ასევე პათოგენურია თავგვების, კურდღლების, ზღვის გოჭები-სთვის.</p>	<p>ვირუსი მიეკუთვნება <i>Orthornixoviridae</i>-ს ოჯახს, გრიპის გვარს, რომელიც იყოფა სამ სეროლოგიურ ტიპად: A, B და C, A ტიპის ვირუსები ინვევენ დაავადებებს ცხოველებსა და ადამიანებში. ვირუსის ნაწილაკების ზომაა 80 - 120 ნმ. გრიპის ვირუსები, ძირითადი ანტიგენების (ზედაპირის ცილების) ტიპების საფუძველზე - ჰემაგლუტინინი (H) და ნეირომინინაზა (N), კლასიფიცირებულია შესაბამისად 15 და 7 ქვეტიპად. ყველა მათგანს აქვს გარკვეული კავშირი, მაგრამ სხვადასხვა სეროტიპები ინვევენ დაავადებებს ცხოველთა სხვადასხვა სახეობებში. ფრინველებსთვის ყველაზე პათოგენური ვირუსებია H5 და H7, რომლებიც ინვევენ ე.წ უაღრესად პათოგენურ გრიპს. H5N1 ვირუსი ყველაზე დიდ შემოფოთებას ინვევენ ადამიანებში.</p>	<p>დაავადების პირველი შემთხვევები, როგორც წესი, ფიქსირდება ქათმებსა და ზრდასრულ დასუსტებულ ფრინველებში უხარისხო კვების, ტრანსპორტირებისა და გადატვირთულობის ფონზე.</p> <p>ინფექციური აგენტის წყაროა ავადმყოფი ფრინველი (2 თვის განმავლობაში). ფრინველის დაინფიცირებაში გარკვეულ როლს თამაშობს აეროგენული გზა, ისევე როგორც საკვები და წყალი. ავადმყოფი ფრინველისგან ვირუსის გამოყოფა ხდება ფეკალით, გამონადენით, გამონაყარით, კვერცხით. მღრღნელებს, კატებს და, თავისუფლად მცხოვრებ გარეულ ფრინველებს, რომლებიც ბუდობენ მეფრინველეობის ფერმებში, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ინფექციის გავრცელებაში.</p>	<p>ბუნებრივი ინფექციის ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა 3-დან 5 დღემდეა. უაღრესად პათოგენური გრიპის ვირუსებით გამონეული დაავადება, როგორც წესი, ინვევენ ფრინველის 100%-ის სიკვდილს.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>ფრინველი იწყებს საკვებზე უარის თქმას, თავი აქვს დახრილი, თვალები დახუჭულია, ხილული ლორწოვანი გარსები ჰიპერემიული და შეშუპებულია, ნისკარტის ლიობები ასევე დაცობილია ანთებითი ექსუდატით.</p> <p>სუნთქვა უხეში, სწრაფია, სხეულის ტემპერატურა მწვავე სტადიაში ადის 44°C-მდე, სიკვდილამდე კი 30°C-მდე ეცემა.</p> <p>ქვემწვავე და ქრონიკული კურსი გრძელდება 10 - 25 დღე; სიკვდილიანობა აღწევს 5 - 20%. ავადმყოფ ფრინველში, რესპირატორულ სიმპტომებთან ერთად, გვხვდება დიარეა, ამ ნიშნების გარდა, აღინიშნა ატაქსია, ნეკროზი, კრუნჩხვები, როტაციული მოძრაობები, პრეაგონალურ სტადიაზე კისრისა და ფრთების კუნთების ტონურ-კლონური კრუნჩხვები.</p> <p>დაბალი პათოგენური შტამებით ინფიცირებისას ასევე აღინიშნა დაავადების მსუბუქი მიმდინარეობის შემთხვევები გამობატული კლინიკური ნიშნების გარეშე.</p>	<p>ყველაზე ტიპური ნიშანია ჰემორაგიული დიათეზის სურათი, რომელიც ხასიათდება კანქვეშა შეშუპებით და შეიცავს ჟელატინის მსგავს ექსუდატს, ხორხში, კისერში, გულმკერდში, კიდურებში. ეს შეშუპებები მიუთითებს სისხლის მიმოქცევის ორგანოების ფუნქციის დარღვევაზე. მასიური და ერთჯერადი სისხლჩაქცევებია ასევე პარენქიმულ ორგანოებსა და ლორწოვან გარსებში, ხოლო მეკვერცხულ ქათმებში – საკვერცხეში, კვერცხუჯრედში. მკვდარი ფრინველების 45%-ში გვხვდება რინიტი, ფარინგიტი, კონიუნქტივიტი, სისხლჩაქცევები კუჭში, ნაწლავებში (60%). შესაძლებელია სისხლჩაქცევები გულის კუნთში.</p> <p>მორფოლოგიური ცვლილებები დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობის სიმძიმეზე.</p>	<p>აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ეპიზოოტოლოგიური თავისებურებები, დაავადების რესპირატორული ნიშნები და პათოანატომიური ცვლილებები.</p> <p>საბოლოო დიაგნოზის დასადგენად საჭიროა ლაბორატორიული ვირუსოლოგიური კვლევების ჩატარება.</p> <p>პათოლოგიური მასალა (ფილტვები, ღვიძლი, ტვინი და სხვ.) დაავადების მწვავე სტადიაში დაღუპული ფრინველებიდან იგზავნება ლაბორატორიაში. მასალა უნდა იყოს ახალი, შეიძლება გაყინული 60°C-მდე ვირუსის შესანარჩუნებლად ან შენახული 50%-იან გლიცეროლის ხსნარში.</p> <p>გრიპის გენერალიზებული სეპტიცემიური ფორმა უნდა განვასხვავოთ ნიუკასლის დაავადებისგან, (რესპირატორული ფორმა) ინფექციური ბრონქიტის, მიკოპლაზმოზის, ლარინგოტრაქეიტის და ფრინველების სხვა რესპირატორული დაავადებებისგან.</p>	<p>მკურნალობა არ არის შემუშავებული და მიზანშეწონილი არ არის.</p>	<p>ფრინველის გრიპის პროფილაქტიკისთვის აუცილებელია ტერიტორიაზე ცალ-ცალკე განთავსდეს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ფრინველები.</p> <p>გავრცელებული სადეზინფექციო საშუალებები: მარილმჟავა, ფენოლი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი, კარბოლის მჟავა და სხვა.</p>	<p>დაავადებულ და დაავადებაზე საეჭვო ფრინველებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივილი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ფრინველის ინფექციური ენცეფალომიელიტი</b></p> <p>ლათ. Infections avian encephalomyelitis</p> <p>ინგ. Avian encephalomyelitis</p> <p>რუს. Инфекционный энцефаломиелит птиц / Эпидемический тремор</p> <p>ფრინველის ინფექციური ენცეფალომიელიტი – წინილების მწვავედ მიმდინარე ვირუსული დაავადებაა.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.</p>	<p>ძირითადად ავადდება ქათამი, ასევე ავადდება, ინდაური, მწყერი, იხვი და ხოხობი.</p>	<p>დაავადების აღმკვრელია <i>Picornaviridae</i>-ს ოჯახის და ენტეროვირუსის გვარის წარმომადგენელი. პათოგენურობით განსაზღვრავენ ორ შტამს: ენტეროტროპიულს და ნეიროტროპიულს, რომლებიც მრავლდებიან საჭმლის მომნელებელ ან ცენტრალურ ნერვულ სისტემაში.</p> <p>დაავადებულ ფრინველში ვირუსი გროვდება თავის ტვინში, კუჭში, კუჭქვეშა ჯირკვალში, თორმეტგოჯა ნაწლავში და ღვიძლში.</p>	<p>დაავადება ძირითადად ვრცელდება ზაფხულში. დასენიანება ხდება ალიმენტალურად და ვერტიკალურად (საინკუბაციო კვერცხით), კვერცხის ნაჭუჭით, ფეკალით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი ორალური დასენიანების დროს 11 დღეა. დაავადება დიდ ზარალს აყენებს მეფრინველეობას. ავადობა მაღალია, წინილების სიკვდილიანობა აღწევს 20-25%-ს, ზოგჯერ 60-90%-ს. კლებულობს პროდუქტიულობა და გამოჩეკის პროცენტი.</p> <p>ინფექციური ენცეფალომიელიტით ავადდებიან წინილები 6 თვის ასაკამდე, ხშირად 1-20 დღის ასაკში.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიმალური ღონისძიებები		პროფილაქსია და ნეკროლიზის გამოყენება
			მაკრონალოზა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p><b>ღორის აქტინობაცილარული პლევროპნევმონია</b></p> <p>ლათ. Pleuropneumoniae actinobacillemosis</p> <p>ინგ. Porcine pleuropneumonia / Hemophilic pleuropneumonia</p> <p>რუს. Актинобациллезная плевропневмония свиней</p> <p>ღორების აქტინობაცილარული პლევროპნევმონია – უაღრესად გადამდები დაავადება, რომელსაც ახასიათებს ცხელება, სეპტიცემია, ჰემორაგიულ-ნეკროზული კერები.</p>	<p>ავადდება ყველა ასაკისა და ჯიშის ღორი, სეზონის მიუხედავად. ლაბორატორიული ცხოველებიდან ზღვის გოჭები და თეთრი თავები მგრძნობიარეა ინტრაპერიტონეალური და ინტრანაზალური ინექციის მიმართ.</p>	<p>გამომწვევი აგენტია ბაქტერია <i>Actinobacillus pleuropneumoniae</i>, Pasteurellaceae ოჯახიდან. თავდაპირველად, დაავადების გამომწვევი აგენტი მიენიჭა <i>Haemophilus</i>-ის გვარს, მაგრამ შემდეგ, დნმ-ის ჰომოლოგიისა და ზოგიერთი სხვა თავისებურებების მიხედვით, იგი შედიოდა <i>Actinobacillus</i>-ის გვარში. ეს არის მცირე გრამუარყოფითი კოკობაქტერიები, გამობატული ტროპიზმით ფილტვის მაკროფაგებისა და ფილტვის ქსოვილებისადმი. ორგანიზმში და კულტურებში ისინი ქმნიან კაფსულას, პროდუცირებენ თერმოლაბილურ და თერმოსტაბილურ ციტოტოქსინებს, ასევე ბეტა-ჰემოლიზინს.</p> <p>კაფსულური ანტიგენის მიხედვით <i>A. pleuropneumoniae</i> იყოფა 12 სეროლოგიურ ვარიანტად და ხუთ ჯგუფად.</p>	<p>დაავადების აღმძვრელის წყაროა ავადმყოფი და გამოჯანმრთელებული ღორები – ბაქტერიების მატარებლები, რომლებიც გამოყოფენ მიკრობს ცემინებისა და ხველების დროს. ბევრ კლინიკურად ჯანმრთელ ღორში პათოგენი ცხოვრობს გლანდებში და ზედა სასუნთქი გზების ლორწოვან გარსებზე. დასენიანება ხდება აეროგენურად – მიკროორგანიზმი ხვდება ჯანსაღი ღორების სასუნთქ ორგანოებში, მათ შორის ფილტვებში ჰაერ-წვეთოვანი აეროზოლის სახით. ამიტომ, დაავადება პლევროპნევმონია სწრაფად ვრცელდება არასაკმარისი ვენტილაციისა და მტვრის მაღალი შემცველობის მქონე სალორეში მოთავსებულ ღორებში.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდია 6-18 საათი, ბუნებრივ პირობებში 24 საათამდე, დაავადება მიმდინარეობს ზემწვავე, მწვავე და ქრონიკულად.</p> <p>დაავადების გავრცელება შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს, მაგრამ ენზოოტიების ინტენსივობა შემოიფარგლება ზამთარ-გაზაფხულის პერიოდით. გავრცელების არეალზე, ავადობაზე, დაავადების მიმდინარეობის სიმძიმეზე და სიკვდილიანობაზე გადამწყვეტ ზეგავლენას პათოგენის ვირულენტობა და ტოქსიკურობა.</p> <p>ავადობა შეიძლება მერყეობდეს 10-15-დან 90-100%-მდე, სიკვდილიანობა – 10-დან 50%-მდე.</p> <p>სიკვდილიანობამ შეიძლება მიაწლოს – 20-80%-ს.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეალოგის გამოყენება
			მაკურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>კლინიკური ნიშნები მნიშვნელოვნად განსხვავდება მწვავე და ქრონიკულ ფორმებს შორის. მწვავე ეპიდემიების დროს ხშირია უეცარი სიკვდილი. ადრეული ნიშნებიდან აღსანიშნავია პროსტრაციის უეცარ დაწყება, მაღალი ტემპერატურა, აპათია, ანორექსია, სიმტკიცე და შესაძლოა ლებინება და დიარეა. ზოგჯერ ვლინდება ზედაპირული ხველა, გამობატული ქოშინი პირით სუნთქვით და, ქაფიანი, სისხლიანი გამონადენი პირიდან და ცხვირიდან. არსებობს კიდურების ადრეული პერიფერიული ციანოზი.</p> <p>ქრონიკული შემთხვევები შეიძლება გამოვლინდეს მწვავე ეპიდემიის შემდეგ. ქრონიკული ხველა და ნელი ზრდა არის ჩვეულებრივი ნიშნები პლევრის ადჰეზიებისა და აბსცესების არსებობის გამო, რომლებიც წარმოიქმნება გამოჯანმრთელებულ ფილტვებში.</p>	<p>შესამჩნევია ფილტვების ჰემორაგიული ანთება. ფილტვის დაზიანებული ნილები გამკვრივებული და ალუბლისფერია, შეიცავს სისხლიან სითხეს. გულმკერდის ღრუში დიდი რაოდენობითაა მუქი ნითელი სითხეა. ხშირად ვითარდება ფიბრინოზული პლევრიტი, პერიკარდიტი, ბრონქიალური და შუასაყარის ლიმფური კვანძების სეროზული ჰემორაგიული ანთება, ქრონიკული ფორმისთვის დამახასიათებელია ინკაპსულირებული ნეკროზული კერები და ფილტვების პლევრასთან შეზრდა.</p>	<p>აქტინობაქტერიული პლევროპნევმონიის დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების და პათოლოგიური ცვლილებების ანალიზის საფუძველზე. კვლევისთვის ლაბორატორიაში იგზავნება დაზიანებული ფილტვების, შუასაყარის და ბრონქული ლიმფური კვანძები 5-6 ღორის ახალი ლეშიდან.</p> <p>დაავადება დიფერენცირებული უნდა იყოს პასტერელოზისგან, პნევმონიისგან, რომელიც გამოწვეულია მიკოპლაზმებით, ქლამიდიით, სტრეპტოკოკებით და სალმონელებით.</p>	<p>მკურნალობა ეფექტურია დაავადების დასაწყისში, სანამ ჩამოყალიბდება ცვლილებები ქსოვილებში და ორგანოებში. ყველა დაავადებულს და მათთან კონტაქტში მყოფ კლინიკურად ჯანმრთელ ცხოველს ენიშნება ანტიბიოტიკები. გამომწვევი აგენტი, მიუხედავად სეროლოგიური ვარიანტისა, ძალიან მგრძობიარეა ქლორამფენიკოლის, ცეფალოტინის, ნორფლოქსაცინის, კოტრიმოქსაზოლის, ოქსიტეტრაციკლინის მიმართ. გვხვდება ერთრომიცინის, სტრეპტომიცინის და სულფანილამიდური პრეპარატების მიმართ რეზისტენტული შტამები.</p>	<p>დაავადებულ ღორებში ანტი-ტოქსიკური და ანტიბაქტერიული იმუნიტიტი, რომელიც იცავს ხელახალი დაავადებისგან. სპეციფიური პროფილაქტიკისთვის ბევრ ქვეყანაში, წარმატებით გამოიყენება ინაქტივირებული ფორმოლი ვაქცინები სხვადასხვა ადიუვანტებით.</p> <p>დაავადების პრევენცია ეფუძნება ღორების შენახვისა და კვების ტექნოლოგიის მკაცრ დაცვას, შენობების დროულ და მაღალხარისხიან პროფილაქტიკური დეზინფექციას.</p>	<p>როცა დაზიანებულია ძვლები, ლიმფური კვანძები, შინაგანი ორგანოები და მუსკულატურა ტანხორცს და ორგანოებს გზავნიან უტილიზაციაში.</p> <p>დაუზიანებელ ტანხორცს და ორგანოებს უშვებენ შეუზღუდავად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	ალმძვრელი და მისი წყარო	ალმძვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის გრიპი</b></p> <p>ლათ. Influenza suis</p> <p>ინგ. Swine influenza</p> <p>რუს. Грипп свиней / Энзоотическая бронхоневмония</p> <p>მაღალკონტაგიოზური, მწვავედ მიმდინარე ვირუსული დაავადებაა, ძირითადად ავადდება მოზარდი ცხოველები.</p> <p>დაავადება ხასიათდება ცხელებით, სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსების კატარალური ანთებით, კონიუსტივიტით, და ფილტვების დაზიანებით.</p> <p>დაავადება ვლინდება ეპიზოოტიური აფეთქებების სახით.</p> <p>ადამიანის გრიპის ეპიდემიის დროს იზრდება გრიპით დაავადებული ღორების რიცხვიც.</p>	<p>ავადდება ყველა ასაკის და ჯიშის ღორები. განსაკუთრებით ამთვისებელია გოჭები 15-50 დღის ასაკში.</p> <p>ავადდებიან ადამიანებიც.</p>	<p>ალმძვრელია <i>Orthomyxovirus</i> სახეობის A ტიპი, <i>Orthomyxoviridae</i>-ს ოჯახიდან.</p> <p>დადგენილია ანტიგენური მსგავსება ადამიანის და ფრინველის A-ტიპის ვირუსთან.</p> <p>დაავადების ალმძვრელის წყაროა დაავადებული და ვირუსმატარებელი ღორები. ისინი ვირუსს გამოყოფენ ცხვირიდან გამონადენით ცემინების და ხველების დროს.</p>	<p>ღორები ავადდებიან აეროგენურად. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს ფილტვებში არსებული პარაზიტები – სტრონგილიები, გრიპის ვირუსის მატარებლები არიან აგრეთვე მღრღნელები, ზოგჯერ ღორები სენიანდებიან ადამიანისგან და ფრინველებიდან.</p> <p>ვირუსის გადაცემის ფაქტორებად გვევლინება გარემო არის ყველა ობიექტი დასვრილი ავადმყოფი ღორების გამონაყოფებით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 6-7 დღეა; დაავადება მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ, ატიპურად (ლატენტურად). ავადმყოფობამ დაავადების დასაწყისში შეიძლება მიაღწიოს 100%-ს. ლეტალობა კი დამოკიდებულია შენობის ვეტერინარულ-სანიტარულ პირობებზე. გრიპი შეიძლება გართულდეს მეორადი ინფექციებით, რომლის დროსაც ლეტალობა მნიშვნელოვნად იზრდება.</p> <p>15-60 დღის ასაკის გოჭებში ლეტალობა შეიძლება იყოს 60-70% და მეტი.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფუქციისა და ნაღლეულის გამოყენება
			გეურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადება მწვავედ მიმდინარეობსას ორგანიზმის ტემპერატურა მატულობს 41-42°C-მდე. ცხოველები უარს ამბობენ საკვებზე, უმეტესად წვანან, თვალების ღორწოვანი ჰიპერემიულია და შეშუპებული, სუნთქვა გაძნელებული, ვითარდება მშრალი ხველა; მატულობს ცხვირიდან გამონაყოფი ექსუდატი, რომელიც შრება და წარმოშობს ფუფხებს, რაც აძნელებს სუნთქვას. ღორები აქტივობის დაკარგვას იწყებენ ირგვლივ მყოფ საგნებს. ცდილობენ ფუფხების მოცილებას. ღორები ღებულობენ მჯდომარე ძალის ფორმას. ვითარდება გულის უკმარისობა და კანი, ყურები, მუცლის ქვედა მხარე, კუდი ღებულობს ლურჯ ფერს. 15-60 დღის გოჭები ავლენენ კატარალური, კატარალურ-ჩირქოვანი პნევმონიის ნიშნებს. ასეთი გოჭები სწრაფად კვდებიან.</p> <p>დაავადების ქვემწვავე ფორმა მიმდინარეობს ბრონქოპნევმონიის და პლევრიტის განვითარებით.</p> <p>გოჭები ცუდად ვითარდებიან ჩამორჩებიან ზრდაში, დაავადება რთულდება სალმონელოზით, პასტერილოზით.</p>	<p>ყურების, მუცლის ქვედა მხარის და კიდურების კანი ლურჯი ფერისაა. გულმკერდის ღრუში, ბრონქებში და ბრონქოლებში სეროზული სისხლიანი სითხეა, სისხლჩაქცევებით. პლევრა შეშუპებულია ნერტილოვანი სისხლჩაქცევებით.</p> <p>ზოგიერთ ცხოველებს აღენიშნება სეროზული ან სეროზულ-ფიბრინოზული პერიკარდიტი ლიმფური კვანძები გადიდებულია ნერტილოვანი სისხლჩაქცევებით.</p> <p>მეორადი ინფექციის განვითარებისას ნახულობენ კრუპოზულ ან ჩირქოვან პნევმონიას და პლევრიტს.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ კომპლექსურად, ლაბორატორიაში აგზავნიან ცხვირიდან გამონადენს, ფილტვის, ტრაქტის, ბრონქების, ბრონქიალური ლიმფური კვანძების ნაჭრებს აღებულს 2-4 გოჭიდან დაავადების 2-3 დღეზე. აგზავნიან აგრეთვე სისხლის შრატს.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს პასტერილოზი, სალმონელოზი, კლასიკური ჭირი, მიკოპლაზმოზი, ქლამიდიოზი, ჰემოფილოზი, აქტინობაცილოზი.</p>	<p>დაავადების სპეციფიკური მკურნალობის მეთოდები შემუშავებული არ არის.</p> <p>მეორად ინფექციების სამკურნალოდ იყენებენ სტრეპტომიცინს, ტეტრაციკლინს, სულფანილამიდურ პრეპარატებს. უნიშნავენ B, C და სხვა ვიტამინებს, აუმჯობესებენ კვებას, დანყურვებას, შენობის მიკროკლიმატს და ტემპერატურულ რეჟიმს. ატარებენ დეზინფექციას.</p>	<p>დაავადებაგადატანილ ცხოველებში ნახულობენ ანტისხეულებს, რომლებიც ცხოველებს იცავენ განმეორებით დაავადებისაგან, პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ინაქტივირებულ ვაქცინებს.</p>	<p>ტანხორცს და შინაგან ორგანოებს მიღებულს დაჯანდაგებული ცხოველებიდან სპობენ.</p> <p>ტანხორცს ცვლილებების გარეშე იყენებენ მოხარული ძეხვეულის და კონსერვების დასამზადებლად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	ალმკვრელი და მისი წყარო	ალმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის დიზენტარია / სისხლიანი ფალარათი / ღორის ტიფი / შავი ფალარათი</b></p> <p>ლათ. Dysenteria Suum</p> <p>ინგ. Dysentery</p> <p>რუს. Дизентерия свиней / Анаэробная дизентерия свиней</p> <p>მწვავედ მიმდინარე კონტაგიოზური დაავადებაა. ხასიათდება ძლიერი (შემანუხებელი) დიარეით, ფეკალში ლორწოს და სისხლის მინარევით და კუჭნაწლავის ტრაქტში ნეკროზული ცვლილებებით.</p> <p>დაავადება ცნობილია უხსოვარი დროიდან სხვადასხვა სახელით: გასტროენტერიტები გამონვეული დიზენტერიით მეურნეობას აყენებს დიდ ეკონომიკურ ზარალს, აქედან გამომდინარე, დაავადება მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა ჯგუფს.</p>	<p>დიზენტერიის ამთვისებელია ყველა ჯიშის და ასაკის ღორი, ძირითადად მოზარდი 1-6 თვის ასაკში. განსაკუთრებით ძუძუთა და ახლადასხლეთილი გოჭები. ზრდასრული ღორები ავადდებიან იშვიათად მაკეობის ბოლო პერიოდში და მშობიარობის შემდგომ.</p>	<p>დაავადებას ინვეს ან-აერობული სპიროხეტა <i>Serpulina hyodysenterige (Borrella huodysenteriae)</i>.</p> <p>დიზენტერიის დროს დაავადებული ღორიდან იყოფა სხვა მიკროორგანიზმებიც: პარაზიტები, ვიბრიოზები, ბალანტიდიოზები, კლოსტრიდიოზები, აგრეთვე ენტეროვირუსები. არის ჰიპოტეზა, რომ დაავადებას აქვს პოლიეთიოლოგია, როდესაც პათოლოგიურ პროცესში მონაწილეობს რამოდენიმე აგენტი: ისინი გარემო არეში (ფეკალში) ტემპერატურის ზეგავლენით ინახებიან 6 დღედან 2 თვემდე. დაავადების აღმძვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი მიკრობმატარებელი ცხოველი.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ღორები ავადდებიან დაავადებულ და მიკრობმატარებელ ცხოველებთან კონტაქტით (დაავადებაგადატანილი ღორები დიდხანს რჩებიან მიკრობმატარებლები, ამიტომ რეკომენდირებულია მათი დაკვლა). ალიმენტალური გზით (დაინფიცირებული საკვების და წყლის მიღებით).</p> <p>შესაძლებელია დაინფიცირების სხვა გზაც, დაავადებას ახასიათებს სტაციონურობა და პერიოდული აფეთქებები. დაავადების პირველად გაჩენისას მიმდინარეობა მძიმეა ყველა ასაკობრივ ჯგუფში. დაავადების ხელშემწყობი პირობებია: ტრანსპორტირება, რაციონის შეცვლა, ზოოჰიგიენური ნორმების დარღვევა.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 2-20 დღეა. დაავადება მიმდინარეობს ზემწვავე, მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული ფორმით.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროლუქტებისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების მწვავედ მიმდინარეობისას ნამყვანი კლინიკური ნიშანია დიარეა, რომელიც ვლინდება დაავადების დაწყებიდან 1-3 დღის შემდეგ. ფეკალი ხდება ჭუჭყიანი ნაცრისფერი ან ყავისფერი. უფრო გვიან ფეკალურ მასაზე ჩნდება სისხლი. ის ძირითადად კაკაოსფერია, ცუდი სუნით. აღნიშნულ კლინიკურ სურათს აქვს სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა. დიარეის შედეგად დაკარგული დიდი რაოდენობის სითხე ინვეგს ძლიერ წყურვილს და გამოფიტვას. დაავადებულ ღორებს აღნიშნებათ აგრეთვე პირღებინება, კანი ხდება ანემიური, ბეწვი კარგავს ბზინვარებას. ღორები მობუზულები არიან, თითქოს ცივად, ჩაცვენილი აქვთ თვალები, კუდი დაკიდებული, ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია. ღორები ავად არიან 5-6 დღე, შემდეგ კი კვდებიან. ქვემწვავე ფორმის დროს ღორებს გაუკუღმართებული მადა აქვთ და სვავენ წუნწუსს. დიარეას თან სდევს ფეკალი ღორნოთი და სისხლით. ქრონიკულად დაავადებული ცხოველები ძლიერ გამხდარია. დიარეით და საერთო სისუსტით. ხშირია მეორადი ინფექციები, რაც დაავადებას აძლევს ატიპიურ სახეს.</p>	<p>ძირითადი პათოლოგიური ცვლილებები აღინიშნება კუჭში და მსხვილნაწლავებში. ღორნოვანი გარსი ჰიპერემიულია, ზოგჯერ ჰემორაგიული ანთებით. წვრილ ნაწლავებში ცვლილებები არ არის. მსხვილი ნაწლავები გადავსებულია თხევადი ყავისფერი და სისხლიანი სითხით, კუჭის ღორნოსქვეშა ქსოვილები შეშუპებულია. დაავადების გვიან სტადიაში ნახულობენ სხვადასხვა ხარისხის ჰემორაგიულ ანთებას და ნეკროზებს. ღორნოვანი გარსების ზედაპირი დაფარულია ფიბრინული აპკით, რომელიც ადვილად სცილდება, მის ქვეშ კი ჩნდება მკაფიო წითელი ღორნოვანი გარსი სისხლჩაქცევებით და წყლულებით, საიდანაც გამოედინება სისხლი. ნაწლავების კედლები შეშუპებულია და გასქელებული.</p> <p>ჯორჯლის ლიმფური კვანძები გადიდებული, ღვიძლი დისტროფიულია, გული ქრელი, „ვეფხვისებური გული“.</p>	<p>დაავადების დიაგნოზი ემყარება ეპიზოოტიურ მონაცემებს კლინიკურ ნიშნებს, პათოლოგო-ანატომიურ და ჰისტოლოგიურ ცვლილებებსა მიკრობიოლოგიურ გამოკვლევებს (მიკროსკოპია). იყენებენ ლუმინისცენტურ გამოკვლევას და იმუნოფერმენტულ რეაქციას. კვლევებს დაავადების აღმძვრელების გამოსაყოფად არ ატარებენ. დიაგნოზი დადასტურებულია თუ მიკროსკოპიის დროს მხედველობის არეში ნახულობენ 5-ზე მეტ სპიროსეტას.</p> <p>დაავადების დიფერენცირება ხდება ჭირთან, ვირუსულ გასტროენტერიტთან, სალმონელოზთან, ენტეროტოქსემიასთან.</p>	<p>დაავადების სამკურნალოდ და პროფილაქტიკური დამუშავების მიზნით იყენებენ ოსარსოლს. სამკურნალო ეფექტის გასაძლიერებლად ოსარსოლის გამოყენების შემდეგ ცხოველებს აძლევენ ფურაზოლიდონს, რომელიც გამორიცხავს დაავადების რეციდივებს. კარგ სამკურნალო ეფექტს იძლევა აგრეთვე: დიპასფენი, ნიფულინი, ტილანი (ტილოზინი), ფარმაზინი, ტრიქოპოლი, ტიამელონი და სხვა.</p>	<p>დაავადების მოხდის შემდეგ იმუნიტეტის ფორმირება არ ხდება, ცხოველები შეიძლება დაავადდნენ განმეორებით.</p> <p>დაავადების სპეციფიკური პროფილაქტიკის საშუალება შემუშავებული არ არის. მეურნეობის დასაცავად დაავადებისაგან მუდმივად ატარებენ ვეტერინარიულ სანიტარულ ღონისძიებებს და იცავენ ზოოჰიგიენურ ნორმებს. დაავადების გაჩენის შემთხვევაში დაავადებულ ცხოველებს მკურნალობენ. მძიმედ დაავადებულებს აგზავნიან დასაკლავად. პირობითად ჯანმრთელ ღორებს უტარებენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ მანიპულაციებს.</p>	<p>ტანხორცს და შინაგან ორგანოებს პათოლოგიური ცვლილების დროს აგზავნიან უტილიზაციაში. თუ ცვლილებები არაა, ისპობა მხოლოდ შინაგანი ორგანოები, ხორცი გამოიყენება თერმული დამუშავების შემდეგ. დაკვლის შემდეგ ატარებენ დეზინფექციას.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივილი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის ენოოტოტიური აბორტი (ქლამიდიოზი)</b></p> <p>ლათ. Chlamydiosis suum</p> <p>ინგ. Chlamydiosis of swine / Chlamydiae in Porcine Abortion</p> <p>რუს. Хламидиоз свиней / Энзоотический аборт свиней / Хламидиозная бронхопневмония поросят</p> <p>ქრონიკული დაავადება, რომელიც იწვევს აბორტს მაკეობის მეორე ნახევარში, მკვდრადშობადობას, სიცოცხლისუუნარო შთამომავლობის დაბადებას; ღორებში - ურეთრიტი, ახალგაზრდა ცხოველებში - პნევმონია, ნაკლებად ხშირად ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, ენტერიტი, ართრიტი და პერიკარდიტი.</p>	<p>ავადებიან შინაური და გარეული ყველა ასაკის ღორები, ავადდება ადამიანიც.</p>	<p>დაავადების გამომწვევი აგენტია <i>Chlamydia suis</i> მიკროორგანიზმები, რომლებიც მიეკუთვნებიან <i>Chlamydia</i>-ს გვარს და გააჩნიათ ამ ჯგუფის ტიპური ნიშნები. გამომწვევი აგენტი შეიძლება გამოიყოს პლაცენტიდან და საშვილოსნოს გამონაყოფიდან, მკვდარი გოჭების პარენქიმული ორგანოებიდან.</p> <p>გამომწვევის ძირითადი წყაროა ავადმყოფი და გამოჯანმრთელებული ცხოველები, რომლებიც გამოყოფენ პათოგენს ყველა გამონაყოფით. ქლამიდია უხვად გამოიყოფა დაავადებული ღორის სპერმასთან ერთად და ეს შეიძლება გაგრძელდეს 1 წელი ან მეტი.</p>	<p>ქლამიდიის გადაცემა ავადმყოფი ცხოველიდან ჯანმრთელ ცხოველზე შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი კონტაქტით ღორების შეჯვარებისას, აგრეთვე საკვები საშუალებებით. ყველაზე მასიური დაინფიცირების გზა არის როდესაც ქლამიდია გადის პლაცენტურ ბარიერს.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 15 დღიდან რამდენიმე თვემდე და 1 წლამდეც კი. ექსპერიმენტში ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 6 დღიდან 2 თვემდე. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია აღმწველის ვირულენტობაზე, დოზაზე და ქლამიდიის შეღწევის ადგილზე.</p> <p>მოზრდილ ღორებში დაავადება ლატენტურია, მაგრამ მაკეობის დანყების სთანავე ვითარდება და ხდება მწვავე. გამომწვევი ლოკალიზებულია და მრავლდება პლაცენტურ ქსოვილში, რაც იწვევს ანთებას და ნეკროზს, რის შედეგადაც ვიტარდება აბორტები. ქლამიდიის ტოქსიკური ეფექტის შედეგად ნაყოფის ინფიცირება ასევე იწვევს აბორტს და მკვდრადშობადობას.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგ ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს ატიპიური (ლატენტური) ფორმით კლინიკური ნიშნების გამოვლენის გარეშე.</p> <p>დაავადების ტიპიური მიმდინარეობას ახასიათებს აბორტები, ნაადრევი მშობიარობა, მკვდარი და ავადმყოფი გოჭების დაბადება. ადრეული აბორტები, რომლებიც ვითარდება მაკეობის მე-2 თვეში, ჩვეულებრივ შეუმჩნეველი რჩება.</p> <p>ლორებში ქლამიდიის ლატენტური ფორმა დგინდება მხოლოდ ცხოველების სისხლში ანტისხეულების გამოვლენით.</p>	<p>აბორტირებულ ნაყოფში: მრავალრიცხოვანი სისხლჩაქცევები ეპიკარდიუმში, პლევრაში, ენდოკარდიუმში, მუცლის ღრუში ნოვან გარსში, თირკმელებში;</p> <p>ზრდასრული და ახალგაზრდა პირუტყვის გაკვეთის დროს.</p> <p>რესპირატორული ფორმისთვის: სასუნთქი გზების ღრუში ნოვანი გარსები შეშუპებული და ჰიპერემიულია, ჰემორაგიებით; ღრუში, ხშირად შერეული ჩირქით, ბრონქებში; მძიმე კვანძები ფილტვებში; გაფართოებული ბრონქული ლიმფური კვანძები სისხლჩაქცევებით.</p> <p>ნაწლავის ფორმისთვის: თირკმელების, ელენთის, ღვიძლის დისტროფია; ნერტილოვანი სისხლჩაქცევები შინაგან ორგანოებში; ნაწლავის ღრუში ნოვანი გარსის ანთება; ნეკროზული ენტერიტი.</p>	<p>ლორის ქლამიდიის დიაგნოზი ისმება კლინიკური, ეპიზოოტიური და ლაბორატორიული კვლევების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.</p> <p>სეროლოგიური კვლევებისთვის, სისხლი იგზავნება ლაბორატორიაში, ხოლო ბაქტერიოლოგიური კვლევებისთვის – დაზიანებული ორგანოები.</p> <p>ქლამიდიური ღრები უნდა განვასხვავოთ სხვა კლინიკურად მსგავსი დაავადებებისგან: ბრუცელოზი, ლეპტოსპიროზი და ლისტერიოზი, ასევე არაინფექციური ეტიოლოგიის აბორტები. საბოლოო დიაგნოზი დგინდება ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური კვლევების შედეგების საფუძველზე, აგრეთვე საკვებით მონამულის გამორიცხვით.</p>	<p>ავადმყოფი ღრების მკურნალობა ეკონომიკურად მიუღებელია.</p>	<p>იმუნიტეტი კარგად არ არის შესწავლილი. როგორც პრევენციის სპეციფიკური საშუალება, ღრებში ქლამიდიის სანიანალმდეგოდ გამოიყენება ინაქტივირებული ვაქცინა. იმუნიტეტი ყალიბდება ვაქცინაციიდან 1 თვის შემდეგ და გრძელდება 6 თვე.</p>	<p>დაავადებული ღრების დაკვლას ანარმოებენ სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივილი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ლორის ენზოოტიური პნევმონია</b></p> <p>ლათ. Pneumonia enzootica suum</p> <p>ინგ. Mycoplasmal pneumonia of swine / Enzootic pneumonia (EP)</p> <p>რუს. Энзоотическая пневмония / Микоплазменная пневмония / Респираторный микоплазмоз свиней</p> <p>ქრონიკული ენზოოტიური დაავადებაა, რომელიც ვლინდება მორეციდივე ცხელებით, ლობარული კატარალური პნევმონიით, მშრალი ხველებით, გოჭების ზრდისა და განვითარების შეფერხებით. გართულებების შემთხვევაში პროდუქტიულობის პროგრესირებადი დაქვეითებით.</p> <p>ენზოოტიური პნევმონია ყველგან არის გავრცელებული და მუდმივად გვხვდება ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის თითქმის ყველა ლორის ფერმაში.</p>	<p>ავადებიან შინაური და გარეული ყველა ჯიშის (ძირითადად მოზარდი) ღორები</p>	<p>დაავადების გამომწვევი აგენტი <i>Mycoplasma hyopneumoniae</i> აქვს მსგავსება სხვა მიკოპლაზმებთან კულტურული, მორფოლოგიური და ფერმენტული თვისებების მიხედვით. მორფოლოგიურად ახასიათებს გამოსხატული პოლიმორფიზმი.</p> <p>ინფექციური აგენტის წყაროა ავადმყოფი და გამოჯანმრთელებული ლატენტური მიკოპლაზმის მატარებელი ცხოველები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში გამოყოფენ პათოგენებს გარემოში ხველებისა და ცემინების დროს, აგრეთვე რძით და ვაგინალური სეკრეციით. ცალკეულ ცხოველებში მიკოპლაზმის მტარებლობის პერიოდი საშუალოდ 88 დღიდან 1 წლამდე მერყეობს, მაგრამ შეიძლება იყოს უწყვეტი. არ არის იშვიათი, როდესაც ჯანმრთელი ცხოველები ინფიცირდებიან მოვლის საშუალებების და დამხმარე პერსონალის მეშვეობით.</p>	<p>დაინფიცირებული ღორების ჯგუფში პათოგენი ვრცელდება კონტაქტით ან აეროგენული გზით (ჰაერ-წვეთი). მეძუძური გოჭები, როგორც წესი, ინფიცირდებიან დედისგან რძით და ავადმყოფ ცხოველებთან კონტაქტით. მიკოპლაზმისგან თავისუფალი ღორებიც ინფიცირდებიან, თუ ისინი ცუდად დეზინფექციურ სადგომებში მოთავსდებიან.</p> <p>კლინიკური ნიშნები დიდწილად დამოკიდებულია ცხოველების ასაკზე და შენახვის პირობებზე. ამიტომ, ენზოოტიური პნევმონია მოხსენიებულია ფაქტორ-ინფექციურ დაავადებათა ჯგუფში.</p> <p>უსაფრთხო ჯგუფში ინფექცია შეიძლება მოხდეს კლინიკურად ჯანმრთელი, მაგრამ ინფიცირებული გოჭების და ღორების შემოყვანის შემდეგ.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 10 - 16 დღეა. დაავადების მიმდინარეობა მწვავე და ქრონიკულია. <i>M. hyopneumoniae</i> მონოინფექცია შეიძლება იყოს ასიმპტომური. ახალგაზრდა გოჭების უფრო ხშირად და უფრო მძიმედ ავადდებიან, ვიდრე მოზრდილები.</p> <p>ენზოოტიური პნევმონია ჩვეულებრივ ვრცელდება ძალიან ნელა, ახასიათებს სტაციონარული და ინტენსივობის ცვალებადობა ეპიზოოტიური პროცესის სპორადიიდან ეპიზოოტიამდე, დაავადების ფართო გავრცელებით.</p> <p>გართულებების შემთხვევაში ვითარდება ტიპური ქრონიკული პნევმონია, სისხირე 40%-ს აღწევს. ცუდ ვეტერინარულ და სანიტარიულ პირობებში პირუტყვის 85% შეიძლება დაავადდეს, 15% კვდება.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების მწვავე მიმდინარეობა (უფრო ხშირად 5 - 6 თვის გოჭებში) გრძელდება 14 დღე ან მეტს და თან ახლავს მშრალი, ხშირი და ზედაპირული ხველა, ცემინება და მორეციდივე ცხელება, გოჭების ნაწილი იღუპება.</p> <p>ქრონიკული მიმდინარეობისას დაავადება მის განვითარებაში გადის ორ ეტაპს. პირველი ნიშნები თანდათანობით ვლინდება გოჭების სიცოცხლის მე-3 და მე-10 კვირას შორის მსუბუქი ჰიპერთერმიის, ცემინების და იშვიათი ზედაპირული ხველის სახით.</p> <p>ბაქტერიული გართულებით და სტრესით, პნევმონიის ნიშნები პროგრესირებს და დაავადების მიმდინარეობა შეიძლება გაუარესდეს. შერეული ინფექციები ყველაზე ხშირად მსუბუქან ღორებში ვითარდება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტიულობის მკვეთრი დაქვეითება და სიკვდილი.</p>	<p>დაავადების საწყის სტადიაში ვლინდება ლოზულური ან ლობარული სერო-კატარალური პნევმონია გულის ანთების კერების უპირატესი ლოკალიზაციით. დაზიანებული ადგილები აშკარად გამოყოფილია ჯანსაღი ქსოვილისგან, აქვს სოლის ფორმის, მკვრივი ტექსტურა, მონაცრისფრო-ვარდისფერი ან წითელი ფერი მოლურჯო ელფერით და უხვად ივსება ღრუბლისებრი ქაფიანი სითხით.</p> <p>პირველადი პროცესის მეორადი ბაქტერიული ინფექციით გართულებების შემთხვევაში (პასტერელა, კოკი, ბორდეტელა და სხვ.) დომინირებს კრუპოზული, კრუპო-ჩირქოვანი ან კატარალურ-ჩირქოვანი, ჩირქოვან-ნეკროზული პნევმონიის ნიშნები; ჩირქი ხშირად გვხვდება ბრონქებში. ასევე გვხვდება წებოვანი პლევრიტი და პერიკარდიტი, ბრონქული ლიმფური კვანძების ჰიპერპლაზია. ლემები ანემიურია, პარენქიმული ორგანოები გადაგვარებული.</p>	<p>წინასწარი დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტიური, კლინიკური, პათოანატომიური და ჰისტოლოგიური მონაცემების საფუძველზე.</p> <p>საბოლოო დიაგნოზის დასადგენად ტარდება კომპლექსური ლაბორატორიული გამოკვლევები</p> <p>დიფერენციალური დიაგნოსტიკით გამოირიცხება ღორის ჭირი, პასტერელოზი, სალმონელოზი, აუესკის დაავადება, ლისტერიოზი, ლეპტოსპიროზი, ფილტვის ჰელმინთოზები (ასკარიდები და მეტასტრონგილები), პროტოზოული დაავადებები, ღორის გრიპი, ბორდეტელიოზი, <i>M. hyorhinis</i>-ით გამოწვეული ინფექცია; ენტერო- და ადენოვირუსებით გამოწვეული პნევმონია; ჰემოფილური პოლისეროზიტი.</p>	<p>მიუხედავად <i>M. hyopneumoniae</i>-ს მაღალი მგრძობილობისა ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების მიმართ (ოქსიტეტრაციკლინი, ტილოზინფოსფატი, ტიამუტინი, ლინკომიცინი, სპირამიცინი, ქლორამფენიკოლი, ტეტრაციკლინი), სულფანილამიდური პრეპარატები, პრაქტიკულ პირობებში ისინი მხოლოდ ხელს უშლიან დაავადების კლინიკური ნიშნების განვითარებას, მაგრამ არ აფერხებენ ინფექციას და არ ათავისუფლებენ ცხოველის ორგანიზმს პათოგენებისგან. მკურნალობის ეფექტურობის გასაზრდელად ტარდება სიმპტომური თერაპია. მძიმედ დაავადებული ცხოველები ნადგურდებიან.</p>	<p>იმუნიტეტი სრულყოფილად არ არის შესწავლილი.</p> <p>ჯანმრთელ მეურნეობაში მიკოპლაზმების შეტანის თავიდან ასაცილებლად, ღორები მკაცრად უნდა შეირჩეს მომწოდებელ ფერმებში.</p>	<p>იძულებით დაკლული ღორების ტანხორცს და შინაგან ორგანოებს გზავნიან მოხარშული ძეხვების და კონსერვების მოსამზადებლად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის ვეზიკულარული დაავადება</b></p> <p>ლათ. Morbus vesicularis Suum</p> <p>ინგ. Swine vesicular disease</p> <p>რუს. Везикулярная болезнь свиней</p> <p>კონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა. ხასიათდება ცხელებით, ვეზიკულების და წყლულების წარმოშობით ცხვირზე (დრუნჩზე), ტერფებზე და მტევანზე, გვირგვინზე ჩლიქებს შორის ნაპრალზე და ჩლიქების რბილობებზე.</p>	<p>ავადდებიან მხოლოდ შინაური და გარეული ღორები, ყველა ჯიშის, ასაკის და სქესის. ექსპერიმენტულად გარდა ღორისა ასნებოვნებენ ცხვრებს და თაგვებს (წრუნუნებს).</p>	<p>აღმკვრელია ვირუსი <i>Eenterovirus</i> გვარის და <i>Picornaviridae</i> ოჯახის წარმომადგენელი. ვირუსის კონცენტრაცია დიდია დაზიანებულ კანში ლიმფურ კვანძებში და ძვლის ტვინში. გამოიყოფა ნერწყვით, ფეკალით და შარდით. ვირუსი გამოირჩევა გამძლეობით. ფეკალში ძლებს 60 დღე, ხორციში (20°C-ზე) 11 თვე, ძეხვში 400 დღე, ნაწლავებში – 780 დღე.</p>	<p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული ვირუსმატარებელი ცხოველები. ხშირად ეპიზოოტიურ კერას ქმნიან უსიმპტომოდ დაავადებული და გამოჯანმრთელებული ღორები. ვირუსმატარებლობა გრძელდება 6 თვე. ვირუსის გადაცემის ფაქტორებია ვირუსით დასვრილი ირგვლივ არსებული საგნები. ხორცი და ხორცპროდუქტები, საკვები. მექანიკური გადამტანებია სხვა სახეობის ცხოველები და მომსახურე პერსონალი</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-7 დღე.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს მწვავე, ქვემწვავე, სუბკლინიკური და ქრონიკული ფორმით. ცხოველი შეიძლება გამოჯანმრთელდეს 2-3 კვირაში.</p> <p>ავადობა 60%-ია, ლეტალობა – 10%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			გეურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების მწვავედ მიმდინარეობისას გარდა ცხელებისა ვითარდება ვეზიკულები, ეროზიები და წყლულები კანზე, დრუნჩზე, ტერფებზე, მტევანზე, პირის ღრუს ლორწოვანზე, მაკე ნეზვებში ვითარდება აბორტები, ზოგიერთ ცხოველებში დიარეა, რქოვანის აშრევა, ჩლიქებზე კიდურების დაზიანებისას, ცხოველები იწყებენ კოჭლობას.</p> <p>გოჭებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნერვულ აშლილობას, აღზნებას, კორდინაციის დარღვევას, კრუნჩხვებს და დამბლას, რაც სიკვდილით მთავრდება.</p> <p>მწვავე მიმდინარეობა დამახასიათებელია დაავადების ახალი კერისათვის, სადაც ავადობა ხშირად აღწევს 100%-ს.</p> <p>ქვემწვავე მიმდინარეობისთვის დამახასიათებელია ნელი გავრცელება ავადობის დაბალი პროცენტით. დაავადება ხშირად მთავრდება გამოჯანმრთელებით.</p> <p>სუბკლინიკური მიმდინარეობა კლინიკურად არ მჟღავნდება. დაავადებული ცხოველების გამოვლენა ხდება სეროლოგიური რეაქციებით.</p>	<p>კანზე, დრუნჩზე, ტერფზე, პირის ღრუს ლორწოვანზე, ჩლიქებს შორის ნაპრალებში ვეზიკულების გახეთქვის შემდეგ ვითარდება ეროზიები და წყლულები. ზოგიერთ ცხოველში ჩლიქის რქოვანა შრევედება ან საერთოდ ძვრება.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტიური მონაცემების კლინიკური და პათოლოგ-ანატომიური ცვლილებების და ლაბორატორიული კვლევის შედეგების საფუძველზე.</p> <p>ლაბორატორიაში აგზავნიან 2-3 დაავადებული ცხოველის დაუზიანებელ ვეზიკულებს შიგთავსით მოთავსებულს ყინულიან თერმოსში და სისხლის შრატს.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს თურქული, ვეზიკულარული სტომატიტი და ვეზიკულარული ეკზანთემა.</p>	<p>დაავადების სპეციფიკური მკურნალობა შემუშავებული არ არის. ზოგადი მკურნალობის მიზნით იყენებენ ანტისეპტიკურ, მრთილავ და სხვა პრეპარატებს. ხსნარების, შესაფრქვევი ფხვნილების და მალამოების სახით. ჩამოთვლილი პრეპარატებით ამუშავებენ დაზიანებულ კერებს.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზის დასამის შემდეგ ანესტეზირებული კარანტინს. დაავადებულ და დაავადებაზე საეჭვო ღორებს კლავენ, ატარებენ მკაცრ ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებებს. მკვდარი ცხოველების ლეშს ნვავენ, ახდენენ ნაკელის ბიოთერმულ დამუშავებას. კარანტინს ხსნიან არაკეთილსაიმედო ჯგუფის ღორების დაკვლის და დასკვნითი დეზინფექციის ჩატარებიდან 30 დღის შემდეგ.</p> <p>ფერმის საბოლოო გაჯანსაღების დასადგენად ფერმაში შეყავთ 4-5 თვის ღორების მცირე, ჯგუფი და აწარმოებენ დაკვირვებას.</p>	<p>ხორცი და სუბპროდუქტები გამოიყენება მოხარშული პროდუქტების და კონსერვების დასამზადებლად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის ვეზიკულარული ეკზანთემა</b></p> <p>ლათ. Exanthema vesicularis Suum</p> <p>ინგ. Vesicular exanthema of Swine</p> <p>რუს. Везикулярная экзантема свиней</p> <p>მწვავედ მიმდინარე ვირუსული დაავადებაა. ხასიათდება ცხელებით და ვეზიკულების წარმოქმნით დრუნჩზე, ტუჩებზე, პირის ღრუს ლორწოვანზე, კიდურებზე, ჩლიქებშორის და სარძევე დვრილებზე.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ვეზიკულარული ეკზანთემით ავადდებიან მხოლოდ ღორები (ყველა ჯიშის და ასაკის).</p> <p>ვირუსით აგრეთვე შეიძლება დაავადდეს ცხენები და ზღვის ლომები. ახალგაზრდა ცხოველები უფრო მგრძობიარენი არიან, ვიდრე ზრდასრული ღორები. მათში დაავადება მიმდინარეობს მძიმედ.</p>	<p>აღმკვრელია ვირუსი <i>Calicivirus</i> გვარის და <i>Caliciviridae</i> ოჯახის წარმადგენელი. დადგენილია ვირუსის 13 სეროლოგიური ვარიანტი (A, B, C, D და ა.შ.).</p> <p>B და D ტიპები პათოგენურია მხოლოდ ღორებისათვის.</p> <p>ვირუსი დიდი რაოდენობითაა კუნთებში და შინაგან ორგანოებში, შარდში და ფეკალში.</p> <p>ოთახის ტემპერატურაზე ვირუსი ძლებს 6 კვირა.</p> <p>ინფიცირებული ხორცის ნაჭერში (7°C) 4-5 კვირა.</p>	<p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ცხოველები, რომლებიც ვირუსს გამოყოფენ შარდთან და ფეკალთან ერთად. შედეგად ისვრება შენობა-ნაგებობები, სხვადასხვა ნივთები და ინვენტარი, ტრანსპორტი და სხვა ობიექტები, რომლებიც წარმოადგენენ გადაცემის ფაქტორებს.</p> <p>ვირუსის რეზერვუარები შეიძლება იყვნენ ზღვის ლომები, სელაპები, თევზები და სხვა.</p> <p>დასენიანება ხდება წყლით, საკვებით, დასვრილი საგნების ალოკვით და აეროგენულად.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 12-14 დღე.</p> <p>დაავადების პათოგენეზი ნაკლებად არის შესწავლილი. ის მიმდინარეობს ორ ფაზად.</p> <p>პირველი ფაზა გრძელდება 45-72 საათი და ხასიათდება ცხელებით და პირველადი ვეზიკულების წარმოშობით;</p> <p>მეორე ფაზაში ტემპერატურა ქვეითდება და ვლინდება მეორადი ვეზიკულები, მეორადი ფაზა გრძელდება 24-72 სთ.</p> <p>სეზონურობა არ ახასიათებს. გრძელდება რამოდენიმე კვირიდან რამოდენიმე თვემდე.</p> <p>ლეტალობა 5%-მდეა.</p> <p>სიკვდილიანობა დიდია ძუძუთა გოჭებში (5-10%).</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და ღივ. ღიაგნოზი	სანიანალმდებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების დასაწყისში დაავადებულ ღორებს აღენიშნებათ ცხელება, დათრგუნული მდგომარეობა, მადის დაქვეითება, ნერწყვიდენა. ამავდროულად პირის ღორწოვანზე, დრუნჩზე ჩნდება პირველადი კვანძები (ბუშტუკები) სავსე სეროზული სითხით. კვანძების კედლები სწრაფად იშლება და ჩნდება მტკივნეული ეროზირებული ზედაპირები, რომლებიც მალევე იფარება ფიბრონოზული აპკით. შემდგომ ვითარდება მეორადი ვეზიკულები. ცხოველი იწყებს კოჭლობას, უჭირს ადგომა, სრულად წყვეტს საკვების მიღებას. მაკე ღორებს უვითარდებათ აბორტები. აღენიშნებათ აგრეთვე ცურის დაზიანება და რძის სეკრეციის შემცირება, რაც მოქმედებს ძუძუთ გოჭების მდგომარეობაზე.</p> <p>1-2 კვირაში ხდება უმეტესი ცხოველების გამოჯანმრთელება. გართულების შემთხვევაში ვითარდება ჩლიქების ანთება, შედეგად ძვრება რქოვანა. შეიძლება განვითარდეს ენტეროკოლიტი და პნევმონია.</p>	<p>პათოლოგოანატომიური ცვლილებები თურქულის მსგავსია. შემოიფარგლება მხოლოდ ვეზიკულარული დაზიანებებით პირის ღრუს (ენა, ტუჩები) ღორწოვან გარსებზე და დრუნჩის კანზე. დაზიანებები აღინიშნება აგრეთვე კიდურებზე და სარძევე ჯირკვლებზე.</p> <p>ვეზიკულების გახეთქვის შემდეგ (1-3 დღეში) ნახულობენ ეროზიებს. ვეზიკულების ირგვლივ ქსოვილები ჰიპერემიულია და შეშუპებული.</p> <p>სეკუნდალური მიკროფლორით გართულების შედეგად ცვლილებები უფრო ფართოდ გავრცელებულია, რაც ზოგჯერ მთავრდება ზრდასრული ღორების სიკვდილით.</p>	<p>ლაბორატორიაში აგზავნიან ვეზიკულებს შიგთავსით, დაკონსერვებულს და მოთავსებულს თერმოსში ყინულით. ლაბორატორიაში იყენებენ ექსპრეს-მეთოდს, ნეიტრალიზაციის რეაქციას და პოლიმერაზულ ჯაჭვურ რეაქციას.</p> <p>დაავადება უნდა განვასხვავოთ თურქულისგან, ვეზიკულარული სტომატიტისა და ღორის ვეზიკულარული დაავადებისაგან.</p>	<p>სპეციფიკური მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის.</p> <p>დაზიანებული კერებს ამუშავებენ ანტისეპტიკური პრეპარატებით.</p> <p>სეკუნდალური ინფექციების სანიანალმდებო იყენებენ ანტიბიოტიკებს.</p>	<p>დაავადება გადატანილ ღორებში იმუნიტეტი 6 თვეა.</p> <p>მაკე ნეზებს ცრთან მოგებად 3 კვირით ადრე.</p> <p>კოლოსტრალური იმუნიტეტი 21 დღეა. იმუნიტეტი გრძელდება 6 თვე.</p> <p>მეურნეობის დასაცავად ატარებენ ვეტერინალურ-სანიანალ ღონისძიებებს. დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში არაკეთილსაიმედო ჯგუფის ცხოველებს სწრაფად კლავენ.</p>	<p>ხორცი გამოიყენება მოხარშული ძხვეწის და კონერვების დასამზადებლად.</p> <p>დაკვლის ანარჩენები ისპობა.</p>

დაავადება	ამთვისებალი ცხიველი	აღმკვრალი და მისი წყარო	აღმკვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის ვირუსული გასტროენტერიტი</b></p> <p>ლათ. Gastroenteritis infectiosa saam</p> <p>ინგ. Transmissible gastroenteritis / Porcine Coronaviral Enteritis</p> <p>რუს. Вирусный гастроэнтерит свиней / Инфекционный гастроэнтерит</p> <p>მაღალკონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა. ხასიათდება კატარალურ-ჰემორაგიული გასტროენტერიტით და პირღებინების წარმოშობით. მნიშვნელოვანია დიარეა დეჰიდრატაციით და 2 კვირის ასაკამდე გოჭების მაღალი სიკვდილიანობით.</p>	<p>ამთვისებლები არიან მხოლოდ ღორები (შინაური და გარეული) ყველა ჯიშის და ასაკის. განსაკუთრებული მგრძობელობით გამოირჩევიან გოჭები პირველი 2-3 კვირის ასაკში. ბუნებრივ პირობებში შეიძლება დაავადდნენ ძაღლებიც. ლაბორატორიული ცხოველები არ ავადდებიან.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია – <i>Coronaviridae</i> ოჯახის წარმომადგენელი <i>Coronavirus</i>-ი.</p> <p>რომელსაც აქვს ანტიგენური მსგავსება ღორის ენცეფალომიელიტის, ძაღლის კორონავირუსული ინფექციის და კატების ინფექციური პერიტონიტის აღმძვრელებთან. გაყინულ მასალაში ვირუსი ძლებს 18 თვეს, ოთახის ტემპერატურაზე – 45 დღე; თხიერ ფეკალში – 3 დღე.</p>	<p>დაავადების აღმძვრელის გადაცემის ფაქტორებია გარემო არის ობიექტები დასვრილი ვირუსით. აგრეთვე ხორცი და ხორცის პროდუქტები. ახალშობილი გოჭები ინფიცირდებიან ვირუსმატარებელი ნეზებიდან რესპირატორულად და ალიმენტარულად. დაავადების აღმძვრელის წყაროა დაავადებული და ვირუსმატარებელი, დაავადებაგადატანილი ღორები.</p> <p>ეპიზოოტიურ ჯგუფში შეიძლება ჩაერთონ ძაღლები, კატები, ფრინველები და მღრღნელები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 1-2 დღეა. ახალშობილებში ის შეიძლება შემცირდეს 12-18 საათამდე, ზრდასრულებში პირიქით, გაიზარდოს 7 დღემდე. 5 დღემდე ასაკში ლეტალობა 100%-ია, 6-10 დღის ასაკში – 67%, 1-14 დღის ასაკში – 30%, 0,5-3,5 თვის ასაკში – 3-5%.</p> <p>გოჭების ავადობა აღწევს 80-100%-ს.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და ღივ. ღიაგნოზი	სანიანაღვლეზო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყვანება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>წამყვანი კლინიკური ნიშნები: უეცარი პირღებინება (პირველადი ნიშანი), მადის დაქვეითება, სწრაფად განვითარებული დიარეა. გამონაყოფი ნაცრისფერი-ყვითელი ან ნაცრისფერი-მწვანე არასასიამოვნო სუნით, სწრაფად ვითარდება გაუწყლოება და სიგამხდრე. ცხელება არ არის ან გამობატულია მხოლოდ დაავადების დასაწყისში.</p> <p>დაავადება განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს 10 დღემდე ასაკის გოჭებში (მოდუნება უარი ნოვაზე, პირღებინება, უნებლიე დეფეკაცია);</p> <p>ასხლექტილ გოჭებში დაავადება მიმდინარეობს შედარებით მსუბუქად (მადის დაქვეითება, დიარეა, სიგამხდრე);</p> <p>ასხლექტილებში და სასუქ მზარდებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს გართულებას (ბრონქოპნევროზია, ქრონიკული გასტროენტერიტი).</p>	<p>დამახასიათებელია ხაოების ატროფია და წვრილი ნაწლავების კედლის გათხელება. მასში შიგთავსი წყლიანია (მომწვანო-ყვითელი) მოუნელებელი რძის კოლტებით. ლორწოვანი გარსები ჰიპერემიული, ზოგჯერ წყლულებით, თირკმლის კაპსულის ქვეშ სისხლჩაქცევები.</p>	<p>გამოსაკვლევად ლაბორატორიაში აგზავნიან ლიგატურა დადებული წვრილი და მღვივი ნაწლავების ნაწილს, მეზენტერიულ ლიმფურ კვანძებს, 2-3 ბუდის 8-9 გოჯიდან.</p> <p>ღიაგნოზის დასაზუსტებლად ატარებენ ბიოცდას 2-7 დღის გოჭებზე.</p> <p>დიფერენციალური ღიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს: აფრიკული ჭირი, დიზენტერია, კოლიბაქტერიოზი (ემერიხიოზი), სალმონელოზი, როტა- და ენტეროვირუსული ინფექციები, მასიური ალიმენტარული დიარეა და სხვა.</p>	<p>მკურნალობა სიმპტომატურია. სპეციფიკური სამკურნალო პრეპარატები შემუშავებული არ არის.</p> <p>მეორადი ინფექციების ასარიდებლად იყენებენ ანტიბიოტიკებს.</p>	<p>დაავადების გადატანის შემდეგ ღორები იძენენ იმუნიტეტს 2 წლის ხანგრძლივობით, მაგრამ კოლოსტრალური იმუნიტეტი ხანმოკლეა და არამყარი.</p> <p>პირველი რიგის ღონისძიება არის მეურნეობის დაცვა დაავადების გამომწვევი ვირუსისგან (ზოგადი ღონისძიებებით) ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების სრულად შესრულებით.</p> <p>სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ცოცხალ ვირუსს ვაქცინებს. ცრიან ნეზებს. ვაქცინა შეყავთ კუნთებში, პერორალურად ინტრანაზალურად ან კომბინირებულად.</p>	<p>დაავადებულ, დაავადებაზე და დასენიანებაზე საეჭვო ღორების ტანხორცს და შინაგან ორგანოებს გზავნიან მოხარშულ-შებოლილი ძეგვეულის და კონსერვების დასამზადებლად.</p> <p>დაკვლის ანარჩენებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის კლასიკური ჭირი</b></p> <p>ლათ. Pestis Suum</p> <p>ინგ. Swine Fever</p> <p>რუს. Чума свиней</p> <p>დაავადება მაღალი სიკვდილიანობით მნიშვნელოვან ზარალს აყენებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მელორეობას. ხასიათდება მაღალი კონტაგიოზურობით, ცხელებით, სეპტიციემით და ჰემორაგიული დიათეზით. მოგვიანებით კრუპოზული პნევმონიით და მსხვილი ნაწლავების ლორწოვანი გარსების დიფტერიული ანთებით.</p> <p>არ ახასიათებს სეზონურობა.</p>	<p>ავადებიან მხოლოდ ღორები (შინაური და გარეული) ყველა ასაკის და ჯიშის.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია ვირუსი – <i>Pestivirus</i>-ის სახეობა (ოჯახი <i>Flaviviridae</i>).</p> <p>არჩევენ ვირუსის A-, B- და C- ვარიანტებს.</p> <p>A - ვარიანტი შედიან ვირულენტური ეპიზოოტიური შტამები;</p> <p>B - ტიპი საშიშია მხოლოდ გოჭებისთვის;</p> <p>C - ვარიანტს განეკუთვნება სუსტი ვირულენტური ამერიკული შტამები.</p>	<p>ვირუსის გადაცემის ფაქტორებია: დაავადებული ცხოველების დაკვლის პროდუქტები და ანარჩენები, სამზარეულოს ან-არჩენები, წყალი, ნაკელი, დაინფიცირებული ტრანსპორტი, მოვლის საგნები და შენობა. ვირუსი ვრცელდება აგრეთვე პლაცენტით, გარეული და შინაური ცხოველებით, ბუზებით, ფრინველებით და მომვლელი პერსონალით.</p> <p>ბუნებრივ რეზერვუარებად ითვლებიან გარეული ღორები და რბილი ტკიპები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი დამოკიდებულია ვირუსის ვირულენტურობაზე და ცხოველის რეზისტენტობაზე. გრძელდება 3-9 დღე, იშვიათად 12-20 დღე.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს ზემწვავე, მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული ფორმით.</p> <p>ახალ კერებში დაავადება მიმდინარეობს ეპიზოოტიის სახით. ძირითადად ზემწვავედ და მწვავედ.</p> <p>სტაციონარულ კერებში ჭარბობს ქრონიკული ფორმა. ავადობა – 95-100%-ია.</p> <p>ლეტალობა – 60-100%.</p> <p>მწვავე ფორმის დროს ცხოველი კვდება 6-14 დღეში. ქვემწვავე ფორმის დროს – 15-25 დღეში.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფუქციის და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>მწვავე ფორმა ვლინდება ცხელებით და საერთო სისუსტით, საკვებზე უარით, ნყურვილით, კონიუნქტივიტით, ცხოველები ნაკლებად მოძრაობენ, ძირითადად წვანან, ჩამოყრილი აქვთ ყურები, ცდილობენ განმარტოებას. ტემპერატურა მატულობს 41,5-42,0°C-მდე და არ კლებულობს. ავადმყოფობის მთელ პერიოდში სიკვდილის წინ კი ეცემა 35,5°C-მდე. ყურებზე და ტანზე ჩნდება წერტილოვანი სისხლჩაქცევები, რომელიც ხელის დაჭერით არ ქრება. მაკე ნეზებში ვითარდება აბორტები მაკეობის სხვადასხვა დროს.</p> <p>ქვემწვავე ფორმის დროს ვითარდება ფალარათი, კლებულობს წონა, ძნელად მოძრაობს.</p> <p>ქრონიკული ფორმის დროს ტემპერატურა იცვლება, ცვალებადია მადაც, პერიოდულად ვითარდება ფალარათი. ცხოველი შესამჩნევად ხდება.</p> <p>ავადმყოფობა გრძელდება 2 თვემდე.</p>	<p>მწვავე მიმდინარეობისას ვითარდება ჰემორაგიული დიათეზი, ხილულ ზედაპირებზე, სეროზულ და ლორწოვან გარსებზე, პარენტომატოზული ორგანოებზე და ლიმფურ კვანძებზე სისხლჩაქცევები. ელენთის ზედაპირზე და კიდეებზე ინფარქტის კერები. ფილტვები შეშუპებული და სისხლსავსეა, სისხლჩაქცევებით, ზოგჯერ პნევმონიის ნიშნებით. თირკმლები უფერულია წერტილოვანი სისხლჩაქცევებით.</p> <p>კუჭის და ნაწლავების ლორწოვან გარსებზე კატარალურ-ჰემორაგიული ანთება.</p> <p>ეპიკარდზე, პლევრაზე, შარდის ბუშტზე, საყლაპავზე, სისხლის ჩაქცევები.</p> <p>ქვემწვავე და ქრონიკული ფორმის დროს ფილტვის წილების ნეკროზული კერები; პლევრიტი და პერიკარდიტი; ნაწილაგებზე ნეკროზული წყლულოვანი დაზიანებები.</p>	<p>დიაგნოზის დასმა ხდება ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების და პათოლოგიური ცვლილებების საფუძველზე.</p> <p>გამოსაკვლევად ლაბორატორიაში აგზავნიან: სისხლს, ელენთის ნაჭერს, ლიმფურ კვანძებს, მკერდის ძვალს, თირკმლის და ფილტვის ნაჭერებს.</p> <p>ახდენენ</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქსოვილოვან კულტურებზე ვირუსის გამოყოფას;</li> <li>იყენებენ</li> <li>- პოლიმერაზულ-ჯაჭვური რეაქცია გენომის გამოსაყოფად;</li> <li>- ბიოცდა არაიმუნურ გოჭებზე დამახასიათებელი კლინიკის მისაღებად.</li> </ul> <p>დიფერენციალური დიაგნოზი – აფრიკულ ჭირთან, წითელ ქართან და პასტერელიზთან.</p>	<p>კლასიკური ჭირით დაავადებულ ცხოველებს არ მკურნალობენ. მათ სწრაფად კლავენ.</p>	<p>ატარებენ ზოგად და სპეციფიკურ ღონისძიებებს.</p> <p>ზოგადი ღონისძიებები ემყარება ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებების მუდმივად ჩატარებას.</p> <p>სპეციფიკური ღონისძიებები გულისხმობს ვაქცინაციის ჩატარებას ინსტრუქციის შესაბამისად.</p>	<p>სასაკლაოზე იძულებით დაკლული ღორის ხორცი გამოიყენება თერმული დამუშავების შემდეგ; მოხარშული ძეხვეულის და კონსერვების დასამზადებლად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის პარვოვირუსული დაავადება / რეპროდუქციული ორგანოების დაავადება</b></p> <p>ლათ. Porcus morbus parvovirus</p> <p>ინგ. Porcine parvovirus infection</p> <p>რუს. Парвовирусная болезнь свиней</p> <p>კონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა. კლინიკურად ვლინდება მხოლოდ მკვე ნეზვებში.</p> <p>ხასიათდება: ბერნიანობით, მცირე რაოდენობით გოჭების დაბადებით, ნაყოფების მუმიფიცირებით, სუსტი და მკვდარი გოჭების დაბადებით. იშვიათად აბორტებით.</p> <p>გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში.</p>	<p>ავადებიან მხოლოდ მკვე ნეზვები. გოჭებში დაავადება მიმდინარეობს ადრეულ ასაკში უსიმპტომოდ. მაგრამ გამოყოფენ დიდი რაოდენობით ვირუსებს, რაც ქმნის დიდ საშიშროებას ჯანმრთელი ცხოველებისათვის რეპროდუქციული ფუნქცია ირღვევა სარემონტო ღორებში. განაყოფიერება ძირითადად მთავრდება უშედეგოდ. დაავადებული ნეზვებიდან მიღებული ცოცხალი გოჭების წონა 500-700 გრამია დაქვეითებული წონის რეფლექსით. გოჭები ვერ ლეზულობენ საკვებს (ხსენს) და კვებიან 2-3 დღეში.</p>	<p>აღმკვრელია ვირუსი <i>Parvovirus suis</i> მიეკუთვნება სახობა <i>Parvovirus</i>-ს, <i>Parvoviridae</i>-ს ოჯახს.</p> <p>ვირუსი გამძლეა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების მიმართ. ვირუსი მეურნეობაში შეაქვს ვირუსმატარებელ სარემონტო ნეზვებს და კერატებს. ვირუსი შეაღწევს რა მეურნეობაში 2-3 თვის განმავლობაში აავადებს ღორების მთლიან სულადობას.</p> <p>დაავადების აღმკვრელი წყაროა დაავადებული და ვირუსმატარებელი ღორები, რომლებიც ვირუსს გამოყოფენ ფეკალით, შარდით, ცხვირის და ვაგინალური გამონაყოფებით, სპერმით, მკვდარი და აბორტირებული ნაყოფებით, მომყოლით.</p>	<p>ცხოველთა დასენიანება ხდება: ალიმენტალურად, ჰაერ-წვეთოვანი გზით, მასიური ვაქცინაციის დროს (დარღვევებით ჩატარებისას) ტრანსპლანტაციურად, კასტრაციის ჩატარებისას და სხვა.</p> <p>დაავადებული ნეზვებიდან მიღებულ გოჭებში ვირუსმატარებლობა გრძელდება 8 თვე, ზოგიერთებში სიცოცხლის მანძილზე.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი განსაზღვრული არ არის, ის შეიძლება იყოს ერთი კვირა ან მეტი. დაავადება ძირითადად მიმდინარეობს უსიმპტომოდ. ძირითადად ნეზვებს არაკეთილსაიმედო მეურნეობაში ვირუსთან მრავალჯერადი შეხებით უვითარდებათ იმუნიტეტი, მაგრამ დაბადებული ცოცხალი გოჭების რიცხვი კლებულობს 10-20%-ით ადგილი აქვს მახინჯი გოჭების დაბადებასაც. არაკეთილსაიმედო მეურნეობაში აგრეთვე კლებულობს განაყოფიერებული ნეზვების რიცხვიც 25-დან 37%-მდე. მკვდარი გოჭების რიცხვი შეიძლება გაიზარდოს 100%-მდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო დონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადება ღორებში მიმდინარეობს უსიმპტომოდ. ყურადღებას იპყრობს განაყოფიერების დაქვეითება, ადრეული აბორტები და ბუდეში გოჭების მცირე რაოდენობა.</p> <p>კლინიკურად დაავადება ვლინდება მხოლოდ მაკე ნეზვებში ემბრიონების სიკვდილით, დაგრძელების შემდეგ კვლავ ახურებით, მკვდარი და სუსტი დაბალი წონის მქონე გოჭების დაბადებით.</p> <p>დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს კერატებში, მაგრამ სპერმით ავრცელებენ ვირუსს და აავადებენ ნეზვებს.</p>	<p>ნაყოფების დათვალეირებით ვლინდება ზრდაში ჩამორჩენა, შეშუპება, ჰემორაგიები, სითხის დაგროვება ბუნებრივ ღრუებში და სხვადასხვა სტადიის მუმიფიკაცია. ზოგჯერ მკვდარ და ცოცხალ გოჭებში ნახულობენ მენინგოენცეფალიტის ნიშნებს.</p>	<p>დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ კომპლექსურად ძირითადად ეპიზოოტიური მონაცემებით. ლაბორატორიული კვლევისთვის აგზავნიან სისხლის შრატს ალბულის ახალშობილი გოჭებიდან ხსენის მიღებამდე.</p> <p>გოჭების მუცლისა და გულმკერდის ღრუში არსებულ სითხეს და სისხლს ალბულის რეპროდუქციული ფუნქციის დაქვეითებული ნეზვებიდან და დაავადებულ ნეზვებიდან და დაავადებულ მკვდარ გოჭებიდან.</p> <p>ლაბორატორიაში იყენებენ იმუნოფერმენტულ და პოლიმერაზულ ჯაჭვურ რეაქციას.</p> <p>დაავადება უნდა განვასხვავოთ რეპროდუქციური ფუნქციის დარღვევით მიმდინარე სხვა დაავადებებისგან: ბრუცელოზი, ლეპტოსპირიზი, ქლამიდიოზი.</p>	<p>სპეციფიკური მკურნალობის მეთოდები შემუშავებული არ არის. მეორად ინფექციების სანიანალგეზოდ იყენებენ ანტიბიოტიკებს და სხვა ანტიბაქტერიულ პრეპარატებს.</p> <p>ცხოველებს უზრუნველყოფენ ვიტამინებით, მიკროელემენტებით.</p>	<p>პარავირუსით დაავადებულ ცხოველებში პროდუცირდება ანტისხეულები მაღალ ტიტრებში, რომელიც კონცენტრირდება ხსენში. გოჭებში კოლოსტრალური იმუნიტეტი შეიძლება გაგრძელდეს 6 თვე, რაც ხელს უშლის გოჭებში აქტიური იმუნიტეტის ფორმირებას.</p> <p>გამოჯანმრთელებულ ცხოველებში იმუნიტეტი გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე. სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ვაქცინებს.</p>	<p>ხორცის რეალიზაცია უმი სახით აკრძალულია. დაკვლის პროდუქტებს გადაამუშავენ მონარშულ ძეხვებად, კონსერვებად.</p> <p>დაკვლის ანარჩენებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის რეპროდუქციულ-რესპირატორული სინდრომი</b></p> <p>ლათ. Epizootic abortus porcorum</p> <p>ინგ. Porcine reproductive and respiratory syndrome</p> <p>რუს. Репродуктивно-респираторный синдром свиней (РРСС) / Эпизоотический поздний аборт свиней / “Синее ухо”</p> <p>კონტაგიოზური დაავადებაა. ხასიათდება მასიური აბორტებით მაკეობის ბოლოს, ნაკლებად სიცოცხლის უნარიანი, სუსტი გოჭების დაბადებით და თანდართული სასუნთქი სისტემის დაზიანებით ასხლეტის შემდეგ. გოჭები ძირითადად იხოცებიან სიცოცხლის პირველ 2-3 კვირაში. გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთის მრავალ რეგიონში.</p>	<p>ამთვისებლები არიან ყველა ჯიშის და ასაკის ღორები. რეპროდუქციული სინდრომი აღინიშნება მხოლოდ მაკე ღორებში. რესპირატორული სინდრომი კი ყველა ასაკის ღორების ჯგუფში.</p>	<p>აღმკვრელია ვირუსი <i>Srterucurys suis, romelic Sedis Arteriviridae</i> ოჯახში.</p> <p>განასხვავებენ ვირუსის მალალ-, დაბალ-, და აპათო-გენურ ვარიანტებს, რაც განაპირობებს დაავადების მიმდინარეობას. ვირუსს ნახულობენ სისხლში დასენიანებიდან 35-56 დღის განმავლობაში, სპერმაში 92 დღის განმავლობაში; ვლინდება 25 დღე. ვირუსი სიცოცხლისუნარიანობას ცარიელ შენობაში ინარჩუნებს 3 კვირის განმავლობაში.</p> <p>არჩევენ ვირუსის ამერიკულ და ევროპულ გენოტიპებს. რუსეთში ცირკულირებს ორივე გენოტიპი.</p> <p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული და ვირუსმატარებელი გამოჯანმრთელებული ცხოველები.</p>	<p>ვირუსის გადაცემა უფრო აქტიურად ხდება უშუალო კონტაქტით. ვირუსი აგრეთვე გადაეცემა კერატის სპერმით და სხვა გამონაყოფებით (შარდი, ფეკალი). ცნობილია ვირუსის გადაცემის აეროგენური და ტრანსპლანტაციური გზაც.</p> <p>ვირუსის გადაცემის ფაქტორებია: საკვები, წყალი, ჰაერი, ნაკელი, ტრანსპორტი, სპეც. ტანსაცმელი, შენობაში მობინადრე მღრღნელები და ფრინველები, დაავადებული ღორის ხორცი და სხვა.</p> <p>მეტად საშიშია უსიმპტომოდ დაავადებული და დაავადებამოხდელი ხანგრძლივად ვირუსმატარებელი ღორები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი განსხვავებულია, ასაკის მიხედვით გრძელდება 4-7 და 35 დღე.</p> <p>ვირუსი აქტიურად მრავლდება ალვეოლების ფილტვების და ლიმფური კვანძების მაკროფაგებში.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს მწვავე ფორმით; დაავადებული ნეზების მშობიარობის დროს გოჭების სიკვდილიანობა 30-40%-ია. სუსტი გოჭები იხოცებიან პირველი კვირის განმავლობაში.</p> <p>ასხლეტილებში სიკვდილიანობა 50%-ია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების კლინიკური ფორმა მრავალფეროვანია. ნეზვებში აღინიშნება მასიური აბორტები მაკობის მეორე ნახევარში. ცალკეულ ცხოველებში ვლინდება ტემპერატურის მომატება, გაძნელებული სუნთქვა, უკანა კიდურების დამბლა და კანის წითელი და ლურჯი შეფერილობა „ლურჯი ყური“. გოჭებში ასხლეტის შემდეგ ვითარდება სასუნთქი სისტემის დაზიანება. მშობიარობისას, 5-30% ღორებში, ადგილი აქვს მკვდარი, მუმიფიცირებული გოჭების დაბადებას. იბადება აგრეთვე მახინჯი გოჭებიც (6-13,2%), რომელთაც დაზიანებული აქვთ ქვედა ყბა, თავის ქალა, ჩონჩხი და თვალები. გოჭებს დაქვეითებული აქვთ ნოვის რეფლექსი, აღენიშნებათ კუნთების რიგიდულობა. ნეზვებში მშობიარობა გაძნელებულია (ის შეიძლება გაგრძელდეს 2-4 დღე) და განაპირობებს მეტრიტ-მასტრიტ-აგალაქტიის განვითარებას, მომყოლის შეჩერებას. 60% გოჭებში დარღვეულია ნერვული სისტემა, ადგილი აქვს დამბლებს.</p>	<p>აბორტირებული და ახალშობილი გოჭების გაკვეთისას აღინიშნება – სიმახინჯეები, შეშუპება და სისხლჩაქცევები კანში, ყურებზე, ზურგზე, მუცლის კედელში და კანქვეშ, პერიკარდიტი, ჰიპერემია და სისხლჩაქცევები ფილტვებში, გულზე, ღვიძლზე, არაჩირქოვანი ენცეფალიტი, სითხე მუცლის ღრუში და სხვა.</p>	<p>დიაგნოზის დასმა ხდება კომპლექსურად. ლაბორატორიაში აგზავნიან სისხლის სინჯებს, ფილტვის ნაჭრებს, მუცლის და გულმკერდის ღრუს სითხეს, გულმკერდის ლიმფურ კვანძებს 2-5 ახალაბორტირებული ნაყოფიდან ან იძულებით დაკლული ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი 1-3 დღის გოჭებიდან.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს: პარვოვირუსული ინფექცია, ბრუცელოზი, ლეპტოსპიროზი, ქლამიდიოზი, კლასიკური ჭირი, აუესკი, ლისტერიოზი, ენტევირუსული ინფექციები, არაგადამდები პათოლოგიები.</p>	<p>სპეციფიკური მკურნალობა შემუშავებული არ არის.</p> <p>მეორადი ინფექციებიდან დასაცავად ატარებენ სიმპტომატურ მკურნალობას ორგანიზმის რეზისტენტობის ასამაღლებლად და ანტიბაქტერიული პრეპარატების გამოყენებას ბაქტერიების დათრგუნვის მიზნით. გოჭებს უნიშნავენ ელექტროლიტებს, გლუკოზას, უზრუნველყოფენ ხსენით (რომელიც შეიძლება დამზადდეს ხელოვნურად).</p>	<p>დაავადების პროფილაქტიკის მიზნით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის რუსეთში შექმნილია ცოცხალი და ინაქტივირებული ვაქცინები. პრაქტიკულად უკეთესი შედეგები იქნა მიღებული ინაქტივირებული ვაქცინების გამოყენებით. კოლოსტრალიური იმუნიტეტი გრძელდება 4-10 კვირის ასაკამდე ეფექტური შედეგით. ვაქცინაციას ატარებენ პირველად 2-3 თვის ასაკში.</p> <p>მეორედ – 5-7 თვის ასაკში. მესამედ – 2-3 კვირით ადრე შეწყვილებამდე.</p> <p>ცხოველები გადაყავთ ნორმირებულ კვებაზე ვიტამინების (E,D) და სელენის აუცილებელი მიცემით. მეურნეობაში იცავენ ზოოჰიგიენურ და ვეტსანიტარულ ნორმებს.</p>	<p>ხორცი და დაკვლის პროდუქტები გამოიყენება მოხარული ძხვევების და კონერგების დასამზადებლად.</p> <p>ხარშავენ 3 საათის განმავლობაში.</p> <p>დაკვლის ანარჩენებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის შეშუპებითი დაავადება / ენტეროტოქსიური ეშერიხიოზი</b></p> <p>ლათ. Morbus oedematosus</p> <p>ინგ. Edema disease / Swelling disease of piglets (ED)</p> <p>რუს. Отечная болезнь / Энтеротоксический эшерихиоз</p> <p>ახლად ასხლეტილი გოჭების მწვავე დაავადება, რომელსაც ახასიათებს ჰემორაგიული გასტროენტერიტი, ტოქსიკოზი, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება და ქსოვილებში შეშუპება.</p> <p>გვხვდება სამხრეთ აფრიკაში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, კანადაში, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში. დაავადება სპორადულად ვლინდება ბევრ მეურნეობაში, რომლებშიც ირღვევა ვეტერინარული და სანიტარიული წესები.</p>	<p>ყველა ჯიშის ასხლეტის ასაკის გოჭები.</p>	<p>შეშუპებითი დაავადების გამომწვევი აგენტია <i>Escherichia coli</i> სეროლოგიური ჯგუფები 0-139, 0-140, 0-141 და სხვა, რომლებიც მეტაბოლიზმის პროცესში გამოიმუშავენ ეგზოტოქსინებს - ენტეროტოქსინს, ნეიროტოქსინს და ჰემოტოქსინს.</p>	<p>დასენიანების ძირითადი გზა ალიმენტალურია.</p> <p>კარგად განვითარებული, კარგად გამოკვებილი გოჭები ავადდებიან ასხლეტვამდე რამდენიმე დღით ადრე (3-6 დღე) და ასხლეტიდან 20-25 დღის განმავლობაში დედისგან გამორთვიდან, განურჩევლად წელიწადის სეზონისა და დროისა. როგორც წესი, ცალკეული ღორებისგან მიღებული დაავადებული გოჭები წარმოადგენენ გამომწვევის - ბეტა-ჰემოლიზური ეშერიხიის წყაროს.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 6-10 საათი. დაავადება მიმდინარეობს ტიპიური და ატიპიური ფორმით.</p> <p>ავადობა 40-60%-ია, სიკვდილიანობა 90-100%-ს აღწევს.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ტიპიური მიმდინარეობისას, სხეულის ტემპერატურა იზრდება 40 - 41°C-მდე, ჩნდება ალგზნებულობა, კანის მომატებული მგრძობელობა, ხოლო ზოგიერთ ცხოველში - მოკლევადიანი, კრუნჩხვები (კისრის კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა). სხეულის ტემპერატურა ეცემა ნორმამდე ან 40.5 - 40.7°C. მოგვიანებით, კუნთების ფგუფების კრუნჩხვითი შეკუმშვის მზარდი სიხშირით. შეინიშნება ქუთუთოების შეშუპება, რის შედეგადაც ერთი ან ორივე თვალის ნაპრალი ვიწროვდება ან მთლიანად იხურება. გოჭები ილუპებიან კრუნჩხვით 12 - 24 საათის განმავლობაში, ნაკლებად ხშირად 5 - 7 დღის შემდეგ.</p> <p>ატიპიური ფორმის დროს ქარბობს პროგრესირებადი გულის უკმარისობის ნიშნები, გასტროენტერიტი და ნერვული დარღვევების მომატება. შეშუპება მსუბუქია ან არ არსებობს.</p>	<p>ლეში არაკახექსიურია, კანი ჩვეულებრივ სუფთაა, მუცლის ქვედა კედელი ლურჯი-იისფერი. ქუთუთოების თვალების, ცხვირის, შუბლის კანქვეშა ქსოვილი გაჟღენთილია სეროზული ან სეროზულ-ფიბრინოზული ყელატინის მოყვითალო ექსუდატით. თავის ლიმფური კვანძები გადიდებულია, ჰიპერემიულია. გულმკერდისა და პერიტონეუმის ღრუებში – სეროზულ-ფიბრინოზული ექსუდატია.</p> <p>კუჭი სავსეა მკვრივი, მშრალი, საკვებით.</p> <p>ნაწლავები ზომიერად ივსება თხევადი ლორწოვანი შიგთავსით, ოდნავ ჰიპერემიული, ლორწოვანი გარსის ქვეშ ვლინდება წვრილი ლაქებიანი სისხლჩაქცევები.</p> <p>ღვიძლი, ელენთა გადიდებულია, ნაღვლის ბუშტის კედლები შეშუპებული, თირკმელები ჰიპერემიული.</p> <p>ატიპიური ფორმის დროს გვხვდება კატარალური გასტროენტერიტი, ჰემოსტაზის ფენომენი შინაგან ორგანოებში, მეზენტერული და პორტალური ლიმფური კვანძების შეშუპება და ჰიპერემია.</p>	<p>დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტიური, კლინიკური, პათოანატომიური მონაცემებისა და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს აუქსის დაავადება, ლისტერიოზი და მონამვლები.</p>	<p>ავადმყოფ ცხოველებს ენიშნებათ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები, სულფანილამიდი და ნიტროფურანის პრეპარატები. ანტიჰისტამინური საშუალებები. უროტროპინის ხსნარი შეჰყავთ კუნთში, კალციუმის ქლორიდი მიიღება პერორალურად. ზოგადად მკურნალობა ყოველთვის არ არის ეფექტური.</p>	<p>იმუნიტეტი კარგად არ არის შესწავლილი. გადარჩენილი ცხოველი მომავალში არ ავადდება. სპეციფიკური პროფილაქტიკისა და თერაპიის პრეპარატები შემუშავებული არ არის.</p> <p>აუცილებელია მკაცრად იყოს დაცული გოჭების ასხლეტის ტექნოლოგია, გოჭების კვება და შენახვა რძიდან პირველი 10 - 12 დღის განმავლობაში.</p>	<p>გოჭების დაკვლა და პროდუქტების გამოყენება უნდა მოხდეს სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებალი ცხონველი	აღმკვრალი და მისი წყარო	აღმკვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღორის წითელი ქარი</b></p> <p>ლათ. Erysipelas suum / Erysipelothrix rhusiopathiae / Rhusiopathia suis</p> <p>ინგ. Swine Erysipelas / Diamona disease</p> <p>რუს. Рожа свиней / Эризипеллоид</p> <p>მიეკუთვნება ბუნებრივ-კერობრივ ზოონოზურ ინფექციურ დაავადებას. არის ახალგაზრდა ღორების მწვავედ მიმდინარე დაავადება, ხასიათდება ცხელებით, სეპტიცემიით და კანის ერთეული ანთებით.</p> <p>ქრონიკული მიმდინარეობისას წამყვანია ენდოკარდიტი და პროტიტი. წითელი ქარი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, იგი ფიქსირდება ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში, კანადაში, ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში და სხვა ქვეყნებში.</p> <p>დაავადება ვლინდება საქართველოშიც. დაავადება დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს მეღორეობას.</p>	<p>წითელი ქარით ძირითადად ავადდებიან ღორები 3-12 თვის ასაკიდან. სპორადიულად ავადდებიან ცხენები, რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, ირემი, ძაღლები, მრავალი ძუძუმწოვარი ცხოველი და ფრინველი ზოოპარკებში. არის აღწერილი მიმდინარეობის ეპიზოოტიური შემთხვევები: ბატკნის, ინდაურის, იხვის და მღრღნელების დაავადების.</p> <p>წითელი ქარით ავადდება ადამიანიც.</p>	<p>დაავადების აღმკვრელია ბაქტერია: <i>Erysipelotrix insidiosa</i> (<i>E. rhusiopathiae</i>), რომელიც მიეკუთვნება უბიკვიტარულ (ყველგან გავრცელებულ) მიკროორგანიზმს, მას ნახულობენ ჯანმრთელი ღორის ნუნუსიფერ ჯირკვალში, ნაწლავებში, ნაღვლის ბუშტში, მღრღნელების, მწერების, თევზების და ტკიპების ორგანიზმში.</p> <p>აღმკვრელის გამოყოფა შესაძლებელია ლპობადი სუბსტრატებიდან და ქალაქის ჩამდინარე წყლიდან. მიკროორგანიზმს გააჩნია 22 სეროლოგიური ვარიანტი. გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ დამარხულ ლეშში ძლებს 10-12 თვე; ნიადაგში – 7-9 თვე; ნაკელში – 290 დღე; ოკეანის წყალში 100-108 დღე; შარდში – 113-145 დღე; ფეკალში – 38-78 დღე; დამარილებულ და შებოლილ პროდუქტებში 3-6 თვე.</p>	<p>დასენიანების ძირითადი გზა ალიმენტალურია ნაკლებად ტრანსმისიური, აეროგენური და კონტაქტური. გადაცემის ფაქტორებია დაინფიცირებული ნივთები, საკვები და წყალი, ცხოველური დაკვლის პროდუქტები, ლეშები, ნიადაგი. აღმკვრელის ძირითადი გადამტანებია მღრღნელები ბუზები და ფრინველები.</p> <p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული ღორები, რომლებიც მიკრობს გამოყოფენ ფეკალით და შარდით. ამავე გზით აღმკვრელს ავრცელებენ დაავადებაგადატანილი მიკრობმატარებელი ჯანმრთელი ღორებიც.</p> <p>რეზერვუარებად ითვლებიან მღრღნელები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 2-8 დღეა, იშვიათად – 14 დღე და მეტი; მიკრობის ვირულენტობიდან გამომდინარე წითელი ქარი მიმდინარეობს ელვისებურად, მწვავედ, ქვემწვავედ, და ქრონიკულად. არჩევენ დაავადების სეპტიცემიურ, კანის და ლატენტურ ფორმას.</p> <p>წითელი ქარი ვლინდება ერთეული შემთხვევების ან მოკლე აფეთქებებით. დაავადებას ახასიათებს განმეორებითი გამოვლინება.</p> <p>დაავადება ჩნდება ძირითადად წლის თბილ პერიოდში. ხელშემწყობი პირობებია მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა. დაბალი ზოოპიგიენური პირობები, ტრანსპორტირება. რაციონში ცილის მინერალების და ვიტამინების დეფიციტი.</p> <p>ავადობა – 20-30%; ლეტალობა – 55-80%-ია.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროლუქტაზისა და ნეღლაულის გამოყენება
			მაკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ელვისებრი ფორმის დროს ვლინდება გულის სისუსტე და მენინგოენცეფალიტი, ცხოველი რამდენიმე საათში კვდება.</p> <p>მწვავე მიმდინარეობა იწყება ტემპერატურის ანევით (42°C), საკვებზე უარი, საერთო სისუსტე, კუჭ-ნაწლავის ატონია და შეკრულობა. უკანა კიდურების სისუსტის გამო ცხოველს უჭირს გადაადგილება, ხშირია კონიუქტივიტის განვითარება, ფილტვების შეშუპება, რაც იწვევს შეგუბებით მოვლენებს და კანი ლეზულობს ციანოურ შეფერილობას. ქვემწვავე მიმდინარეობის დასაწყისი მსგავსია მწვავე მიმდინარეობისა, მას 1-2 დღეში კანზე ემატება მკვრივი მონითალო შესიება, რომლითაც იფარება მთელი ტანი. ქრონიკული ფორმისთვის დამახასიათებელი ენდოკარდიტი და პოლიართრიტის სინდრომი ზოგჯერ კანის საფარველის ნეკროზი. ცხოველს ეწყება ქოშინი, სიგამხდრე და ანემია. შეიძლება განვითარდეს აბორტი. ნითელი ქართი ძირითადად ავადდება ბატკნები, 4-8 თვის ასაკამდე. ფრინველში (ქათამში, ინდაური, იხვი, ბატი), დაავადება იწყება დათრგუნვით, ქვეითდება კვერცხდება ჩნდება გამონადენი ცხვირიდან, სახსრების შესიება.</p>	<p>პათოლოგიური ცვლილებებიდან მნიშვნელოვანია კანის ციანოზი და მუქი-ყავისფერი უბნები თავზე, ზურგზე და გვერდებზე, კატარალური ანთება კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსებზე. ფილტვების ჰიპერემია და შეშუპება. შესაძლებელია სისხლისჩაქცევები სეროზულ და ლორწოვან გარსებზე. ელენთის უმნიშვნელო მომატება, ღვიძლის და თირკმლის ჰიპერემია, ლიმფური კვანძების ჰიპერემია და მოცულობაში მომატება. პოლიართრიტი და ვერიკოზული ენდოკარდიტი.</p>	<p>დაავადების დიაგნოზი ეყრდნობა ეპიზოოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს, პათოლოგოანატომიურ ცვლილებებს და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს. ლაბორატორიაში იგზავნება ელენთის და ღვიძლის ნაჭრები. ლულოვანი ძვალი და გული.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლენენ ჭირთან, პასტერელოზთან, სალმონელოზთან, ლისტერიოზთან, მზისა და სითბურ დაკვრასთან, ქრონიკული მიმდინარეობის დროს; ჭირთან მიკოპლაზმურ პოლისეროზიტთან და პოლიართრიტთან. სტრეპტოკოკულ ინფექციასთან, რაქიტთან და ოსტეომალაციასთან.</p>	<p>ნითელი ქარის სამკურნალოდ იყენებენ ჰიპერი-მუნურ შრატს და ანტიბიოტიკებს (პენიცილინი, სტრეპტომიცინი, ოქსიტეტრაციკლინი, ეკმონოვოცილინი, ერითრომიცინი და სხვა).</p> <p>სამკურნალო ეფექტი მაღალია შრატის და ანტიბიოტიკების ერთდროულად შეყვანით. პარალელურად ატარებენ სიმპტომურ მკურნალობას.</p>	<p>ატარებენ ღორის მთლიან სულადობის (2 თვის ასაკიდან) ვაქცინაციას.</p> <p>ვაქცინაციამდე და ვაქცინაციიდან 5 დღის განმავლობაში არ შეიძლება ცხოველთა გადაადგილება და ტრანსპორტირება. დაავადების გაჩენის შემთხვევაში დაავადებული და დაავადებაზე საეჭვო ცხოველები გაყავთ ცალკე და მკურნალობენ.</p> <p>კლინიკურად ჯანმრთელებს უტარებენ ვაქცინაციას, იმუნიტეტი 6 თვეა, პასიური იმუნიზაციის მიზნით შეიძლება შრატის გამოყენება. აწესებენ საერთო შეზღუდვებს, რომელსაც ხსნიან ბოლო დაავადებულის გამოჯანმრთელებიდან 14 დღის შემდეგ. ატარებენ მიმდინარე და დასკვნით დეზინფექციას.</p>	<p>მეურნეობიდან დაუშვებელია უმი ხორცის გატანა (უნდა მოხდეს თერმული დამუშავება).</p> <p>ნაკელის დამუშავება ხდება ბიოთერმულად.</p> <p>დაკვლის ანარჩენებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ღრუბლისებრი ენცეფალოპათია</b></p> <p>ლათ. Spongiforme bovinum encephalopathy</p> <p>ინგ. Bovine spongiform encephalopathy (BSE) / Mad-cow disease</p> <p>რუს. Губкообразная энцефалопатия / Коровье бешенство</p> <p>დაავადება მიმდინარეობს მდორედ ანუ ხანგრძლივად. ვლინდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით. ცვლილებები ნეიროდეგენერატიული ხასიათისაა, რაც იწვევს დაავადებული ცხოველის სიკვდილს.</p>	<p>ძირითადად ავადდებიან ძროხები 3-4 წლის ასაკში.</p> <p>ექსპერიმენტალურად შეიძლება ცხვრის, ღორის, ვირთხების, თაგვების, ზაზუნების და მაიმუნების დასენიანება.</p> <p>ავადდება ადამიანიც.</p>	<p>აღმკვრელია პრიონი (პათოგენური ცილა), რომელიც სავარაუდოდ წარმოიშობა ცხვრის სკრეპის აღმკვრელიდან. პრიონი უძლებს მაღალ ტემპერატურას.</p>	<p>აღმკვრელის გადაცემა დაავადებული ცხოველიდან ხდება პრიონის შემცველი საკვებით. შესაძლებელია დაავადების ვერტიკალური გადაცემაც (10-20%), მეტად საშიშია თავის და ზურგის ტვინის და თვალის ქსოვილები.</p> <p>აღმკვრელს ნაკლებად შეიცავს დაავადებული ცხოველის რძე და ხორცი.</p> <p>დაავადების გავრცელებას საფუძველი დაუდო ძროხების საკვებად ძვალ-ხორცის ფქვილის გამოყენებამ, რომელიც დამზადებული აღმოჩნდა სკრეპით დაავადებული ცხვრების დაკვლის ანარჩენებიდან (მათ შორის თავიდან).</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1 წლიდან 25-30 წლამდე. აქედან გამომდინარე, დაავადება კლინიკურად შეიძლება გამოვლინდეს ზრდასრულ ცხოველებში.</p> <p>დაავადება პროგრესირდება ნელა (მდორედ).</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღმების გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების ნიშნების გამოვლინება დაკავშირებულია ცენტრალური ნერვული სისტემის დონეზე, რაც გამოიხატება ცხოველის ქცევით. დაავადების დასაწყისში ცხოველი დათრგუნულია, რომელიც გადადის ალგზნებაში, ნერვოზში. ცხოველი ავლენს ანომალურ შიშს შეხებაზე და შუქზე. ზურგი ამოზნექული აქვს რკალურად, აპრეზილი კუდით, ყურებით ასრულებენ არასიმეტრიულ მოძრაობას, აკრაჭუნებენ კბილებს, თავს იფხანენ სხვადასხვა საგანზე, ენით ილოკავენ ტუჩებს, ცხვირს და კიდურებს, ხშირად აცემინებენ, ამოქნარებენ და ბლავიან. თავდაწული უყურებენ ერთ წერტილს ან კედელზე მიყრდნობილი დგანან. მოძრაობისას დგამს არათანაბარ ნაბიჯებს და ქანაობით მიიწევს წინ. შესაძლებელია აგრესიულობა (ცოფის მაგვარი) სხვა ცხოველების და ადამიანების მიმართ, ირქინება და წიხლებს ისვრის. შემდეგ ვითარდება პარეზი და დამბლა, ცდილობენ გადახტომას, ეცემიან და უჭირთ ადგომა; მადა შენარჩუნებულია; ტემპერატურა ნორმის ფარგლებში, კლებულობს წველა, ვითარდება სიგამხდრე, სიკვდილი.</p>	<p>მაკროსკოპიული პათოლოგიური ცვლილებები შინაგან ორგანოებში ფაქტიურად არ აღინიშნება; ჰისტოლოგიური კვლევის დროს თავის და ზურგის ტვინში ნახულობენ ნეირონების ვაკუოლიზაციას. თავის და ზურგის ტვინის ქსოვილი ღებულობს ღრუბლისებრ სახეს.</p>	<p>დიაგნოზს სვამენ კომპლექსურად ეპიზოოტიური მონაცემების კლინიკური ნიშნების, პათოლოგიური ცვლილებების და ჰისტოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე.</p> <p>ლაბორატორიაში აგზავნიან თავის ტვინს აღებულს მკვდარი ან იძულებით დაკლული ცხოველიდან.</p> <p>ჰისტოლოგიურად ნახულობენ ნეირონების ვაკუოლიზაციას. ტვინის ქსოვილის ღრუბლისებრ სტრუქტურას. საზღვრავენ პრიონულ ცილას. თეთრ თავებზე დგამენ ბიოცდას.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ ნერვული აშლილობით მიმდინარე დაავადებებთან (ცოფი, აუესკის დაავადება, ლისტერიოზი, რინოტრაქეიტი, გაშეშება, ბოტულიზმი და სხვადასხვა სახის ეცეფალიტები და სხვა).</p>	<p>მკურნალობის მეთოდები შეუმავებული არ არის. დაავადებულ ცხოველებს კლავენ და წვავენ.</p>	<p>სპეციფიკური პროფილაქტიკა არ არსებობს.</p> <p>იმუნიტეტი არ ფორმირდება.</p> <p>დაავადებული ცხოველი კვდება.</p>	<p>დაავადებულ ცხოველს სპობენ დანვით.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	ალექვრალი და მისი წყარო	ალექვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ყვავილი</b></p> <p>ლათ. Variola vaccina</p> <p>ინგ. Cowpox</p> <p>რუს. Оспа коров</p> <p>გადამდები დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ინტოქსიკაციით, ცხელებით და კვანძოვან-პუსტულური გამონაყარით კანზე და ლორწოვან გარსებზე.</p>	<p>ავადდება ყველა ასაკის პირუტყვი, ცხენები, ღორები, აქლემები, ვირები, მაიმუნები, კურდღლები, ზღვის გოჭები და ადამიანები მგრძობიარეა ძროხისა და ვაქცინიის ვირუსების მიმართ.</p>	<p>ყვავილას ვირუსი არის დნმ-ის შემცველი ვირუსი Poxviridae-ს ოჯახიდან, Orthopoxvirus-ის გვარიდან. ძროხებში, როგორც ძროხის ყვავილის ვირუსმა, ასევე ვაქცინიის ვირუსმა (ადამიანის ვარიოლას ვირუსი) შეიძლება გამოიწვიოს დაავადება. ორივე ეს ვირუსი მსგავსია ანტიგენური, იმუნოლოგიური და მორფოლოგიური თვისებებით, მაგრამ განსხვავდება რიგი ბიოლოგიური თვისებებით.</p> <p>გამომწვევის წყაროა ავადმყოფი ცხოველები და ადამიანები.</p> <p>ძროხის და ვაქცინიის ვირუსები შედარებით სტაბილურია გარე გარემოში. 4°C-ზე, ვირუსი ძლებს 1,5 წლამდე, 20°C - 6 თვე, ხოლო 34°C-ზე 60 დღემდე. გაყინვა იცავს ვირუსებს. ქიმიკატებიდან ყველაზე ეფექტურია გოგირდის, მარილმჟავას და კარბოლის მჟავების 2,5-5% ხსნარი, ქლორამინის 1-4% და კალიუმის პერმანგანატის 5% ხსნარი.</p>	<p>ძროხების ყვავილით ინფიცირების ძირითადი გზებია კონტაქტური, აეროგენული და ალიმენტური. ვირუსის გადაცემა შესაძლებელია სისხლის მწოველი მწერებით, რომელთა ორგანიზმში ის შეიძლება არსებობდეს 100 დღეზე მეტ ხანს. თავგები და ვირთხები ასევე შეიძლება იყვნენ პათოგენის მატარებლები.</p> <p>ძროხების ყვავილი ჩვეულებრივ ჩნდება სპორადულად, მაგრამ შეუძლია ეპიზოოტიის ხასიათი მიიღოს. სიხშირე ჩვეულებრივ დაბალია (5-7%-მდე), ლეტალური შედეგი არ შეინიშნება. არადაამახასიათებელია ეპიზოოტიური აფეთქებების სეზონურობა და პერიოდულობა.</p>	<p>დაავადების ინკუბაციური პერიოდი ჩვეულებრივ გრძელდება 3-9 დღე.</p> <p>ყვავილის ვირუსებს შეუძლიათ შეაღწიონ ცხოველების სხეულში პირის ღრუს და ცხვირის ლორწოვანი გარსის მეშვეობით. ინფექციური პროცესის განვითარება დამოკიდებულია პათოგენის შეღწევისა და ვირულენტობის გზებზე. ვირუსის ინოკულაციის ადგილზე, ეპითელიური უჯრედებთან მისი ურთიერთქმედების შედეგად, ვითარდება სპეციფიკური ანთება. ეპიდემიური უჯრედები შეშუპებულია, ზოგიერთ მათგანში ჩნდება სპეციფიკური ჩანართები - გუარნიერის სხეულები, რომლებიც განიხილება როგორც პათოგენის კოლონიები. პაპულებში ვირუსი არის სუფთა კულტურის სახით. გაფართოებული კაპილარების და ლიმფური ნაპრალეების მეშვეობით ვირუსი შედის სისხლში, ვითარდება ვირემია, რომელსაც თან ახლავს სხეულის ტემპერატურის მატება, დეპრესია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>პროდორმალურ პერიოდში ცხოველებს აღენიშნებათ ცხელება, ლეტარგია, ცუდი მადა. დაავადება ჩვეულებრივ მიმდინარეობს მწვავედ და ქვემწვავედ, ნაკლებად ხშირად – ქრონიკულად.</p> <p>ავადმყოფ ძროხებში, დგრილებზე, ზოგჯერ კი თავზე, კისერზე, ზურგზე და თეძოებზე, ჩნდება წითელი ლაქები, რომელიც (12-24 საათის შემდეგ) გადაიქცევა მკვრივ კვანძებად - პაპულებად და შემდეგ ვეზიკულებად.</p> <p>რძის გამოყოფა მცირდება, დაავადების დაწყებიდან 10-12 დღის შემდეგ, პუსტულების ადგილზე მოყავისფრო ქერქები (ნანიბურები) იქმნება.</p> <p>ხბობებში დაავადება გრძელდება 14-20 დღე და შესაძლოა თან ახლდეს გამოხატული ნიშნები წყლულების წარმოქმნით.</p>	<p>ყვავილის პროცესის განვითარების სტადიიდან გამომდინარე, გვხვდება ყავისფერი ქერქით დაფარული პაპულები, ვეზიკულები და პუსტულები, ზოგჯერ - ფურუუნკულები, აბსცესები და ფლეგმონები. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ეპითელიუმი დაზიანებულია, წარმოიქმნება ეროზიები და წყლულები 15 მმ-მდე დიამეტრით. რეგიონალური ლიმფური კვანძები გარკვეულწილად გადიდებულია, მათი კაფსულა დაძაბულია. ეპიდერმისის ეპითელიური უჯრედების ჰისტოლოგიური გამოკვლევა ავლენს ინტრაპლაზმურ ჩანართებს, როგორცაა გუარნიერის სხეულები.</p>	<p>დიაგნოზი დგება ეპიზო-ოტოლოგიური, ეპიდემიოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნებისა და ლაბორატორიული შედეგების საფუძველზე.</p> <p>პაპულების ან გამოჩენილი ვეზიკულების შიგთავსი იგზავნება ლაბორატორიაში ვირუსოლოგიური კვლევისთვის.</p> <p>ვირუსის ელემენტარული ნაწილაკების გამოვლენა ლაბორატორიულ მასალაში და გუარნიერის სხეულებში ექსპერიმენტულად ინფიცირებული კურდღლების რქოვანას დაზიანებულ უბნებში ადასტურებს ძროხის ყვავილის დიაგნოზს.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოსტიკის დროს თურქული და პარავაქცინაცია უნდა გამოირიცხოს.</p>	<p>ავადმყოფი ცხოველები იზოლირებულია მშრალ თბილ ოთახებში და უზრუნველყოფენ სრულ კვებას. ძროხის ყვავილის სპეციფიური მკურნალობა არ არის შემუშავებული. წყლულოვანი ზედაპირები მუშავდება ანტიბიოტიკებით და ანტისეპტიკური ხსნარებით (იოდის ნაყენი, 3% ქლორამინის ხსნარი).</p>	<p>ყვავილის პოსტინფექციური იმუნიტეტი ქსოვილოვან-ჰუმორული ხასიათისაა და გრძელდება სიცოცხლის განმავლობაში. სპეციფიკური პროფილაქტიკისთვის გამოიყენება ცოცხალი ვაქცინა.</p> <p>მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ყვავილზე დიაგნოზის დასამისას ფერმა არაკეთილსაიმედოდ ცხადდება.</p> <p>ძროხის ყვავილის შეზღუდვები მოიხსნება ავადმყოფი ცხოველების სრული გამოჯანმრთელებისა და საბოლოო ვეტერინარული და სანიტარიული ღონისძიებებიდან 21 დღის შემდეგ.</p>	<p>ყვავილით დაავადებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იძულებით დაკვლის დროს ხელმძღვანელობენ სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისეპალი ცხონველი	ალმკრალი და მისი წყარო	ალმკრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ყონის ინფექციური ეპიდიდმიტი</b></p> <p>ლათ. Epididymitis infectiosa arietum</p> <p>ინგ. Infectious ram epididymitis / Ram epididymitis</p> <p>რუს. Инфекционный эпидидимит баранов</p> <p>ცხვრის ბრუცელოზის განსაკუთრებული ფორმა – მწვავე და ქრონიკული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ვლინდება სათესლე ჯირკვლებში პროლიფერაციული ანთებითი პროცესებით. რეპროდუქციული ფუნქციის დაქვეითებით ვერძებში, ხოლო ცხვრებში – აბორტებით, არასიცოცხლისუნარიანი ბატკნების დაბადებით და უნაყოფობით.</p> <p>დაავადება დადგინდა ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში 1942 წელს. დაავადება რეგისტრირებულია მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში.</p>	<p>დაავადებისადმი მგრძნობიარეა ყოჩი, ცხვარი და ბატკანი.</p> <p>ლაბორატორიული ცხოველებიდან ავადდებიან ზღვის გოჭები და ბოცვრები.</p> <p>სხვა სახეობის ცხოველების და ადამიანის დასენიანება სათანადოდ შესწავლილი არ არის.</p>	<p>ეპიდიდმიტის გამომწვევი აგენტი <i>Brucella ovis</i> არის გრამუარყოფითი ბაქტერია, უმოძრაო, არ წარმოქმნის სპორებს, ზოგიერთი შტამი ქმნის კაფსულას.</p> <p>პათოგენის გამძლეობა დაბალია, 60°C-ზე ის კვდება 30 წუთის შემდეგ, 70°C-ზე - 5-10 წუთში, 100°C-ზე - მყისიერად. ნიადაგის ზედაპირულ ფენებში ბრუცელა ცოცხლობს 40 დღემდე, 5-8 სმ სიღრმეზე - 60-მდე, წყალში - 150 დღემდე. რძეში ბაქტერიები ნარჩუნდება 4-7 დღემდე, გაყინულ ხორცში - 320, ცხვრის მატყლში - 14-19 დღე. ულტრაიისფერი სხივები კლავს 5-10 დღეში, მზის პირდაპირი სხივები - რამდენიმე წუთიდან 3-4 საათამდე.</p> <p>სადეზინფექციო საშუალებებიდან გამოიყენება ფორმალდეჰიდის, მათეთრებელისა და კრეოლინის 1-2%-იანი ხსნარი, 5% კალციუმის ჰიდროქსიდი, ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი და ა.შ.</p>	<p>პათოგენის გადაცემა ძირითადად სქესობრივი კონტაქტით ხდება. პათოგენის გადაცემის ძირითადი ფაქტორებია ავადმყოფი ყოჩის სპერმა და შარდი. ასეთი სპერმატოზოიდით განაყოფიერებულ ზოგიერთ ცხვარს აქვს აბორტი და ასეთ შემთხვევაში პათოგენი გარე გარემოში გამოიყოფა აბორტებული ნაყოფებით, მკვდრადშობილი ბატკნებით, ნაყოფის გარსებით. ცხვარს ასევე შეუძლია გამოყოს პათოგენი პლაცენტასთან და სანაყოფე სითხესთან ერთად.</p> <p>ჯანმრთელი ყოჩები ავადდებიან დაავადებულ ცხვრებთან შეჯვარებით. ავადმყოფი და ჯანმრთელი ცხოველების ხანგრძლივი ერთობლივი შენახვის შედეგადაც არის შესაძლებელი ფარაში დაავადებული ყოჩების გაჩენა მასიური დაგრილების დროს შეიძლება დაავადდეს 78% ცხვარი.</p>	<p>ცხვარში დაავადება მიმდინარეობს მწვავედ და ქრონიკულად.</p> <p>5-6 თვემდე ბატკნები ჩვეულებრივ არ ავადდებიან. ინფექციის ცალკეული შემთხვევები ფიქსირდება 10-15 თვის ყოჩებში, მაგრამ დაავადების სიმპტომები ახალგაზრდა ცხოველებში, როგორც წესი, არ არსებობს. ყველაზე ხშირად, ცხვარი ავადდება 2-7 წლის ასაკში, ანუ სქესობრივი აქტივობის ასაკში.</p> <p>გამომწვევის, სხეულში მოხვედრისას მრავლდება შელნევის ადგილებში და გადადის უახლოს რეგიონულ ლიმფურ კვანძებში და სისხლით აღწევს პარენქიმულ ორგანოებში (განზოგადების ფაზა). მცირე ხნის შემდეგ პათოგენი ქრება სისხლის მიმოქცევიდან და ლოკალიზებულია, როგორც წესი, სათესლე ჯირკვლების და მათი დანამატების ეპითელიუმში ან მაკე ცხვრის საშვილოსნოში და მრავლდებიან ადგილობრივად. შედეგად, ყოჩებს უვითარდებათ მწვავე, შემდეგ კი ქრონიკული ანთებითი პროცესი (ეპიდიდმიტი და ორქიტი), მაკე ცხვარს კი ნაყოფის არასრულფასოვანი კვების გამო აბორტები.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიშნაობა და ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეკროლის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>მწვავე მიმდინარეობის დროს აღინიშნება ზოგადი მდგომარეობის გაუარესება, უმადობა, სხეულის ტემპერატურის მომატება 41-42°C-მდე, სათესლე ჯირკვლების და მათი დანამატების ექსუდაციური ანთება. სათესლე ჯირკვლები შეიძლება გაიზარდოს 3-5-ჯერ. ხშირად აღინიშნება ერთი სათესლე ჯირკვლის ანთება გამოხატული ასიმეტრიით. დანამატსა და სათესლე ჯირკვალს შორის საზღვარი სუსტად შესამჩნევია. ცხვრებს არ სურთ გადაადგილება, ჩამორჩებიან ნახირს, დგანან ერთ ადგილას უკანა კიდურებით.</p> <p>ყორებში დარღვეულია სპერმის გამომუშავება, შემცირებულია ეაკულაციის მოცულობა და ხარისხი, სპერმა ხდება ყვითელ-ნაცრისფერი ან ყვითელ-მწვანე.</p> <p>2-3 კვირის შემდეგ ეს ნიშნები თანდათან ქრება, სხეულის ტემპერატურა იკლებს ნორმამდე, მცირდება სასქესო ჯირკვლის შეშუპება, მაგრამ ის რჩება ტომრისებრი და დაავადება ქრონიკული ხდება.</p> <p>მდედრებში ვიტარდება აბორტები ან შობენ სუსტ, არაჯანსაღ ბატკნებს. ხშირად მშობიარობა დაგვიანებულია და ვითარდება ენდომეტრიტი.</p>	<p>ყორებში ცვლილებები ლოკალიზებულია ძირითადად სათესლე ჯირკვლის დანამატებში. საერთო ვაგინალური გარსი ერწყმის სათესლე ჯირკვალს და დანამატს. დაზიანებულ დანამატში ვლინდება სხვადასხვა ზომის ბოჭკოვანი წარმონაქმნები და ნეკროზული სეკვესტრები, საესე სეროზული, ჩირქოვანი, ყველის ან კრემისებური უსუნო სითხით.</p> <p>დამახასიათებელი ჰისტოლოგიური ცვლილებებია ეპიდისის მიმდებარე ეპითელიუმის ჰიპერპლაზია და მეტაპლაზია, ხშირია კისტოზური დაზიანებები, ამ უკანასკნელის შიგნით აღინიშნება ნეიტროფილია.</p> <p>ამნიოტური მემბრანისა და ქორიოლანტიონის ზედაპირი შეიცავს მოყვითალო, ნებოვან, ჩირქოვან მასას. უფრო მძიმე შემთხვევებში ქორიოლანტიონის გარსი შერწყმულია ამნიონთან.</p>	<p>დიაგნოზი ადგენენ ტიპური კლინიკური ნიშნების, ცხოველების ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური და ალერგიული კვლევების შედეგების საფუძველზე, ეპიზოოტოლოგიური მონაცემებისა და პათოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით.</p> <p>ბიომასალის და სისხლის სინჯების აღება და ლაბორატორიული გამოკვლევა ტარდება ინსტრუქციის შესაბამისად.</p> <p>ცხვრის დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს გადამდები და არაგადამდები დაავადებები, რომლებიც იწვევენ სათესლე ჯირკვლების და მათი დანამატების მსგავს დაზიანებას (ბრუცელოზი, ფსევდოტუბერკულოზი, დიპლოკოკური ინფექცია) და მონამვლა. ცხვარში უნაყოფობა და აბორტი შეიძლება იყოს კამპილობაქტერიოზის, სალმონელოზის, ლისტერიოზის, ქლამიდიის დროს.</p>	<p>დაავადებულ ყორებსა და ცხველებს არ მკურნალობენ</p>	<p>ინფექციური ეპიდემიით ყორების დაავადების დადგენისას ფერმა არაკეთილსაიმედოდ ცხადდება. დაავადებულ ცხოველებს კლავენ.</p> <p>დარჩენილ ცხოველებს ყოველთვიურად იკვლევენ კლინიკურად (სათესლე ჯირკვლების და მათი დანამატების სავალდებულო პალპაციით) და სეროლოგიურად.</p> <p>ფარაში ყორების გასაკონტროლებლად, წელიწადში ერთხელ დაგრილების კამპანიის დაწყებამდე, ტარდება კლინიკური, ალერგიული და სეროლოგიური კვლევები. გადამონმებას ექვემდებარება გასაყიდად შერჩეული ვერძები.</p> <p>იმუნიზაციისთვის იყენებენ ეპიდემიოტიის სანიშნაობა და დეგენილების შესაბამისად..</p>	<p>დაავადების კლინიკური ნიშნების (ეპიდემიოტი) მქონე ყორებს აბარებენ დასაკლავად.</p> <p>ტანხორცის შეფასება ხდება სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად..</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოვები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცოფი</b></p> <p>ლათ. Rabies</p> <p>ინგ. Rabies</p> <p>რუს. Бешенство</p> <p>მწვავედ მიმდინარე ვირუსული დაავადებაა, მეტად საშიში ყველა თბილ-სისხლიანი ცხოველების და ადამიანებისათვის.</p> <p>ცოფის აღმკვრელი გადაეცემა კბენით და ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით (პოლიენცეფალი-ომიელიტით).</p> <p>დაავადება, როგორც წესი, მთავრდება ცხოველის და ადამიანის გარდაუვალი სიკვდილით.</p>	<p>ცოფით ავადდება ყველა თბილსისხლიანი.</p> <p>ცოფის შედარებით მეტად ამთვისებელია: მელია, ტურა, მგელი.</p> <p>მაღალი მგრძობელობით გამოირჩევა აგრეთვე კატა და რქოსანი პირუტყვი, საშუალო ძაღლი, ცხვარი, თხა, ცხენები და პრი-მატები.</p> <p>დაბალი მგრძობელობით გამოირჩევა – ფრინველი.</p>	<p>ცოფის აღმკვრელია <i>Lissavirus</i>-ის გვარის წარმომადგენელი <i>Rabdoviridae</i>-ს ოჯახიდან.</p> <p>აღმკვრელის ძირითადი წყაროა ცოფით დაავადებული ცხოველი.</p>	<p>დასენიანების ძირითადი გზაა დაკბენა ნერწყვით და დანერწყვა კბენის გარეშე. დადგენილია აგრეთვე სხვა გზებიც, როგორცია: აეროგენული, ალიმენტალური, ტრანსპლანტაციური და ტრანსპლაცენტალური.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი რამოდენიმე დღიდან რამოდენიმე თვემდეა. საშუალოდ 3-6 კვირა. ეს დამოკიდებულია პირველ რიგში კბენის ადგილზე, ნაკბენის სიღრმეზე, ვირუსის ვირულენტობაზე, დოზაზე, ცხოველის ამთვისებლობაზე.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს ხასიათის მიხედვით იყოფა ორ ფორმად:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შმაგი (დაუდგრომელი) და</li> <li>2. წყნარი (პარალიტიკური).</li> </ol> <p>წამყვანია დაავადების შმაგი ფორმა აგრესიით ადამიანების და ძაღლების მიმართ.</p> <p>სიკვდილი როგორც წესი, დგება 2-5 დღეში. ლეტალობა ცოფის დროს 100%-ია.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ძალღებში შმაგი ფორმა მიმდინარეობს ქცევის ცვალებადობით – მოუსვენრობით, პატრონის ვერცნობით, აგრესიულობით, დამბლებით და სიკვდილით. დაავადება გრძელდება 8-11 დღე, ხშირად 3-4 დღე. ზოგჯერ ვითარდება დაავადების ატიპიური ფორმა. მას არ ახასიათებს აგრესიულობა და მიმდინარეობს გასტროენტერიტით და პროგრესირებადი სიგამხდრით.</p> <p>კატებში დაავადება მიმდინარეობს როგორც ძალღებში. შედარებით ჭარბობს აგრესიული ფორმა ადამიანებისა და ძალღების მიმართ. კვდება 2-5 დღეში.</p> <p>რქოსან პირუტყვში ჭარბობს წყნარი ფორმა დამბლებით და სიკვდილით. შმაგი ფორმის დროს ცხოველი ეხეთქება კედელს, ბლავის და ფეხით თხრის მიწას.</p> <p>ლორში, ცხვარში და თხაში ცოფი მიმდინარეობს შმაგი ფორმით – ალგზნებით და აგრესიულობით.</p> <p>ცხენებში ცოფი მიმდინარეობს იგივე ფორმით.</p> <p>დაავადება მძიმედ მიმდინარეობს მგლებში, ისინი ხდებიან ძლიერ აგრესიულები. ტურები და მელიები კარგავენ შიშის გრძნობას და ჩნდებიან დასახლებულ პუნქტებში. თავს ესხმიან ადამიანებს და ცხოველებს.</p>	<p>გაკვეთისას კუჭში ნახულობენ ჩაყლაპულ უცხო სხეულებს, თავის ტვინში კი ბაბეშენეგრის სხეულაკებს.</p>	<p>ცოფზე დიაგნოზის დასმის დროს ითვალისწინებენ ეპიზოოტიურ სიტუაციას კლინიკურ ნიშნებს და ლაბორატორიული კვლევის შედეგებს.</p> <p>ლაბორატორიაში აგზავნიან მთლიან ლეშს ან თავს. თავის ტვინში ნახულობენ ბაბეშ-ნერგის სხეულაკებს, აყენებენ ბიოცდას პატარა თაგვებზე.</p> <p>ცოფის დიფერენცირება ხდება აუესკის დაავადებასთან, ენცეფალომიელიტთან და მონამვლებთან.</p>	<p>ცოფის მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის. გავრცელების რისკის ასაცილებლად დაავადებულ ცხოველებს სპობენ.</p>	<p>არცერთი დაკბენა და დადორბლევა არ უნდა დარჩეს ვეტერინარი ექიმისა და მედიკოსების ყურადღების გარეშე.</p> <p>დაავადების გაჩენისას ტერიტორია ცხადდება არაკეთილსაიმედოდ და ატარებენ ამთვისებელი ცხოველების იძულებით ვაქცინაციას.</p>	

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხენის აფრიკული ჭირი / კანტაჩლიქიანთა აფრიკული ჭირი</b></p> <p>ლათ. <i>Pestis africana equorum</i></p> <p>ინგ. African horse sickness</p> <p>რუს. Африканская чума лошадей</p> <p>ცხენების აფრიკული ჭირი – გადამდები დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, კანქვეშა ქსოვილის შეშუპებით და შინაგანი ორგანოების სისხლჩაქცევებით, სასუნთქი სისტემის ორგანოების დაზინებით და მაღალი ლეტალობით (95%-მდე).</p> <p>რეგისტრირებულია აფრიკაში, აღმოსავლეთში, ესპანეთში, იდოეთში.</p>	<p>ძირითადად ავადდებიან ცხენები, ჯორები და ნაკლებად ვირები. იშვიათად ზებრები.</p>	<p>დაავადების გამომწვევია რნმ-ის შემცველი ვირუსი, რომელიც მიეკუთვნება <i>Orbivirus</i>-ის გვარს, <i>Reoviridae</i>-ს ოჯახს.</p> <p>ცნობილია ვირუსის 10 სეროტიპი, რომლებსაც აქვთ საერთო კომპლემენტის ფიქსაციის ანტიგენი.</p> <p>ავადმყოფ ცხენებში ვირუსი გვხვდება ყველა ორგანოსა და ქსოვილში.</p> <p>ვირუსი გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ. სისხლში ძლებს რამოდენიმე კვირა, ნიადაგში – 11 დღე.</p>	<p>დაავადება მიეკუთვნება სისხლისმწოვი მწერების მიერ გადამდები (ტრასმისიური) ინფექციების ჯგუფს, დაავადება სეზონური ხასიათისაა, ვლინდება თბილ, ნოტიო სეზონზე.</p> <p>ვირუსი ორგანიზმში მწერის ნაკბენით კანის მეშვეობით ხვდება. ის მრავლდება მის მიმართ მგრძობიარე უჯრედებში საიდანაც სისხლით გადადის სისხლძარღვებით მდიდარ ორგანოებსა და ქსოვილებში (ელენთა, ფილტვები და ა.შ.), შემდეგ კი ერთროციტებით ვრცელდება მთელ სხეულში. სისხლძარღვთა გამტარიანობის დარღვევასთან ახლავს შეშუპებისა და სისხლდენის განვითარება. ცხოველების სიკვდილი ხდება ფილტვის შეშუპებისა და გულის უკმარისობისგან.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 5-7 დღე. დაავადების მიმდინარეობა არის ზემწვავე, მწვავე და ქვემწვავე. არსებობს დაავადების ფიბრინული, ფილტვის და გულის, ანუ შეშუპებითი, ასევე აღწერილია შერეული ფორმებიც.</p> <p>ვირუსის მიმართ მოზარდი უფრო მგრძობიარეა, მაგრამ ახალგაზრდა ცხოველები იმუნური დედებისგან მდგრადები არიან პირველ 5-6 თვეში. ინფექციური აგენტის წყარო ავადმყოფი ცხოველებია. ავადმყოფი ცხოველებიდან ჯანმრთელებზე ვირუსის გადაცემის მთავარი როლი ეკუთვნის მწერებს.</p> <p>კლიმატური პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს დაავადების შემდგომი გავრცელება ჩრდილოეთით და ევროპის გადაქცევა რისკის ზონად.</p> <p>სიკვდილიანობა დამოკიდებულია ცხენების ჯიშზე და პათოგენის ვირულენტობაზე. იმ ადგილებში, სადაც დაავადება პირველად ჩნდება, სიხშირემ შეიძლება მიაღწიოს 95%-ს, ხოლო სიკვდილიანობამ 90-95%-ს.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროლუქტაზისა და ნეღლაულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ფიბრინული ფორმა მიმდინარეობს სუპერმწვავედ და ახასიათებს სხეულის ტემპერატურის მატება 41°C-მდე, კონიუნქტივიტი, სუნთქვისა და პულსის სიხშირის მომატება. ცხოველები კვდებიან კლინიკური ნიშნების გამოვლენიდან მე-5...7 დღეს.</p> <p>დაავადების ფილტვის ფორმა მწვავედ მიმდინარეობს. ინკუბაციური პერიოდის შემდეგ მკვეთრად იმატებს სხეულის ტემპერატურა, ძნელდება სუნთქვა, ჩნდება ქოშინი, მშრალი მტკივნეული ხველა და ცხვირიდან მოყვითალო გამონადენი. დაავადების ხანგრძლივობაა 10-15 დღეა.</p> <p>გულის, ანუ შეშუპებითი ფორმა მიმდინარეობს ქვემწვავედ და ხასიათდება თავისა და კისრის ძლიერი შეშუპებით. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 30 დღემდე. თითქმის ყველა ავადმყოფი ცხოველი კვდება.</p> <p>დაავადების შერეული ფორმით, ზემოთ აღწერილი ფორმებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები ერთდროულად ჩნდება, რაც მთავრდება ჰიპოქსიით და ცხოველის სიკვდილით.</p>	<p>პათოლოგიური ცვლილებები შეესაბამება დაავადების ფორმას. ფილტვის ფორმის დროს აღინიშნება ფილტვების შეშუპება და სითხის დაგროვება პლევრის ღრუში, აგრეთვე შემაერთებული ქსოვილის ინფილტრაცია გულის ძირში. ფილტვების მოჭრისას ქსოვილიდან გამოიყოფა მოყვითალო ქაფიანი სითხე. ბრონქული და შუასაყარის ლიმფური კვანძები გადიდებულია და შეშუპებული. გულის ფორმით, შეინიშნება შემაერთებული, კანქვეშა, კუნთოვანი ქსოვილების და ლიმფური კვანძების შეშუპება. შეშუპება ლოკალიზებულია თავზე, კისერზე და ზოგჯერ აღწევს გულმკერდისა და მხრის სახსრებში. ხშირად მკვდარ ცხენებში აღინიშნება ქუთუთოების, ტუჩების და ყბათაშორის სივრცის შეშუპება. კანქვეშა ქსოვილები, ლიმფური კვანძები ჰიპერემიულია. ასევე ნახულობენ დისტროფიულ ცვლილებებს მიოკარდიუმში და სისხლჩაქცევებს შინაგან ორგანოებში.</p>	<p>დიაგნოზს სვამენ დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებით, სიკვდილის შემდგომი დაზიანებებით ორგანიზმში და შესაბამისი ვექტორების არსებობით გარემოში. დიაგნოზის ლაბორატორიული დადასტურება ხდება ვირუსის იზოლაციით და ბიოციდით. სეროლოგიური ტესტები გამოსადეგია მხოლოდ გამოჯანმრთლებული ცხოველების გამოსავლენად, რადგან ავადმყოფი ცხოველები იღუპებიან მანამ, სანამ შეძლებენ ეფექტური იმუნური პასუხის გაძლიერებას.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს: ჯიღები, პიროპლაზმოზი და ტრიპანოსომოზი.</p>	<p>მკურნალობა არ არის შემუშავებული.</p>	<p>დაავადებაგადატანილი ცხოველები იძენენ იმუნიტეტს რამდენიმე წლის განმავლობაში. ახალშობილ კვიცებში ანტისხეულები ჩნდებიან დედის რძით პირველი კვების შემდეგ. კოლოსტრალური ანტისხეულების ტიტრი თანდათან მცირდება და ქრება 5-6 თვის განმავლობაში.</p> <p>სპეციფიური პროფილაქტიკა ტარდება ინაქტივირებული და ცოცხალი ვაქცინებით.</p> <p>ავადმყოფ და საეჭვო ცხენებს კლავენ, ატარებენ მწერების სანიანალფეგო ღონისძიებებს.</p> <p>კარანტინი მეურნეობაში გრძელდება 1 წელი.</p>	<p>დაავადებული იძულებით დაკლული ცხენების ტანხორცი და დაკვლის ანარჩენები ისპობა დანვით.</p> <p>დაავადება მოხდილი ცხოველების ტანხორცი და შინაგანი ორგანოები მოიხმარება მოხარშვის შემდეგ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხენის გრიპი</b></p> <p>ლათ. Grippus Equine</p> <p>ინგ. Equine influenza / Horse flu</p> <p>რუს. Грипп лошадей / Инфлюэнция лошадей</p> <p>მწვავედ მიმდინარე მაღალკონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა. ხასიათდება ხანგრძლივი არამყარი ცხელებით, ზედა სასუნთქი გზების კატარალური ცხელებით, მშრალი და მტკივნეული ხველებით.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში.</p>	<p>გრიპით ავადდება ყველა ჯიშის და ასაკის ცხენი, ვირი და ჯორი.</p> <p>განსაკუთრებით მძიმედ ავადდებიან კვიციები 2 წლამდე.</p>	<p>აღმკვრელია ვირუსი <i>Orthomyxoviridae</i>-ს ოჯახიდან, გვარი <i>Influenza A</i>.</p> <p>ვირუსი ნაკლებად გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ, ჰაერში ძლებს რამოდენიმე საათი, მოვლის საგნებზე 2 კვირა, დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული ცხოველები, რომლებიც 2 კვირის განმავლობაში ვირუსს გამოყოფენ გარემო არეში.</p> <p>ვირუსს გააჩნია რამოდენიმე სეროვარიანტი, ცნობილია სეროვარიანტები ცხენი-1 და ცხენი-2.</p> <p>ცხენების ჯგუფში, ერთდროულად შეიძლება ცირკულირებდეს ვირუსის ორივე სეროვარიანტი.</p>	<p>აღმკვრელის გადაცემის ძირითადი წყაროა აეროგენური, შეიძლება ვირუსის გადაცემა ალიმენტალურად და უშუალო კონტაქტითაც.</p> <p>ცხენები გრიპით ხშირად ავადდებიან გაზაფხულზე ზაფხულში, შემოდგომაზე.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი 1-6 დღეა.</p> <p>არჩევნ დაავადების ტიპურ, ატიპოურ და ავთვისებიან მიმდინარეობას.</p> <p>ეპიზოოტიური აფეთქებისას გრიპმა შეიძლება მოიცვას ცხოველთა 60%. ლეტალობამ კი – 20%-მდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფაზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღველის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>კლინიკური ნიშნები მრავალფეროვანია, წამყვანია ლორწოვანი გარსების კატარალური ანთება, მშრალი ხველა, საყუპლავისა და ტრაქეის ამალღებული მგრძობელობა. ტრაქეის ზედა რგოლებზე ხელის დაჭერა ინვევს ხველას.</p> <p>თვალის და ნესტოების ლორწოვანი გარსები განითლებულია, შეიმჩნევა ლორწოვანი გამონადენი, რომელიც გრძელდება 1-5 დღე, პულსი გახშირებულია. დაავადების ტიპური მიმდინარეობის დროს ცხოველი დათრგუნულია ზედაპირული ხველის ფონზე, ანთებითი პროცესები გამოხატულია თვალსა და ცხვირის ღრუს ლორწოვანზე. ლიმფური კვანძები გადიდებულია. მატულობს ტემპერატურა (39,5-40°C), რომელიც გრძელდება 1-4 დღე.</p> <p>ავთვისებიანი ფორმისთვის დამახასიათებელია კონიუქტივიტი, გამონადენი ცხვირიდან, ხველა, ხანმოკლე ფაღარათი, შეშუპებები. დაავადების ხანგრძლივობა 8-10 დღეა. გართულებისას ვითარდება ბრონქოპნევმონია.</p>	<p>გაკვეთისას სპეციფიკურ ცვლილებებს ვერ ნახულობენ. ძირითადად აღინიშნება თვალისა და ზედა სასუნთქი გზების კატარალური ანთება ექსუდატით. ხშირია სისხლჩაქცევები და შეშუპებები კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილებში. ფილტვები ნაცრისფერ-ნითელია ალაგ-ალაგ სიმკვრივეებით. ხშირად ნახულობენ აგრეთვე კუჭნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსების ანთებას – გულის კუნთი დუნეა და ნითელი, ღვიძლი და თირკმლები გადაგვარებულია. ლიმფური კვანძები გადიდებულია, ზოგჯერ ვითარდება ფიბრინოზული პლევრიტი.</p>	<p>ლაბორატორიული კვლევებისთვის იყენებენ სიცოცხლეში ცხვირიდან აღებული ლორწოს, სიკვდილის შემდეგ კი ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის, სასულის, ტრაქეის, ფილტვების ნაჭრებს.</p> <p>სეროლოგიურ რეაქციებს დგამენ სისხლის შრატით აღებული დაავადების პირველ დღეებში და 2-3 დღის შუალედით.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის მიზნით დაავადებას ასხვავებენ რინოპნევმონიასთან და ვირუსულ ენტერიტთან.</p>	<p>ცხენის გრიპის სამკურნალო საშუალება შემუშავებული არ არის. დაავადებულ ცხოველებს ათავსებენ იზოლირებულად მშვიდ გარემოში. გართულების თავიდან ასაცილებლად იყენებენ სიმპტომატიურ მკურნალობას და საგულე საშუალებებს, ვიტამინებს, ანტიბიოტიკებს და სხვა ანტიბაქტერიულ საშუალებებს.</p>	<p>აქტიური იმუნიზაციის მიზნით იყენებენ ინაქტივირებულ პოლივალენტურ ვაქცინას. ცხოველებს ცრიან ორჯერადად. რევაქცინაცია წელიწადში ერთხელ.</p>	<p>ხორცის სხვა პროდუქტების უმად გაშვება აკრძალულია. ხორცი და შინაგანი ორგანოები მცირედი დაზიანებით მოიხარშება მხოლოდ თერმული დამუშავების (მობარშვის) შემდეგ დაკვლის ანარჩენებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხენის ინფექციური ანემია</b></p> <p>ლათ. Anemia infectiosa equorum</p> <p>ინგ. Equine infectious anemia</p> <p>რუს. Инфекционная анемия лошадей</p> <p>ხასიათდება სისხლმზადი ორგანოების დაზიანებით, ცხელებით, სეპტიცემიური მოვლენებით, ჰემორაგიული დიათეზით, ანემიით (ჰემოგლობის შემცველობის შემცირებით), ერითროციტების რიცხვის დაქვეითებით და მათი დალექვის დაჩქარებით, ორგანიზმის სისუსტით (ძალის დაკარგვით).</p> <p>გავრცელებულია ევროპის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში.</p>	<p>ბუნებრივად ავადდებიან ცხენები, ვირები, ჯორები.</p>	<p>აღმკვრელია ვირუსი <i>Lentivirinae</i>-ს გვარის <i>Retroviridae</i>-ს ოჯახიდან. ვირუსი ფართოდაა გავრცელებული გარემოში და დიდხანს უძლებს გამოშრობას და დაბალ ტემპერატურას. 0-2°C-ზე. არ კარგავს აქტიურობას 3 წელი, შარდში და ფეკალში ცოცხალია 2,5 თვემდე, საკვებში 9 თვეს.</p> <p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ვირუსმატარებელი ცხოველები. დაავადებული ცხოველის ორგანიზმიდან ვირუსი გამოიყოფა შარდით, ფეკალით ლორწოვანი გამონადენით ცხვირიდან და რძით.</p>	<p>ვირუსის გადაცემის ძირითადი წყაროა სისხლისმნოვი მწერები აქედან გამომდინარე, დაავადების გამოვლინება ხდება მწერების აქტიურობის პერიოდში – ზაფხულში. დაავადებულთა რიცხვი დიდია მდინარეების გასწვრივ. ჭალებში, საძოვრებზე, ტყიან, დაჭაობებულ ადგილებში.</p> <p>ვირუსი შეიძლება გავრცელდეს სქესობრივი გზითაც. ვირუსმატარებლობა დაავადების ლატენტურად მიმდინარეობისას შეიძლება გაგრძელდეს 10 წელს და მეტ ხანს.</p> <p>ვირუსის გავრცელება ხდება საკვებით, წყლით, ფეკალით დასვრილი საგნებით.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 5-დან 93 დღემდე.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს ზემწვავედ, მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად.</p> <p>დაავადებას ახასიათებს ციკლური მიმდინარეობა, მონაცვლეობით გააქტიურება (რეციდივი) და ჩაქრობა (რემისია), რაც განაპირობებს კლინიკური გამოვლინების მრავალფეროვნებას.</p> <p>ლეტალობა დაავადების პირველი გამოვლინების დროს 20-80%-ია.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიშნავი ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნეაღმართების გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების ზემოთაღებულ ნარეობის დროს დამახასიათებელია მუდმივი ცხელება, დათრგუნული მდგომარეობა, გულის სისუსტე, ჰემორაგიული ენთერაიტი, უკანა კიდურების დამბლა, დაავადება 1-2 დღეში მთავრდება სიკვდილით. მწვავე მიმდინარეობისას (3-15 დღე) ორგანიზმის ტემპერატურა იწევს 40°C-მდე. ლორწოვანი გარსები ჰიმერემიულია მრავლობითი ნერტილოვანი სისხლჩაქცევები ქუთუთოზე და ენაზე, ზოგჯერ ადგილი აქვს სისხლდენას ცხვირიდან, კოლიკები ფალარათი, ვითარდება შეშუპებები მუცლის და გულმკერდის არეში. დაავადებული ცხოველი თანდათან იფიტება, ვითარდება ანემია, მცირდება ერითროციტების რაოდენობა, კლებულობს ჰემოგლობინი.</p>	<p>შესამჩნევია სეფსისისთვის დამახასიათებელი ცვლილებები. ლორწოვანი გარსები მოყვითალო ფერისაა. ლიმფური კვანძები გადიდებულია. 2-3-ჯერ გადიდებულია ელენთაც და დუნეა. მწვავე მიმდინარეობის დროს გადიდებულია ღვიძლიც. მიოკარდი გადაგვარებულია. კონიუქტივა, ცხვირის ლორწოვანი გარსები უფერულია.</p> <p>ქრონიკული მიმდინარეობის დროს შესამჩნევია გამოფიტვა, ნერტილოვანი სისხლჩაქცევები სეროზულ გარსებზე.</p> <p>ლატენტური ფორმის დროს დამახასიათებელი ცვლილებები არ აღინიშნება.</p>	<p>დიაგნოზის დასმის დროს ითვალისწინებენ ეპიზოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს და პათოლოგიურ ცვლილებებს.</p> <p>ანარმოებენ სისხლის სურათის შესწავლას. ლაბორატორიაში აგზავნიან სისხლს და სისხლის შრატს, ლვიძლის, ელენთის, გულის, ფილტვის ნაჭრებს, ლიმფურ კვანძებს.</p> <p>სეროლოგიური გამოკვლევით საზღვრავენ ანტიხეულებს ვირუსის მიმართ, ანემიის დიფერენცირება უნდა მოხდეს პიროპლაზმიდებისგან, ლეპტისპიროზისგან, გრიპისა და რონოპნევმონისგან.</p>	<p>ანემიის მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის.</p> <p>დაავადებულ ცხოველებს სპობენ (აძინებენ).</p>	<p>ძირითადი პროფილაქტიკური ღონისძიება ინფექციური ანემიის დროს არის ვეტერინარიული კონტროლი ცხენების გადაადგილების და გაყიდვის დროს.</p> <p>მეურნეობაში დაავადების გაჩენისას დაავადებული ცხოველები გაყავთ და სპობენ. მეურნეობაში კი ანესებენ შეზღუდვებს. ცხოველების დარჩენილ სულადობას იკვლევენ თვეში ერთხელ. შეზღუდვებს ხსნიან ბოლო ორი უარყოფითი სეროლოგიური გამოკვლევის შედეგის მიღების შემდეგ.</p>	<p>მეურნეობაში დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტში მყოფ კლინიკურად ჯანმრთელი ცხენების დაკვლა სახორცედ ნებადართულია.</p> <p>ხორცი გამოიყენება მოხარშვის შემდეგ. თავი და შინაგანი ორგანოები ისპობა, ტყავს უკეთებენ დეზინფექციას.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხივები	აღმკრალი და მისი წყარო	აღმკრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხენის ინფექციური ენცეფალიტი (ენცეფალომიელიტი)</b></p> <p>ლათ. Encephalitis virali equorum</p> <p>ინგ. Equine viral encephalomyelitis / Eastern equine encephalitis (EEE) / Western equine encephalitis (WEE)</p> <p>რუს. Инфекционные энцефалиты лошадей</p> <p>განეკუთვნება კენტრლიქიანების მწვავე ბუნებრივი კეროვანი დაავადებების ჯგუფს, ნაკლებად გვხვდება სხვა სახეობის ცხოველებში და ადამიანებში. ხასიათდება ცხელებით, თავის ტვინისა და ზურგის ტვინის ფუნქციის დარღვევით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანებით, სიყვითლით და მალალი სიკვდილიანობით.</p>	<p>ცხენის ვირუსული ენცეფალიტი ბუნებრივი კეროვანი დაავადებაა, ბუნებაში რეზერვუარს წარმოადგენენ შინაური და გარეული ძუძუმწოვრები, ფრინველები და ცივისსხლიანი ცხოველები.</p>	<p>ცხენის ენცეფალიტის გამომწვევი აგენტების უმეტესობა მიეკუთვნება <i>Togaviridae</i> ოჯახის რნმ-ის შემცველი ვირუსების ორ ანტიგენურ ჯგუფს, შესაბამისად, ორი გვარის: ალფა ვირუსები და ფლავივირუსები.</p> <p>ვირუსების მატარებლები არიან სისხლის მწოველი კოლოები, ქინქლები, ტკიპები. დაავადებული ცხენები ვირუსებს გამოყოფენ ცხვირის სეკრეციით, შარდით და რძით. ცხენების ვირუსული ენცეფალიტის დროს აშკარად იკვეთება სეზონურობა და გარკვეულ კლიმატო-რელიეფურ ფაქტორებზე დამოკიდებულება, რაც პირდაპირ კავშირშია მატარებლების ბიოლოგიასთან.</p> <p>ინფექციის გამომწვევი წყარო დაავადებული ცხენები და ველური ფაუნის წარმომადგენლები არიან. ვირუსი შეიძლება გავრცელდეს მღრღნელებით, ტკიპებით, კოლოებით, აგრეთვე გარეული წყლისა და ტყის ფრინველებით.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ცხენები ყველაზე ხშირად ინფიცირდებიან ინფიცირებული საკვებით და წყლით, ინტრანაზალურად (აეროგენული) და ინტრადერმალურად (ტკიპები, კოლოები, ქინქლები).</p> <p>ვირუსი ცხოველის სხეულში, ნერვული ღეროების მეშვეობით, სისხლითა და ლიმფით აღწევს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, იწვევს ენცეფალიტს. საჭმლის მომწელებელი სისტემის ან კანის ინფექციის შემთხვევაში, ვირუსი შესაძლებელია ვერ გადალახოს ნეიორნცეფალური ბარიერი, ის შეიძლება დარჩეს პარენქიმულ და ჰემატოპოეზურ ორგანოებში, რეტიკულო-ენდოთელური სისტემის ქსოვილებში.</p>	<p>ცხოველთა უმეტესობაში, გარდა კენტრლიქიანებისა (ცხენები, ვირები, ჯორი), დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს.</p> <p>ბუნებრივი ინფექციის ინკუბაციური პერიოდი 15-40 დღე. დაავადება მიმდინარეობს მწვავედ და ხშირად აღზნებული ფორმით, ნაკლებად ხშირად მშვიდი (დეპრესია, ძილიანობა) ფორმით. ვხვდებით ასევე დაავადების უსიმპტომო და ლატენტურ მიმდინარეობას.</p> <p>სიკვდილიანობა 40-90%-ს აღწევს (აღზნებული ფორმით), ცხენების უმეტესობა იღუპება პირველ 24-48 საათში (მშვიდი ფორმით) და დაავადების ლატენტური მიმდინარეობით, ცხენები გამორჩანმრთელდებიან დროული მკურნალობით.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალგოზო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღველის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ყველაზე ხშირი სიმპტომებია სიყვიითლე, ცნს-ის დარღვევა შეტევებით (აღზნება) ან პროგრესირებადი დეპრესიით, (დამბლა), კუჭისა და ნაწლავების ატონია. როგორც წესი, დაავადება იწყება დეპრესიით, რომელიც გადადის აღზნებაში, აღნიშნავენ კუნთების ცალკეული ჯგუფების კრუნჩხვით შეკუმშვას, ოფლიანობას. ცხოველი კვდება დამბლით.</p> <p>დაავადების მშვიდ ფორმას ახასიათებს დეპრესია (ცხენი გულგრილად დგას, თავლაში ან საკვებურშია თავით ჩაფლული), აღნიშნება ნაწლავების ატონია. სხეულის ტემპერატურა ნორმის ფარგლებშია.</p> <p>დაავადების ლატენტური მიმდინარეობისას აღინიშნება მსუბუქი დაღლილობა, მადის დაკარგვა, თავის, მუცლისა და კიდურების შეშუპება.</p>	<p>ვირუსული ენცეფალიტისთვის პათოლოგიური ცვლილებები არ არის დამახასიათებელი. გასათვალისწინებელია კანქვეშა ქსოვილის, ლორწოვანი გარსების და სეროზული გარსების ზომიერი სიყვიითლე, ლიმფური კვანძების უმნიშვნელო გადიდება, მცირე სისხლჩაქცევები პარენქიმულ ორგანოებში, ცხვირის ძგიდის, შარდის ბუშტიში, წვრილ და მსხვილ ნაწლავებში. ძირითადი ცვლილებები ლოკალიზებულია თავის ტვინში და ზურგის ტვინში: მცირე სისხლჩაქცევები, შეშუპება.</p> <p>ჰისტოლოგიური გამოკვლევით ვლინდება თავის ტვინის რუხი ქსოვილის განადგურება, ნეირონების გადაგვარება, გლიური უჯრედების გამრავლება, ინფილტრაცია და პერივასკულარული ჩანართები. რიგ შემთხვევებში (ბორნის დაავადება) ტვინში აღინიშნება კეროვანი ლიმფოციტური ინფილტრაცია, განგლიური უჯრედების დაზიანება და ინტრაბირთვული ჩანართების არსებობა და მათში იოსტ-დეგენის სხეულები.</p>	<p>დიაგნოზი დგება ეპიზო-ოტოლოგიური, კლინიკური მონაცემების, პათოლოგიური (ჰისტოლოგიური) ცვლილებების, ლაბორატორიული (ვირუსოლოგიური, სეროლოგიური, იმუნოლოგიური და ჰემატოლოგიური) კვლევების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ცხენების ინფექციური ენცეფალიტიტი უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან, აგრეთვე ცოფისგან, რინოპნევმონიისგან (ნერვული ფორმა), აუესკის დაავადებისგან, ბოტულიზმისგან, საკვებისმიერი ინტოქსიკაციისგან.</p>	<p>ავადმყოფი ცხოველების მკურნალობა ძირითადად სიმპტომურია. ავადმყოფი და საეჭვო ცხენები იზოლირებულია თბილ ოთახში, გამოიყენება გულის სამკურნალო საშუალებები. ორგანიზმის გაუნყოფის თავიდან ასაცილებლად ინტრავენურად შეჰყავთ გლუკოზის, უროტროპინის, ჰიპერტონული 10%-იანი ნატრიუმის ქლორიდის ხსნარი. ინიშნება გლაუბერის მარილი, კეთდება ოცნა. კარგ შედეგებს იძლევა იმუნური შრატის დაუყოვნებელი შეყვანა.</p> <p>ბორნის დაავადების დროს, დაავადების დაწყებისას სიმპტომურმა მკურნალობამ შეიძლება ხელი შეუწყოს თვითგანკურნებას.</p>	<p>ავადმყოფ ცხენებში იქმნება ხანგრძლივი აქტიური იმუნოტიტი. ცხენების იმუნოზაციისთვის გამოიყენება ინექტივირებული ემბრიონული, კულტურალური და ქსოვილოვანი (ტვინიდან და ქათმის ემბრიონებიდან) ფორმალინიზებული ან ცოცხალი მონო-, ორ- და სამვალენტიანი ვაქცინები დასუსტებული ვირუსისგან.</p> <p>ზოგადი ანტიეპიზოოტიური და ზოოპროფილური ღონისძიებები, ისევე როგორც დაგეგმილი სისტემური დეზინსექციის მკურნალობა, ემსახურება ამ დაავადებების ყოვლისმომცველი იმუნოპროფილაქტიკის საფუძველს.</p>	<p>დაავადებული ცხოველების დაკვლას და პროდუქტების ვეტერინარიული შემოწმებას ანარმოებენ სამთავრობო №444 დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხენის რინოპნევმონია / ცხენის ვირუსული აბორტი</b></p> <p>ლათ. Rhinopneumonia equorum</p> <p>ინგ. Equine virus abortion / Equine herpesvirus abortion (EHV-1 and EHV-4)</p> <p>რუს. Ринопневмония лошадей / Вирусный аборт кобыл / Половая экзантема лошадей</p> <p>მწვავე გადამდები დაავადებაა, რომელიც ხასიათდება რესპირატორული სინდრომით კვიცებში და აბორტებით მაკეობის მეორე ნახევარში ცხენებში.</p> <p>ცხენის რინოპნევმონია გავრცელებულია ევროპის ტერიტორიაზე, სამხრეთ აზიაში, აფრიკაში და ამერიკის ორივე ქვეკონტინენტზე. ყველა კონტინენტზე ცხენების მნიშვნელოვანი ნაწილი დაავადების ვირუსის სანინალმდეგო ანტისხეულების მატარებელია. ბოლო წლებში რინოპნევმონია დაფიქსირდა პოსტსაბჭოეთის ქვეყნებში.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ავადდებიან ყველა ასაკისა და ჯიშის ცხენები, პონი, ვირები და ჯორი, განურჩევლად სქესისა. უფრო მგრძობიარეა სუფთა ჯიშები და 1 წლამდე ახალგაზრდა ცხოველები.</p>	<p>დაავადება გამონეულაია სამი ტიპის დნმ-ის შემცველი ჰერპესვირუსებით: ცხენის 1 ტიპის ჰერპესვირუსი არის ცხენების კლასიკური რინოპნევმონიის ვირუსი, (ტიპი 2 არის კოიტალური ეგზანთემის გამომწვევი აგენტი, ტიპი 3 არის ციტომეგალოს მსგავსი ინფექციის გამომწვევი აგენტი). ჰერპესვირუსული რინოპნევმონია 1 ტიპს აქვს ორი ქვეტიპი.</p> <p>ინფექციური აგენტის წყაროა ავადმყოფი ცხოველები, ლოკალიზებულია ზედა სასუნთქ გზებში, სასქესო ორგანოებში, კვიცების – ნაყოფში, ნაყოფის გარსებში, ნყლებში, ასევე გამოჯანმრთელებულ ვირუსის მატარებლებში.</p>	<p>დაავადების რესპირატორული ფორმის დროს ტრანსმისია ხდება აეროგენული გზით.</p> <p>დაბინძურებული საკვები, წყალი, ნაკელი, მოვლის საშუალებები და ა.შ. არის ინფექციური აგენტის გადაცემის ფაქტორები.</p> <p>ვირუსი მრავლდება და გროვდება ზედა სასუნთქი გზებისა და ფილტვების ლორწოვან გარსებში, რაც იწვევს რინოპნევმონიას. ხშირად ვირუსი ხვდება საშვილოსნოში, ნაყოფსა და ამნიონურ გარსებში, რაც იწვევს პათოლოგიურ პროცესს და აბორტს მაკეობისმეორე ნახევარში.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 5-12 დღე გრძელდება. ჩვეულებრივ, დაავადება შედარებით მარტივად მიმდინარეობს და მხოლოდ ბაქტერიული ინფექციით გართულების შემთხვევაში შესაძლებელია მძიმე მიმდინარეობა. არსებობს დაავადების გამოვლინების რესპირატორული, აბორტული, გენიტალური და გართულებული ფორმები.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღვლის გამოყვანვა
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>რესპირატორულ ფორმას ახასიათებს ცხელება, დეპრესია, მადის ნაკლებობა, კონიუნქტივიტი და ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება, ზოგჯერ ნაზოფარინგიტი. ზოგჯერ პათოლოგიურ პროცესში ერთვება ფილტვები, საჭმლის მომნელებელი ორგანოები და თირკმელები.</p> <p>მაკე ცხენებში რინოპნევმონიას შეუძლია აბორტების პროვოცირება, აბორტი ხდება ორსულობის 8-11 თვეში. აბორტები გვხვდება 90%-მდე დაავადებულ ცხოველში.</p> <p>სასქესო ფორმას ახასიათებს ბუშტუკოვანი გამონაყარი, გენიტალური ეგზანთემა, საშოს ლორწოვანი გარსის ჰიპერემია, რომელიც მოგვიანებით თეთრ ლაქებად იქცევა.</p> <p>თუ რინოპნევმონია გართულებების გარეშე მიმდინარეობს, სიმპტომები ქრება 1-3 კვირაში და პროგნოზი საიმედოა. მეორადი ბაქტერიული გართულებებით გამოჯანმრთელება უფრო მეტ დროს მოითხოვს; ცალკეული შემთხვევები სიკვდილით სრულდება. ძალიან იშვიათად შესაძლებელია ვირუსული აბორტების გართულებები დამბლის სახით, რომელიც მთავრდება ცხოველის სიკვდილით.</p>	<p>აღინიშნება სეპტიცემიის სურათი: ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსების ძლიერი სინითლე და ანთებითი შეშუპება, თირკმელების, ლვიძლის, გულის კუნთის პარენქიმული გადაგვარება, აგრეთვე სისხლჩაქცევები ლორწოვან და სეროზულ გარსებში, ელენთის ზომიერი შეშუპება და ლიმფური კვანძების.</p> <p>ჰისტოლოგიურად გამოვლენილია გავრცელებული მენინგოენცეფალომიელიტი, რომელსაც ახასიათებს ნეკროზული ვასკულიტი, კეროვანი დარბილება თავის ტვინში და ზურგის ტვინში, ლიმფოციტების და ნეიტროფილების დაგროვება პარავენტრულ განგლიებში.</p>	<p>დიაგნოზი ეფუძნება ლაბორატორიული ტესტების შედეგებს, ეპიზოოტიური, კლინიკური მონაცემებისა და პათოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით. რინოპნევმონიას ახასიათებს აბორტები, რომლებიც ხდება ერთდროულად რამდენიმე ფაშატის მაკეობის 7-11 თვეში, მოსალოდნელი აბორტის გამოხატული ნიშნების გარეშე, სასქესო ტრაქტის სწრაფი დაბრუნება ნორმალურ მდგომარეობაში. დიაგნოზი ზუსტდება პათოანატომიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული შედეგების საფუძველზე.</p> <p>რინოპნევმონია უნდა განვასხვავოთ გრიპისგან, ვირუსული ენტერიტისაგან, პარატიფური აბორტისა და ტოქსიკოზისგან.</p>	<p>ავადმყოფი ცხოველების მკურნალობის სპეციფიკური საშუალებები შემუშავებული არ არის. ანტიბიოტიკები გამოიყენება მეორადი ბაქტერიული ინფექციის თავიდან ასაცილებლად.</p>	<p>დაავადებულ ცხოველებში იმუნიტეტი ვითარდება და აბორტული ფორმის მიმართ იგი ხანგრძლივია (2-3 წელი), ხოლო რესპირატორული ფორმის მიმართ ხანმოკლე (ჩვეულებრივ არა უმეტეს 4 თვისა).</p> <p>სპეციფიური პროფილაქტიკისთვის გამოიყენება რინოპნევმონიის ცოცხალი ვაქცინა. პასიური იმუნიზაციის საშუალებები არ არის შემუშავებული.</p>	<p>დაავადებული ან დაავადებაზე საეჭვო ცხენების დაკვლისას ხორცს მოხარშვის შემდეგ იყენებენ ცხოველების საკვებად.</p> <p>ძვლებს და შინაგან ორგანოებს სპობენ, ტყავს უტარებენ დეზინფექციას.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხვრის ანაერობული (ინფექციური) ენტეროტოქსემია</b></p> <p>ლათ. Enterotoxaemia infectiosa anaerobica</p> <p>ინგ. Struck Pulpy kidney disease / Dirtying disease / Overeating disease</p> <p>რუს. Инфекционна энтеротоксемия овец / Анаэробная энтеротоксемия овец</p> <p>მრავალი სახეობის ცხოველის (ძირითადად ცხვრის და თხის) არაკონტაგიოზური ტოქსიკური ინფექციაა. ხასიათდება ჰემორაგიული ენტერიტით, თირკმლების დაზიანებით, ნერვული სისტემის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის მოშლით, რაც გამოწვეულია ნაწლავებში <i>C. perfringens</i>-ის ინტესიური გამრავლებით და დიდი რაოდენობით ტოქსინების პროდუცირებით.</p> <p>ენტეროტოქსემია ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. ყურადღებას იპყრობს ძლიერი ინტოქსიკაციით და ცხოველის სწრაფი სიკვდილით.</p>	<p>ენტეროტოქსემიით ძირითადად ავადდებიან ცხვრები და თხები. იშვიათი არაა სხვა სახეობის ცხოველების ( რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხენის), მოზარდის დაავადება.</p> <p>ენტეროტოქსემიით ავადდება აგრეთვე გარეული ცხოველები, ბენვიანი ნადირი, ფრინველი, ბოცვერი ზღვის გოჭი და სხვა.</p> <p>ცხვარი განსაკუთრებით მძიმედ ავადდება მაკეობის და მშობიარობის შემდეგ, აგრეთვე 8-10 თვეზე უხნესი ბატკნები.</p> <p>როგორც წესი, ავადდებიან კარგად ნაკვები ნაკლებად მოძრავი ცხოველები.</p>	<p>დაავადების აღმკვრელია სპორის <i>Costridium perfringens</i>-ის C და D ტიპი. მიკროორგანიზმი ორგანიზმი წარმოქმნის კაპსულას, გარემო-არემი კი – სპორას.</p> <p>აღმკვრელის სპოროვანი ფორმა ნიადაგში ძლებს 4 წელი, მშრალ ზედაპირებზე 2 წელი. ნაკლებად გამძლეა ტემპერატურის მიმართ, აღულება კლავს 5-15 წუთში. ვეგეტატიური ფორმა ნიადაგში ძლებს 10-35 დღე, ნაკელში – 3-5 დღე.</p> <p>ზრდასრული ცხვარი ძირითადად ავადდება <i>C. perfringens</i>-ის C-ტიპით (შემოდგომით).</p> <p>D-ტიპით ავადდებიან ბატკნები (გაზაფხულზე). აღმკვრელის წყაროა - დაავადებული ცხოველები და ნიადაგი.</p>	<p>დაავადების აღმკვრელის გადაცემის ფაქტორებია: გარემო არის ობიექტები (საძოვარი, ცხვრის ბინა, საკვები, ნიადაგი, წყალ-სატევები) ინფიცირებული გამონადენები და ლეშები. ცხოველები ავადდებიან აღმკვრელის საჭმლის მომწელებელ სისტემაში საკვების და წყლის მეშვეობით მოხვედრის შედეგად. ინფექციის განვითარების ხელს უწყობს ცხოველის გაციება, კვების რეჟიმის მკვეთრი შეცვლა, მწვანე საკვებზე მკვეთრი გადასვლა, სწრაფად ფუეხადი საკვები და სხვა.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და გრძელდება 4-6 საათს.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს ზემწვავედ, მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს აფეთქებების სახით და ვრცელდება ცხოველების 15-20%-ში.</p> <p>ლეთალობა შეადგენს 100%-ს.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროლუქტებისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ზემწვავე მიმდინარეობის დროს, ტოქსემიის შედეგად ცხოველები კვებიან უეცრად 2-3 საათის განმავლობაში. მკვდარ ცხოველებს ნახულობენ საძოვარზე და სადგომში.</p> <p>მწვავე მიმდინარეობისას ვითარდება დაავადების კომატოზური ფორმა: მაღალი ტემპერატურა, დიარეა (ფეკალი ცუდი სუნისაა და სისხლიანი), ბარბაციით სიარული, მანეჟური მოძრაობა, გაუკმართებული მადა (მინის და ქვების ყლაპვა), გაძნელებული სუნთქვა, გამონადენი პირიდან, სისხლი შარდში, ცხოველები წვანენ კიდურების მოძრაობით, გადაგებული თავით და კბილების კრაჭუნით, ცხოველი კვდება 1-4 დღეში. ქვემწვავე მიმდინარეობისას, აღინიშნება მადის დაკარგვა, წყურვილი, დიარეა, ფეკალი მუქი ფერისაა, სიდამპლის სუნით, ზოგჯერ ვითარდება აბორტი, შარდი მუქი ყავისფერია. ქრონიკული მიმდინარეობისას მადის დაქვეითებით და უჭმელობით ცხოველები ხდებიან და იფიტებიან.</p>	<p>სწრაფად მკვდარი ცხოველის ლეში გაბერილია და სწრაფად იხრწნება. პირიდან და ცხვირიდან გამოედინება მუქი ქაფი სისხლის მინარევით. მუცლის და გულმკერდის ღრუში სეროზულ-ჰემორაგიული ექსუდატია. პარენქიმური ორგანოების უმრავლესობა დაზიანებულია.</p> <p>C-ტიპის აღმძვრელის დროს დამახასიათებელია თირკმლის დაზიანება, სისხლჩაქცევები, წვრილი ნეკროზული კერები ლვიძლში და ლიმფურ კვანძებში. ნაწლავები ჰიპერემიულია, დაფარულია სისხლჩაქცევებით. წყლულოვანი დაზიანებები წვრილ ნაწლავებში.</p> <p>D-ტიპისათვის დამახასიათებელია ჰემორაგიული ანთება წვრილი ნაწლავების ლორწოვანზე. თირკმელების დარბილება, ფაფისმაგვარი კონსისტენცია და ფილტვების შეშუპება.</p>	<p>დიაგნოზს სვამენ კომპლექსურად. ლაბორატორიაში გასაგზავნი მასალა უნდა ავიღოთ სიკვდილიდან არაუგვიანეს 3-4 საათისა. აგზავნიან მთლიანად ბატკანს ან პარენქიმატოზური ორგანოების ნაჭრებს, ლიმფურ კვანძებს, მუცლის და გულმკერდის ღრუს ექსუდატს. მთავარია საკვლევ მასალაში აღმოჩენილი იქნას ტოქსინები. და დადგინდეს მისი ტიპი.</p> <p>დაავადების დიფერენცირება ხდება ბრადზოტთან, ჯილბთან, პასტერალიზთან, ლისტერიოზთან, მონამვლებთან.</p>	<p>ეფექტურია მხოლოდ ადრეული მკურნალობა. სამკურნალოდ იყენებენ იმუნურ შრატებს და ანტიბიოტიკებს.</p>	<p>დაავადების გადატანის შემდეგ ცხოველი იძენს მყარ და ხანგრძლივ ანტიტოქსიურ იმუნიტეტს, ახდენენ დაავადებაგადატანილი ცხოველების გამოწვინებას.</p> <p>აქედან გამომდინარე, იმუნური ფონი ფარაში დაბალია. ცხოველების იმუნიზაციის მიზნით, იყენებენ ვაქცინებსა და იმუნურ შრატებს.</p> <p>ცხოველებს ცრიან ორჯერადად 12-14 დღის ინტერვალით. იმუნიტეტის ხანგრძლივობა 6 თვეა.</p> <p>მეურნეობაში დაავადების გაჩენის შემდეგ აწესებენ რიგ შეზღუდვებს, ჯანმრთელ სულადობას ცრიან.</p> <p>ატარებენ ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებებს.</p>	<p>აკრძალულია ცხოველთა იძულებით დაკვლა, კრეჭვა, წველა და რძის გამოყენება.</p> <p>ლემებს წვავენ.</p> <p>ლემის გაკვეთა ხდება მხოლოდ დიაგნოსტიკის მიზნით და სანიტარული ნორმების დაცვით.</p> <p>გაკვეთილ ლემს წვავენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	ალმკვრელი და მისი წყარო	ალმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხვრის და თხის ადენომატოზი</b></p> <p>ლათ. Adenomatosis, Jaagsiekte</p> <p>ინგ. Adenomatosis / Ovine pulmonary adenocarcinoma</p> <p>რუს. Аденоматоз / Аденоматозная бронхопневмония / Легочной аденоматоз</p> <p>ცხვრის და თხის მდორედ მიმდინარე პროგრესირებადი დაავადებაა. ხასიათდება ფილტვებში ყელესმაგვარი ადენომის მსგავსი ქსოვილის (სიმსივნის) წარმოშობით.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში და დიდ ზარალს აყენებს მეცხოველეობას.</p>	<p>ადენომატოზით ავადდება ყველა ჯიშის 2,5 წელზე ახალგაზრდა ცხვარი.</p> <p>თხები ავადდებიან იშვიათად, აგრეთვე შეიძლება დაავადდნენ ბატკნები 6-8 თვის ასაკში. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ცხოველების დასენიანებით სიცოცხლის პირველ დღეებში.</p>	<p>აღმძვრელია ვირუსი <i>Retroviridae</i>-ს ოჯახიდან, გვარი <i>Lentivirus</i>-ი.</p> <p>ის მონათესავეა ვისნამადიის ვირუსის.</p>	<p>მეურნეობაში დაავადების აღმძვრელი ხდება დაინფიცირებული ცხოველებიდან. ვირუსი გადაეცემა ჰაერნვეთოვანი გზით ცხოველების მჭიდრო კონტაქტის დროს. ეპიზოოტიკა მიმდინარეობს ნელა და ხანგრძლივად მზარდი ინტენსივობით.</p> <p>დაავადებაზე გავლენას არ ახდენს სეზონი და გარემო ფაქტორები. ტემპერატურის მკვეთრი დაცემა ხელს უწყობს ინფექციის გავრცელებას.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი ხანგრძლივია, გრძელდება 4 - 9 თვიდან 3-წლამდე. მიმდინარეობს ქრონიკულად და ნელა პროგრესირებადი სახით.</p> <p>დაავადება მთავრდება დაავადებული ცხოველების 100% სიკვდილით. მეურნეობაში შეიძლება დაავადდეს 50% ცხოველებისა.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიშნავი ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნედლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>კლინიკური გამოვლინება იწყება ცხოველის 2-4 წლის ასაკში. მიმდონარეობა ხანგრძლივია, ტემპერატურა ნორმის ფარგლებში, ავადმყოფ ცხოველებს აღენიშნებათ სეროზულ-ლორწოვანი გამონადენი ცხვირიდან, ნელა მზარდი ქორშინი (ძირითადი ნიშანი), რომელიც გამოკვეთილია ფუნქციონალური დატვირთვის შემდეგ (ცხოველთა გადარეკვა). სუნთქვამ შეიძლება მიაღწიოს 120 - 140-ს. დამახასიათებელია აგრეთვე ხველა ხიხინით და ნახველი. ვითარდება პროგრესირებადი გამოფიტვა მადის შენარჩუნებასთან ერთად.</p> <p>ყველა დაავადებული ცხოველი კვდება.</p>	<p>პათანატომიური გაკვეთის დროს ძირითადი ცვლილებები ფილტვებშია. ფილტვებში ნახულობენ ადენომატოზისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს (კეროვან ან დიფუზურ, მკვრივ კვანძებს პარენქიმაში).</p> <p>კვანძები ნაცრისფერი ან თეთრი ფერისაა, ამოზნექილი ირგვლივ მყოფი ქსოვილებიდან. ხშირად ზიანდება ფილტვის შუა ან დიაფრაგმული ნაწილი. განაჭერზე ადენომატოზური კვანძები დასაწყისში ქონის კონსისტენციის, გლუვი ან მარცვლოვანი კაზეოზური გადაგვარების ტენდენციით. ტრაქეაში ბრონქებში ნახულობენ ლორწოვან ექსუდატს; ბრონქიალური და შუასაყრის ლიმფური კვანძები 3-5-ჯერაა გადიდებული, იშვიათი არაა კატარალურ-ჩირქოვანი პნევმონია.</p>	<p>ადენომატოზზე დიაგნოზს სხვაგვარ ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგოანატომიური ცვლილებების და ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე. ატარებენ აგრეთვე ჰისტოლოგიურ და სეროლოგიურ გამოკვლევებს.</p> <p>გამოსაკვლევად ლაბორატორიაში აგზავნიან დაზიანებული ფილტვის ნაჭრებს, რეგიონალურ ლიმფურ კვანძებს, რომლებშიც ნახულობენ დაავადებისთვის დამახასიათებელ ცვლილებებს.</p> <p>დაავადების დიფერენცირება უნდა მოხდეს ვისნამადიისაგან და სხვა სახის პნევმონიებისაგან.</p>	<p>მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის.</p>	<p>დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ მეურნეობა ცხადდება არაკეთილსაიმედოდ და აწესებენ შეზღუდვებს. ატარებენ ვეტსანიტარიულ ღონისძიებებს. მკვდარი ცხოველის ლეშს წვავენ.</p> <p>დაავადებული ცხოველების გამოსავლენად სისტემატურად აწარმოებენ 4 თვის ასაკის ცხოველების კლინიკურ გამოკვლევებს.</p>	<p>ცხოველთა 10 - 20%-ის დაავადების შემთხვევაში ცხვრების მთლიან სულადობას კლავენ. დაკვლის პროდუქტების შეფასებას აწარმოებენ სამთავრობო №444-ე დადგენილების შესაბამისად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხვრის და თხის ინფექციური აგალაქტია</b></p> <p>ლათ. <i>Agalactia contagiosa ovium et caprarum</i></p> <p>ინგ. Contagious agalactia / Caprine Mycoplasmosis</p> <p>რუს. Инфекционная агалактия овец и коз</p> <p>ყველა ასაკის ცხვრისა და თხის მძიმე გადამდები დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ენზოოტიის სახით და ხასიათდება ყელის, სახსრებისა და თვალების დაზიანებით, ლაქტაციის შეწყვეტით, აბორტით, საფარველის დაზიანებით და სათესლე ჯირკვლების ანთებით.</p>	<p>აგალაქტია ძირითადად აზიანებს ცხვრებსა და თხებს. <i>M. agalactiae</i> ინვეს დაავადებას ორივე სახეობაში, <i>M. putrefaciens</i> მოქმედებს მხოლოდ თხებზე ასევე <i>M. capricolum capricolum</i> და <i>M. mycoides capri</i> უმეტესად გვხვდება თხებში. <i>M. agalactiae</i>, <i>M. capricolum capricolum</i> და <i>M. mycoides capri</i> აღწერილია რამდენჯერმე სიმპტომურ ან ასიმპტომურ პირუტყვში.</p> <p>ველურ სახეობებში <i>M. agalactiae</i> აზიანებს იბერიულ (ან ესპანურ) ვერძს (<i>Capra pyrenaica</i>), ალპურ ვერძს (<i>Capra ibex ibex</i>) და არჩვს (<i>Rupicapra rupicapra</i>).</p>	<p>ინფექციური აგალაქტიის გამომწვევი აგენტია <i>Mycoplasma agalactiae</i> spp. <i>agalactiae</i>.</p> <p>ნლების მანძილზე გადამდები აგალაქტია განისაზღვრებოდა, როგორც <i>Mycoplasma agalactiae</i>-ით გამონვეული დაავადება, დღეისათვის <i>M. capricolum subsp. capricolum</i>, <i>M. mycoides subsp. capri</i> და <i>M. putrefaciens</i>, ასევე განიხილება გამომწვევ აგენტებად. ასევე დადგინდა რომ, ზოგიერთ კლინიკურ შემთხვევაში გამომწვევი შეიძლება იყოს ერთზე მეტი აგენტი.</p>	<p>ინფექციური აგენტის ძირითადი წყაროა ავადმყოფი და გამოჯანმრთელებული ცხოველები, რომლებიც გამოყოფენ პათოგენს ორგანიზმიდან გარე გარემოში რძით, ამნიონური სითხით და ლოქიალური სითხით, სანერწყვე ჯირკვლების და კონიუნქტივის სეკრეციით, შარდით დაავადება გადატანილ ცხვრებსა და თხებში მიკრობი ნარჩუნდება 4-7 თვე.</p> <p>ნიადაგი, ნაგავი, საკვები, ასევე მომსახურე პერსონალის ტანსაცმელი, ავადმყოფი და გამოჯანმრთელებული ცხოველების სეკრეციით დაბინძურებული სხვადასხვა მოვლის ნივთები არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორც პათოგენის გადაცემის ფაქტორები.</p>	<p>ბუნებრივი ინფექციის ინკუბაციური პერიოდი 2-60 დღეა (მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია სტრესზე, ზედატვირთვაზე, ჰიპოთერმიაზე, ლაქტაციაზე, ვაქცინაციაზე და სხვა ფაქტორებზე). აგალაქტია მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად. პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციის მიხედვით განასხვავებენ მასტიტის, სასახსრე, თვალის, ზურგის და შერეულ ფორმებს.</p> <p>ქრონიკული ფორმა გრძელდება რამდენიმე თვე, თან ახლავს იგივე კლინიკური სიმპტომები, როგორც ქვემწვავე, მაგრამ ისინი ნაკლებად გამოხატულია.</p> <p>დაავადება ჩვეულებრივ მიმდინარეობს ენზოოტიურად, ნაკლებად ხშირად ეპიზოოტიის სახით, რომელიც ხასიათდება ცხოველთა დიდი რაოდენობის მოცულობით, სეზონურობით და ხანგრძლივი სტაციონურობით.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და დიფ. ღიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროფილაქსისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქსია	
6	7	8	9	10	11
<p>საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, კონიუნქტივაში, კანისა და სარძევე ჯირკვლის მცირე ჭრილობებში შეღწევის შემდეგ, პათოგენი სისხლის ნაკადით გადადის სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში, რაც იწვევს მათში ანთებით პროცესებს.</p> <p>ვითარდება ინტერსტიციული მასტიტი და სარძევე ჯირკვლების ატროფია ვითარდება აგალაქტია. ავადმყოფ ცხოველებში ასევე აღინიშნება კერატიტი, კონიუნქტივიტი, ართრიტი და ტენდოვაგინიტი, ზოგჯერ კანის დაზიანებები და სათესლეების ანთება. ასევე შესაძლებელია მეორად ინფექციასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციური და პათონატომიური დარღვევებიც, რაც იწვევს სხვადასხვა ორგანოებისა და ქსოვილების ჩირქოვან-ნეკროზულ დაზიანებებს.</p>	<p>პათონატომიური ცვლილებები ძალიან ცვალებადია, რაც დამოკიდებულია ინფექციის ფორმების მრავალფეროვნებაზე და დაავადების მიმდინარეობის სიმძიმეზე. ზოგადად მიღებულია, რომ ცხვრებსა და თხებში ინფექციური აგალაქტიით ვითარდება არა მხოლოდ ადგილობრივი ცვლილებები, არამედ განზოგადებული ინფექციური პროცესიც.</p> <p>მწვავე მიმდინარეობისას კანქვეშა ქსოვილი შეშუპებულია. აბსცესები გვხვდება კანქვეშა კუნთებში. ლიმფური კვანძები გადიდებულია და შეშუპებულია. ელენთა გადიდებულია. აფიქსირებენ პერიტონეუმის და გულის პერანგის სეროზულ ანთებას, ასევე მასიურ სისხლჩაქცევებს, თირკმელების და სხვა ორგანოების დაზიანებას.</p> <p>ზურგის ფორმის დროს გვხვდება ცერებრალური და ზურგის ტვინის სისხლძარღვების ჰიპერემია. ყურადღება უნდა მიექცეს ზურგის ტვინის ნაცრისფერი ნივთიერების განლევას. ღვიძლი იშვიათად ზიანდება. თირკმელები იძენენ მუნუკოვან ზედაპირს ნეკროზის კერებით. გული გადიდებულია, ეპიკარდიუმზე არის ნერტილოვანი სისხლჩაქცევები.</p>	<p>ინფექციური აგალაქტიის დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტოლოგიური, კლინიკური, პათონატომიური მონაცემების საფუძველზე პათოგენის არსებობის სავალდებულო დადასტურებით. აუცილებელ შემთხვევებში დიაგნოზი ზუსტდება სეროლოგიური, ბიომოლეკულური კვლევებით და ბიოანალიზით.</p> <p>ლაბორატორიაში იგზავნება ცურის სეკრეტი, სინოვიალური სითხე და კონიუნქტივის სეკრეტი, სისხლი, ლიმფური კვანძები, ცერებროსპინალური სითხე, პარენქიმული ორგანოები, ტვინი, აბორტირებული ნაყოფი.</p> <p>ინფექციური აგალაქტია უნდა განვასხვავოთ სხვა მსგავსი ეტიოლოგიის დაავადებებისგან, ინფექციური მასტიტი, პოსეპტიცემია, ბატკნის სტაფილოკოკური პოლიართრიტი, რიკეტსიული ან ქლამიდიური კერატოკონიუნქტივიტი; გასათვალისწინებელია მეორადი ინფექციები, ვინაიდან დაავადება საკმაოდ ხშირად გართულებულია.</p>	<p>სპეციფიკური მკურნალობა არ არის შემუშავებული. გამოჯანმრთელებული და ჰიპერიმუნიზირებული ცხოველების სისხლის შრატს აქვს სუსტი თერაპიული ეფექტი. ზოგადი მკურნალობა ტარდება დაავადების მიმდინარეობისა და გამოვლენილი სიმპტომტიკის გათვალისწინებით.</p>	<p>ავადმყოფ ცხოველებში, ზოგადად, ვითარდება სტაბილური იმუნიტეტი, მაგრამ ზოგჯერ თხა ხელმეურედ ავადდება. შემოთავაზებულია და გამოცდილია ინექტივირებული და ცოცხალი შესუსტებული ვაქცინების დიდი რაოდენობა, თუმცა ისინი არ უზრუნველყოფენ საიმედო სპეციფიკურ დაცვას.</p> <p>ჯანმრთელ მეურნეობებში ინფექციური აგალაქტიის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ორგანიზაციული, ეკონომიკური, სანიტარული, ჰიგიენური და ვეტერინარული ღონისძიებების გატარება.</p>	<p>ტანხორცს და დაუზიანებელ შინაგან ორგანოებს გზავნიან მოსახარშად.</p> <p>პათოლოგიურად შეცვლილი ორგანოებიდან ამზადებენ ხორცის ფქვილს ქათმებისთვის.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	ალექვრალი და მისი წყარო	ალექვრალის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხვრის ენზოოტიური (ქლამიდიური) აბორტი</b></p> <p>ლათ. Abortus enzootica ovis</p> <p>ინგ. Chlamydiosis of sheep / Enzootic abortion of ewes (EAE) / Ovine enzootic abortion (OEA)</p> <p>რუს. Хламидийный аборт / Энзоотический аборт</p> <p>გადამდები, ენზოოტიურად მიმდინარე დაავადებაა, რომელიც კლინიკურად ვლინდება ძირითადად მაკობის ბოლო კვირაში აბორტებით ან ნაადრევი მშობიარობით და სუსტი, არასიცოცხლისუნარიანი ბატკნების დაბადებით.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში, ავადდება ყველა ჯიშის და ასაკის ცხვარი.</p> <p>ლაბორატორიული ცხოველებიდან თეთრი თაგვები, ვირთხები, ზღვის გოჭები და ბოცვრები მგრძობიარენი არიან ცხვრის აბორტის გამომწვევი აგენტის მიმართ, რომლებსაც ინფიცირებისას უვითარდებათ პნევმონია.</p> <p>ცხვრის ენზოოტიური აბორტის გამომწვევი აგენტი პათოგენურია ადამიანისთვის.</p>	<p>ცხვარში ქლამიდიის გამომწვევი აგენტია <i>Chlamydia abortus ovis</i>. <i>C. abortus</i> ადრე იყო იდენტიფიცირებული, როგორც <i>Chlamydia psittaci</i>, იმუნოტიპი 1. ამ გვარის ყველა წარმომადგენელი ანტიგენურად არის დაკავშირებული, აქვს საერთო მიკრობულ-მორფოლოგიური და ტინქტოლიარული თვისებები. ქლამიდია აშკარად ჩანს მიკროსკოპის ქვეშ. ელემენტარული სხეულების დიამეტრი 350 ნმ-ს აღწევს.</p> <p>ქლამიდია ცხვარში, როგორც წესი, გვხვდება როგორც ენზოოტია, ინფექციის ყველაზე მძიმე გავრცელებით ბატკნობის პერიოდში. ინფექციის წყარო ავადმყოფი და გამოჯანმრთელებული ცხოველები არიან.</p>	<p>ცხოველების მასობრივი ინფიცირება ხდება, როდესაც ჯანმრთელი ცხვარი ავადმყოფთან კონტაქტში მოდის მაკობის პერიოდში და მოგებიდან მომდევნო 2 თვის განმავლობაში. დაბინძურებული საკვები, წყალი, ცხოველების მოვლის საშუალებები შეიძლება გახდეს პათოგენის გადაცემის ფაქტორები. ცხვრის მნიშვნელოვანი რაოდენობა ინფიცირდება გამრავლების პერიოდში. ბუნებრივ პირობებში ინფექცია ხდება საჭმლის მომწელებელი გზით და შეჯვარების დროს. მწარმოებელი ცხოველები ადვილად ინფიცირდებიან ავადმყოფი ცხვრებისგან კონტაქტით და თავადაც შეუძლიათ, შემდგომში თავიანთი სპერმით გადასცენ პათოგენი ჯანმრთელ ცხვრებს, თუმცა სქესობრივი კონტაქტი ქლამიდიოზის დროს არ არის მთავარი.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი ინვიო გრძელდება რამდენიმე თვიდან 1 წლამდე, ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო მეტს, ხანგრძლივობა დამოკიდებულია ცხვრებში მაკობის პერიოდზე, აგრეთვე პათოგენის ვირულენტობაზე, დოზაზე და შეყვანის მეთოდზე.</p> <p>მაკე ცხვარში ქლამიდია აზიანებს პლაცენტურ ქსოვილს, ინვეეს კოტილოიდების ნეკროზს, რაც თავის მხრივ ინვეეს ნაყოფის სიკვდილს. ქლამიდია, ისევე როგორც მათ მიერ გამოთავისუფლებული ტოქსინები, ინვევენ ორგანიზმის ინტოქსიკაციას. ნაყოფის სიკვდილის მთავარი მიზეზი არის დისტროფიულ-ნეკროზული ცვლილებები და ჰემოდინამიკური დარღვევები პარენქიმულ ორგანოებსა და თავის ტვინში მის ორგანოებში შელწევადი ქლამიდიის მოქმედების შედეგად.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	ღიაგნოზი და ღივ. ღიაგნოზი	სანიანალგეზო ღონისძიებები		პროფუქციის და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ინფექცია შეიძლება მიმდინარეობდეს ლატენტურად და ტიპიურად. დაავადების ლატენტური მიმდინარეობა ვლინდება მხოლოდ სისხლის შრატის შესწავლისას. ლატენტურად დაავადებულ ცხვარში დოლი ნორმალურად მიმდინარეობს, მაგრამ მათი ნაყოფის გარსები და სასქესო ორგანოების სეკრეცია შეიცავს ქლამიდიას, ამიტომ ასეთი ცხვარი დიდი ხანია განიხილება პათოგენის საშიშ მატარებლებად. ასეთი ცხვრის ბატკნები შედარებით ცუდად ვითარდება და ქლამიდიის ლატენტური მატარებლები არიან.</p> <p>დაავადების ტიპიური მიმდინარეობა ხასიათდება აბორტებითა და ნაადრევი სუსტი, არასიცოცხლისუნარიანი და ცუდად განვითარებული ბატკნების გაჩენით. ასეთი ბატკნები, როგორც წესი, მალე კვდებიან. ყოველ მაკე ცხვარში აბორტის ან ნაადრევი დოლის დრო დამოკიდებულია პლაცენტის ინტენსივობაზე და გარსების ქლამიდიის დაზიანების ხარისხზე; ეს ჩვეულებრივ ხდება ორსულობის ნორმალური პერიოდის დასრულებამდე 2-3 კვირით ადრე, ნაკლებად ხშირად - 6-8 კვირა.</p>	<p>პათოლოგიურ ცვლილებებს განსაზღვრავს პლაცენტის განვითარება და ნაყოფის დაზიანება რაიმე სპეციფიკური თავისებურებების გარეშე. აბორტებულ ნაყოფებში, სისხლიანი შეშუპება და სხვადასხვა ინტენსივობის სისხლჩაქცევები ჩვეულებრივ გვხვდება კანქვეშა და კუნთოვან ქსოვილებში, აგრეთვე სისხლის სეროზული ტრანსუდატი გულმკერდისა და მუცლის ღრუში. ხშირად ხდება აბორტებულ ნაყოფის მუმიფიცირება. ზოგიერთ შემთხვევაში, მთელი ქორიონი ზიანდება, ზოგიერთში კი მხოლოდ მისი ცალკეული ნაწილები. ქორიონის დაზიანებული უბნების ფერი მერყეობს მუქი წითელიდან ოდნავ ყავისფერამდე.</p> <p>აბორტებულ ნაყოფში აღინიშნება სისხლჩაქცევები თავის ტვინში და მის გარსებში, შეგუბებული სისხლით და ღვიძლის დისტროფია.</p>	<p>ცხვარში ქლამიდიური აბორტის დიაგნოზი დგინდება კომპლექსურად, თუმცა ეპიზოოტოლოგიური, კლინიკური და პათოანატომიური ცვლილებები არ შეიძლება ჩაითვალოს ამ დაავადების მკაცრად სპეციფიკურად.</p> <p>ცხვარში ქლამიდიური აბორტის დიაგნოსტიკის ყველაზე საიმედო მეთოდია პათოგენის გამოყოფა 6-7 დღის ქათმის ემბრიონებზე.</p> <p>დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს ბრუცელოზი, სალმონელოზი, კამპილობაქტერიოზი, ლისტერიოზი, ლეპტოსპიროზი, Q ცხელება, ტოქსოპლაზმოზი. დიფერენციალურ დიაგნოზში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლაბორატორიული ტესტების შედეგებს.</p>	<p>ეკონომიკურად გამართლებულია ანტიბიოტიკების გამოყენება პროფილაქტიკური მიზნით, განაყოფიერების ან შეჯვარების პერიოდში, როდესაც ფერმაში ფიქსირდება ცხვრის აბორტის ცალკეული შემთხვევები. საუკეთესო შედეგი მიიღება ტეტრაციკლინის, სპირამიცილის, რევერინის და სხვა ტეტრაციკლინის ანტიბიოტიკების გამოყენებისას.</p>	<p>მიუხედავად, ქლამიდიას აქვს სუსტი იმუნოგენური აქტივობისა, მათ შეუძლიათ გამოიწვიონ როგორც ჰუმორული, ასევე უჯრედული იმუნური პასუხი.</p> <p>სპეციფიკური პროფილაქტიკისთვის, შემუშავებულია ვაქცინები.</p> <p>ცხვარში ქლამიდიური აბორტის პრევენციისა და აღმოფხვრისას ტარდება სპეციფიკური ვეტერინარული და სანიტარული ღონისძიებები, საგანგებოდ შემუშავებული რეგულაციების გამოყენებით.</p>	<p>ტანხორცს და უცვლელ შინაგან ორგანოებს უშვებენ მოხარშვის შემდეგ. ხოლო სახეშეცვლილ ორგანოებს და დაკვლის ანარჩენებს სპობენ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხვრის ინფეციური კატარალური ცხელება/ ლურჯი ენა / ბლუტანგი</b></p> <p>ლათ. Febris catarrhalis infectiosa ovium</p> <p>ინგ. Bluetongue disease</p> <p>რუს. Катаральная лихорадка овец / Синий язык / Блутанг</p> <p>შინაური და გარეული მცოხნავი ცხოველების ტრანსმისიული ვირუსული დაავადებაა. ხასიათდება ცხელებით, საჭმლის მომწელებელი ტრაქტის ლორწოვანი გარსების ნეკროზით, განსაკუთრებით ენის (შეშუპებული ციანოზური ლურჯი ენა), ჩონჩხის კუნთების დისტროფიით, ჩლიქის გვირგვინის ანთებით, კოჭლობით, მაკე ცხოველებში აბორტებით და მახინჯი ბატკნების დაბადებით.</p>	<p>ცხვრები ყველაზე მეტად ავადდებიან ბლუტანგით. ნაკლებად თხები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ცხვრებიდან ყველაზე ხშირად ავადდებიან მერინოსის ჯიშის ცხოველები.</p> <p>ბლუტინგით ავადდება აგრეთვე ირემი და ანტილოპა.</p>	<p>დაავადების გამომწვევი მიეკუთვნება ორბი-ვირუსის გვარს <i>Reoviridae</i>-ს ოჯახიდან. ვირუსს გააჩნია 25-ზე მეტი სეროტიპი. ერთი სეროტიპისადმი იმუნიტეტი არ იცავს მეორე სეროტიპისაგან.</p>	<p>დაავადების აღმკვრელის გადამტანებია წვრილი სისხლისმწოვი მწერები (<i>Culicoides</i> გვარის წარმომადგენელი) ქინქლები. მდებრი ქინქლების დაინფიცირება ხდება დაავადებული ცხოველების (როგორც წესი რქოსანი პირუტყვის) სისხლით კვების დროს. ბლუტინგი კატარალური ცხელება არ არის კონტაგიოზური დაავადება.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი ცხვრებში 5-10 დღეა, რქოსან პირუტყვში 4-5 დღე. დაავადება მიმდინარეობს მწვავედ, და ქვემწვავედ. ზოგჯერ დაავადება მიმდინარეობს აბორტებით და ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი თაობის დაბადებით.</p> <p>ლეტალობა ასაკობრივ ჯგუფებში განსხვავებულია და მერყეობს 50%-დან - 70%-მდე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანაღმებო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნაღლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>ბლუთანგის კლინიკური ნიშნები მსგავსია თურქულის კლინიკურ ნიშნებისა. ძირითადი განსხვავება ლეტალობაშია. თურქულის დროს ლეტალობა ძალიან დაბალია.</p> <p>მწვავე მიმდინარეობას ახასიათებს ცხელება (ტემპერატურა 40,5-42,0°C). პირის და ცხვირის ღრუში ლორწოვანი გარსების დაზიანების გამო ხდება ჩირქოვანი ექსუდატის გამოყოფა. შემდგომ ქსოვილების დაშლით პირის ღრუში ჩნდება წყლულები, ენა იღებს მოშავო-მოლურჯო ფერს, ვითარდება სტომატიტი, ფილტვების ანთება, სისხლიანი დიარეა, ბზარები კანზე. ჩამოთვლილი პათოლოგიები ფიტავს ცხოველს. ხშირად ცხოველი კვდება 1-6 დღეში ან უცბად გამოჯანმრთელდება მდგომარეობის შემდგომი გაუარესებით და სიკვდილით.</p> <p>ქვემწვავე ფორმისთვისაც დამახასიათებელია ცხელება და სისუსტე, ზოგჯერ ადგილი აქვს კისრის მოღრეცვას და კიდურების დაავადებას. იწყება კოჭლობა და ჩლიქების დაზიანება.</p> <p>ცხელების ფონზე ხშირად ბლუთანგი იწვევს აბორტებს და სუსტი თაობის დაბადებას.</p>	<p>ღრუში გამოფიტულია, პირის ღრუს ლორწოვანი გარსები შეშუპებული, ენა გადიდებული და ლურჯი ფერისაა და პირის ღრუდან გადმოვარდნილი. პირის და ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსებზე არსებული წყლულებიდან ადგილი აქვს სისხლდენას. ეპოთელიუმში დაზიანებულია. ადგილი აქვს კანის სიმშრალეს, ნეკროზს ტუჩებზე, ღრძილებზე და ენაზე. მრავლობითი სისხლჩაქცევები კუნთოვან ქსოვილებში, წვრილ ნაწლავებში, შარდის ბუშტზე და საშარდე გზებზე.</p>	<p>ბლუთანგზე დიაგნოზის დასმა ხდება ეპიზოოტური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგოანატომიური ცვლილებების საფუძველზე. გადამწყვეტია ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები. ლაბორატორიაში აგზავნიან სიცოცხლეში სისხლს, ბატკნების ღეშის გაკვეთისას, ელენთას, ძვლის ტვინს, ფილტვებს და ტვინს.</p> <p>ლაბორატორიაში ადგენენ ვირუსის სეროტიპს, რაც აუცილებელია ვაქცინის შესარჩევად.</p> <p>ბლუთანგი უნდა განვასხვავოთ თურქულისგან, ჭირისგან, ყვავილისგან, ავთვისებიანი კატარალური ცხელებისგან.</p>	<p>ბლუთანგის მკურნალობის მეთოდი შემუშავებული არ არის.</p>	<p>სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ცოცხალ და ინაქტივირებულ მონო ან პოლივალენტურ ვაქცინებს. განსაკუთრებული ღონისძიებებია ჩასატარებელი დაავადების აღმკვრელის გადამტანი მწერების სანიანაღმებო მდეგოდ.</p>	<p>დაავადების პირველადი გამოვლენისას დაკვლის ყველა პროდუქტს სპობენ: მასობრივი დაავადებისას კუნთებში დისტროფიული ცვლილებების დროს ტანხორცს და დაკვლის სხვა პროდუქტებს გზავნიან უტილიზაციაში.</p> <p>სხვა შემთხვევაში ხორცს და დაკვლის სხვა პროდუქტებს გზავნიან მოსახარშად.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცნობები	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხვრის ნაქროტიკული ჰეპატიტი</b></p> <p>ლათ. Infections necrotica</p> <p>ინგ. Black disease / Infectious necrotic hepatitis</p> <p>რუს. Некротический гепатит овец / Чёрная болезнь</p> <p>მწვავედ მიმდინარე ტოქსიური ინფექციური დაავადებაა, ხასიათდება ღვიძლის ნეკროტიკული დაზიანებებით. დაავადებული ცხოველები სწრაფად კვდებიან.</p> <p>დაავადება ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთის ცენტრალურ ზონაში და დაღესტანში.</p>	<p>ძირითადად ავადდება ცხვარი, ნაკლებად რქოსანი პირუტყვი. ავადებიან და კვდებიან ცხვრები 1-2 წლის ასაკში უპირატესად კარგად ნაკვები და მსხვილი ცხოველები.</p> <p>მოზარდი ავადდება იშვიათად. დაავადება უმეტესად ჩნდება შემოდგომაზე და ზამთრის დასაწყისში.</p> <p>დაავადების გაჩენის ხელშემწყობია ჰელმინთების (ფასციოლოზი, დიკროცელიოზი და სხვათა) განვითარება, რომლებიც აზიანებენ ღვიძლს ქსოვილებს და ასუსტებენ ორგანიზმს.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია სპოროვანი ბაქტერია <i>C. novyi</i>-ის B ტიპი (აღრე მას ერქვა <i>C. oedematiens</i>, <i>C. gigas</i>).</p> <p>მიკრობი ბინადრობს ნიადაგში, წყლის შლამში და ცხოველის ნაწლავებში. სპორები ძლიერ გამძლეა, ადულებას უძლებს 1 საათსა და მეტ ხანს.</p> <p><i>C. novus</i> სინთეზირებს 5 ტოქსინს მთავარი 1. ალფა-ტოქსინი ზრდის კაპილარების შეხსნევადობას და ტოქსიურია რიგი ქსოვილების მიმართ; 2. ბეტა-ტოქსინი იწვევს ერთოროციტების ჰემოლიზს; 3. გამატოქსინი ნეკროტიზირებს ქსოვილებს; 4. დელტატოქსინი იწვევს ჰემოლიზს; 5. ეტა-ტოქსინი იწვევს კუნთოვანი ქსოვილის დესტრუქციას.</p>	<p>დაავადების აღმძვრელის გადაცემის ფაქტორია ნიადაგი, რომელშიც დიდი რაოდენობითაა <i>C. novyi</i>-ის სპორები.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება რამოდენიმე საათს.</p> <p>დაავადების მიმდინარეობა ზემწვავეა (ელვისებური) ცხოველები კვდებიან უეცრად 2-3 საათში.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალფეგო ღონისძიებები		პროფუქტებისა და ნეღლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადებულ ცხოველებს ერ-ღვევით მოძრაობის კოორდინაცია, ბორძიკობენ და ეცემიან. პირიდან და ცხვირიდან სდით სეროზული ან სეროზულ-ჰემორაგიული ლორწო. აღინიშნება სისხლიანი დიარეა, კრუნჩხვები. თვალის ლორწოვანი ჰიპერემიული. დაავადებული ცხოველები ხშირად დათრგუნულია, ტემპერატურა ნორმის ფარგლებში ან ოდნავ ანეული, პულსი სუსტი, გახშირებული, ცხოველები ვარდებიან, თითქოს წვებიან და ამ მდგომარეობაში კვდებიან.</p>	<p>ღეშის გაკვეთისას ვნახულობთ სისხლის შეგუბებებს და დამახასიათებელ მონიტალე ექსუდატს გულმკერდის და მუცლის ღრუში. სითხე ჰაერთან შეხების შემდეგ ღებულობს ყელეს კონსისტენციას. ღვიძლი ჰიპერემიულია. შეიმჩნევა ნეკროტიკული კერები ნაცრისფერიდან მოყვითალო ფერამდე, შემოსაზღვრული მუქი არასწორკიდურებიანი არშიით, ზომით 1-2 სმ. პერიკარდზე ან ენდოკარდზე ნერტილოვანი სისხლჩაქცევები, ელენთა უცვლელია, თირკმლები ჰიპერემიული, ზოგჯერ ნეკროზული კერებით.</p> <p>კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სისხლძარღვები ინეცირებულია.</p>	<p>დაავადების დიაგნოზტიკა ეფუძნება ეპიზოოტიურ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს და ლაბორატორიულ გამოკვლევის შედეგებს, ბაქტერიოლოგიურად იკვლევენ ღვიძლის ნაჭრებს აღებულს ჯანმრთელი და დაზიანებული ქსოვილების საზღვარზე.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლებენ ფასციოლოზთან, ენტეროტოქსემიასთან, ბრადზოტთან, ჯილეხთან და მწვავე მონამვლებთან. მათ არ აღენიშნებათ ნეკროტიკული კერები.</p>	<p>დაავადებული ცხოველების მკურნალობა გაძნელებულია დაავადების სწრაფად მიმდინარეობის გამო.</p>	<p>დაავადების პროფილაქტიკის მიზნით პირველ რიგში ატარებენ დეჰელმინთიზაციას, რათა თავიდან ავიცილოთ ღვიძლის უჯრედების დაზიანება. ცხოველები არ უნდა ვაძოვოთ ფასციოლოზზე არაკეთილსაიმედო საძოვარზე. აქტიური იმუნიზაციისათვის იყენებენ პოლივალენტურ ანატოქსინ ვაქცინას.</p>	<p>დაავადებული და დაავადებაზე საეჭვო ცხვრების სახორცედ დაკვლა აკრძალულია.</p> <p>ღეში გაუკვეთავად მთლიანად უნდა მოისპოს.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხონველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ცხვრის ჩლიქების სიღამაკლე</b></p> <p>ლათ. <i>Poronychia contagiosa ovium</i></p> <p>ინგ. Foot-rot</p> <p>რუს. Копытная гниль</p> <p>სპეციფიკური, განსხვავებით ნეკრობაქტერიოზისგან მაღალკონტაგიოზური ძირითადად ქრონიკულად მიმდინარე დაავადებაა, რომელიც ვლინდება ჩლიქებს შორის ქსოვილების ანთებით, რქოვანის ლპობითი დაშლით და აქერცვლით. რასაც მოსდევს ცხოველის კოჭლობა.</p> <p>დაავადება გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.</p> <p>მეცხვარეობას აყენებს დიდ ზარალს.</p> <p>მატყელი მცირდება 10-40%-ით;</p> <p>რძის რაოდენობა – 20-60%-ით;</p> <p>ხორცი – 10-40%-ით.</p>	<p>ჩლიქების სიღამაკლით ძირითადად ავადდება ცხვარი, იშვიათად თხა.</p> <p>დაავადების ამთვისებელია ზრდასრული ცხოველები, იშვიათად მოზარდები და ახალშობილები (მოქმედებს კოლოსტრალური იმუნიტეტი).</p> <p>დაავადება მძიმედ მიმდინარეობს ყოჩებში და ნაზმატყელიან ცხვრებში.</p>	<p>დაავადების აღმკვრელია გრამუარყოფითი ანაერობული ბაქტერია <i>Dichelobacter nodosus</i>, არჩევენ მის 20 სეროლოგიურ ტიპს: A, B, C, D, E და ა.შ.</p> <p>დაავადების აღმკვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ცხოველები, რომელთა ჩლიქებში მიკრობი ძლებს დიდხანს. 1 წელზე მეტ ხანს. სწორედ ჩლიქებით შეაქვთ დაავადებულ ცხვრებს დაავადების აღმკვრელი კეთილსაიმედო მეურნეობაში.</p>	<p>ცხოველთა დასენიანება ხდება დაავადებული ცხვრების ჯანმრთელთან არაპირდაპირი კონტაქტით. გადაცემის ფაქტორებია დაინფიცირებული ქვეშაფენი, იატაკი, შესარეკი ეზოს და საძოვრის ნიადაგი, ნაკელი, მოვლის საგნები, მომვლელი პერსონალის ტანსაცმელი, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა.</p> <p>აღმკვრელი ორგანიზმში ხვდება ჩლიქებს შორის დაზიანებული კანიდან.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი ბუნებრივ პირობებში გრძელდება 5-6 დღიდან 10-12 დღემდე. დაავადების მიმდინარეობა ძირითადად ქრონიკულია, მაგრამ როგორც წესი, დაავადება იწყება მწვავედ.</p> <p>დაავადება ხშირად მიმდინარეობს ეპიზოოტიური აფეთქებით მაღალი კონტაგიოზურობიდან გამომდინარე, სწრაფად ავადდება ცხოველების 50-90%. შემდეგ დაავადება ლეტულობს სტაციონალურ ხასიათს, რომლის დროსაც ავადობა 10-25%-ია.</p> <p>დაავადება მიმდინარეობს სიმძიმის მიხედვით იყოფა მსუბუქ, საშუალო და მძიმე ფორმად. დაავადების აღნიშნული ფორმები მიმდინარეობს დამოუკიდებლად ხშირად კი შერეული სახით.</p> <p>ხელშემწყობი ფაქტორებია: მაღალი ტენიანობა, მიკროტრავმები, ჭუჭყი, სინესტე, იატაკის და ეზოს მკვრივი საფარი, ცხოველთა სიმჭიდროვე და სხვა.</p>



კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდებო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნედლეულის გამოყენება
			მაურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადებულ ცხოველებს ეტყობათ მოუსვენრობა ცხოველი მაღლა წევს კიდურს და ლოკავს დაზიანებულ ადგილს. ჩლიქებს, შორის ქსოვილები ანთებითია, კანი განითლებული, ბენვი ინყებს ცვენას. ინყება ექსუდატის გამოყოფა, რომელიც დასაწყისში გამჭირვალეა. შემდგომ ხდება ნაცრისფერ-თეთრი ჩირქის მინარევით და სპეციფიკური არასასიამოვნო დამპალი ყველის სუნით.</p> <p>შემდგომ ანთებითი პროცესი გადადის ჩლიქების რქოვანაზე. ჩნდება ნეკროზული კერები, რომლებიც ძალიან მტკივნეულია. ცხოველები ინყებენ კოჭლობას (ძირითადი კლინიკური ნიშანი). ზიანდება ერთი ან რამოდენიმე კიდური, ცხოველები წვანან და საკვებს ვერ ღებულობენ, იკლებენ წონაში. ასეთი ცხოველები ექვემდებარებიან გამოწუნებას. ორგანიზმის ტემპერატურა ნორმის ფარგლებშია. დაზიანებული ჩლიქები ცხელი და მტკივნეულია.</p>	<p>დაავადების ქრონიკულად მიმდინარეობისას ლეში დამჭლევებულია, დაზიანებები ძირითადად ჩლიქებ შორისაა.</p> <p>ქსოვილებში ლპობითი პროცესების სურათია, აღინიშნება რქოვანის აშრეება. შინაგან ორგანოებში ცვლილებები არ აღინიშნება.</p>	<p>წინასწარ დიაგნოზს ჩლიქების სიდამპლეზე, სვამენ ეპიზოოტიური მონაცემების კლინიკური ნიშნების, ჩლიქებს შორის დამახასიათებელი ცვლილებების საფუძველზე დიაგნოზის დაზუსტების მიზნით ატარებენ ლაბორატორიულ გამოკვლევებს. ლაბორატორიაში აგზავნიან იძულებით დაკლული ცხოველების დაზიანებულ კიდურებს ან დაზიანებული კერიდან აღებული ქსოვილებს.</p> <p>დიფერენციალურ დიაგნოზს ავლენენ ნეკრობაქტერიოზთან, თურქულთან, ბლუტანგთან, დემატოფილუზთან.</p>	<p>დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება მრავალი საშუალება ძირითადად გარეგანი გამოყენების. ანტისეპტიკური სითხეები აბაზანებისათვის, ანტიბიოტიკები (ლევომიციტინი, ბიომიცინი, ოქსიტეტრაციკლინი, სინტომიცინი და სხვა) მალამოების აეროზოლების და შესაფრქვევი ფხვნილების სახით.</p> <p>იყენებენ აგრეთვე რიგ კომპლექსურ პრეპარატებს, როგორცაა ტრიცილინი, პაროფორმი, სტრეპტოციდი და სხვა). დაავადების მძიმე ფორმის დროს კარგ ეფექტს იძლევა პენიცილინის და ტეტრაციკლინის რიგის პრეპარატების პარენტერალურად გამოყენება.</p>	<p>დაავადების მოხდის შემდეგ იმუნიტეტის ფორმირება არ ხდება.</p> <p>აქტიური იმუნიზაცია (ვაქცინაცია) არის პირობითი და ხანმოკლე.</p> <p>დაავადების სანიანალმდებო ბრძოლა ძალიან რთულია და შრომატევადი. ცხოველთა დასაცავად უნდა ჩავატაროთ ზოგადი ვეტერინარულ-სანიტარული და ზოოჰიგიენური ღონისძიებები.</p>	<p>რძე მიღებული პირობითად ჯანმრთელი ცხოველებიდან გამოიყენება შეზღუდვების გარეშე. რძეს დაავადებული ცხოველებიდან აღუღებენ.</p> <p>ხორცი იძულებით დაკლული ცხოველებიდან გამოიყენება თერმული დამუშავების შემდეგ.</p>

დაავადება	ამთვისებელი ცხმოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>ქალღუგის პარვოვირუსული ენტერიტი</b></p> <p>ლათ. Parvovirus enteritis</p> <p>ინგ. Minute virus infection of dogs</p> <p>რუს. Парвовирусный энтерит собак</p> <p>ძალღუგის მაღალკონტაგიოზური ფართოდ გავრცელებული ვირუსული დაავადებაა. ხასიათდება პირღებინებით (ნაღველის მინარევით) დიარეით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჰემორაგიული ანთებით, ორგანიზმის გაუწყლულებით, მიოკარდის დაზიანებით და სწრაფი სიკვდილით.</p>	<p>დაავადების ამთვისებელია ყველა ჯიშის ძალღი. მაღალი ავადობა აღინიშნება 1-6 თვის ასაკის ლეკვებში.</p>	<p>დაავადების აღმძვრელია <i>Parvoviridae</i>-ს ჯგუფის ვირუსი <i>Canine parvovirus</i>-ი.</p> <p><i>Parvoviridae</i>-ს ვირუსები გამოყოფილია რქოსანი პირუტყვიდან, ღორიდან, ფრინველიდან, კატებიდან, წაულიდან. მიუხედავად იმისა, რომ კატებიდან და წაულიდან გამოყოფილი ვირუსი მსგავსია ძალღის დაავადების აღმძვრელისა, ისინი არ ავადებენ ძალღებს.</p> <p>ძალღის პარვოვირუსული ენტერიტის აღმძვრელი მდგრადია ქიმიური და ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედების;</p> <p>ვირუსის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ვირუსის მტარებელი ძალღები. ვირუსი გამოიყოფა ფეკალით, პირღებინების მასით, შარდით და ნერწყვით.</p>	<p>ვირუსის შეჭრის გზაა ენტერალური და ინტრანაზალური. ჯანმრთელი ძალღის დასენიანება ხდება ვირუსით კონტამინირებულ საგნებთან კონტაქტით. დაავადების გავრცელების ხელშემწყობია დაბალი მოვლა-შენახვის და კვების პირობები. აგრეთვე, სტრესფაქტორები, პატრონის შეცვლა, სამკურნალო პროცედურები (მაგ. ოპერაციები), ჰელმინთოზური დაავადებები და ძალღების მჭიდროდ შენახვა (12 სულზე მეტი 1 მ<sup>2</sup>-ზე).</p> <p>ვირუსმატარებლობა გრძელდება გამოჯანმრთელებიდან 10 დღის განმავლობაში.</p>	<p>ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 10 დღე. დაავადება როგორც წესი მიმდინარეობს მწვავედ და ვლინდება უეცრად გასტროენტერიტის კლინიკით. დაავადება მიმდინარეობს სამი ფორმით (ნაწლავური კარდიალური და შერეული) სამივე ეს ფორმა ვლინდება უეცრად და მწვავედ.</p> <p>კარდიალური ფორმის დროს ლეტალობა 70-80%-ია. ნაწლავური ფორმის დროს ლეკვებში 50%-მდე. ზრდასრულებში 5-10%.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეგო ღონისძიებები		პროფუქციისა და ნაღლეულის გამოყენება
			მკურნალობა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
<p>დაავადების პირველი კლინიკური ნიშნებია ანორექსია და პირღებინება. პირღებინების დანყებიდან 6-24 საათის შემდეგ ვლინდება დიარეა. ფეკალი დასაწყისში ნაცრისფერი ან ნაცრისფერ-ყვითელია, შემდგომ მწვანე ან მკაფიო იისფერი, ხშირად შეიცავს სისხლს და ლორწოს. აქვს მყრალი სუნი, ტემპერატურა მატულობს 39,5-41°C-მდე. პირღებინება და დიარეა სწრაფად იწვევს გაუწყლულებას.</p> <p>დაავადების კარდიალური ფორმა ჩნდება იშვიათად ლეკვებში 1-7 თვის ასაკში, აღნიშნავენ გულის უკმარისობას დაბალი პულსით და ფილტვების შეშუპებით. ლეკვები კვებიან უეცრად.</p>	<p>ნაწლავური ფორმის დროს ხშირად დამახასიათებელია წვრილი ნაწლავების დაზიანება. ზოგჯერ უმნიშვნელოდ ან ლოკალურად. ლორწოვან გარსებში ჰემორაგიული ანთებაა განვითარებული. ელენთა გადიდებაა, მეზენტერიალური ლიმფური კვანძები შეშუპებული და გადიდება. კარდიალური ფორმის დროს ნახულობენ სარქველების გადიდებას, ფილტვების შეშუპებას და მწვავე ჰეპატიტის ნიშნებს.</p>	<p>პირველადი დიაგნოზი შეიძლება დაისვას ეპიზოოტიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების და პათოლოგოანატომიური ცვლილებების საფუძველზე.</p> <p>სეროლოგიური დიაგნოსტიკა ეფუძნება ძაღლის სისხლის წყვილი სინჯების გამოკვლევას.</p> <p>ძაღლის პარავოვირუსული ენტერიტი კლინიკურად მსგავსია ძაღლის ქირის, ინფექციური ჰეპატიტის და ალიმენტალური ენტერიტის.</p>	<p>სპეციფიკური სამკურნალო საშუალებაა პოლივალენტური ჰიპერიმუნური შრატი, რომელიც ეფექტურია დაავადების დასაწყისში. გაუწყლულების თავიდან ასაცილებლად აწარმოებენ იზოტონიური სითხეების გადასხმებს, უნიშნავენ პირღებინების საინანალმდეგო პრეპარატებს კუნთებში. პირღებინების შემცირების შემდეგ ცხოველებს აძლევენ ჩაის მარილით, ნახარშებს და ფაფებს. უნიშნავენ დიეტურ კვებას წვრილად დაჭრილ ხორცს ან ფარშს, ბრინჯის ნახარშს ორცხობილით, ხაჭოს და სხვას.</p> <p>მეორადი ინფექციების საინანალმდეგოდ იყენებენ ანტიბიოტიკებს.</p> <p>ცხოველებს უნიშნავენ ვიტამინებს და სხვა ბიოლოგიურ სტიმულატორებს.</p>	<p>დაავადების მოხდის შემდეგ 3-4 კვირაში ფორმირდება იმუნიტეტი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება.</p> <p>სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ინაქტივირებულ და ცოცხალ მონო და ასოცირებულ ვაქცინებს.</p> <p>იმუნიტეტი გრძელდება 12 თვე.</p>	

დაავადება	ამთვისიჯალი ცხოველი	აღმკვრელი და მისი წყარო	აღმკვრელის გადაცემის გზა და მიკროგმატარებლობა	ინკუბაციური პერიოდი დაავადების მიმდინარეობა და ფორმა, ავადობა, ლეტალობა
1	2	3	4	5
<p><b>წინილავის ინფექციური ანემია</b></p> <p>ლათ. Infectiones pullum anemia</p> <p>ინგ. Infections chicken anemia / Chicken anaemia</p> <p>რუს. Инфекционная анемия цыплят / Вирусная анемия / Синее крило</p> <p>მოზარდის (ადრეულ ასაკში) დაავადებაა.</p> <p>მიმდინარეობს ძვლის ტვინის და-ზიანებით, იმუნოდეფიციტით და ბოლოს დერმატიტით, ჰიდროპერიკარ-დიტით და მუცლის ღრუს წყალმანკით.</p>	<p>ბუნებრივ პირობებში ავადდება მეხორცეული მიმართულების ფრინველი, ძირითადად ბროილერი, რაც დაკავშირებულია ფრინველის ინტენსიურ ზრდასთან. ავადდება მოზარდი 14-21 დღის ასაკში. წინილები პირველი 2 კვირის ასაკში დაცულია დედის ანტისხეულებით, რომელიც გადაეცემა საინკუბაციო კვერცხით. წინილები ასევე მდგრადები არიან 3 კვირის შემდგომ პერიოდშიც. აგრეთვე ცნობილია, რომ წინილა რომელსაც კონტაქტი არ ჰქონია ვირუსთან, ინფექციის მიმართ მგრძობელობას იჩენს ნებისმიერ ასაკში.</p>	<p>ინფექციური ანემიის აღმკვრელი მიეკუთვნება <i>Circoviridae</i>-ს ოჯახს.</p> <p>ვირუსი მგრძობიარეა სადეზინფექციო პრეპარატების მიმართ. მასზე მომაკვდინებლად მოქმედებს მაღალი ტემპერატურა. იხოცებიან 80°C-ზე.</p>	<p>მეფრინველეობის ფერმაში ინფექციის გავრცელება ხდება კონტაქტური გზით ან წინილების მარეკის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დროს. როგორც ცნობილია, ვაქცინის დასამზადებლად იყენებენ ქათმის ემბრიონებს მიღებულს კომერციული კვერცხიდან, რომელიც შეიძლება შეიცავდეს დაავადების აღმკვრელს.</p>	<p>დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს მწვავედ და უსიმპტომოდ.</p> <p>უსიმპტომო მიმდინარეობისას სიკვდილიანობა 5-15%-ია.</p> <p>მწვავე მიმდინარეობისას – 50-60%.</p> <p>ქათმები შეიძლება დაინფიცირდნენ კვერცხების დასაწყისში უსიმპტომოდ, და გავლენა არ მოახდინოს პროდუქტიულობაზე.</p>

კლინიკური ნიშნები	პათ. ანატომიური ცვლილებები	დიაგნოზი და დიფ. დიაგნოზი	სანიანალმდეო ღონისძიებები		პროდუქტებისა და ნედლეულის გამოყენება
			გპურნალოზა	პროფილაქტიკა	
6	7	8	9	10	11
